სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

ქადირ გულდური

იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობებიდან XVI-XVIII საუკუნეებში (ოსმალური და ქართული წყაროების მიხედვით)

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია
სპეციელობა: საქართველოს ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:
პროფ. სულხან კუპრაშვილი
ასოც. პროფ. ზაზა შაშიკაძე

ბათუმი - 2021

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქადირ გულდური

შინაარსი

შ ე ს ა ვ ა ლ ი **3**

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა 8

ა) საარქივო მასალები 8

ბ) ისტორიოგრაფია 9

თავი I. ქართულ-ოსმალური ურთიერთობის დასაწყისი 19

თავი II. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები XVI ს-ში 31

1. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობის დასაწყისი 31

2. იმერეთის სამეფო და მისი ურთიერთობა ოსმალეთის იმპერიასთან 1520-1555 წლებში 38

3. 1555 წლის ამასიის ზავი და შემდგომ განვითარებული მოვლენები 44

4. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები 1578-1590 წწ. ირან-ოსმალეთის ომის დროს 53

თავი III. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები XVII ს-ში 72

1. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები XVII ს-ის პირველ ნახევარში 72

1.1. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთბები 1603-1612 წწ. ირან-ოსმალეთის ომის დროს 72

1.2. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები 1615-1618 წწ. ირან-ოსმალეთის ომის დროს 82

1.3. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები 1623-1639 წწ. ირან-ოსმალეთის ომის დროს 88

2.იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები XVII ს-ის მეორე ნახევარში 97

თავი IV. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები XVIII ს-ში. 119

1.იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები XVIII ს-ის პირველ ნახევარში 120

2. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები XVIII ს-ის მეორე ნახევარში 150

დასკვნები 199

წყაროები და ლიტერატურა 212

დანართები 236

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საკვლევი თემის აქტუალობა: სადისერტაციო თემის კვლევის საგანია იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები XVI-XVIII საუკუნეებში. ნაშრომი, როგორც სათაურიდანაც ჩანს, ძირითადად ეყრდნობა ქართულ და თურქულ (ოსმალურ) წყაროებს. აგრეთვე გამეყენებულია ინგლისურ და სხვა უცხოენოვან ავტორთა ნაშრომები.

საუკუნეების განმავლობაში, დროდადრო საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ თურქულ სახელმწიფოებსა და საქართველოს. ამ კონტაქტებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა. საქართველო თავისი მდებარეობით, ჰგავს ხიდს, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს ანატოლიის გავლით, სახმელეთო, ხოლო შავი ზღვით საზღვაო გზით ევროპასთან აკავშირებს. საქართველოს ამ გეოგრაფიულმა მდებარეობამ მრავალი უპირატესობა შეუქმნა სავაჭრო და ეკონომიკური თვალსაზრისით. მოკლედ თუ შევაფასებთ ურთიერთობებს თურქულ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის, ვნახავთ, რომ ერთ-ერთი პირველი თურქული სახელმწიფო, რომელმაც ურთიერთობა დაამყარა საქართველოსთან, იყო სახართა სამეფო. 1064 წლიდან საქართველოში დაიწყო სელჩუკთა შემოსევები, რითაც გაგრძელდა ბრძოლები ქართველებსა და თურქებს შორის. XII ს-ის ბოლომდე სელჩუკები, ილდეღიზიდები, მენგუჯეკიდები, სალთუკიდები და შაჰარმენები განაგრძობდნენ ბრძოლას ქართველთა წინააღმდეგ. XIII ს-ის დასაწყისში ქართველებმა ბრძოლა დაიწყეს მცირე აზიის სელჩუკებთან. პერიოდი, რომელიც მეფე დავით IV-ის მოღვაწეობით დაიწყო საქართველოში და ოქროს ხანა ეწოდა, დასრულდა 1227 წელს ჯალალედინ ხორეზემშაჰის მიერ თბილისის დაპყრობითა და 1231 წელს მონღოლების საქართველოში შემოჭრით. XIV ს-ის ბოლოს დასუსტდა ილჰანთა სახელმწიფო, ამით ისარგებლეს ქართველებმა და ამოისუნთქეს, მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან თემურ-ლენგის ლაშქრობებით საქართველო კვლავ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. აღნიშნულმა შემოსევებმა საქართველო თითქმის გაანადგურა. ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდა. თემურ-ლენგის ლაშქრობები ბაგრატ V-ის (1360-1395 წწ.) პერიოდში დაიწყო. მან საქართველოში 1386-1403 წლებში, 8 ლაშქრობა

მოაწყო. 1403 წელს, თემურ-ლენგის ბრძანებით, შეწყდა თავდასხმები საქართველოზე და ზავი გაფორმდა.

ოსმალეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა კი დაიწყო სულთან მეჰმედ II-ის (1451-1481 წწ.) პერიოდში. 1453 წელს კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიამ, სულთან მეჰმედ II-ის პოლიტიკის გამო, შავი ზღვის „ოსმალეთის ტბად“ გადაქცევისა და ანატოლიაში პოლიტიკური ერთიანობის უზრუნველსაყოფად, თავისი ინტერესი აღმოსავლეთისკენ მიმართა და იქ დაპყრობები დაიწყო. ოსმალეთის იმპერიასა და საქართველოს შორის პირველი ურთიერთობები დაიწყო 1454 წელს, სოხუმზე თავდასხმის შემდეგ.

XVI ს-ის დასაწყისისთვის ერთიანი ქართული სამეფო ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ დაიყო. შემდგომში, საქართველომ, XIX ს-ში რუსეთის ოკუპაციამდე, ვერ შეძლო გაერთიანება.

XV ს-ის მეორე ნახევარში დაწყებული ურთიერთობა ოსმალეთის იმპერიასა და საქართველოს შორის XIX ს-ის ბოლომდე გაგრძელდა. აღნიშნული ურთიერთობები XVI ს-ში კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა. ცნობილია, რომ ოსმალეთის სულთან ბაიეზიდ II-ის (1481-1512 წწ.) დროს, მისმა ვაჟმა, იმჟამად ტრაპიზონის გამგებელმა, უფლისწულმა სელიმმა ილაშქრა საქართველოში. იმერეთის სამეფოს ურთიერთობა ოსმალეთთან დაიწყო 1508 წელს, სულთან სელიმის მიერ იმერეთის დედაქალაქ ქუთაისში ლაშქრობით. ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის მთლიანობაში სამ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა. იგი ზოგჯერ მეგობრული, დროდადრო კი მტრული იყო. XVI და XVII საუკუნეების იმერეთსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობამ გავლენა მოახდინა ირანის ინტერესებზეც. ოსმალეთმა და ირანმა თანმიმდევრულად განსაზღვრეს თავიანთი სუზერენიტეტი საქართველოზე 1555 წელს ამასიის, 1590 წელს სტამბოლის (ფერჰად ფაშას), 1612 წელს ნასუჰ ფაშას, 1618 სერავისა და 1639 წელს ზოჰაბის ხელშეკრულებების დროს. ამ ხელშეკრულებების ზოგადი პირობების გათვალისწინებით, საქართველოს დასავლეთ ნაწილში მდებარე იმერეთი, სამეგრელო, გურია და დასავლეთი სამცხე ოსმალეთის იმპერიის, ხოლო ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე ქართლი, კახეთი და აღმოსავლეთი სამცხე - ირანის ქვეშევდომობაში შედიოდა. ოსმალეთისა და მის

ქვეშევდომობაში მყოფი საქართველოს სამეფოების ურთიერთობები ირანსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი საქართველოს სამეფოებთან რეგულირდებოდა აღნიშნული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად. XVIII ს-ში რუსეთი გამოჩნდა, როგორც ახალი ძალა რეგიონში. ქართულმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოების პოლიტიკა. ქართული სამეფოები, ოსმალეთსა და ირანთან დაშორებით, ზოგჯერ მათდამი დაბალანსებულ, ზოგჯერ კი მტრულ პოლიტიკას ატარებდნენ. თუმცა, რუსეთისგან მოსალოდნელი დახმარება ვერ მიიღეს და შედეგიც ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც ელოდნენ.

კვლევის მიზნები და ამოცანები: კვლევის მიზანია თავიდან ბოლომდე შეფასდეს იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის ურთიერთობები, რომელიც სამ საუკუნეზე მეტხანს მოიცავს. ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის დაიწყო XVI ს-ის დასაწყისში და აქტიურად გაგრძელდა XVII და XVIII სს-ის განმავლობაშიც. აღნიშნულ პერიოდს ვაფასებთ ნაშრომის სხვადასხვა ნაწილში. არსებობს გარკვეული საკითხები, რომელზეც ვრცლად ვამახვილებთ ყურადღებას. მათ შორის პირველია, თუ როდის დაიწყო ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობა. ვაფასებთ, XVI ს-ში საქართველოზე ბატონობისთვის, ოსმალეთსა და ირანს შორის მიმდინარე ბრძოლებს და ამ ბრძოლების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ოსმალეთისა და იმერეთის ურთიერთობებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა XVII ს-ის მეორე ნახევრამდე საქართველოს ტერიტორიებზე ოსმალეთსა და ირანს შორის ბრძოლებს და იმერეთ-ოსმალეთის ურთიერთობებს. ჩანს, რომ, ამ პერიოდში იმერეთის სამეფოს ოსმალეთთან ზოგჯერ მეგობრული, მაგრამ უფრო ხშირად წინააღმდეგობრივი ურთიერთობა ჰქონდა. XVI ს-ის დასაწყისიდან XVII ს-ის შუა ხანებამდე მიმდინარე ოსმალეთ-ირანის ბრძოლებში, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით ჩანს, რომ ოსმალეთი ძირითადად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (იმერეთი, სამეგრელო, გურია, დასავლეთ სამცხე) დომინირებდა. გამომდინარე აქედან, XVII ს-ის მეორე ნახევარში ოსმალეთის იმპერია ბევრჯერ ერეოდა იმერეთის შიდა საქმეებში. ნაშრომში ამ საკითხსაც ცალკე ყურადღება ეთმობა. XVIII საუკუნე ოსმალეთისა და იმერეთის ურთიერთობაში ყველაზე დაძაბული პერიოდი იყო. ამ დროს, გარდა ოსმალეთისა და ირანისა, საქართველოსა და კავკასიაში რუსეთიც

გამოჩნდა. ადგილი ჰქონდა ამ სამ დიდ სახელმწიფოს შორის ბრძოლებს და ამ ფონზე ვაფასებთ იმერეთის სამეფოს რუსეთთან დაახლოების და მოკავშირეობის პროცესსა და მის შედეგებს. ამავე დროს, განვიხილავთ მის ურთიერთობებს ოსმალეთის იმპერიასთან, რომელიც თვისობრივად პერიოდულად იცვლებოდა.

მეცნიერული სიახლე: ქართულ საისტორიო კვლევებში ძირთადად ყურადღება გამახვილებულია ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობაზე ზოგადად საქართველოსთან და ნაკლებად მის ცალკეულ სამეფოებთან. არსებობს ოსმალეთის ისტორიის შესახებ მრავალი ნაშრომი, რომელიც თურქულ წყაროებს ეყრდნობა, თუმცა, ამ კვლევებიდან უკვე საკმაოდ დიდი დროა გასული.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი მთლიანად ეძღვნება იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობებს. მასში გამოყენებულია როგორც ქართული, ისე თურქული (ოსმალური) საისტორიო წყაროები. მათ შორის არის პირველადი წყაროები, როგორიცაა ქრონიკები და საარქივო დოკუმენტები, აგრეთვე ამ წყაროებძე დაყრდნობით შექმნილი სამეცნიერო ნაშრომები - მონოგრაფიები, სტატიები და თეზისები. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ სხვა ავტორთა მოსაზრებებს და ჩავრთეთ ჩვენს კვლევაში, მოხდა ჩვენს დასკვნებთან მათი შედარება - სინთეზი და შეპირისპირება. გარდა ამისა, შევაპირისპირეთ და გათვალისწინებულია ორმხრივ წყაროებში მოცემული სხვადასხვა ცნობები და გავაკეთეთ გარკვეული დასკვნები. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში, საქართველოსთან დაკავშირებული კვლევები არც თუ ისე მრავლადაა და შესაბამისად ინფორმაცია მწირია, არსებობს ღირებული კვლევები, რომლებმაც ერთგვარი გზამკვლევობა გაგვიწია.

ზოგადად, ჩვენი მიზანია ორი ქვეყნის საისტორიო ლიტერატურაში სიახლის შეტანა, მკვლევრებისთვის სხვადასხვა წყაროების გაცნობა, მათში გადმოცემული ინფორმაციის შესწავლა და დღემდე უცნობი საკითხების შესწავლა და რიგი საკითხების.

კვლევის მეთოდები: წინამდებარე ნაშრომში, რომელიც ძირითადად ეყრდნობა ქართულ და თურქულ (ოსმალურ) წყაროებს, გამოყენებულია აგრეთვე

ინგლისურენოვანი ლიტერატურაც. კვლევის დროს გამოყენებულია ქრონიკები, საარქივო დოკუმენტები, მონოგრაფიები, სტატიები, თეზისები.

უპირველესად დავადგინეთ საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროები. შემდეგ განვსაზღვრეთ და დავალაგეთ თუ რომელ პერიოდში უნდა გამოყენებულიყო ესა თუ ის წყაროები, რომელთა საანდოობა ხელახლა იქნა გამოკვლეული. გარდა ამისა, მოპოვებულ იქნა თემასთან დაკავშირებული ოსმალური საარქივო დოკუმენტები, განისაზღვრა მათი შინაარსი და დადგინდა თემაში მათი მნიშვნელობა და ადგილი. ამის შემდეგ დავიწყეთ ნაშრომის წერა. ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდი, რომელსაც ჩვენს მუშაობის დროს ვიყენებდით, შედარების მეთოდია. მისი გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი კი ქართულ და თურქულ წყაროებს შორის არსებული განსხვავებისა და ანალოგიების შესწავლით გამოყენებით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განხილვაა.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეა, როგორც ქართული, ისე თურქული წყაროების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა და მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ცნობის მკვლევართათვის გაცნობა. გარდა ამისა, დისერტაცია მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც სურს ჰქონდეს საფუძვლიანი ცოდნა იმერეთისა და ოსმალეთის ურთიერთობებზე, რუსეთის, ირანისა და ოსმალეთის პოლიტიკაზე საქართველოსა და კავკასიაში და იმერეთის ადგილზე ამ მოვლენებში. ჩვენი ნაშრომის კიდევ ერთი პრაქტიკული მნიშვნელობა ის არის, რომ იგი ერთგვარი სახელმძღვანელო იქნება მომავალში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებისა თუ სხვა სახის კვლევებისთვის.

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომი ეხება იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობებს XVI-XVIII სს-ში. მოცემულ თემაზე მუშაობის დროს ძირითადად ვისარგებლეთ ქართული და თურქული წყაროებითა და ლიტერატურით. მათ შორის ბევრი იყო ისეთიც, რომელიც უშუალოდ ეხებოდა ჩვენს საკვლევ საკითხს, ბევრ მათგანს კი პირდაპირი კავშირი არ ჰქონია განსახილველ თემასთან, თუმცა დიდად წაგვადგა კვლევის პროცესში.

ა) საარქივო მასალები

კვლევის დროს, უპირველეს ყოვლისა, ვისარგებლეთ საარქივო მასალებით, რომლებიც დაცულია სტამბოლში, თურქეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო ოსმალურ არქივში. ის არის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და დოკუმენტების თვალსაზრისით უმდიდრესი არქივი. აქ დაცულ მასალებს შორის კი ჩვენთვის ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა „მუჰიმე დავთრები[1]“ (Mühimme Defteri) და „სულთნის რესკრიპტები“ (Hatt-ı Hümayun).

როდესაც დივანში (უმაღლესი სათათბირო სულთნის კარზე) განიხილებოდა გარკვეული საკითხები, იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რომელსაც საბოლოოდ სულთანი ამტკიცებდა და იწერებოდა „მუჰიმე დავთრებში“. დადგენილებები ეხებოდა ოსმალეთის იმპერიის ცენტრისა და პროვინციების მმართველობის სტრუქტურებსა და მუშაობის ფორმებს, ურთიერთობებს სახელმწიფოსა და მოსახლეობას, სახელმწიფოსა და წვრილ ვაჭრებს შორის; მშენებლობას, დასახლებას, შიდა და ეკონომიკურ პოლიტიკას, ჯანყსა და მისი ჩახშობის მეთოდებს, სამხედრო ისტორიას, სტრატეგიას, საგარეო პოლიტიკასა და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას. ეს დავთრები იწერებოდა XVI ს-ის მეორე ნახევრიდან XIX ს-ის ბოლომდე **(Kütükoğlu, 2006-2:520-523)**. მაგალითად, ერთ-ერთ დადგენილებაში საუბარია იმის შესახებ, რომ იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის წარმოიშვა საკითხი, რომელიც ადგილზე ვერ მოგვარდა და განსახილველად (ხალხი) გაიგზავნა სტამბოლში. ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება და სათანადო

[1] განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტები.

ზომები. მსგავსი საკითხების კვლევა და შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის ურთიერთობების შესაფასებლად და მათ შორის დამოკიდებულების გასააზრებლად. თურქეთის რესპუბლიკის ოსმალურმა არქივმა ზოგიერთი „მუჰიმე დავთრის“ ტრანსლიტერაცია მოახდინა და გამარტივებული სახით გამოსცა. იგი ძალიან საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში მოცემულია დადგენილებები XVI-XVII სს-ის იმერეთისა და ოსმალეთის ურთიერთობების შესახებ[2]. გარდა ამისა, ჩვენ ვისარგებლეთ იმ „მუჰიმე დავთრებით“, რომლებიც სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციებზე მუშაობისას გამოიყენეს და გამოსცეს მკვლევრებმა.

კიდევ ერთი საარქივო მასალა, რომლითაც ვისარგებლეთ თემაზე მუშაობისას, არის “სულთნის რესკრიპტები“. ისინი რამდენიმე გამონაკლისის გარდა, სულთნის მიერ არის შედგენილი და შედგენის ადგილის მიხედვით სამი სახისაა. რესკრიპტები შეიცავს სულთნის მიერ მიღებულ განკარგულებებს მისთვის წარდგენილი არზების საპასუხოდ; ბრძანებებს ქვეყნის შიდა საქმეების შესახებ; გადაწყვეტილებებს, რომლებიც სხვა სახელმწიფოებს ეხება **(Kütükoğlu, 1997:485-488)**.

წინამდებარე დისერტაციაზე მუშაობისას, როდესაც ვეხებოდით იმერეთისა და ოსმალეთის ურთიერთობებს XVIII ს-ში, განსაკუთრებული დახმარება გაგვიწია რესკრიპტებმა და „მუჰიმე დავთრები“ და მიმართულება მისცა ჩვენს თემას ორი ქვეყნის ურთიერთობების შეფასების თვალსაზრისით. ამ დოკუმენტებს მოკლედ შევეხებით ქვემოთ, როდესაც შესაბამის საკითხზე გვექნება საუბარი. ოსმალურ საარქივო დოკუმენტებს შორის არის წერილები, რომლებიც სტამბოლშია გაგზავნილი იმერეთის მმართველების მიერ არზრუმისა და ჩილდირის მმართველების მეშვეობით.

ბ) ისტორიოგრაფია

გარდა ზემოთ ნახსენები საარქივო მასალებისა, ჩვენ ვისარგებლეთ სხვადასხვა ისტორიკოსის ნაშრომებით, რომლებიც მოცემულ ეპოქას ეხება. ერთ-ერთი მათგანია

[2]იხილეთ: 3 Numaralı Mühimme Defteri (H.966-968/ M.1558-1560) Ankara, 1993; 5 Numaralı Mühimme Defteri (H.973/ M.1565-1566) Ankara, 1994; 6 Numaralı Mühimme Defteri (H.972/ M. 1564-1565) Ankara, 1995; 7 Numaralı Mühimme Defteri (H.975-976/ M.1567-1569) C. I, II, III, IV, Ankara, 1998-1999.

სოლაქ-ზადეს „ისტორია“. წიგნი 1299-1657 წლების ოსმალეთის ისტორიას მოიცავს **(Solakzâde, 2016)**.

იგივე ეპოქაა განხილული მეჰმედ სადედდინ ხოჯა ეფენდის ოთხტომეულში - ,,გვირგვინოსანთა ისტორია“ (Tac'üt Tevarih). მასში ვეცნობით ოსმალეთის ისტორიას სახელმწიფოს დაარსებიდან სელიმ I-ის მმართველობის ჩათვლით. ჩვენ შეგვიძლია თვალი ვადევნოთ სელიმის დაპყრობით ომებს. იმდენად, რამდენადაც იმერეთ-ოსმალეთის ურთიერთობების დასაწყისი სელიმს უკავშირდება, ცხადია, რომ აღნიშნულმა წიგნმა დიდი სამსახური გაგვიწია **(Hoca Saadettin, 1999)**.

იბრაჰიმ ფეჩევის კალამს ეკუთვნის ნაშრომი, რომელიც „ფეჩევის ისტორიის“ სახელით არის ცნობილი. იგი მოიცავს ოსმალეთის იმპერიის ისტორიას 1520-1639 წლებში. ავტორი გვაწვდის ცნობებს ირან-ოსმალეთის ომის შესახებ, რომელიც სულეიმან I-ის დროს დაიწყო. საუბრობს ამასიის ზავზე, რომელსაც 1555 წელს მოეწერა ხელი და, რომლის თანახმადაც საქართველო გადაინაწილეს ოსმალეთმა და ირანმა. აღნიშნულ ნაშრომში ვხვდებით ცნობებს იმ მოვლენებზე, რომლებიც ამის შემდეგ განვითარდა. მათ შორის ძალიან საინტერესოა ის ნაწილი, სადაც მოთხრობილია ლალა მუსტაფა ფაშას მიერ საქართველოში ლაშქრობის შესახებ **(Peçevi, 1981; 1982; ფეჩევი, 1964)**.

ჰასან ბეი-ზადეს ისტორია (1520-1595) **(Bey-zâde, 2004)** და მუსტაფა სელანიკის ოსმალეთის ისტორია (1563-1600) **(Selânikî, 1999)** XVI ს-ის ოსმალეთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ქრონიკას წარმოადგენენ.

XVI ს-ის ქართულ-ოსმალურ ურთიერთობებს ეხება მუსტაფა ალის „ნუსრეთ-ნამე“. ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობები აღმოსავლეთში. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო იყო ის თავები, რომლებშიც ავტორი გვაწვდის ცნობებს ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობებზე საქართველოში და იმაზე, თუ რა გადახდა მას თავს ამ დროს **(Gelibolulu Mustafa, 2014)**.

XVIII ს-ის ქრონიკებიდან ვისარგებლეთ შემდანიზადე სულეიმან ეფენდის მიერ დაწერილი „Mürit-i Tevarih-ით“ „მოწაფის ისტორია„ (1730-1777 წწ.) და აჰმედ ვასიფ ეფენდის მიერ დაწერილი „Mehâsinü'l-Âsâr ve Hakaikü'l-Ahbâr“ „ლამაზი

თხზულებები და ჭეშმარითი ამბები„ (**Fındıklılı Süleyman, 1976; 1978; 1980; 1981; Vasıf, 1994**).

თემაზე მუშაობისას საარქივო მასალებისა და ქრონიკების გარდა, გავეცანით იმ გამოკვლევებს, რომლებიც აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობითაა შექმნილი. ამ ნაშრომებში დეტალურადაა გადმოცემული როგორც ოსმალეთის ისტორია, ასევე ოსმალურ-კავკასიური ურთიერთობები. აღნიშნული შრომები ძალზე საინტერესო აღმოჩნდა ჩვენი კვლევისათვის.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელშიც გადმოცემულია ოსმალეთის ისტორია, არის ისმაილ ჰაქი უზუნჩარშილის მიერ მომზადებული „ოსმალეთის ისტორიის“ ექვსტომეული, სადაც დეტალურად არის აღწერილი ოსმალეთის იმპერიის ისტორია ოსმალეთის სახელმწიფოს შექმნიდან XVIII ს-ის ბოლომდე (**Uzunçarşılı, 1975**). ამ ნაშრომის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს ენვერ ზია ქარალის ,,ოსმალეთის ისტორიის“ ხუთტომეული. ქარალის ეს ნაშრომი მოიცავს ოსმალეთის ისტორიას 1789 წლიდან 1918 წლამდე (**Karal, 2000**). ამ ორი დიდი თურქი ისტორიკოსის მიერ მომზადებული ნაშრომები ერთმანეთს ავსებს. მათზე დაყრდნობით მომავალში ბევრი ნაშრომი დაიწერა. ამ სფეროში შექმნილი კიდევ ერთი ვრცელი ნაშრომი ეკუთვნის ისმაილ ჰამი დანიშმენდს. ნაშრომი 6 ტომისგან შედგება. მასში ქრონოლოგიურადაა გადმოცემული ოსმალეთის ისტორია მცირე განმარტებებით (**Danişmend, 1971**). თურქი ისტორიკოსების გარდა, დიდ ინტერესს იწვევს უცხოელი ისტორიკოსების მიერ შესრულებული ნაშრომები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია გერმანელი ისტორიკოსის იოჰან ვილჰელმ ზინკეიშენის შვიდტომეული, რომელიც მოიცავს ოსმალეთის ისტორიას 1299 წლიდან 1812 წლამდე. ასევე რუმინელი ისტორიკოსის, ნიკოლოზ იოგრას „ოსმალეთის იმპერიის ისტორია“, რომელიც ხუთი ტომისგან შედგება და მოიცავს - 1299 წლიდან 1912 წლამდე პერიოდს (**Zinkeisen, 2011; Jorga 2009**).

ზემოთ აღნიშნულის გარდა, სადისერტაციო თემაზე მუშაობისას გამოვიყენეთ ნაშრომები, რომელიც ეხება ოსმალეთისა და კავკასიის ურთიერთობებს, პოლიტიკას, რომელსაც ოსმალეთი ატარებდა კავკასიის მიმართ. მათ შორისაა ფაჰრეთთინ ქირზიოღლუს „ოსმალეთის მიერ კავკასიის ხალხთა დაპყრობა (1451-1590)“ (**Kirzioğlu,**

1998). ამ წიგნში დეტალურად არის მოთხრობილი 1451 წელს - სულთან მეჰმედ II-ის ეპოქაში - ოსმალების პირველი ლაშქრობა სოხუმში და ოსმალების დამპყრობლური ბრძოლები კავკასიის რეგიონში 1590 წლამდე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფაჰრეთთინ კირზიოღლუს მოსაზრებებს და დასკვნებს უმეტეს შემთხვევაში არ ვიზიარებთ, თუმცა აშკარაა, რომ მის ნაშრომებში ვხვდებით მდიდარ და საინტერესო წყაროებსა და საარქივო დოკუმენტებს, რომელთა ნაშრომში გამოყენებაც ნამდვილად დადებითად წაგვადგა.

ოსმალეთისა და კავკასიის ურთიერთობებს ეხება ჯემალ გოქჩესა და სადიქ მიფით ბილგეს ნაშრომები. ჯემალ გოქჩეს „კავკასია და ოსმალეთის იმპერიის მიერ კავკასიის მიმართ გატარებული პოლიტიკა“ მოიცავს 1774-1829 წლებს. ნაშრომში მოკლედ არის გადმოცემული კავკასიის გეოგრაფიული და ეთნიკური მდგომარეობა 1774 წლამდე და შემდეგ ვრცლად მოგვითხრობს ოსმალეთის კავკასიურ პოლიტიკაზე 1829 წლამდე. ავტორი გვაწვდის ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში იყო კავკასია რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს **(Gökçe, 1979)**.

სადიქ მუფით ბილგეს ნაშრომი „ოსმალთა სახელმწიფო და კავკასია“ შედარებით უფრო ახალი გამოკვლევაა და შეეხება 1454-1829 წლების ოსმალეთის პოლიტიკას კავკასიაში და გვაწვდის ცნობებს სამხედრო მოქმედებების შესახებ. გარდა ამისა, ამ წიგნში ადგილი ეთმობა ოსმალეთის იმპერიის მეტოქეებს კავკასიაში - რუსეთსა და ირანს. ოსმალეთის ბრძოლას მათთან. ავტორი აგრეთვე საუბრობს კავკასიის გეოგრაფიის, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისა და წყარობის შესახებ. კავკასიაში ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების და ციხესიმაგრეების შესახებ **(Bilge, 2015)**.

ზემოთ აღნიშნული წყაროები უშუალოდ ეხება ოსმალეთ-კავკასიის ურთიერთობებს და ზოგადად კავკასიის ისტორიას. ამიტომ, ნაშრომზე მუშაობის დროს მათ დიდი დახმარება გაგვიწიეს. გარდა ამისა, ვისარგებლეთ კავკასიაში დომინირებისთვის ერთმანეთთან მებრძოლი ორი დიდი სახელმწიფოს-რუსეთისა და ირანის შესახებ შრომებითაც. მათ შორის ერთ-ერთი პირველია აქდეს ნიმეთ ქურათის მონოგრაფია, რომელშიც მოცემულია რუსეთის ისტორია დასაწყისიდან 1917 წლამდე **(Kurat, 1987)**. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია რემზი ქილიჩისა და ბექირ

ქუთუქოღლუს ოსმალეთ-ირანის ურთიერთობების ამსახველი ნაშრომები. რემზი ქილიჩის მონოგრაფია მოგვითხრობს ოსმალეთ-ირანის ურთიერთობას სულეიმან I-ის დროს. სანამ ძირითად საკითხს შეეხება, ავტორი მოგვითხრობს სეფიანებთა გამოჩენაზე, შაჰ ისმაილის პერიოდზე და ამ დროს ანატოლიაში არსებულ მდგომარეობაზე. აღწერილია ჩალდირანის ბრძოლამდე და შემდეგი პერიოდის მოვლენები **(Kılıç, 2006)**. ბექირ ქუთუქოღლუს ნაშრომში კი 1578-1612 წლების ოსმალეთ-ირანის ურთიერთობებია აღწერილი **(Kütükoğlu, 1993)**. ეს ორი ნაშრომი ქრონოლოგიურად ერთმანეთს ავსებს და კარგად ასახავს თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთ-ირანის ურთიერთობას.

ზემოთ აღწერილი მასალების გარდა ვისარგებლეთ სამეცნიერო სტატიებით და თეზისებითაც. სტატიების უმეტესობა ისლამის, თურქეთისა და ოსმალეთის ენციკლოპედიებია. ამათ გარდა, საკმაოდ დიდი დახმარება გაგვიწია კრებულებში გამოქვეყნებულმა სტატიებმაც. ისლამის რელიგიურ ენციკლოპედიაში არსებულ საკითხებს შორის დავუთ დურსუნის მიერ დაწერილ საქართველოს თავში საქართველოს შესახებ საინტერესო ინფორმაციაა მოცემული **(Dursun, 1996:310-311; Bala, 1964:428-432)**, კავკასიისთვის განკუთვნილ თავში კი ზოგადად კავკასიის გეოგრაფია და ისტორია **(Dursun, 2001:157-158)**. ჰუსამეთინ მ. კარამანლი კი საქართველოს ისტორიას ორ თავად ყოფს. აქედან პირველი საქართველოს ისტორიის დასაწყისიდან ოსმალეთის მმართველობამდე **(Karamanlı, 1996-1:311-313)**, მეორე - ოსმალეთის მმართველობის პერიოდია **(Karamanlı, 1996-2:314-316)**.

ნები გუმუშის სტატიაში - „ოსმალების მიერ საქართველოს დაპყრობა და ისლამის გავრცელება" ოსმალეთ-საქართველოს პირველი ურთიერთობები, ქართული ტერიტორიების, ოსმალეთის იმპერიის ბატონობის ქვეშ მოქცევისა და მოსახლეობის მცხოვრებთა ისლამიზაციის შესახებ არის მსჯელობა **(Gümüş, 1999:326-340)**.

რემზი ქილიჩის ნაშრომში "ტრაპიზონის გამგებელი უფლისწული სელიმი და მისი მოღვაწეობა", სელიმის სეფიანთა წინააღმდეგ პოლიტიკის შესახებაა საუბარი. გარდა ამისა, ქართველების საფრთხეზე და მათ წინააღმდეგ გამართული ბრძოლები, განსაკუთრებით მომავალი სულთნის იმერეთში ლაშქრობაა აღწერილი. ეს ფაქტი

საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია (Kılıç, 2001:99-115).

მუჰითინ გულის სტატიაში „ქართულ-თურქული ურთიერთობები" ქრონოლოგიურად დალაგებული ცალკეული ქვესათაურების - "სელჩუკებისა და ქართველების", „მონღოლებისა და ქართველების" და „ოსმალეთისა და ქართველების ურთიერთობები" - სახით არის მოცემული. გარდა ამისა, 1801 წელს რუსეთის საქართველოში შემოჭრის პროცესია განხილული. სტატიაში ხალხის რუსეთის წინააღმდეგ დამოკიდებულება და ბრძოლები, 1877-1878 წლებში მომხდარ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ოსმალეთის იმპერიის დამარცხება, ამ დროიდან მოყოლებული 1921 წლამდე ანატოლიაში დაწყებული ქართველების გადასახლება და ამ პერიოდში ახლად ჩამოყალიბებული თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებია შეფასებული (Gül, 2009:75-108).

შინასი ალთუნდაღის სტატიაში „ოსმალთა მმართველობა და ქართველები" აღწერილია ოსმალთა დამოკიდებულება ახლად დაპყრობილი ტერიტორიების მიმართ. ავტორის აზრით, ოსმალეთის სახელმწიფოს საქართველოს მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება ჰქონდა. იგი ამასთან დაკავშირებით იმოწმებს ,,გურჯისტანის ვილაეთის კანუნ-ნამეს" სადაც წერია, რომ „გურჯისტანის ვილაეთი ქვიანია, ხალხის მიწები მცირეა, ამიტომ ქართველი ხალხიდან გადასახადი არ იქნება გადასახდელი" (Altundağ, 1948:6). აღნიშნული მოსაზრება არ გამოხატავს სრულ რეოლობას, რადგან „გურჯისტანის კანუნ-ნამეში" წერია არა გადასახადების გაუქმებაზე, არამედ მათ შემცირებაზე. თუმცა შინასი ალთუნდაღის ნაშრომები ხშირ შემთხვევაში, მაინც დაგვეხმარა ნაშრომზე მუშაობის დროს.

ოსმალეთის არქივებში ინახება, საქართველოში რუსეთის შეჭრის შემდეგ ქართველი მმართველების მიერ ოსმალეთის იმპერიაში გაგზავნილი საჩივრები და თხოვნის წერილები. ამ წერილებში ქართველები, რუსული მმართველობიდან უკმაყოფილებას გამოხატავენ და სულთნისგან ასეთი ცუდი მდგომარეობის გამოსწორებაში სასწრაფო დახმარებას ითხოვენ. 1814-1820 წლებში გაგზავნილი წერილები მსგავსი შინაარსისაა. იმერეთის მეფე სოლომონს და მმართველებსაც ოსმალეთის იმპერიაში რუსების შემოჭრასთან დაკავშირებით წერილი გაუგზავნიათ

და დახმარება უთხოვიათ. ოსმალეთის იმპერიას რუსეთის წინაშე ქუჩუქ-კაინარჯისა და იასის საზავო ხელშეკრულებაში ქართველი ხალხი დაუცავს. მაგრამ ამ დროს ბუქარესტის ხელშეკრულებით (1812) დასრულებულ ბრძოლიდან გამოსული ოსმალეთის იმპერია, საფრანგეთის რევოლუციის იდეებითა და რუსული მხარდაჭერის მეშვეობით ამბოხებულ ბალკანეთს უმკლავდებოდა. 1826 წელს იენიჩართა კორპუსი გაუქმდა. სამხედრო თვალსაზრისით დიდი ზარალი განიცადა აგრეთვე 1827 წელს ნავარინოში საზღვაო ფლოტის დაწვით. 1828-1829 წლებში ოსმალეთის იმპერიას რუსებთან ომი ქონდა გამართული. ამის შემდეგ ეგვიპტის მმართველ ამბოხებულ გამგებელ მუჰამედ ალი ფაშასთან ბრძოლა გაუმართავს. მსგავსი მიზეზების გამო ოსმალეთმა რუსეთს საქართველოს ოკუპაციაში წინააღმდეგობა ვერ გაუწია **(Altundağ, 1948:317-325)**.

ოზგურ თურქერისა და აბდოლვაჰიდ სოფიზაჰედის ნაშრომში "საქართველოს დაქვემდებარება რუსეთისადმი და შედეგები'', პირველ რიგში, რუსული პატრონაჟის დაწყებამდე საქართველოს ზოგადი მდგომარეობაა აღწერილი. შემდეგ კი საქართველოს რუსეთისადმი დაქვემდებარება და ირანის ოსმალეთისადმი დამოკიდებულება არის განხილული **(Türker, Soofizahed, 2015:149-165)**.

ნები გუმუშის სტატიის - „ბოლო ქართველი მეფის სოლომონ მე-2 ის ბრძოლა რუსების წინააღმედ და ურთიერთობა ოსმალეთის იმპერიასთან" დასაწყისში მოკლედ განხილულია სოლომონამდე ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობა **(Gümüş, 2006:105-118)**. აღნიშნული სტატია ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აქ საუკუნეების მანძილზე ოსმალეთის გავლენის ქვეშ მყოფი იმერეთის სამეფოს რუსების მიერ ოკუპაცია და შემდეგი დროის მოვლენები, ოსმალეთსა და იმერეთის იმჟამინდელი ურთიერთობებია განხილული.

ზუბეიდე გუნეშ იაღჯის სტატიაში "ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ შავიზღვისპირული პოლიტიკა მე-18 საუკუნეში" ოსმალეთსა და რუსეთს შორის XVIII ს-მდე არსებული ურთიერთობები ზოგადადაა შეფასებული. შემდეგ კი XVIII ს-ში, რუსების გაძლიერებასთან ერთად, ამ ურთიერთობების გაღრმავებაა განხილული **(Güneş Yağcı, 2002:554-563; ob; İnalcık, 1999:25-26; Teyyuboğlu, 1999:561-572; Şahin, 2002:531-544; Oreshkova, 1999:556-560; Kazıyev, 1999:550-555)**.

მუსტაფა ბუდაქის სტატიაში - „კავკასია და ოსმალთა სახელმწიფო (XVI-XX სს.)'' კავკასიის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ მსჯელობის შემდეგ, XVI ს-ში ოსმალეთ-სეფიანთა-რუსეთის ურთიერთობებში, კავკასიისა და ვოლგა-დონის არხის პროექტზეა საუბარი. შემდეგ კი, სხვადასხვა თავების მიხედვით განხილულია - „კავკასია პეტრე I-ის დროს'', „ნადირ შაჰის კავკასიური ლაშქრობა'', „1768-1774 წწ. ოსმალეთ-რუსეთის ომი და კავკასია'', „შეიხ მენსურის მოღვაწეობა დაღესტანსა და ჩეჩნეთში'', „ კავკასია იასის ზავის შემდეგ, და აღა მაჰმად ხანის ლაშქრობა კავკასიში'', „რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა და ოსმალეთის იმპერია XIX საუკუნის პირველ ნახევარში'', „კავკასია 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში და ადრიანოპოლის ზავი'', „კავკასია და შამილი ადრიანოპოლის ზავის შემდეგ'', „კავკასია ყირიმის ომში'', კავკასია 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში'', „კავკასიის ფრონტი პირველი მსოფლიო ომში'', „კავკასია და ოსმალეთი ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ''. როგორც ვხედავთ, ნაშრომში ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობა კავკასიასთან დასაწყისიდან ბოლომდეა აღწერილი. ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა და ბრძოლა სათითაოდაა განხილული. განსახილველ თემასთან დაკავშირებული საკითხები კი, 1722 წელს რუსეთის კავკასიაში შემოჭრის შედეგად ოსმალეთის იმპერიის საქართველოში განხორციელებული სამხედრო ქმედებები, ამის შედეგად რუსეთთან ომის ზღვრამდე მისვლა და საფრანგეთის შუამავლობით 1724 წლის საზავო ხელშეკრულებებია. ასევე მნიშვნელოვანია 1768-1774 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ბრძოლის დროს, რუსეთის მიერ გერმანული წარმოშობის გენერალ ტოტლებენის ქართლში, სამეგრელოსა და იმერეთში გამოგზავნის ფაქტი. სტატია, XVIII ს-ში ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობების საფუძველზე საქართველოს ტერიტორიისათვის ბრძოლის განსახილველად ძალზედ მნიშვნელოვანია **(Budak, 1999:594-612; ob; Çakmak, 1999:613-621)**.

კავკასიაში ოსმალების მეორე მეტოქე სეფიანთა (ირანი) იყო. XVI და XVII სს-ში, უფრო მეტად XVIII ს-ში ოსმალეთსა და ირანს შორის კავკასიისთვის, განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორიებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა. სტატიები, რომლებსაც ქვემოთ გავეცნობით, ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დასაწყისისა და ბრძოლების შესახებაა. აქედან პირველი, ფერიდუნ

ემეჯენის ნაშრომია. ემეჯენი, საკუთარ სტატიაში „ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთის საკითხის წარმოშობა, პირველი ურთიერთობები და შიდა გავლენები'', აღმოსავლეთში ჩამოყალიბებულ და გაძლიერებულ სეფიანებს განიხილავს. ისენი ანატოლიაში, განსაკუთრებით ბაიეზიდ II-ის (1481-1512) დროს წარმოადგენდნენ საფრთხეს. ამ პერიოდში ოსმალეთი სეფიანებთან მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებდა, მაგრამ 1511 წელს ანატოლიაში, სეფიანების მხრიდან შაჰყულუს აჯანყება დიდი გაურკვევლობის მიზეზი გახდა. ამ თარიღის შემდეგ, ოსმალეთისათვის სეფიანები მთავარი აღმოსავლური პრობლემაა **(Emecen, 2003-1:33-48)**.

რემზი ქილიჩის სტატიაში, სადაც XVI-XVII სს-ის ოსმალეთის იმპერიის ირანთან პოლიტიკაა განხილული, ეჯემენის სტატიის მსგავსად, სეფიანთა დინასტიის ჩამოყალიბების აღწერის შემდეგ, როგორც (იავუზ) სელიმ I-ის (1512-1520) პერიოდის, ასევე სულთან სულეიმანის I-ის (1520-1566) დროის ირან-ოსმალეთის ურთიერთობებია შეფასებული. სელიმის დროს მომხდარი ჩალდირანის ბრძოლა, სულთან სულეიმანის დროის ერაყის, თავრიზისა და ნახიჩევანის ბრძოლები, ამ ლაშქრობის შემდეგ დადებული ამასიის ხელშეკრულება (1555) ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ამ ხელშეკრულების მიხედვით, იმერეთის ჩათვლით დასავლეთ საქართველო ოსმალეთს, აღმოსავლეთ საქართველო კი ირანს ერგო. სტატიაში აგრეთვე, 1578-1590 წლებში ირან-ოსმალეთის ომი და მიმდინარე მოვლენებია განხილული. 1590 წელს სტამბოლის (ფერჰად ფაშას) ხელშეკრულებით დამთავრებულ ამ ომში, საყურადღებოა ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა საქართველოში. 1623-1639 წლები ოსმალეთსა და ირანს შორის კვლავ საომარი მოქმედებები იმდინარეობდა. მურად IV-ის (1623-1640) ეპოქაში მომხდარ ამ ბრძოლებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერევნისა (1635) და ბაღდათის (1638) ბრძოლები. 1639 წელს ხელი მოეწერა ზოჰაბის ხელშეკრულებას და ამჟამინდელი ირანის საზღვარი დიდწილად ამ ზავის მიხედვით დადგინდა. სამეგრელო, გურია და იმერეთი ოსმალეთს, ხოლო ქართლი, კახეთი და დაღესტანი ირანს დარჩა **(Kılıç, 2008:75-116; ob; Dedeyev, 2009:126-135; Ercan, 2002:421-445; Ekinci, 2002:446-458; Göğebakan, 2002:459-469; Hasani, 2003:15-31)**.

ისმაილ ჰაქი უზუნჩარშილის სტატიაში „ირან-ოსმალეთის ურთიერთობები XVIII ს-ში'', 1720 წლის დასაწყისში ირანის შიდა არეულობაზეა საუბარი. ასევე აღწერილია ამ არეულობიდან გამომდინარე ოსმალეთის მცდელობა, ერევნის, თავრიზის, განჯისა და თბილისის დასაბრუნებლად. 1722 წელს თბილისი კიდევაც აიღეს (Uzunçarşılı, 2002:512-524).

თავი I. ქართულ-ოსმალური ურთიერთობის დასაწყისი

XV ს-ის დასაწყისში საქართველო, თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად, ერთიანად იყო გაპარტახებული (**წვერავა, 2013:123**). ქვეყანა, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, დაბალ საფეხურზე იმყოფებოდა. 1403 წელს თემურ-ლენგის ბრძანებით, საქართველოზე თავდასხმები შეწყდა და ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებას. 1405 წელს თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ, საქართველო გარკვეულწილად გათავისუფლდა, მაგრამ ქვეყნის აღდგენა და ყოფილი ძალაუფლების კვლავ დაბრუნება არცთუ ისე ადვილი იყო, რადგან XV-XVI სს-ში, საქართველო კვლავ დიდი სახელმწიფოების სამიზნედ იქცა (**Berdzenişvili, Canaşia , 2000:201-203; Karamanlı, 1996-1:313; Bala, 1964:841**).

თემურ ლენგის გარდაცვალების შემდეგ, 1407 წელს საქართველოს მეფე, გიორგი VII გარდაიცვალა. მისი ადგილი უმცროსმა ძმამ, კონსტანტინე I-მა დაიკავა, თუმცა მისი სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა და 1411 წელს გარდაიცვალა. კონტანტინეს გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ტახტზე, 1412 წელს მისი შვილი ალექსანდრე I ავიდა (**ლომინაძე, 1979-1:720**). სწორედ ალექსანდრე I იყო ერთიანი საქართველოს მეფე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მისი მეფობის დროს საქართველოს ტერიტორია, ძველ დროსთან შედარებით, მცირე ფართობს მოიცავდა. ამასთანავე ქვეყნის ეკონომიკაც მძიმე მდგომარეობაში იყო, ამიტომ მეფე ალექსანდრემ 1431 წელს ლორეს პროვინცია მტრის თავდასხმებისგან გაათავისუფლა (**ლომინაძე, 1979-1:724**). ამ გამარჯვებამ ქვეყნის ეკონომიკა მოაძლიერა, რადგან ლორე მეცხოველეობის მხრივ მნიშვნელოვანი იყო. მეფე ალექსანდრემ ამასთანავე ყარაბაღი და მისი მიმდებარე ტერიტორიებიც საქართველოს შემოუერთა. ამგვარად, საქართველოს მოსახლეობას დაახლოებით 300.000 სული დაემატა. დაპყრობილი ტერიტორიების გათავისუფლების შემდეგ, ქვეყანაში საქვეყნო სამუშაოებს მნიშვნელობა მიეცა. დაიწყო თემურ ლენგის დაპყრობების შემდეგ განადგურებული ქალაქების, სოფლების, ციხე-სიმაგრეებისა და ეკლესია-მონასტრების აღდგენა. სარემონტო ხარჯების დაფარვის მიზნით, თითოეულ ოჯახზე წლიური გადასახადი 40 ქისა ვერცხლის ფული დაწესდა. ეს გადასახადი 1425 წლიდან 1440 წლამდე მოქმედებდა (**Berdzenişvili, Canaşia, 2000:204; Karamanlı, 1996-1:313**).

მეფე ალექსანდრე სოციალურ-ეკონომიკურად არეულ სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა და გატარებული რეფორმებით მის გამოსწორებას შეეცადა, მაგრამ სრულ წარმატებას ვერ მიაღწია. ყოველივე ამან, მეფის ცენტრალური ხელისუფლების შესუსტება და ფეოდალების ძალაუფლების გაძლიერება გამოიწვია. ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების სხვა მიზეზი, სამეფო ოჯახის მმართველობაში ჩარევა იყო. თანდათან ძლიერდებოდა ფეოდალებს შორის უთანხმოება.

ასეთი არეული გარემოს შედეგად, მეფე ალექსანდრე I, 1442 წელს ტახტიდან გადადგა და თავისი ადგილი შვილს, ვახტანგ III-ს გადასცა (1442-1446). ვახტანგ III მეფობიდან ოთხი წლის შემდეგ გარდაიცვალა. მის ადგილას ტახტზე, 1446 წელს გიორგი VIII-დ წოდებული, მისი ძმა ალექსანდრეს ძე ავიდა **(ლომინაძე, 1979-2:733)**.

მეფე გიორგიმ ფეოდალების წინააღმდეგ გაიბრძოლა. ამ დროს სახელმწიფო-ფეოდალებიც მეფეს წინააღმდეგ გამოვიდნენ. მათ შორის ყველაზე საშიში სამცხის ათაბაგი იყო. ყვარყვარე ათაბაგი მეფისგან დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. სამცხე-საათაბაგოს გარდა მეფის ავტორიტეტის წინააღმდეგ სხვა სამთავროებიც გამოდიოდა. ესენი აფხაზეთსა და სამეგრელოში არსებული საბედიანო და გურიის სამთავრო იყო. ამ სამთავროებმა მეფის წინააღმდეგ ერთი გამარჯვებაც კი ვერ მოიპოვეს, თუმცა ქვეყანაში არსებული ასეთი მდგომარეობა ქართული სამეფოს დაშლის დასაწყისის პირველი მაჩვენებელი გახლდათ **(Berdzenişvili, Canaşia, 2000:203-205)**.

ზემოთ აღნიშნულ პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს პირველი ურთიერთობა ოსმალეთის იმპერიასთან, სულთან მეჰმედ II-ის (1451-1481) პერიოდში დაიწყო. ოსმალეთსა და საქართველოს ურთიერთობის დასაწყისის თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ამ თარიღთან დაკავშირებით ოსმალურ წყაროებში ზუსტი ცნობა არ მოიპოვება. ქირზიოღლუს თქმით, მეჰმედ II-ის სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ შავიზღვისპირა ქვეყნები, მათ შორის ვლახეთი, აფხაზეთი შიშს მოუცვია **(Kirzioğlu, 1998:1)**. ბიზანტიელი ისტორიკოსი დუკას გადმოცემით კი სტამბოლის დაპყრობის შემდეგ, 1453 წლის 18 ივნისს, ადრიანოპოლში დაბრუნებულ სულთანთან მისალოცად ქრისტიანულ სახელმწიფოების ელჩობა ჩასულა. სულთანს ამ ელჩებისთვის ყოველ წელს სტამბოლში ჩასვლა, თავიანთი მორჩილების

გამოცხადება და ყოველწლიური ხარკის გადახდა დაუკისრებია. დუკასის თქმით, აღნიშნულ ელჩებს შორის ტრაპიზონისა და შავიზღვისპირეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებიც შედიოდა (Kirzioğlu, 1998:2; Gümüş, 2000:38; სანაძე, 2018:637).

რანსიმენი დუკაზე დაყრდნობით გადმოგვცემს, რომ სამეგრელოსა და იმერეთის ელჩობაც ყოფილა მეჰმედ II-სთან და გარკვეული ხარკის გადახდა უკისრიათ (Рансимен, 1983:156). დუკას ეს მონაკვეთი თარგმნილი აქვს თ. ბერაძესაც: „ტრაპიზონელები და ყველა ის, ვინც ცხოვრობს პონტოს ზღვასთან“ და აქვე მკვლევარი შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს: „პონტოს ზღვასთან მცხოვრები“ გულისხმობს საქართველოს სათავადოებსაც, მაგრამ კატეგორიულად რომ დავეყრდნოთ ამ მოსაზრებას, გვიძნელდება (Берадзе, 1989:56). ასეთივე თარგმანი აქვს ა. ს. სტეპანოვასაც: „ტრაპიზონისა და პონტოს ზღვის მცხოვრებლებს ებრძანდა, რომ ყოველწლიურად გამოცხადებულიყვნენ მასთან, მოეხადათ ქვეშევრდომობა და გადაეხადათ ხარკი (Дука, 1953:408). ასე რომ, იყო თუ არა საქართველოს წარმომადგენლობა ოსმალეთში, ის კიდევ საკითხავია, ხოლო ოსმალეთის სიუზერენიტეტის ცნობა და მისი რეალობაში გატარება საერთოდ გამორიცხულია.

ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის დასაწყისზე განსხვავებულ წნობას გვაძლევს 1821 წლით დათარიღებული საარქივო დოკუმენტი. რუსეთის მიერ იმერეთის დაპყრობის შემდეგ, ახალციხის გამგებელს, ალი ფაშას აღნიშნულთან დაკავშირებით სტანბოლში წერილი გაუგზავნია. წერილის მიხედვით, ოსმალეთის სულთანს კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ იმერეთში წერილი გამოუგზავნია, და იმერეთის სამეფო დაუქვემდებარებია. იმერლები რუსეთის ბატონობის წინააღმდეგნი არიან და სულთანს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას სთხოვენ (Altundağ, 1948:323). თუმცა, თურქოლოგი მ. მახარაძე საკუთარ სტატიაში, სადაც საუბარია სოლომონ II-ს რამოდენიმე უცნობ წერილზე ოსმალთა სულთნისადმი, თვლის, რომ ზემოთ მოცემული წერილი არგუმენტად არ გამოდგება (მახარაძე, 2009: 223-228).

ოსმალეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დასაწყისად, მკვლევართა შორის დამკვიდრებული აზრით, სოხუმზე თავდასხმაა. სტამბოლის დაპყრობიდან ერთი წლის შემდეგ, მეჰმედ II-ს შავ ზღვაში 56 გემით საზღვაო ფლოტი გაუგზავნია,

რომლებიც ჯერ აკერმანში ჩასულა, მაგრამ აქ სერიოზული დაცვის წინაშე აღმოჩენისთანავე, სოხუმისკენ გადაუნაცვლებიათ და 1454 წლის ივნისში კიდევაც აუღიათ. ამრიგად, საქართველოს დასავლეთ სანაპირო დაიპყრიათ, თუმცა ხარკის სანაცვლოდ, ამ რეგიონებში არცერთი ადმინისტრაციული ერთეული არ ჩამოყალიბებულა (**Kirzioğlu, 1998:6-7; Karamanlı, 1996-2:314; Gümüş, 2000:40; Bilge, 2015:30; სვანიძე, 1990: 111; სანაძე, 2018:637**).

ბიზანტიის იმპერიის დაცემიდან ერთი წლის შემდეგ - 1454 წელს - ოსმალებმა შავ ზღვაზე რეიდი განახორციელეს, რომლის დროსაც ისინი ქართული ქალაქს, სოხუმს დაესხნენ თავს, გაძარცვეს და გზა ყირიმისკენ გააგრძელეს. ეს ფაქტი გადმოცემული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს: „შემდგომად წელსა ქ'სა ჩ'უნა ქართულისა რ'ლთ გამოვიდნენ ორმოცდა ათნი კატარღანი სავსე სპითა სულტან მურადისა, მაჰმადის ძისა, და აღაოპრნეს და მოსწყვდნეს ცხომი და აფხაზეთი და ზღვის პირნი. უკან იქცნენ და წარვიდნენ (**ბატონიშვილი, 1973:284**). ვახუშტი ამ ფაქტთან დაკავშირებით ზოგიერთი უზუსტობას უშვებს. ეს მოხდა არა 1451 წელს, არამედ, როგორც აღვნიშნეთ, 1454 წელს და არა მურად II-ის, არამედ მეჰმედ II-ის დროს.

ფ. ქირზიოღლუს მოსაზრებას, რომ ამ პერიოდიდან დასავლეთი საქართველო ოსმალეთის გამგებლობის ქვეშ იმყოფებოდა, უარყოფს ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემაც, რომელსაც თურქი მკვლევარი ხშირად ეყრდნობა. იგი რატომღაც თვალს ხუჭავს ვახუშტი ბატონიშვილის იმავე ცნობის გაგრძელებაზე, სადაც ვკითხულობთ: „ამისა მცნობელი მეფე გიორგი წავიდა მოსწრაფედ, არამედ ვერა რა საღა ეწია. მკვიდრნივე დასხა და უქმნია სიმაგრენი და განაგნა მუნებურნი და მოვიდა გეგუთს“ (**ბატონიშვილი, 1973:284**). ყოველივე აქედან შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ოსმალები 1454 წელს თავს დაესხნენ სოხუმს, მაგრამ ეს იყო მარბიელი ლაშქრობა, რომლის მცნობელი მეფე გიორგი სასწრაფოდ გაემართა მათთან საბრძოლველად, მაგრამ ვეღარ მიუსწრო. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ თურქი მეცნიერის, ი.ჰ. უზუნჩარშილის რუკაზე, რომელიც მეჰმედ II-ის ომებს ეხება, დასავლეთ საქართველო, როგორც ოსმალეთის მორჩილი ქვეყანა, დატანილი არ არის (**Uzunçarşılı, 1998:17**).

ოსმალთა მიერ გენუელთა ფაქტორიებზე თავდასხმას - მათ შორის, სოხუმზე - და არა დასავლეთ საქართველოს დამორჩილებას, გადმოგვცემს თურქი მკვლევარი ჰ. ინალჯიკი (**İnalcık, 2000:211**). აგრეთვე, ამის დამამტკიცებელია თ. ბერაძის მიერ მოძიებული ცნობა, სადაც ვკითხულობთ: „1454 წელს სებასტოპოლისს (სოხუმს - მ. მ.) თავს დაესხა თურქული ფლოტი. თურქებმა დაწვეს პორტში მდგარი გენუელთა ერთი გემი, ხოლო მეორე თან წაიყვანეს. ზოგიერთი გენუელი ვაჭარი ოსმალებმა ტყვედ ჩაიგდეს, ზოგმაც კი გაქცევით უშველა თავს“ (**Берадзе, 1989:105**).

საინტერესო ურთიერთკავშირი შეიძლება გამოინახოს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობასა და იტალიურ წყაროებს შორის. იმის გათვალისწინებით, რომ თურქები 1454 წელს თავს დაესხნენ სოხუმს და მაშინ ჯერარდო პინელი იქ ჯერ არ იყო ჩასული, ხოლო ჩამოსვლის დროს მცირე ხანში მას აფხაზები დაესხნენ და განდევნეს, ვფიქრობთ, შეიძლება ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავუშვათ, რომ გენუელები სოხუმიდან არა აფხაზებმა, არამედ გიორგი VIII-ის იმ ჯარმა განდევნა, რომელიც ოსმალებთან საბრძოლველად გამოემართა.

ყოველივე აქედან ნათელი ხდება, რომ ოსმალების შემოსვლა საქართველოში მარბიელ ხასიათს ატარებდა. მათ მთავარ მიზანს არა დასავლეთ საქართველოს ანექსია, არამედ გენუელთა რიგით ფაქტორიაზე შეტევა წარმოადგენდა. მარბიელი შეტევის შედეგად ოსმალებმა მრავალი ტყვე ჩაიგდეს ხელში. გიორგი VIII-მ როგორც კი გაიგო მტრის შემოსვლის ამბავი, მაშინვე მათთან საბრძოლველად გაემართა, თუმცა ოსმალები მათ სოხუმში აღარ დახვდათ. ამის შემდეგ გიორგი VIII-მ გენუელთა სავაჭრო ფაქტორია გააუქმა, რომელთაც XV ს-ის 50-იან წლებში ისედაც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ სამეგრელოს მთავართან.

ქართული წყაროების მიხედვით კი ურთიერთობის დასაწყისის თარიღად 1451 წელია აღნიშნული. როგორც ვხედავთ, ეს თარიღი ზემოთ აღნიშნულ მონაცემებთან შედარებით 3-4 წლით უკან არის. სოხუმზე თავდასხმის შემდეგ ყირიმში მიმავალ საზღვაო ფლოტს 1454 წლის 11 ივლისს კაფაში ღუზა ჩაუშვია. რამოდენიმე დღის შემდეგ კი ყირიმის ხანი ხმელეთიდან მოსულა და გენუის კოლონიის გამგებლისთვის ხარკი დაუკისრებია.

ოსმალეთის იმპერიის მიერ, 1453 წელს კონსტანტინეპოლის დაპყრობას, საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ქონდა. ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქართველების მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ბიზანტიის დაპყრობასთან ერთად საქართველოს, დასავლეთ ევროპასთან არსებული ეკონომიკური და კულტურული კავშირები დაირღვა **(გუჩუა, 1973-1:86)**. შეჩერდა საქონლის გატანა-შემოტანა. ქალაქის მოსახლეობა შემცირდა და გაღარიბდა. ქვეყნის შიდა წარმოებით საკუთარი მოხმარების დაკმაყოფილებაც კი შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, მთელი XV ს-ის განმავლობაში საკუთარი ფულია მოჭრა არ შეჩერებულა. ამ პერიოდში ქართული ვერცხლის ფული, დაბალი ღირებულების და მცირე ზომის იყო **(Berdzenişvili, Canaşia, 2000:207)**.

კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ, რომის პაპის თაოსნობით, ქრისტიანულმა სახელმწიფოებმა ჯვაროსნული კოალიცია შექმნეს და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის დაგეგმვას შეუდგნენ. ამ ალიანსში, გარდა ევროპული ქრისტიანული სახელმწიფოებისა, ქართველების, ტრაპიზონის ბერძნული იმპერიის, თეთრბატკნიანების, ჯანდარისა და ყარამანიის ბეილიქების (სამთავროების) ჩართვაც სურდათ. ამის შესახებ ამ სახელმწიფოებსა და სამთავროებს შორის მოლაპარაკება წარმოებდა.

1459 წელს პაპის ელჩები საქართველოში ჩამოვიდნენ **(ლომინაძე, 1979-2:737)**. ეს დელეგაცია ქართველებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან მათ არ სურდათ საზღვრებთან ძლიერი ოსმალეთის სახელმწიფო ყოფილიყო. პაპის წარმომადგენლებმა, მეფე გიორგის გეგმებითა და რუკებით გააცნეს თუ როგორ უნდა ებრძოლათ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ და როგორ დაეპყროთ სტამბოლი. ამ მიზნის განსახორციელებლად ქართველებისგან დახმარება ითხოვეს. ამით დაიმედებულმა ქართველებმა, თანხმობა განაცხადეს. უფრო მეტიც, მეფემ და ცალკეულმა მმართველებმა შიდა უთანხმოება დროებით დაივიწყეს და ოსმალების წინააღმდეგ ერთად მოქმედება გადაწყვიტეს **(სვანიძე, 1990:116-136; ნინიძე, 1998-1:46-58; Berdzenişvili, Canaşia, 2000:207)**.

პაპის დელეგაცია, ქართველების გარდა სხვა სახელმწიფოებსაც შეხვდა და სამხედრო დახმარების პირობა მიიღო. თეთრბატკნიანთა მართველი უზუნ-ჰასანი -

50 ათასი, საქართველოს მეფე გიორგი - 60 ათასი (40 ათასი), სამცხის ათაბაგი ყვარყვარე - 20 ათასი, იმერეთის მეფე - 60 ათასი, ოდიშისა და აფხაზეთის მთავრები - 10 ათასი, მცირე სომხეთის მეთაური - 10 ათასი ჯარისკაცით დახმარებას ჰპირდებოდა (**Zinkeisen, 2011-2:237-238; Jorga, 2009-2:95; ხოროვა, ვაჭრიძე, 2019:24; ბოშიშვილი, სამუშია, 2016:13; ლომინაძე, 1979-2:738**). შეთანხმება შედგა და აღმოსავლეთ ალიანსის ელჩები, 1460 წელს რომში გაემგზავრნენ. დელეგაციაში საქართველოს ელჩის ნიკოლოზ თბილელის გარდა, სამცხე საათაბაგოს, ტრაპიზონის, მცირე სომხეთისა და უზუნჰასანის წარმომადგენლებიც იყვნენ (**ლომინაძე, 1979-2:738**). ელჩები, რომის პაპთან შეხვედრის შემდეგ ძალზე იმედგაცრუებულნი დარჩნენ, რადგან დასავლეთ ევროპის ქვეყნები ნეგატიურად გამოეხმაურნენ პაპის მოწოდებას. პაპმა მათ დასავლეთ ევროპელ ლიდერებთან პირისპირ შეხვედრა ურჩია. დელეგაციამ, საფრანგეთის მეფისგან უარი მიიღო და უკან დაბრუნდა (**Berdzenişvili, Canaşia, 2000:208**).

მეჰმედ II-მ 1458 წელს დაწყებული ამ გაერთიანების წინააღმდეგ 1460 წელს პირველი ნაბიჯი გადადგა და გენუის კოლონია, ამასრა დაიპყრო. 1461 წლის 23 მარტს კი ადრიანოპოლიდან შავიზღვისპირეთისკენ გაემართა. იმავე დღეს სტამბოლიდან საზღვაო ძალები დაიძრნენ. 1461 წელს ჯანდაროღლუს სამთავრო დაიპყრეს რომელიც მდებარეობდა დღევანდელი სინოპის. კასტამონუსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე. 1461 წლის 15 აგვისტოს ოსმალების არმია, ხმელეთიდან და ზღვიდან ტრაბზონისკენ გამოემართნენ, ქალაქი ხელთ იგდეს და ამავე წელს ტრაპიზონის ვილაეთი დაარსეს (**Aşık Paşazade, 2003:239-242; Zinkeisen, 2011-2:235-246; Rumlu, 2017:224-226**).

როგორც კოალიციის ჩაშლით, ასევე ოსმალების შავიზღვისპირეთში განხორციელებული დაპყობების შედეგად, 1459 წელს საქართველოში შიდა სამშვიდობო ხელშეკრულება დაირღვა (**ლომინაძე, 1979-2:739**). ხელშეკრულების დარღვევასთან ერთად სამცხის ათაბაგმა ყვარყვარემ და უზუჰასანმა მეფე გიორგი VIII-ს წინააღმდეგ ბრძოლა წამოიწყეს და 1462 წელს კიდევაც დაამარცხეს. ყვარყვარეს აჯანყებით სხვა ქართველ მმართველებსაც სტიმული მიეცათ და სახელმწიფოში არსებული სამოქალაქო ბრძოლა თანდათან გაძლიერდა. 1463 წელს

ქუთაისის ერისთავ ბაგრატსა და გიორგი მეფეს შორის იმერეთში სოფელ ჩიხორთან ახლოს ბრძოლა შედგა. ბრძოლაში მეფე გიორგი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. სამცხის ათაბაგ ყვარყვარესა და მეფე გიორგი VIII-ს შორის არსებულ ამ ბრძოლებიდან ყველაზე მეტად ბაგრატი დაზარალდა. 1466 წელს ბაგრატმა ქართლში გადაინაცვლა და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა. ამით შეწუხებულმა ყვარყვარემ მეფე გიორგი გაათავისუფლა და ბაგრატის წინააღმდეგ გააგზავნა, მაგრამ აზნაურების მხარდაჭერით ბაგრატმა გაიმარჯვა. მეფე გიორგიმ კახეთში გადაინაცვლა და იქ თავისი სამეფო ჩამოაყალიბა. საქართველოში არსებული ეს სამოქალაქო ომები, მტრებისთვის ხელსაყრელ მდგომარეობას ქმნიდა (**Berdzenişvili, Canaşia, 2000:208; წვერავა, 2013:138-140; ლომინაძე, 1979-2:739-740**).

ამ პერიოდში უსუზ-ჰასანს ოსმალეთის წინააღმდეგ ბაგრატ მეფისგან დახმარება უთხოვია, მაგრამ უარი მიუღია. 1473 წელს ოსმალეთსა და თეთრბატკნიანებს შორის ოთლუქბელის ბრძოლაში დამარცხებულის შემდეგ უზუნ ჰასანი ქართველებს თავს დაესხა და დიდი ნადავლით დაბრუნდა თავრიზს (**ლომინაძე, 1979-2:742**). 1477 წელს თბილისს მოულოდნელად თავს დაესხა და თბილისი და გორი ხელთ იგდო. ამის შემდეგ სამცხეს შეუტია და აწყური გაანადგურა. უზუნ ჰასანის ამ დაპყრობის შემდეგ საქართველოს მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ირანში შიდა არეულობის დაწყების შედეგად საქართველოში უზუნ ჰასანის თავდასხმა დასრულდა (**Berdzenişvili, Canaşia, 2000:210-211**).

1476 წელს კახეთის მეფე გიორგი გარდაიცვალა და მისი ადგილი მისმა შვილმა ალექსანდრემ დაიკავა. 1478 წელს ბაგრატ VI გარდაიცვალა. ბაგრატის ძე ალექსანდრემ მისი ადგილის დაკავება მოინდომა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, გაიქცა და თავი რაჭა-ლეჩხუმს შეაფარა. 1479 წელს ბაგრატის ადგილზე, უფლისწული კონსტანტინე გამეფდა. კონსტანტინესა და ალექსანდრეს შეთანხმებით, ორ სამეფოს შორის საზღვრები განისაზღვრა. ორი მეფის შეთანხმებასთან დაკავშირებით გამოწვეული ეს მშვიდობიანი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1483 წელს ყვარყვარესა და მეფე კონსტანტინეს შორის, არადეთთან ახლოს ბრძოლა შედგა და კონსტანტინე დამარცხდა. ამით უპლისწულმა ალექსანდრემ ისარგებლა, რაჭა-ლეჩხუმის ჯარის დახმარებით იმერეთისკენ გადაინაცვლა და ეს მხარე ხელთ იგდო.

მეფე კონსტანტინე, ალექსანდრეს თავს დაესხა. ალექსანდრემ ქუთაისი დატოვა და უკან დაიხია. მას შემდეგ, რაც ირანელები აღმოსავლეთ საქართველოს დაესხნენ თავს, კონსტანტინე იძულებული გახდა აღმოსავლეთ საქართველო დაეცვა. ამ შესაძლებლობის გათვალისწინებით, ალექსანდრემ 1489 წელს ქუთაისი დაიპყრო და იმერეთის მეფე გახდა (Berdzenişvili, Canaşia, 2000:211-212).

საქართველოში ამ რთული სიტუაციის გამოსასწორებლად, მეფე კონსტანტინემ გადაწყვიტა უცხო ქვეყნის სახელმწიფოებისგან დახმარება ეთხოვა. ამ მიზნით 1492-1496 წლებში ეგვიპტეში ელჩები გაგზავნა. კონსტანტინემ ასევე გააგზავნა ელჩი ესპანეთში, რათა ოსმალების წინააღმდეგ დახმარება ეთხოვა, მაგრამ მათგან უარყოფითი პასუხი მიიღო (ნინიძე, 1998-2:76-80).

მეფე კონსტანტინე ვერ ხედავდა იმ მხარდაჭერას, რომელსაც ის საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ელოდა, ამიტომ 1490 წელს იძულებული გახდა იმერეთის, კახეთისა და სამცხის დამოუკიდებლობა ეღიარებინა (გუჩუა, 1973-1:85). XV ს-ის შუა ხანებში გაყოფილი ქვეყანა, ოფიციალურად, 1505 წელს მეფე კონსტანტინეს სიკვდილით იქნა დაშლილი (გუჩუა, 1973-1:94; სილაგაძე, გურული, 2001:129). საქართველოში წარმოიქმნა ქართლის, კახეთის, იმერეთისა და სამცხის სახელმწიფოები (Gümüş, 2000:37; Allen, 1970:48). ამ დანაწევრების შემდეგ საქართველოს ტერიტორიის გაერთიანება, XIX ს-ში რუსეთის ოკუპაციამდე შეუძლებელი გახდა.

საქართველოში ასეთი მდგომარეობის პარალელურად, ოსმალეთის იმპერია, კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ, აღმოსავლეთ და დასავლეთში დაპყრობებს განაგრძობა და სახელმწიფოს ტერიტორიებს აფართოებდა. მეჰმედ II-მ 1461 წელს ტრაპიზონის ბერძნულ იმპერიას ბოლო მოუღო, თუმცა ანატოლიაში საფრთხე კვლავ არსებობდა. თეთრბატკნინთა მმართველი უზუნ ჰასანი ამ მხარეში ოსმალეთისთვის ჯერ კიდევ მოწინააღმდეგე იყო. ამით შეშფოთებულმა მეჰმედ II-მ მის წინააღმდეგ გაილაშქრა და 1473 წლის 11 აგვისტოს ოთლუქბელის ბრძოლაში დიდი გამარჯვება მოიპოვა (Uzunçarşılı, 1975:63; Aşık Paşazade, 2003:261-266; Zinkeisen, 2011-2:246-256). ამ გამარჯვების შემდეგ, სულთანის ახალი მიზანი ყირიმის აღება გახდა, რადგან ამით შავიზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებსაც ხელში ჩაიგდება და ამგვარად, მთელ შავ

ზღვაზე კონტროლს მოიპოვებდა. ამ მიზეზით, ის მოქმედებაზე გადავიდა და 1475 წელს ყირიმი აიღო. იმავე წელს კაფას სამთავრო ჩამოაყალიბა **(Uzunçarşılı, 1975:76-79; Aşık Paşazade, 2003:266-269; Zinkeisen, 2011-2:277-278)**. 1478 წელს უზუნ ჰასანი გარდაიცვალა. 1479 წელს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რეიდები განხორციელდა **(Karamanlı, 1996-2:314)**.

ამავე პერიოდს ემთხვევა ოსმალთ მორიგი მარბიელი ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ. უფრო სწორედ არა ქართული ტერიტორიის, არამედ იმ ადგილისა, რომელსაც ქართველები მართავენ. იბნ-ქემალი თავის თხზულებაში "Tevârîh-i Âl-i Osman VII. Defter" (ოსმალეთის ისტორია VII ტომი, დავთარი). გადმოგვცემს, რომ უფლისწულმა ბაიეზიდმა 1479 წელს უამრავი ლაშქრით სამი ქართული ციხე - თორული, ჯეზრე და ჯენეჰაჰი - აიღო, ბევრი ადამიანი ამოხოცა და უამრავი ნადავლით უკან დაბრუნდა **(İbn Kemal, 1991:466)**. ამის გარდა, ოსმალების საქართველოში შემოსვლას გადმოგვცემს მეორე ოსმალო ისტორიკოსი ყარამანლი ნიშანჯი აჰმედ ფაშა **(Nişancı, 1924:216; სვანიძე, 2001:360)**.

იბნ-ქემალის გადმოცემით: „იმ მხარეებში მცხოვრებნი ავბედიანნი, დაცემულნი, ცოდვილნი, ბოროტმოქმედნი, აუგის ჩამდენი და პირშავნი ურჯულონი ჯერაც არ იყვნენ დაბეგრილები და ვალდებული, ეხადათ ჯიზია, ხარაჯა, საბაჟო საქონელი" **(ჯაველიძე, 1990:119-120; İbn Kemal, 1991:466)**. ყოველივე აქედან ნათელი ხდება, რომ მცდარია იმ მკვლევართა მოსაზრება, რომლებიც საქართველოს ოსმალების მიერ ანექსიას XV საუკუნის II ნახევრიდან ამტკიცებენ. აღსანიშნავია, რომ იბნ ქემალი ამ ციხეების მდებარეობის შესახებ არაფერს გვეუბნება, ამიტომ კვლევის შედეგად დასადგენია მათი ადგილმდებარეობა. ყარამანლი ნიშანჯი მეჰმედ ფაშა მხოლოდ ორი ციხის, თორულისა და მაზაჰელის - აღებას გადმოგვცემს **(Nişancı, 1924:216; სვანიძე, 2001:360)**. ერთი ციხის აღებას გადმოგვცემს ჰასან რუმლუ: „ამავე (1481) წელს მუჰამედმა რუმის ფადიშაჰმა, ბართულის ციხე, რომელიც საქართველოშია, დაიპყრო" **(რუმლუ, 1979:81)**. სამივე ისტორიკოსი თორულის ციხეს ასახელებს. თორულის ციხე მესო-ქალდიაში მდებარეობს, რომელსაც სერბი იანიჩარი ტარხიგორისტანად მოიხსენიებს **(მახარაძე, 2005:400)**. იბნ-ქემალის მიერ მოხსენიებული შემდეგი ციხე ჯეზრეა, თ.ბერაძე და მ.სანაძე ვარაუდობენ, რომ ამ

ციხეს ძველად ქენთუნსაც უწოდებენ. მესამე ციხე, იბნ-ქემალის გადმოცემის მიხედვით, ჯენეჰაჰია, რომელიც ოსმალურ ისტორიულ საბუთებში გეოგრაფიულ ადგილს, გუმუშჰანეს ეწოდება **(ჯაველიძე, 1990:121)**. ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ სამივე ციხე მესო-ქალდიაში მდებარეობს. მ. სვანიძის, ვარაუდით თორული და ჯეზრე - ერთმანეთთან ახლოს, ხოლო ჯენეჰაჰი ცოტა მოშორებით მდებარეობდა **(სვანიძე, 2001:208)**.

ყოველივე აქედან გამომდინარე, უფლისწულ ბაიეზიდს მესო-ქალდეაში ულაშქრია. ტრაპიზონის იმპერიის გაუქმების შემდეგ მესო-ქალდიაზე მთლიანი მბრძანებლობა ცოტა ხნით მაინც ქართველების, კერძოდ, გურიელისა და ათაბაგის ხელში გადავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია, ზემოთ ხსენებული ტერიტორია მართლაც გადასულიყო ოსმალეთის ხელში, ცხადია, რომ ეს მოვლენა დროებით ხასიათს ატარებდა. ფრანგი მკვლევარი ნ. ვათინი გადმოგვცემს, რომ 1479 წელს მეჰმედ II-მ, თავის შვილს ბაიეზიდს, რომელიც იყო ამასიის ვალი, დაავალა, დაეპყრო ბერძნული სამთავრო თორული, რომელიც მდებარეობდა ტრაპიზონის სამხრეთ-დასავლეთში 90 კილომეტრით, ამას თავის დროზე იცავდა უზუნ-ჰასანი, რომელიც ამ პერიოდისათვის გარდაცვლილი იყო. ამავე დროს, დაავალა აღმოსავლეთ საქართველოს მიწების რაღაც ნაწილის დაპყრობაც **(Vatin, 1989:102)**. თურქი მკვლევარი ი.ჰ. უზუნჩარშილი აღნიშნავს, რომ სულთანმა მეჰმედ II-მ ბოლო წლებში თეთრბატკნიანებს დაქვემდებარებული ტრაპიზონისა და გუმუშჰანეს შორის მდებარე თორულის რაიონის დაპყრობა რუმელიის ვალის, უფლისწულ ბეიაზიდს უბრძანა და ეს რაიონი მისმა მოადგილემ, სინან ბეიმ აიღო, თორულის გამგებელი კი ერზინჯანში გაიქცა **(Uzunçarşılı, 1998:56)**.

მეჰმედ II-ის დროს დაწყებული ქართულ-ოსმალური ურთიერთობა, მის შემდეგ, მისი შვილი ბაიეზიდ II-სა და შვილიშვილი სელიმ I-ის დროს უფრო ინტენსიური გახდა. განსაკუთრებით, ბაიეზიდ II-ის მეფობის დროს, ტრაპიზონის სანჯაყში მყოფი სელიმის ქართულ ტერიტორიაზე განხორციელებული შეტევები, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მხრივ მნიშვნელოვანია.



რუკა I. :საქართველო (XV ს-ის ბოლოს)

თავი II. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები XVI ს-ში

1. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობის დასაწყისი

იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის ურთიერთობის დასაწყისის შესახებ მსჯელობამდე, კარგი იქნება თუ განვიხილავთ, XVI ს-ის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიისა და იმერეთის სამეფოს მდგომარეობას ცალ-ცალკე.

XVI ს-ის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიას ბაიეზიდ II (1481-1512) **(Turan, 1992:234-238)** მართავდა, რომლის დროსაც განსაკუთრებით, დასავლეთში გამართული ბრძოლების დროს, იმპერიის აღმოსავლეთ საზღვართან და ანატოლიის მიწებზე გაბატონებული სეფიანები დიდ საშიშროებას წარმოადგენენ **(Gündüz, 2008:451-455)**. ეს საშიშროება ტრაპიზონის მმართველს, უფლისწულ სელიმს შეუმჩნევია და მათ წინააღმდეგ ზომებიც მიუღია. ბაიეზიდს სურდა, რომ მის შვილს უფრო მშვიდობიანი პოლიტიკა გაეტარებინა და ამის შესახებ რჩევასაც კი აძლევდა. ქვემოთ განვიხილავთ სულთან სელიმ I-ის უფლისწულობისა და სულთნობის პერიოდში აღმოსავლეთში, კერძოდ, საქართველოსა და ირანში გამართულ სამხედრო ღონისძიებებს.

თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად, პოლიტიკური თვალსაზრისით, ისედაც დანაწევრებული საქართველო, ახლად ჩამოყალიბული სეფიანების საფრთხის წინაშე იდგა **(Paydaş, 2006:419-437)**. საფრთხე, რომელიც უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოს ემუქრებოდა, შესაძლებელი იყო ოსმალეთზეც გავრცელებულიყო. ამიტომაც, კავკასიაში გავლენის მოპოვება ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გახდა. შესამაბისად საქართველო ამ ორი ქვეყნის კავკასიაში დამკვდერიბისათვის ძირითადი ასპარეზი გახდა. თუმცა ოსმალთა ლაშქრობები ქართულ ტერიტორიებზე, გამოწვეული იყო არა მხოლოდ ირანთან დაპირისპირებით, არამედ შავიზღვისპირეთში ქართველთა სამხედრო მოქმედებებითაც. ამრიგად, სელიმის მოქმედებებიც ძირითადად ამ მიზანს ემსახურებოდა.

ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბებიდან სულთან სელიმ I-მდე განხორციელებული დაპყრობითი ომები, განსაკუთრებით, ბალკანეთისა და ევროპისაკენ იყო მიმართული. სელიმ I-ის დროს კი დაპყრობებმა აღმოსავლეთით გადმოინაცვლა. ოსმალეთის იმპერიამ, აზიისა და აფრიკის კონტინენტების მნიშვნელოვანი ტერიტორიები ხელთ იგდო. სელიმ I-მა, რომელიც სეფიანებისა და მამლუქების წინააღმდეგ იბრძოდა, აღმოსავლეთ ანატოლიაში, სეფიანების მიერ გამოწვეულიარეულობას ბოლო მოუღო და ისინი ჩალდირანის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა. ეგვიპტეზე გალაშქრებით ასევე დაასრულა მამლუქების ჰეგემონია **(Emecen, 2009-1:407-414)**.

სელიმმა აღმოსავლური დაპყრობები დაიწყო, როდესაც ის ტრაპიზონის სანჯაყ-ბეი იყო. სანამ სულთანი გახდებოდა, მანამდე 1487 წლიდან 1510 წლამდე, დაახლოებით 23 წელი, ტრაპიზონს განაგებდა. ამ ხნის განმავლობაში ის სეფიანებისა და ქართველების სამხედრო მსვლელობებს ყურადღებით თვალყურს ადევნებდა და ამის შესახებ სტამბოლს აუწყებდა **(Emecen, 2009-1:407)**. წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოზე უფლისწული სელიმს, სანჯაყ-ბეგობის პირველ წლებში გაულაშქრებია. გარდა ამისა, არსებობს წყაროები, რომელიც ადასტურებს რომ სელიმი სამჯერ გაემართა საქართველოს წინააღმდეგ **(Kılıç, 2001:108)**. მისი ლაშქრობების მიზესთა შორის უმთავრესი იყო შაჰ ისმაილის 1501 წლის თავდასხმა საქართველოზე და ქართველებისა და ლაზების მარბიელი თავდასხმების აღკვეთა **(Bilge, 2015:40; Ateş, 2015:100)**. უფლისწულ სელიმის საქართველოზე ლაშქრობების კიდევ ერთი მიზეზი, შეიძლება ითქვას, რომ დამპყრობლის ამბიციები და შემდეგში ტახტზე ასასვლელად ავტორიტეტის მოპოვება იყო **(Kirzioğlu, 1998:86)**.

უფლისწულ სელიმის საქართველოში გამართულ ლაშქრობებს შორის მნიშვნელოვანია მისი მრავალრიცხოვანი ჯარით იმერეთის სამეფოზე თავდასხმა. ლაშქრობის თარიღის შესახებ საქართველოსა და თურქულ წყაროებში სხვადასხვა ცნობები მოიპოვება. ამიტომ ზუსტი თარიღის დადგენა რთულია. ამ თარიღთან დაკავშირებულ წყაროებში 1508, 1509, 1510, 1512 წლებია მითითებული. ოსმალური წყაროებიდან ერთადერთი, რომელიც ლაშქრობის თარიღის შესახებ ცნობას იძლევა, ქემალფაშა-ზადეს ნაშრომი წარმოადგენს. ნაშრომში მითითებულია, რომ

საქართველოზე ოსმალებს, უფლისწული სელიმის მეთაურობით, 1508 წლის მაის-ივნისში ულაშქრიათ (**İbn Kemal, 1997:272-275**). ამ ნაშრომში მოხსენიებულია, რომ საქართველოს გეოგრაფია, მაღალმთიან ადგილებისა და ღრმა ხეობებისგან, ეს მთები და ხეობები კი ტყეებისა და მდინარეებისაგან შედგება. ქირზიოღლუც, ქემალფაშა-ზადეს ნაშრომში მითითებულ თარიღს ემხრობა, რადგან მაის-ივნისის თვე, როგორც სეზონის თვალსაზრისით, ასევე ოსმალეთის გალაშქრების ტრადიციასთან დაკავშირებული პერიოდია. უფლისწულობის პერიოდში სელიმის საქართველოში შემოსვლას მრავალი ოსმალო ისტორიკოსი გადმოგვცემს, მათ შორის გელიბოლუ მუსტაფა ალიცაა (**Kirzioğlu, 1998:88**), რომელიც შემდგომში დაიმოწმა ევლია ჩელიბიმ, რომელიც სელიმის მიერ ქუთაისის დაპყრობაზე მოგვითხრობს (**ევლია ჩელები, 1971:298**).

ქართულ წყაროებში კი ამ თარიღთან დაკავშირებით სხვადასხვა მონაცემები მოიპოვება. ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში მითითებულია, რომ უფლისწულმა სელიმმა 1509 და 1512 წლებში საქართველოს, კერძოდ, იმერეთის წინააღმდეგ ორი ლაშქრობა განახორციელა. მისი თქმით, 1509 წლის ლაშქრობის დროს, იმერეთის მეფე ალექსანდრე ქართლში ყოფილა და ოსმალების შემოტევისას უკან დაბრუნებულა (**ბატონიშვილი, 1973:809**). 1512 წლის მეორე ლაშქრობის დროს კი, მეფე ალექსანდრეს ვაჟის, ბაგრატ მეფის პერიოდში, ოსმალებს გელათისა და ქუთაისის განადგურების შემდეგ, იმერეთი დაუმორჩილებია. ლაშქრობების დროს პირველ არმიაზე „ჩიხნი'' და მეორე არმიაზე კი სულთან სელიმის არმია უწოდებიათ (**სვანიძე, 1971:41; რეხვიაშვილი, 1989:26**). ივანე ჯავახიშვილის გადმოცემით, ეს თარიღი ან 1509 ან 1510 წელია (**ჯავახიშვილი, 1967:212**). მ. სვანიძე კი ამ თარიღად, 1971 წელს გამოცემულ ერთ ნაშრომში 1510 წელს, 1999 წელს გამოცემულ სხვა წიგნში კი 1509 წელს მიიჩნევს (**სვანიძე, 1971:41, 43, 50; სვანიძე, 1999:121**).

თედო ჟორდანიას ქრონიკებში ოსმალთა შემოსევა სხვადასხვა თარიღითაა გადმოცემული. მივყვეთ მათში გადმოცემულ ფაქტებს წლების მიხედვით: 1508 წელს ალექსანდრე მეფემან გორი დაიჭირა. ამავე (წელს) მოვიდნენ თათარნი, ქუთაისი და დაწვეს თვესა ნოემბერსა. ამავე თარიღის სხვა ქრონიკებიც მსგავს შინაარს გადმოგვცემენ, თუმცაღა თვეს არ უთითებენ. 1508 - აქა მეფემან ალექსანდრემ გორი

დაიჭირა. ამავე წელს მოვიდნენ თათარნი ქუთაისი და გელათი დაწვეს. 1509 წლის ქრონიკა უფრო შევსებულია და გვამცნობს, რომ მეფე ალექსანდრეს გორში აგვისტოში ულაშქრია და ნოემბერშიც იქ ყოფილა, როცა სელიმი ქუთაისში შემოვიდა. 1509 წელს ალექსანდრემ, ძემან ბაგრატისამან აღიღო გორი თვესა აგვისტოსა. ამავე წელსა ქუთაისს თათარნი მოვიდნენ და დაწვეს დიდი მონასტერი გელათისა შიგნით და გარეთ. ქუთაისი და საყდარი, სხვანი ეკლესიანნი და ციხეები ვერ აიღეს და აურაცხელი ტყუენი წაასხეს. თვე იყო ნოემბერი. 1510 წლით გადმოცემული ოთხი ქართული ქრონიკაც ერთი და იგივე შინაარსის ფაქტს გადმოგვცემს. 1510 - აქა მოვიდნენ თათარნი ნოემბერსა და დაწვეს ქუთაისი და გელათი. 1512 წელით დათარიღებულ ექვსი ქრონიკიდან ერთში იგივეა გადმოცემული, რაც 1510 წლით დათარიღებულში, ხოლო ხუთში უკვე სელიმი სულთნად იხსენიება. 1512 - ხუანთქარმა ქუთაისი და გელათი დაწვა **(ჟორდანია, 1897:326-331)**.

ვახუშტი ბატონიშვილი სელიმის შემოსვლას 1512 წლით ათარიღებს: ამ შემოსევის შესახებ იგი ყვება, როგორც „ცხოვრება ეგრისისა, აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“ ასევე „ცხოვრება სამცხე კლარჯეთისაში“. ცხოვრება იმერეთისაში იგი გადმოგვცემს: „წელსა (1512) მეფობისა ბაგრატისასა მეორესა გადმოვიდა სპასპეტი სულტან სელიმისა სპითა უამრავითა და მოადგა სამცხეს. მას მიეგება ათაბაგ მზეჭაბუკ, მოუძღვა და ჩამოიყვანა ფერსათსა ზედა იმარეთს. ხოლო ბაგრატ მეფე ვერ წინაღუდგა და უკურიდა სიმაგრეთა შინა და დახიზნა იმერეთი. გარნა მოსრულთა ოსმალთა დაწუეს ქუთაისი და გელათი. მერე მოაოხრეს, მოწუეს და მოსრნეს და მოსტყუევნნეს სადა ვინ ჰპოვნნეს იმერეთსა შინა და უკუიქცნენ მასსავე გზასა ზედა და წარვიდნენ. შემდგომად წასვლისა მათისა ჩამოვიდა ბაგრატ მეფე, განაგო იმერეთი და დააშენნა ხიზანნი იმერნი“ **(ბატონიშვილი, 1973:810)**. ,,სამცხის ცხოვრებაში“ კი ვახუშტი გადმოგვცემს სერასკერის სამცხეში შესვლაზე და მზეჭაბუკის მორჩილებაზე: „(1512 წელს) წარმოავლინა სულტან სულეიმან სარასკარი, რომელ არს თავის სპათა სპასალარი, სპითა დიდითა და ძლიერითა დასაპყრობად გიორგისად“. როდესაც ისინი მოადგნენ საათაბაგოს, „მზეჭაბუკ განამაგრა ციხენი და სიმაგრენი და დახიზნა ხიზანნი და თვით განზრახვითა მესხთა ეზრახა სერასკერსა და მივიდა

წინაშე მისსა. ხოლო სარასკერმა პატივით შეიწყნარა და ითხოვა მზეჭაბუკისგან საზრდელი და ყულაუზობა იმერეთსა ზედა. მან მზეჭაბუკ აღუსრულა ყოველნი და წარუძღვა იმარეთს. ჩავიდნენ და ჰყვეს რა იგი აღვსწერეთ, და კულუავად უკუმოქცეულთა გამოვლეს სამცხე საათაბაგო უვნოდ ოსმალთა და წარვიდნენ. ამით დაეზავა ესე მზეჭაბუკ ოსმალთა და აღუთქვა მორჩილება და მსახურება“ **(ბატონიშვილი, 1973:711)**.

ქართლის ცხოვრების პირველი ტექსტი გადმოგვცემს ოსმალთა შემოსვლას 1514 წლით. „ამ ჟამში წარმოაგზავნა ხონთქარმან სპასპეტი თვისი, ლაშქრითა თვისითა უამრავითა საქართველოსა ზედა და ააოხრეს სამცხე, ჩამოვიდნენ იმერეთს და დაწვეს ქუთაისი; და მოვიდნენ გელათს და დაწვეს გელათი, და აღიღეს ალაფი მრავალი და ვეღარ დაუდგა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა და წარვიდნენ და შეიქცნენ თვისსავე ადგილას, და შემდგომად შექცევისა მათისა ჩამოვიოდა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა და დაიპყრა კუალად იმერეთი“ **(ქ.ც., 1959:350)**. როგორც ვხედავთ ქართული ქრონიკები, თითქმის ერთი და იგივე ფაქტს გადმოგვცემენ განსხვავება წლები და ქართველთა მეფეთა სახელებია. მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტი ბატონიშვლი 1512 წლით ათარიღებს ოსმალთა შემოსვლას, 1509 წლით იგი გადმოგვცემ იმერეთის მეფე ალექსანდრეს მიერ გორის აღებას და ვინმე ჩიხთაგან ქუთაისის დარბევასა და გელათის დაწვას. „ალექსანდრე მეფემ შემოიკრიბა ჯარი და აიღო გორი (1509) და დაიწყო ქართლის დაპყრობა, რადგან არავინ შეეწინაღმდეგებოდა. „მაშინ ამავე ქორონიკონს მოუხდნენ ჩიხნი იმერეთს და მოარბიეს სრულად“. ეს რომ გაიგო ქართლში მყოფმა ალექსანდრემ და სასწრაფოდ გამობრუნდა იმერეთში. თუმცა მეფე მალევე გარდაიცვალა. იგივე ამბავი აქვს გადმოცემული ვახუშტის ქართლის მეფეთა ცხოვრებაში: „ხოლო წელსა (1509) გადმოვიდა ალექსანდრე მეფე იმერთა და მოადგა გორს. დავით მეფემ არ ინება მასთან შებრძოლება და ალექსანდრემ აიღო გორი, ამ დროს თვითონ მოახსენეს მორბევა იმერეთისა ჩიხთაგან. უკუიქცა და წარვიდა იმერეთს. შემდგომად მეფე დავითმა აიღო გორი და განამტკიცა **(ბატონიშვილი, 1973:809)**. ყოველივე აქედან ნათელი ხდება, რომ ვახუშტი იგივე შინაარსის ცნობას გადმოგვცემს, რასაც სხვა ქრონიკები. ვახუშტი ოსმალების მაგივრად ჩიხებს მოიხსენიებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებით ქართული წყაროების მიხედვით, ზუსტი თარიღის დადგენა რთულია. როგორც ქირზიოღლუმ განაცხადა, ქართული კალენდრის მიხედვით დაწერილი ზოგიერთი ქრონიკები, ზოგჯერ ოთხ წელიწადზე ადრეა სწორი კალენდრის მიხედვით. მაგალითად, ქართული წყაროები, სტამბოლის დაპყრობის თარიღად 1457 წელს მიიჩნევს, ამიტომ უფლისწულ სელიმის ამ სამხედრო ექსპედიციის თარიღად შესაძლებელია, რომ 1512 წელი იყოს მიჩნეული **(Kirzioğlu, 1998:86)**. ჩვენი აზრით კი ეს შეუძლებელია, რადგან ეს წელი უფლისწული სელიმის გამეფების წელია, მანამდე კი ის თავის ძმებსა და მამასთან ბრძოლებით იყო დაკავებული.

ამ ბრძოლაში უფლისწულ სელიმის დახმარებით მზეჭაბუკმა კვლავ წაართვა გურიელს აჭარა და ჭანეთი **(Kirzioğlu, 1998:88-89; Gümüş, 2000:52; კაპანაძე, 2005:43).** ამ მდგომარეობის გამო, მზეჭაბუკს ოსმალეთს მორჩილება გამოუცხადებია და უფლისწული სელიმს, საქართველოს ტერიტორიაზე, მეგზურობა გაუწევია **(რეხვიაშვილი, 1989:25; Allen, 1971:145; წვერავა, 2013:154)**. ოსმალეთის არმია, ფერსათის მთებისა და აჭარა-გურიის გავლით, იმერეთის სამეფოს დედაქალაქ ქუთაისში მოიყვანია **(Allen, 1971:145; Ateş, 2015:102)**. ამით მზეჭაბუკმა, რომელსაც ბაგრატიონ მეფეებთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა, ოსმალები მათ წინააღმდეგ გაგზავნა. ამგვარად, მან ოსმალეთის შეტევისაგან თავისი ქვეყანა დაიცვა და მმართველობა კვლავ გააგრძელა **(რეხვიაშვილი, 1989:30)**.

ოსმალთა ჯარმა, რომელიც ქუთაისში შევიდა, ბევრი ადგილი გაანადგურა. იმერეთის ტახტზე მყოფ მეფე ბაგრატ III-ს შემოტევებისათვის ვერ გაუძლია და თავი ციხე-სიმაგრეს შეაფარა. იმის გამო, რომ დიდი მცდელობის მიუხედავად ოსმალების არმიამ ციხე-სიმაგრე და ქალაქი ვერ აიღო და თანაც ზამთარი ახლოვდებოდა, უამრავი ნადავლითა და ტყვეებით უკან დაბრუნდა. ცნობილია, რომ საქართველოს გეოგრაფია, ჯარისკაცებისა და საკვების მიწოდების მხრივ რთულია. ამ მიზეზით, უფლისწულ სელიმს ზამთარში მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად, უკან დაუხევია.

ზოგიერთ ქართულ წყაროებში აღნიშნულია, რომ ოსმალეთის არმიას ქუთაისი და გელათის მონასტერი გაუნადგურებია **(გუჩუა, 1973-2:94)**. იმდენად, რომ მეფე

ბაგრატ III-ს მონასტერი კვლავ აუგია. ამიტომ მას გელათის მონასტრის მეორე დამაარსებელს უწოდებენ. მისი და ოჯახის ფრესკები, მონასტრის დამაარსებელ, მეფე დავით აღმაშენებლის ფრესკების გვერდითაა **(კუპრაშვილი, სამუშია, 2016:8)**. ნები გუმუშის სადოქტორო ნაშრომში მოტანილი ხალხური ლექსის მსგავსად, ოსმალურ წყაროებშიც, სელიმის საქართველოზე მიყენებული ზარალის შესახებაა ცნობები. ლექსში ასეა ნათქვამი: *„შევიდა და საქართველო დაიპყრო, ვინც ხელს მოჰყვა ყველა მოკლა, ფადიშაჰმა გადაწვა მთლიანად ქონება, აუოხრებელი არც ქალაქი დატოვა არც ციხე'* **(Gümüş, 2000:56)**. ალენიც ოსმალების მიერ ქუთაისის, გელათისა და ზოგიერთი ადგილების აოხრების შესახებ ცნობებს იძლევა **(Allen, 1971:145)**. ქირზიოღლუს ნაშრომში კი ამის საპირისპიროა ნათქვამი. დღეისათვის გელათის მონასტერში შესვლისას დავინახავთ, რომ მოზაიკები ჯერ კიდევ შემორჩენილია **(Kirzioğlu, 1998:93)**. ეს გვიჩვენებს, რომ ოსმალეთის არმია არც მონასტერს შეხებია და არც გაუნადგურებია. ამ ბრძოლის დასასრულს, ამბობენ, რომ ტრაპიზონში, აურაცხელი ნადავლი და ათი ათასზე მეტი ტყვით დაბრუნებულა **(Kılıç, 2001:110; Kirzioğlu, 1998:93; Gümüş, 2000:52).** სელიმს მოპოვებული ნადავლიდან თავისთვის არაფერი დაუტოვებია და ყველაფერი ბრძოლაში მონაწილე ჯარისკაცებს შორის გაუნაწილებია **(Kılıç, 2001:111)**.

სელიმის ეს ლაშქრობა, ოსმალეთ-იმერეთს შორის გამართულ პირველ ბრძოლადაა აღიარებული **(აბულაძე, 1989:7-8)**. შეიძლება ითქვას, რომ ამ ბრძოლით დაიწყო ოსმალეთისა და იმერეთს შორის ურთიერთობები.

უფლისწული სელიმის საქართველოზე განხორციელებულმა ამ თავდასხმებმა, ირანი ძალიან გააღიზიანა. უფრო მეტიც, ირანმა სელიმს ბაიეზიდთანაც კი უჩივლა. ამ უკანასკნელს კი გაუფრთხილებია თავისი შვილი, რომ ირანთან კარგი ურთიერთობა გაეგრძელებინა.

სელიმს სულთნობის პერიოდში იმერეთის სამეფოზე არ ულაშქრია. შეიძლება ითქვას, ეს იმის გამო იყო, რომ აღნიშნულ პერიოდში აქ რაიმე ანტიოსმალურ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. აგრეთვე მხედველობაში უნდა მივიღოთ რეგიონის რთული გეოგრაფიული პირობებიც. 1514 წლისთვის, სელიმმა ირანზე გაილაშქრა, რომელსაც იგი უფლისწულობის პერიოდიდან მოყოლებული აღმოსავლეთში დიდ

საფრთხედ აღიქვამდა. ჩალდირანის ბრძოლაში სულთანმა ირანი სასტიკად დაამარცხა, რამაც საქართველოზე ირანის გავლენის შემცირება და ოსმალეთის გაძლიერება გამოიწვია (**Varlık, 1993:193-195; Jorga, 2009-2:281**). ირანთან განხორციელებულ ჩალდირანის ბრძოლაში, სამცხის ათაბაგ მზეჭაბუკისგან, ჯარისკაცებისათვის საარსებო დახმარება მიუღია (**საითიძე, 1998:98**).

უფლისწულობის პერიოდში იმერეთზე განხორციელებული სელიმის ლაშქრობებით დაწყებული იმერეთის ოსმალეთთან ურთიერთობები სამ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა.

2. იმერეთის სამეფო და მისი ურთიერთობა ოსმალეთის იმპერიასთან 1520-1555 წლებში

სელიმ I-ის სიკვდილის შემდეგ ოსმალეთის სამეფო ტახტზე სულეიმან I (1520-1566) ავიდა (**Emecen, 2010:62-63**). სელიმის დროს ირანთან მშვიდობა არ ყოფილა. უფრო მეტიც, სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის ჩამოსული ელჩებიც კი დაუპატიმრებიათ. სულეიმანის ტახტზე ასვლის დროს, ორ სახელმწიფოს შორის არსებული ეს მდგომარეობა კვლავ გაგრძელდა. შაჰ ისმაილმა, როდესაც სელიმის სიკვდილის ამბავი გაიგო, საქართველოზე გაილაშქრა და კახეთი დაიმორჩილა. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველო (გურია, სამეგრელო/დადიანები, იმერეთი/ბაშიაჩუკი/აჩიქბაში[3]) ოსმალეთის, აღმოსავლეთ საქართველო (კახეთი, ქართლი, საათაბაგო) კი ირანის მმართველობის ქვეშ იყო (**Kirzioğlu, 1998:124**). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთის იმპერიას სხვა ქართულ სამეფოებთან კარგი ურთიერთობები ჰქონდა. 1524 წელს იმერეთის მეფე ბაგრატს, სამცხის ათაბეგსა და კახეთის მეფე ლევანს სულთნისთვის უთხოვიათ, რომ ქართველებს იერუსალიმის მონახულების უფლება მიეღოთ (**Kirzioğlu, 1998:99; Gümüş, 2000:60**).

სულეიმანის ტახტზე ასვლიდან პირველ წლებში ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობები კვლავ უცვლელი იყო, თუმცა სულთის მიზანი აღმოსავლეთში

[3] ოსმალურ წყაროებში იმერეთი და იმერლები ასე მოიხსენიება. ამის მეცნიერული განმარტება დღემდე არ მოიპოვება. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ოსმალნი და სპარსნი საყოველთაოდ ამ ქვეყანას უწოდებენ ბაშაჩუკს/აჩიქბაშს, რომელ არს თავახდილი, უქუდობისათვის, რომელთა ჰბურავთ მცირე რაიმე ნაჭრისაგან ლართა, ვითარცა მდებარედ თავსა ზედა.

მამამისის პერიოდიდან არსებული სეფიანთა საფრთხის მთლიანად აღმოფხვრა იყო. ამგვარად, ოსმალეთის იმპერია გაძლიერდებოდა როგორც აღმოსავლეთში, ისე კავკასიაში. სწორედ ამ მიზნით სურდა სულეიმანს აღმოსავლეთში გალაშქრება, თუმცა დასავლეთის მოვლენების გამო 1534 წლამდე ვერ მოეხერხა.

ამ პერიოდში იმერეთის სამეფო ტახტს მეფე ბაგრატ III (1510-1565) მართავდა. მისი მეფობის პერიოდში, იმერეთისა და ზოგადად საქართველოს მთავარ პრობლემებს, მმართველთა შორის არსებული უთანხმოება და ტყვეთა ვაჭრობა წარმოადგენდა. XVI ს-ში ტყვეთა ვაჭრობა გაიზარდა, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში გავრცელდა. ტყვეთა ვაჭრობა, რომლის უმეტესობასაც ახალგაზრდები შეადგენდა, საქართველოში დიდ დანაკარგს იწვევდა. ეს კი ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებდა. ტყვეთა საყიდვის აღკვეთის მიზნით, მმართველები ყველა ზომას იღებდნენ **(Berdzenişvili, Canaşia, 2000:226-227)**.

ბაგრატის პერიოდში, კერძოდ, 1526 წელს არადეთის აღმოსავლეთით მდებარე სურამი და ახალდაბა, იმერეთის ტერიტორიას შემოუერთდა **(რეხვიაშვილი, 1989:31; Gümüş, 2000:60)**. 1533 წელს კი, ბაგრატ მეფის მეთაურობით, მამია დადიანი და მამია გურიელი თავს დაესხნენ ჯიქეთს. ოსმალეთი იმერეთში სამი გზით შემოდიოდა. ესენი იყო: გონიოს გზა სამხრეთ-დასავლეთით, ჯიხეთ-აფხაზეთის გზა ჩრდილო-დასავლეთით და სამცხე-საათაბაგოს გზა, რომელიც სამხრეთით მდებარეობდა. ბაგრატი ცდილობდა, რომ ოსმალებისთვის ეს გზები დაეკეტა. ამ მიზეზით, ზემოთ მოხსენიებული ალიანსი დააარსა და ამ მიზნის განხორციელებას შეუდგა. კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ პირველი სამიზნე ჯიქეთი იყო, იყო ის, რომ ჯიქები, ოსმალეთის იმპერიის წაქეზებით, აფხაზეთის, ოდიშისა და გურიის სანაპიროებს თავს ესხმოდნენ და ხალხს აწიოკებდნენ **(რეხვიაშვილი, 1989:32)**. 1533 წლის 30 იანვარს, პირველი შეჯახების დროს, ქართველები გამარჯვებულები დარჩნენ. მეორე დღეს კი ქართველებმა ბრძოლა წააგეს, რადგან დადიანის მებრძოლებმა ბრძოლის ველი დატოვა. მამია დადიანი ბრძოლაში დაიღუპა, მამია გურიელი მის სამ ძმასთან, ეპისკოპოსთან და ჯარისკაცებთან ერთად კი ტყვედ ჩავარდა **(გუჩუა, 1973-2:103; კაპანაძე, 2005:41)**.

1534 წელს ოსმალეთის იმპერიამ ირანზე გაილაშქრა. ამ ლაშქრობის დროს, კერძოდ, 1535 წელს შეიქმნა არზრუმის ვილაეთი. იგი ოსმალეთისთვის აღმოსავლეთში ლაშქრობების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სამხედრო ბაზას წარმოადგენდა. ოსმალეთის ჯარები აქედან ესხმოდნენ თავს საქართველოს, აღმოსავლეთ სომხეთსა და ირანს. არზრუმი საუკუნის მანძილზე ოსმალეთის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ყველაზე მნიშვნელოვანი ციხე-ბურჯი იყო **(სვანიძე, 1971:56; Bilge, 2015:47)**.

ბაგრატ მეფემ ჯიქებზე ლაშქრობის შემდეგ, თავისი ყურადღება სამცხე-საათაბაგოზე გადაიტანა, რომელიც ოსმალების მთავარი შესასვლელი იყო იმერეთში **(გუჩუა, 1973-2:104)**. ბაგრატი საათაბაგოს დამოუკიდებლობას არ აღიარებდა და ამტკიცებდა, რომ მისი ქვეყნის ტერიტორია იყო. გარდა ამისა, ოსმალთა იმერულ ლაშქრობაში მზეჭაბუკის მონაწილეობის გამო მის შვილზე უნდოდა შური ეძია. ამის გამო კვლავ შეკრა კავშირი გურიელთან და დადიანთან **(Berdzenişvili, Canaşia, 2000:227; სვანიძე, 1971:56)**. ამ პერიოდში ირანის შაჰი, ოსმალეთის დაქვემდებარებაში მყოფი სამცხის დასაპყრობად მოქმედებაზე გადავიდა **(Gümüş, 2000:61)**.

ახალქალაქის მახლობლად მდებარე მურჯახეთში მომხდარი ომის თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. აქედან პირველი 1535 წლის 15 აგვისტოა **(Kirzioğlu, 1998:384; სვანიძე, 1971:56)**. ასევე ზოგი მოსაზრებით, ამავე წლის 13 აგვისტო **(Gümüş, 2000:61)**, ზოგის კი 1536 წელია **(Kirzioğlu, 1998:162)**. პარიჟის ქრონიკაში ამ ომის თარირის შესახებ წერს: "*მურჯახეთს შეიბნეს აგვისტოსა. დღესა ხუთშაბათსა*" **(ჭიჭინაძე, 1903:9)**. ბრძოლაში დამარცხებული სამცხის ათაბაგი ყვარყვარე, ბაგრატ მეფეს ტყვედ ჩაუვარდა, სამცხის ტერიტორიები კი იმერეთს შეუერთდა **(სვანიძე, 1971:56; Allen, 1971:145; Kirzioğlu, 1998:384; საითიძე, 1998:104-105; კაპანაძე, 2005:45)**.

მაგრამ იმავე 1535 წელს ტყვეობაში მყოფი ყვარყვარე, იმერეთში გარდაიცვალა **(ხორავა, ვაჭრიძე, 2019:102)**. ბრძოლის ბოლოს აჭარისა და ჭანეთის ტერიტორიები გურიელს გადაეცა. ამით დადიანი უკმაყოფილო დარჩა. ფაქტია, რომ ბაგრატს ორი ფეოდალის გაძლიერება არ სურდა **(რეხვიაშვილი, 1989:34)**. ამ სიტუაციამ,

საბოლოოდ დადიანის მხრიდან სამმხრივი ალიანსის ღალატი გამოიწვია **(Berdzenişvili, Canaşia, 2000:227)**.

ქირზიოღლუს გადმოცემით, რომელმაც შეაფასა მურჯახეთის ბრძოლა, მეფე ბაგრატი ოსმალეთის და ათაბაგი ყვარყვარე კი ირანის მოკავშირე ყოფილა. მეფე ბაგრატს, ირანის მოკავშირე ყვარყვარეს წინააღმდეგ, არზრუმის ბეგლარბეგთანაც კი შეუკრავს კავშირი. ქირზიოღლუ, ბაგრატის მიერ სამცხის აღებას, ყვარყვარეზე დაქვემდებარებული კლარჯეთისა და სამცხე-ჯავახეთის, ოსმალეთის მოკავშირე იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შესვლად განიხილავს **(Kirzioğlu, 1998:384; Gümüş, 2000:61)**. ნები გუმუშის აზრით კი იმერეთის სამეფო სელიმის ქუთაისზე ლაშქრობის შემდეგაა ოსმალეთთან დაკავშირებული. ოსმალეთსა და ირანს, სამცხის ათაბაგთან ბრძოლაში მსგავსი მიზნები ჰქონიათ, ამიტომ ათაბაგს ირანთან კავშირი უმჯობინებია და ოსმალეთის მოკავშირეობაზე უარი უთქვამს. ამას ამტკიცებენ სამცხეზე ლაშქრობის დროს ირანის შაჰის მიერ ბაგრატისთვის გაგზავნილი საჩუქრები. გარდა ამისა, დამარცხების შემდეგ სამცხის ფეოდალების დახმარების სათხოვნელად სტამბოლში წასვლა, სამცხის ოსმალეთთან მოკავშირეობას ამტკიცებს. საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ მეფე ბაგრატი ოსმალებთან მკაფიო მტრულ დამოკიდებულებაში არ ყოფილა, როგორც ჩანს მას გარკვეული დროის მანძილზე ირანთან ახლო ურთიერთობა ჰქონია **(Gümüş, 2000:61)**. ჩვენი აზრით კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეფე ბაგრატს, სამცხის ტერიტორიების მისაკუთრება და საათაბაგოზე შურისძიება სურდა. ამის გამო მან, მურჯახეთის ომის დროს, ირანთან საერთო ინტერესების გამო კავშირი დაამყარა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნები გუმუშის შეფასება უფრო სავარაუდოა. როგორც შემდეგში ვნახავთ, ოსმალეთის იმპერიას, სამცხეში, იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ საბრძოლველად, ჯარისკაცებიც კი გაუგზავნია.

სამცხის ფეოდალები მურჯახეთის ბრძოლის შედეგით უკმაყოფილოები იყვნენ. ამ მიზეზით, ყვარყვარე ათაბაგის შვილი ქაიხოსრო და ოთარ შალიკაშვილი იმერეთის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად სტამბოლში გაემგზავრნენ **(რეხვიაშვილი, 1989:34; კაპანაძე, 2005:45)**. ამ რეგიონის ოსმალეთის იმპერიასთან პირდაპირ დაკავშირება, ოსმალეთისთვის სტრატეგიულობის თვალსაზრისით

მნიშვნელოვანი იყო. ამიტომ სულთან სულეიმანმა იმერეთის მმართველობის დასასრულებლად, 1541 წელს სამცხის ტერიტორიაზე დიდი ძალა გამოაგზავნა. 22 ათას კაცზე მეტმა ოსმალეთთა ჯარმა, ოლთისის ციხე ალყაში მოაქცია. 1543 წელს ოსმალეთის არმია კვლავ შევიდა ტაოში და დიდი ზიანი მიაყენა. ვახუშტის გადმოცემით, ოსმალეთის ჯარს კარგი შეიარაღება და ზარბაზნები ჰქონია. მიუხედავად ამისა, ოსმალეთის არმიასა და ბაგრატ-გურიელის ერთიან ძალებს შორის, ქარაღაქის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ ბრძოლაში, ოსმალები დამარცხებულან (**რეხვიაშვილი, 1989:37; კაპანაძე, 2005:47-48**).

1543 წელს ქარაღაქის ბრძოლაში ოსმალების დამარცხების შემდეგ, ქაიხოსრო და ოთარ შალიკაშვილი კვლავ სტამბოლში ჩავიდნენ და დახმარება ითხოვეს. ამის საპასუხოდ, სულეიმან I-მა 1545 წელს არზრუმისა და დიარბექირის ბეგლარბეგი კვლავ სამცხეში გაგზავნა. ბაგრატმა ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად გურიელს, დადიანსა და ქართლის მეფე ლუარსაბს დახმარება სთხოვა (**რეხვიაშვილი, 1989:37; კაპანაძე, 2005:48; ხორავა, ვაჭრიძე, 2019:112**). დადიანმა ამ კავშირში მონაწილეობა არ მიიღო. საქართველოს გაერთიანებულ ძალებსა და ოსმალებს შორის სოხოისტოსთან, ბასიანის მიდამოებში, დიდი ბრძოლა განხორციელდა, რომელიც დილიდან საღამომდე გაგრძელდა. ბრძოლის დაწყებამდე მესხმა ჯარისკაცებმა გარკვეული მიზეზით ბანაკი დატოვეს (**გუჩუა, 1973-2:107; Berdzenişvili, Canaşia, 2000:227**). რიცხობრივად უფრო მეტმა და შეიარაღებულმა ოსმალეთის ჯარმა ბრძოლა მოიგო (**რეხვიაშვილი, 1989:39; ჩოჩიევი, 1976:146**). ამ ბრძოლაში ოსმალეთის ჯარის რაოდენობად 22 ათასია მითითებული (**Berdzenişvili, Canaşia, 2000:227; Kirzioğlu, 1998:174**). ოსმალეთის არმიის შემადგენლობაში ქაიხოსრო და ოთარ შალიკაშვილიც იყვნენ. ოთარ შალიკაშვილის ხელმძღვანელობით ოსმალეთის არმიამ სამცხის ტერიტორიაზე მრავალი ციხე-სიმაგრე აიღო. ბრძოლაში, სადაც ქართველებმა დიდი დანაკარგი განიცადეს, გურიელის ვაჟი ქაიხოსრო მოკლეს. მეფე ბაგრატმა კი შეძლო ქუთაისში დაბრუნებულიყო (**Gümüş, 2000:63**).

1545 წლის სოხოისტას ბრძოლის შემდეგ, სამცხეში ოსმალეთის პოზიცია გაძლიერდა და მისი გავლენა უფრო გაიზარდა. შედეგად, ოსმალეთის გავლენა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოშიც გაძლიერდა. ქაიხოსრო ოსმალებმა

კვლავ ათაბაგად დანიშნეს და გადასახადის გადახდის პირობით, სამცხის მმართველობა დაუტოვეს (**Kirzioğlu, 1998:383**). ქართველთა წარუმატებლობის მიზეზი კიდევ ის იყო, რომ საქართველო, რომელსაც თავადები მართავდნენ, წარმატებას ვერ მიაღწევდა მანამ, სანამ არ გაერთიანდებოდნენ. ამავდროულად, ფეოდალური ქართული ძალების გაერთიანება შეუძლებელი იყო (**რეხვიაშვილი, 1989:40**).

1546 წელს შაჰ-თამაზმა საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრა. 1547 წელს, იმერეთის მეფემ ბაგრატმა და კახეთის მეფემ ლევანმა შაჰისადმი მორჩილება გამოაცხადეს და თავიანთი ქვეყნები შესაძლო შემოჭრისაგან გადაარჩინეს. შაჰმა მათ საჩუქრები გადასცა. მეფე ბაგრატი სახლში დაბრუნდა, კახეთის მეფე ლევანი კი, გარკვეული დროის მარძილზე შაჰთან დარჩა (**Kirzioğlu, 1998:176; საითიძე, 1998:108-109; Nəcəfli, 2016:7; კაპანაძე, 2005:51**). შაჰის მიერ საქართველოში განხორციელებული ეს მსვლელობები, დაღესტნისა და შირვანის ქვეყნებში შეჭრა და მუსულმანების დაპყრობა, გარდა ამისა, აღმოსავლეთ ანატოლიაში ალავითების პროპაგანდა, აღმოსავლეთში სეფიანებზე სულთან სულეიმანის ყურადღების გადატანის მიზეზი გახდა (**Bilge, 2015:49**). ამავდროულად, ოსმალეთის იმპერიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის მიმდინარე ომი, 1547 წლის 15 ივნისს გაფორმებული სტამბოლის შეთანხმების შედეგად შეწყდა. ამგვარად, ოსმალებმა დასავლეთ საზღვარი დაიკავეს. 1548 წლის 29 მარტს სულეიმანმა თავრიზზე, სეფიანებზე მიმართული მეორე ლაშქრობა განახორციელა (**Muhammedoğlu, 2000:406**).

ბაგრატ მეფემ, 1547 წელს შაჰ-თამაზისადმი მორჩილების გამოცხადების შემდეგ, საკუთარი ძალაუფლების გამყარებას შეუდგა. სამეგრელოს მმართველი, ლევან დადიანი შეიპყრო და დააპატიმრა. მოგვიანებით ბაგრატმა როსტომ გურიელი იმ პირობით, რომ მას ოდიშს გადასცემდა, ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად მოიხმო. გურიელმა, რომელმაც მეფის შეთავაზება საეჭვოდ მიიჩნია, ის უარყო და შესაბამისად, დადიანის ბედი არ გაიზიარა. ამ პერიოდში, სამცხის ათაბაგ ქაიხოსროს ჯაშუშმა, გელათის მონასტერში დაპატიმრებული დადიანი ახალციხეში გააპარა (**გუჩუა, 1973-2:108-109**). იგი რამდენიმე წლის შემდეგ, გურიელის დახმარებით, სამეგრელოში დაბრუნდა და ქვეყანას სათავეში ჩაუდგა. ბაგრატის წინააღმდეგ, გურიელმა და დადიანმა ოსმალებთან ურთიერთობები განავითარეს და მათი დაცვის

ქვეშ შევიდნენ. 1553 წლის მონაცემებით კი ეს ორნი, არზრუმის ბეგლარბეგის მხარდაჭერით სარგებლობდნენ (**Berdzenişvili, Canaşia, 2000:228**).

სულეიმანმა თავრიზზე განხორციელებული ლაშქრობით ქალაქი მეოთხეჯერ აიღო. მმართველად ელქას მირზა დაინიშნა, რომელსაც ოსმალეთის იმპერია მხარს უჭერდა, თუმცა მისი მმართველობა წარმატებული არ აღმოჩნდა. 1553 ან 1554 წელს ირანის ელჩები სამშვიდობო ხელშეკრულების შესათავაზებლად ამასიაში ჩამოვიდნენ. 1555 წელს ხელმოწერილი ამასიის ამ საზავო ხელშეკრულებით, ოსმალებსა და ირანს შორის თითქმის 50 წლიანი ომი შეწყდა. შეთანხმების შედეგად, ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის მუდმივად დავის საგნად მყოფი საქართველო, გაყოფილი იქნა. საქართველოს დასავლეთის მხარე ოსმალეთის და აღმოსავლეთი მხარე ირანის მმართველობის ქვეშ შევიდა.

3. 1555 წლის ამასიის ზავი და შემდგომ განვითარებული მოვლენები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალეთსა და ირანს შორის საბრძოლო ქმედებები 1501 წელს შაჰ-ისმაილის მიერ ირანის ტერიტორიაზე სეფიანთა დინასტიის ჩამოყალიბებასთან ერთად დაიწყო. ამ ორ ქვეყანას შორის დაპირისპირება, სულთან სელიმ I-ის პერიოდში უფრო გაძლიერდა, რადგან სელიმი აღმოსავლეთში სეფიანთა სახით არსებული საფრთხისა და მათ მიერ ანატოლიის აღმოსავლეთში შიიტური პოლიტიკის გატარების მცდელობისაგან ძალიან შეწუხებული იყო. ამ საფრთხის აღმოსაფხვრელად და აღმოსავლეთ ანატოლიაში მმართველობის შენარჩუნების მიზნით სეფიანთა დინასტიის წინააღმდეგ გაილაშქრა. 1514 წლის ჩალდირანის ბრძოლაში სეფიანები სასტიკად დამარცხდნენ. ამრიგად, სეფიანების ძლიერებასა და შიიტურ პროპაგანდას ბოლო მოეღო; აღმოსავლეთ ანატოლიაში კი ოსმალთა ძალაუფლება უფრო განმტკიცდა.

1520 წელს, სელიმის გარდაცვალების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ ტახტზე მისი შვილი, სულეიმანი ავიდა. ოსმალეთსა და ირანს შორის დაპირისპირება მისი მმართველობის პერიოდშიც გაგრძელდა. 1524 წელს შაჰ-ისმაილის სიკვდილის შემდეგ ტახტი, მისმა შვილმა შაჰ-თამაზმა (1524-1576) დაიკავა. სულთან სულეიმანმა ირანის წინააღმდეგ სამჯერ გაილაშქრა, თუმცა უშუალო ბრძოლა არცერთხელ არ

გამართულა. ამის მიზეზი, შაჰ თამაზის უკან დახევის პოლიტიკა იყო, როდესაც გზად ყველაფერს წვავდა და ანადგურებდა.

სულეიმანმა ირანზე პირველად 1533-1535 წლებში ილაშქრა. ოსმალეთის იმპერიამ, რომელმაც დასავლეთში ჰაბსბურგებთან სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა, გეზის აღმოსავლეთისკენ აღებით, კვლავ მთავარი საფრთხის, სეფაინების წინააღმდეგ გაილაშქრა. ამ ბრძოლაში ბაღდადი, თავრიზი, ჰამადანი და სულთანიე ხელთ იგდეს. სეფიანების არმია კი ოსმალეთის არმიასთან წინააღმდეგობის გარეშე, მუდმივად გაქცევით უკან იხევდა. როდესაც ოსმალებმა, დანახეს რომ მათ ბრძოლაში აღარავინ უწევდა წინააღმდეგობას, უკან დაბრუნდნენ **(Muhammedoğlu, 2000:406; Nəcəfli, 2011:44)**.

სულეიმანის ირანის წინააღმდეგ მეორე ლაშქრობა, შაჰ თამაზის ძმის, ელქას მირზას წახალისებით განხორციელდა, რომელიც ოსმალებთან შეხიზნული იყო. 1548 წლის ამ ლაშქრობის დროს, ვანი და მისი შემოგარენი ოსმალეთის მიწებს შეუერთდა. კვლავ დაიპყრეს თავრიზი. თუმცა ელქას მირზას ნათქამი სიმართლე არ აღმოჩნდა. სეფიანებმა ელქას მირზას მხარი არ დაუჭირეს და შაჰ-თამაზს დაუჭირეს მხარი **(Muhammedoğlu, 2000:406)**. ამ ბრძოლის დროსაც, შაჰ თამაზმა უბრძოლველად უკან დაიხია. მას შემდეგ, რაც ოსმალეთის ჯარი უკან დაბრუნდა, შაჰმა ვანის ტბის გარშემო შეტევა განახორციელა, თუმცა ამან ქემაჰის შემოგარენში დიდი დანაკარგები გამოიწვია **(Uzunçarşılı, 1975:359-360)**. ამ პერიოდში ალეპოში გამოსაზამთრებლად მყოფი სულთანი 1549 წელს დიარბაქირში ჩავიდა. აქ ყოფნის დროს მან თავისი ვეზირი, ყარა აჰმედ ფაშა, საქართველოში სალაშქროდ გააგზავნა. ამ ლაშქრობის მიზეზი, 1548 წელს არზრუმის ბეგლარბეგ მეჰმედ ფაშას მიერ საქართველოში (სამცხეში) დაპყრობილი ციხე-სიმაგრეების ქართველების მიერ უკან დაბრუნება და მათი ორმხრივი იყო, რაც ოსმალეთის იმპერიას პრობლემებს უქმნიდა **(Muhammedoğlu, 2000:406; Uzunçarşılı, 1975:360)**. მეორე ვეზირმა აჰმედ ფაშამ თვენახევრის განმავლობაში აიღო ოცი მნიშვნელოვანი ციხე, მათ შორის თორთომი და აქჩაქალე, სადაც სანჯაყი დააარსა. შაჰ-თამაზი კვლავ არსად ჩანდა, ამიტომ სულთანი თავისი არმიით სტამბოლში დაბრუნდა **(Uzunçarşılı, 1975:360; Peçevi, 1981:202-203; Solakzâde, 2016:575-576; სვანიძე, 1971:64)**. თავრიზზე ლაშქრობის

(სულეიმანის ირანზე მეორე ლაშქრობა) ყველაზე მნიშვნელოვანი ნადავლი, ქართველებიდან აღებული ოცდათხუთმეტი ციხე, ერთი საბეგლარბეგო და „სამი-ოთხი“ სასანჯაყო ადგილი იყო. გარდა ამისა, ჩამოყალიბდა ვანის სამთავრო, რომელმაც შემდეგში აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიასთან მისასვლელი გზა საბოლოოდ დაუხურა სეფიანებს და ირანის წინააღმდეგ სამხედრო თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი გახდა (Bilge, 2015:50).

1552 წლისათვის ოსმალები ევროპაში ომებს აწარმოებდნენ. სეფიანებმა ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვეს და აღმოსავლეთ ანატოლიაში იმპერიის მიწებზე თავდასხმა დაიწყეს. ყარსში, არზრუმში, ხლათში, ერზიჯანში, ბაიბურთსა და მის შემოგარენში დიდი ნადავლი იგდეს ხელთ (Muhammedoğlu, 2000:406). ამის საპასუხოდ სულეიმანმა 1553 წლის 28 აგვისტოს ირანის წინააღმდეგ მესამე ლაშქრობა დაიწყო, რომელიც ნახიჩევანის ომადაა წოდებული (Danişmend, 1971:278). სულთანი ომში ქართველებისგან მხარდაჭერა ითხოვდა, ამიტომ 1553 წლის ოქტომბერში, არზრუმის ბეგლარბეგ აიას ფაშას ხელით, მან საქართველოში წერილი გააგზავნა. ფირმანის მიხედვით, ქართველი თავადები, რომლებიც ოსმალებს ემორჩილებოდნენ, შეძლებდნენ დამოუკიდებლად ემართათ თავიანთი სამთავროები (Bilge, 2015:52). სულთანმა, დიდვეზირ რუსტემ ფაშას ადგილზე, ალეპოს მმართველად, მეორე ვეზირი ყარა აჰმედ ფაშა დანიშნა და თვითონ კი იქვე გამოიზამთრა. გაზაფხულზე ალეპოდან დიარბექირის, არზრუმისა და ყარსის გზით ირანში შევიდა. შაჰი კვლავ არსად ჩანდა. ნახიჩევანი, ერევანი, ყარაბაღი და მათი შემოგარენი დაიპყრო და გაანადგურა (Uzunçarşılı, 1975:360-361).

1553-1554 წლებში სეფიანებმა, რომლებმაც მრავალჯერ შეუტიეს ქართველებს, დაახლოებით 30.000 ქართველი თავიან სამფლობელოში ჩაიყვანეს (Nəcəfli, 2016:9). ქართველი თავადები და ზოგიერთი ჩერქეზი სახელმწიფო სამსახურში აიყვანეს. 1554 წლის აგვისტოში ყარსის შემოგარენსა და იმერეთში სეფიანთა ლაშქრობის საპასუხოდ, სულეიმან I-მა, 1554 წლის 6 სექტემბერს დიდვეზირი ყარა აჰმედ ფაშა, დაახლოებით 3-4 ათას იენიჩართან ერთად, საქართველოში სალაშქროდ გაგზავნა. აჰმედ ფაშამ ორი კვირის განმავლობაში, თორთომის, ოლთისის, არტაანის, ბასიანისა და იმერეთის მიწებზე თავდამსხმელი სეფიანები ამ მხარიდან გააძევა. შაჰის ძალების

გაყვანასთან ერთად დასრულდა ამ რეგიონებში საბრძოლო მოქმედებებიც. სეფიანებისა და ქართველების თავდასხმების ასარიდებლად, არტაანის სანჯაყი შეიქმნა, რომლის შემადგენლობაში ქამხისი შედიოდა **(Bilge, 2015:53)**.

ირანის ჯარი, ოსმალეთის არმიის წინააღმდეგ, კვლავ არ წავიდა. გარდა ამისა, უკან დახევითა და მიწების დაწვა-განადგურებით ოსმალეთის არმიას სურსათ-სანოვაგის პრობლემებს უქმნიდა (**Nəcəfli, 2011:46**). ასეთ მდგომარეობაში, ირანის მიწებზე დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა, ამიტომ სულთანი სტამბოლში დაბრუნდა და შემდეგი წლისთვის სალაშქრო სამზადის შეუდგა. თავიდან ჯარით არზრუმში მივიდა და ცოტა ხნით იქ დარჩა. როდესაც ჯარი არზრუმში იყო, ირანელი ელჩი არზრუმში ჩავიდა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება მოითხოვა. ამ შეთანხმებას სულთანი 1554 წლის 26 სექტემბერს დათანხმდა. 1554 წლის 30 ოქტომბერს ოსმალეთის ჯარმა, გამოზამთრების მიზნით, არზრუმი დატოვა და სივასის გავლით ამასიაში შევიდა **(Danişmend, 1971:291-293)**.

სულეიმან I ჯართან ერთად ამასიაში შვიდ-ნახევარი თვე დარჩა. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი და ჩვენს თემასთან უშუალო კავშირში ამასიის ხელშეკრულებაა. ეს ხელშეკრულება, ოსმალეთსა და სეფიანთა ირანს შორის დადებული პირველი ხელშეკრულებაა. 1554 წლის 10 მაისს ამასიაში ჩამოსული ირანის შაჰის ელჩი, ქემალედინ ფერუჰზადე ბეი დიდვეზირს შეხვდა, რომელსაც განუცხადა, რომ ირანის შაჰს სურდა მშვიდობიანი ურთიერთობა ოსმალეთის იმპერიასთან. ზოგ წყაროებში ამ თარიღად 1554 წლის 17 მაისია მითითებული **(Şahin, Emecen, 1991:4)**. 1555 წლის 21-22 მაისს მოეწყო საიმპერატორო საბჭო (დივანი). შეკრებაზე მოწვეულმა სეფიანთა წარმომადგენელმა, ელჩმა, ფადიშაჰს მრავალი ღირებული საჩუქარი და სამშვიდობო შეთავაზების ამსახველი წერილი წარუდგინა. 29 მაისს, ზოგიერთი წყაროს მიხედვით კი 1554 წლის ივნისში საბჭო კვლავ შედგა. სულთანმა ირანის შაჰს, კრებაზე მოწვეული ირანის ელჩის ხელით, წერილი გაუგზავნა, სადაც სამშვიდობო ხელშეკრულებაზე თანხმობას აცხადებდა. ამგვარად ირანისა და ოსმალეთის იმპერიის ბრძოლას, რომელიც ნახევარ საუკუნე მიმდინარეობდა, ბოლო მოეღო.

ამასიის ხელშეკრულების მიხედვით ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობა დამყარდა და მიწების გაყოფით საზღვარი განისაზღვრა. ეს საზღვარი ლიხის მთასა და ყარსს შორის გადიოდა. არტაანი და შავშეთი ოსმალეთს დარჩა (**Gümüş, 2000:66; Allen, 1970:52-53**). ამ ხელშეკრულების გამო ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა. შეთანხმების მიხედვით, საქართველო ორ ნაწილად - აღმოსავლეთად და დასავლეთად გაიყო. ქვეყნის დასავლეთით მდებარე იმერეთი, სამეგრელო, გურია და დასავლეთ სამცხის მიწები ოსმალეთის, ხოლო ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში დარჩენილი ქართლი, კახეთი და აღმოსავლეთ სამცხე, ირანის მმართველობის ქვეშ შევიდა (**Uzunçarşılı, 1975:361; Karamanlı, 1996-2:314; Şahin, Emecen, 1991:4; Gümüş, 2000:66; სვანიძე, 2009:193; გუჩუა, 1973-2:113; Beradze, Kutsia, 2002:161**).

ამასიის ხელშეკრულების თანახმად, ირანმა და ოსმალეთმა საქართველო გაინაწილეს. ზავის დიპლომატიური ფორმულირება ასეთი იყო: ირანი ცნობდა ოსმალეთის უფლებას დასავლეთ საქართველოზე, ხოლო ოსმალეთი ცნობდა ირანის უფლებას აღმოსავლეთ საქართველოზე (**ხორავა, ვაჭრიძე, 2019:136-137**). ეს იმას ნიშნავდა, რომ ისედაც პოლიტიკურად გაყოფილი საქართველო, ძირფესვიანად დაიშლებოდა. საქართველოს სამეფოებსა და სამთავროთა შორის ყველაზე დაზარალებული სამცხის სამთვარო აღმოჩნდა, რადგან სამცხე ორ ქვეყანას შორის, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად გაიყო. მისი გეოპოლიტიკური პოზიციის გამო სამცხის სამთავრო, ორივე სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ამიტომ არც ოსმალეთი და არც ირანი მის დათმობას არ აპირებდა (**Gümüş, 2000:68; სვანიძე, 1971:79-80**).

ოსმალეთის იმპერიაში შემავალი საქართველოს კუთხეები, იძულებული იყვნენ ოსმალებისთვის გადასახადი გადაეხადათ და სეფიანებთან ომის პერიოდში მათთვის სამხედრო ძალით დახმარება გაეწიათ (**Gökçe, 1979:24**).

შაჰ თამაზის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე, მისი ვაჟი, ისმაილ II ავიდა. ამასიის ხელშეკრულება, რომელიც ოსმალეთსა და ირანს შორის დადებული პირველი ხელშეკრულებაა, ისმაილ II მმართველობის დროსაც, დაახლოებით ოცდახუთი წელი გაგრძელდა (**Şahin, Emecen, 1991:4; Uzunçarşılı, 1975:361**).

ამასიის ხელშეკრულების შემდეგ იმერეთის მეფე ბაგრატის, ქართლის მეფე ლუარსაბის ელჩები, ასევე სამეგრელოსა და გურიის მმართველების წარმომადგენლები, ხარკთან ერთად, არზრუმში ჩავიდნენ. ეს ფაქტი როდესაც სტამბოლში შეიტყვეს, 1555 წლის 15 აგვისტოს არზრუმის საბეგლარბეგოს ელჩებისა და ნადავლის სტამბოლში გადაყვანა მოსთხოვეს **(Kirzioğlu, 1998:412)**.

1554 წლის შემოდგომაზე ოლთისსა და არტაანში ირანის ჯარი შემოიჭრა, სურამისა და ახალდაბისა ციხეები აიღო და შაჰის ქვეშემდგომლობაში მყოფ ქართლის მეფე ლუარსაბს გადასცა. ხელშეკრულების შემდეგ კი იმერეთის მეფემ, ბაგრატმა სტამბოლში ელჩი გააგზავნა და, რადგან ძველად ეს ციხეები მას ეკუთვნოდა, მასზე გადაცემა მოითხოვა. გარდა ამისა, არზრუმის ბეგლარბეგ აიას ფაშას 1555 წლის 11-20 ივნისს წერილი გაუგზავნა. წერილში, ირანის ელჩ შაჰ-ყულუსთან შეხვედრას, ხელშეკრულების მიხედვით ამ ციხეების იმერეთის სამეფოსათვის დაბრუნებასა და შედეგების მასზე შეტყობინებას ითხოვდა **(Kirzioğlu, 1998:411)**. როგორც ვხედავთ, შეთანხმების პროტექტორატის მიხედვით ოსმალეთის სახელმწიფოს, იმერეთის სამეფოს მოთხოვნები შეუფასებია, ირანის წინაშე დაუცვია და შუამავლობა გაუწევია. რასაკვირველია, ოსმალეთს იმერეთის სამეფო მხოლოდ ხელშეკრულების გამო არ დაუცვია; ციხეების იმერეთზე გადაცემა მასაც გარკვეულწილად წაადგებოდა.

ხელშეკრულების შემდეგ პერიოდში ოსმალეთის იმპერია საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი სამეფოს, იმერეთს ყურადღებით თვალ-ყურს ადევნებდა. განსაკუთრებით მის ურთიერთობას ირანთან. იმერეთის სამეფოსთან დაახლოების გამო ზომებიც კი მიუღია. მაგალითისთვის ოსმალეთის არქივის დოკუმენტაცია შეიძლება მოვიყვანოთ. 1559 წლის 31 ოქტომბერს არზრუმის ბეგლარბეგისთვის მიწერილი ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, ყიზილბაშებისა (სეფიანები) და ქართული მხარის მდგომარეობის გამოძიება და შეგროვილი ინფორმაციის სტამბოლში გადაგზავნა მოუთხოვია **(BOA, MH. 3/477)**. 1564 წლის 3 ნოემბრის დოკუმენტის მიხედით, არზრუმის ძველ ბეგლარბეგ ალი ფაშას, სტამბოლში წერილი გაუგზავნია, სადაც ქართველი თავადებს კვლავ ოსმალეთის მორჩილებაში ყოფნა, თუმცა იმერეთის მეფესა და სეფიანთა შაჰს შორის მუდმივად ელჩების მისვლა

მოსვლა უუწყებია. ალი ფაშას ანატოლიის ბეგლარბეგად დანიშვნის შემდეგ, სინან ფაშა მის ადგილას დაინიშნა. სინან ფაშასთვის გაგზავნილ ამ წერილში, არზრუმის საზღვრის დადგენისათვის ირანიდან კაცის ჩამოსვლა-არჩამოსვლის, სასაზღვრო უსაფრთხოების მდგომარეობისა და ქართველი ბატონების ირანთან ურთიერთობის სტამბოლისათვის შეტყობინება და ქართველ ბატონებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება უბრძანებია. გარდა ამისა, საქართველოსა და ირანს შორის ელჩების მისვლა მოსვლის მიზეზის დადგენაც მოუთხოვია **(BOA, MH. 6/21)**. 1566 წლის 9 თებერვალს ალი ფაშას მიერ, არზრუმის ბეგლარბეგისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოს საზღვრები უსაფრთხოდაა და ირანის შესახებ მიწოდებული ინფორმაციები მიუღია. გარდა ამისა, ირანისა და საქართველოზე შემდგომში მოპოვებული ინფორმაციის მასზე გაგზავნაც უთხოვია **(BOA, MH. 5/1000).** 1568 წლის 29 იანვრით დათარიღებულ სხვა დოკუმენტში, მას იმერეთის სამეფოსგან საქართველოს შესახებ ინფორმაციების გაგზავნა მოუთხოვია **(BOA, MH. 7/767).** საქართველოს შესახებ ინფორმაციები ოსმალეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ამიტომ 1568 წლის 29 იანვარს არზრუმის ბეგლარბეგისთვის ალი ფაშას დოკუმენტი გაუგზავნია და დაუყოვნებლივ იმერეთის მეფისათვის წერილის გადაცემა მოუთხოვია **(BOA, MH. 7/769).**

იგივე ამასიის ხელშეკრულების შემდგომ პერიოდში ოსმალეთის სახელმწიფოს მოუთხოვია, რომ იმერეთის სამეფოს ირანთან უერთიერთობები, ამასიის ხელშეკრულების პირობების თანახმად, მშვიდობიანი სახით შენარჩუნებულიყო. მაგალითისთვის, კვლავ საარქივო დოკუმენტები შეიძლება მოვიყვანოთ. 1565 წლის 24 აგვისტოს არზრუმის ბეგლარბეგისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ირანის შაჰს შეჰრიზოლ ბეგლარბეგისთვის წერილი გაუგზავნია, რომელშიდაც მასზედ დამოკიდებული ქართველი თავადების იმერეთის სამეფოში შეხიზვნას იუწყებოდა. ირანის შაჰს იმერეთის მეფისათვის ქართველი ბატონების უკან დაბრუნება მოუთხოვია, თუმცა მისგან უარი მიუღია. ეს მდგომარეობა შაჰს სტამბოლისთვის შეუტყობინებია. ამის საპასუხოდ, არზრუმის ბეგლარბეგს იმერეთის მეფისთვის წერილი გაუგზავნია, რათა გაეგო თუ როდის გადავიდნენ ქართველი თავადები იმერეთის სამეფოში, ამასიის ხელშეკრულების

შემდეგ თუ მანამდე. თუ მათ ხელშეკრულების შემდეგ დატოვეს შაჰი, მაშინ ისინი ირანში უნდა დაბრუნებულიყვნენ, თუ ხელშეკრულებამდე, მაშინ ირანის შაჰისთვის, საჭირო პასუხის გაცემის მიზნით, მდგომარეობა უნდა აეხსნათ (BOA, MH. 5/147). 1565 წლის 24 ოქტომბერს დათარიღებულ სხვა დოკუმენტში ნახსენებია, რომ ზემოხსენებული მდგომარეობა, შეჰრიზოლ ბეგლარბეგისთვისაც შეუტყობინებიათ (BOA, MH. 5/153).

ამასიის ხელშეკრულების შემდეგ იმერეთის სამეფოსა და ირანს შორის დიპლომატიური პრობლემები გარკვეული შეთანხმების შესაბამისად გადაიჭრა. ამ პრობლემების შესახებ ცნობები გვხვდება ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში. ამის შესახებ საუბარია ნები გუმუშის სადოქტორო ნაშრომშიც (Gümüş, 2000:70-71). ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, ირანის ქვეშევდომ თავადთაგან ვინმე გიორგის ერთი ქალი ირანიდან გაუპარებია და თავის შესაფარებლად იმერეთში წაუყვანია. ირანს, ამასიის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ამ საკითხის გადასაწყვეტად ოსმალეთისთვის შეუტყობინებია. თავდაპირველად, ამ ქალის უკან დაბრუნება იმერეთის ხელისუფლებისათვის მოუთხოვია, თუმცა მათი უარის შემდეგ ეს მოთხოვნა ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებისთვის, არზრუმის საბეგლარბეგოს მეშვეობით გადაუცია. 1565 წლის 3 დეკემბრით დათარიღებულ სტამბოლიდან არზრუმის ვილაეთში გამოგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ ხელშეკრულების მიხედვით, ქართველი თავადები ვალდებული იყვნენ ის მოეძებნათ და უკან დაებრუნებიათ. გარდა ამისა, არზრუმის ვილაეთის სანჯაყბეგები მკაცრად გაუფრთხილებია, რომ ირანთან დადებული ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ არაფერი ემოქმედათ (BOA, MH. 5/618).

ამ საკითხის გასარკვევად არზრუმის ბეგლარბეგებს იმერეთში ხალხი გაუგზავნია. აღმოჩნდა, რომ ქალი იმერეთში კი არა, გიორგის სამშობლოში, გურიაში იმყოფებოდა. როდესაც ქალს გაუგია, რომ ეძებნენ, გურიიდან გაქცეულა, თავი ჯერ სამეგრელოსთვის, შემდეგ კი აფხაზეთთან ახლოს შეუფარებია. 1565 წლის 9 თებერვალს სტამბოლიდან არზრუმში კვლავ იგივე ბრძანება მოსულა; ქალი უნდა ეპოვათ და ირანში დაებრუნებიათ (BOA, MH. 5/1004). ამის შემდეგ, არზრუმის ბეგლარბეგს სტამბოლისთვის შეუტყობინებია, რომ ქალი თავის სიძესთან, გიორგი

გურიელის აზნაურთან, იმრაკოზთან ერთად იმყოფებოდა. იმრაკოზს, მისთვის თავშესაფრის მიცემის სანაცვლოდ, სიდედრი ოსმალებთან დაუბეზღებია. სტამბოლს 1566 წლის 19 მარტს არზრუმის ბეგლარბეგისთვის მიწერილ წერილში გამოუცხადებია, რომ თუ იმრაკოზი ქალს გადასცემდა, მას მიწებს მისცემდნენ (BOA, MH. 5/1269).

ამის მიუხედავად საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა, რადგან მომდევნო წლებშიც ირანს არზრუმისთვის კვლავ შეუტყობინებია, რომ ქალი იმერეთში იმყოფებოდა და, რომ ის უკან დაებრუნებინათ. 1567 წლის 30 დეკემბრით დათარიღებული სტამბოლიდან არზრუმში გაგზავნილი წერილი კვლავ ამ საკითხის ეხება. სტამბოლი არზრუმის ბეგლარბეგისგან მოითხოვდა, რომ გაეგო ინფორმაცია ქალის მდგომარეობისა და მისი ადგილსამყოფელის შესახებ, გაეგო მიზეზი თუ რატომ ითხოვდა ირანი მის უკან დაბრუნებას (BOA, MH. 7/579).

როგორც 1568 წლის 8 აპრილით დათარიღებული დოკუმენტიდან ირკვევა, ქალი სამეგრელოში იმყოფებოდა და ის გიორგის მეუღლე იყო. ირანი კი ქალის დაბრუნებას მოითხოვდა, რათა, თუ ის სხვაზე არ იყო დაქორწინებული, ყაზვინში მყოფ მის ვაჟებს შეხვედროდა. ამ მოთხოვნის შესრულების მიზნით, არზრუმის ბეგლარბეგისთვის კვლავ ბრძანება გაუგზავნიათ (BOA, MH. 7/1243).

1568 წლის 11 აპრილით დათარიღებულ არზრუმის ბეგლარბეგისთვის გაგზავნილი წერილით ირკვევა, რომ ვაჟები შაჰ-თამაზთან იმყოფებოდნენ და ქალი სხვაზე არ იყო დაქორწინებული. სტამბოლიდან მოითხოვდნენ, რომ ქალის შესახებ ზუსტი ინფორმაცია მოეძიებინათ და შედეგი მათთვის შეეტყობინებინათ (BOA, MH. 7/1257).

ზემოთხსენებული მაგალითებიდან ჩანს, რომ ირანი და ოსმალეთი პრობლემების გადაჭრას, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ცდილობდნენ. ამის შემდეგ, ქალის შესახებ ცნობები სამწუხაროდ არ მოიპოვება. როგორც ნები გუმუში აცხადებს, დასამალავად ხელსაყრელ რეგიონებში, როგორიცაა გურია, იმერეთი, სამეგრელო და აფხაზეთი, ვინმეს კვალის მიგნება საკმაოდ რთულია (Gümüş, 2000:71). ამ მოსაზრებას ჩვენც ვეთანხმებით.

მოხსენიებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იმერეთის სამეფო და ზოგადად საქართველო, ოსმალეთის იმპერიისთვის, კავკასიაში ძალიან სტრატეგიული მნიშვნელობისაა. საქართველომ განსაკუთრებით შეინარჩუნა ეფექტურობა XVI ს-ში ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე სეფიანების წინააღმდეგ, ოსმალეთის იმპერიის მიერ გატარებულ შეთანხმებასთან, დიპლომატიასა და სამხედრო საქმიანობასთან ერთად.

4. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები 1578-1590 წწ. ირან-ოსმალეთის ომის დროს

1555 წელს ხელმოწერილი ამასიის ხელშეკრულებით ირანისა და ოსმალეთის იმპერიას შორის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ომები დასრულდა. ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ოსმალეთმა და ირანმა საქართველოს ტერიტორიები გაიყვეს და მშვიდობიანი პოლიტიკით შეეცადნენ თავიანთი პრობლემების მოგვარებას. ამ მდგომარეობის ამსახველი მაგალითები ზემოთ უკვე განვიხილეთ.

1565 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III გარდაიცვალა და ტახტზე გიორგი II (1565-1583) ავიდა. ბაგრატ III-ის მეფობის დროს ოსმალებმა, იმერეთზე მრავალი ლაშქრობა განახორციელეს. გარდა ამისა ბაგრატ III-ს, იმერეთის მთავრებთანაც არაერთი ბრძოლის გადატანა მოუხდა.

გიორგი II ტახტზე ასვლის პირველ ხანებში, იმერეთის (დადიანი და გურიელი) მთავრებთან მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებდა **(წვერავა, 2013:146-147)**. თუმცა ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მეფის ძალაუფლების შესუსტებასთან ერთად, დადიანისა და გურიელის მეთაურობით, მეფის წინააღმდეგ შეტევები დაიწყო. ამან დასავლეთ საქართველოში დიდი პრობლემები და შიდა არეულობა გამოიწვია. ეს პრობლემები, რომელიც ბაგრატ III-ის სიკვდილის შემდეგ დაიწყო, XVI ს-ის ბოლოსა და XVII-XVIII სს-ის განმავლობაში გაგრძელდა. მომხდარმა ომებმა ქვეყანა ვერ გააერთიანა, პირიქით, ამან საგარეო პოლიტიკის შესუსტება გამოიწვია **(რეხვიაშვილი, 1989:54)**.

1564 წელს გურიის მმართველი როსტომი გარდაიცვალა და იმერეთის მეფე ბაგრატის თანხმობით, მისი ადგილი როსტომის შვილმა, გიორგიმ დაიკავა

(ბატონიშვილი, 1973:815). საარქივო დოკუმენტები კი ადასტურებენ, რომ გურიის მმართველად გიორგის დანიშვნა ოსმალეთის იმპერიაში დაუმტკიცებიათ. არზრუმის ბეგლარბეგს სტამბოლში წერილი გაუგზავნია, სადაც იუწყებოდა, რომ როსტომის შვილი გიორგი, პატიოსანი და გამოსადეგი იყო. სტამბოლში, 1564 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით, გურიის სამთავრო, როსტომის პირობების მიხედვით, გიორგის გადაეცა **(BOA, MH. 6/21).**

1566 წელს სულეიმანი I (1520-1566) გარდაიცვალა და მისი ადგილი, მისმა შვილმა სელიმ II-მ (1566-1574) დაიკავა **(Emecen, 2009-2:416)**. როგორც ვხედავთ, იმერეთისა და ოსმალეთის სამეფო ტახტებზე, ერთი წელიწადის სხვაობით, ახალი მეფე და სულთანი ასულა.

ოსმალეთის იმპერიის ტახტზე ამ ცვლილებების შემდეგ, გიორგი II-მ სტამბოლში ელჩი გააგზავნა, რომლის მეშვეობითაც ოსმალეთის სულთანს ერთგულება გამოუცხადა. 1568 წლის 29 იანვრით დათარიღებულ, იმერეთის მეფე გიორგისთვის გაგზავნილ წერილში, სელიმ II იტყობინებოდა, რომ ელჩის ხელით გამოგზავნილი გიორგის წერილი მიიღო და, რომ მის ერთგულებასა და გულწრფელობაში ეჭვი არ ეპარებოდა. მან ასევე სთხოვა მიეღო ის საჩუქრები, რომელიც გაუგზავნა და ოსმალებისთვის გულწრფელობით ემსახურა **(BOA, MH. 7/767).** გარკვეული პერიოდის შემდეგ კი არზრუმის ბეგლარბეგს მოთხოვა, რომ წერილი, რომელიც მეფე გიორგის გაუგზავნა, სასწრაფოდ გადაეგზავნა **(BOA, MH. 7/769).**

როგორც ვხედავთ, მეფე გიორგის ოსმალებთან კარგი ურთიერთობა ჰქონია, მაგრამ ქვეყნის შიდა არეულობები მას მძიმე მდგომარეობაში აგდებდა. 1568 წლისთვის, მეფე გიორგი, გიორგი გურიელთან, ლევან დადიანთან, აფხაზეთისა და სხვა თავადებთან ბრძოლებს აწარმოებდა. ამ პერიოდში გურიელსა და დადიანს შორის უთანხმოება დაიწყო. ამით ისარგებლა მეფე გიორგიმ და გურიელი მოკავშირედ გაიხადა. ამ კავშირმა მეფის ძალაუფლება გააძლიერა. მეფე გიორგიმ და გურიელმა ოდიში ხელთ იგდეს. ლევან დადიანი მიხვდა, რომ მას არ შეეძლო მეფისა და გურიელის კავშირთან გამკლავება და თავის შეფარების მიზნით, სტამბოლში გაიქცა **(რეხვიაშვილი, 1989:55-56; გუჩუა, 1973-3:123-124)**.

სელიმ II-მ ლევან დადიანს დახმარება გაუწია, რადგან ეს მდგომარეობა სულთნისთვისაც სასარგებლო იყო. ამით სულთანი შეძლებდა დასავლეთ საქართველოსა და იმერეთის შიდა საქმეებში ჩარეულიყო. სელიმ II-მ, არზრუმისა და ტრაპიზონის ჯარებით და 9 გემით, დადიანს მხარი სიამოვნებით დაუჭირა. ლევან დადიანი, ოსმალეთის ჯარისკაცების მხარდაჭერით საქართველოში შემოიჭრა. როდესაც გურიელმა ჯარი დაინახა, შეშინდა და დადიანისგან პატიება ითხოვა. დადიანმა ეს თხოვნა 10.000 ოქროს მონეტა ხარკის სანაცვლოდ მიიღო. ამის შემდეგ დადიანი და გურიელი კვლავ მოკავშირეები გახდნენ და ოსმალეთის ჯარისკაცების დახმარებით, ოდიში კვლავ დაიბრუნეს **(რეხვიაშვილი, 1989:57; გუჩუა, 1973-3:124)**.

ამ მოვლენების შესახებ ცნობები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებშიც შეგვიძლია ვიხილოთ. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, ლევან დადიანი სტამბოლში არ ჩასულა. როდესაც დადიანი მიმხვდარა, რომ მეფისა და გურიელის კავშირის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობდა, სტამბოლისთვის მეფე გიორგისა და გურიელის მოკავშირეობის და იმ პრობლემების შესახებ შეუტყობინებია, რომელსაც ამ ორის მოკავშირეობა გამოიწვევდა. ამის საპასუხოდ, 1567 წლის 11 ნოემბერს ტრაპიზონისა და არზრუმის მმართველებისთვის წერილი გაუგზავნია. სულთანი მათგან მოითხოვდა, რომ გურიელი გაეფრთხილებიათ, რათა არანაირი ამბოხება არ გაემართა **(BOA, MH. 7/421).**

ოსმალურ საარქივო დოკუმენტაციის ჩანაწერებში ვხედავთ, რომ ოსმალეთმა გააგრძელა ლევან დადიანის მხარდაჭერა. მას, გურიის სამთავრო, გურიელისთვის წაურთმევია და ლევან დადიანის შვილისთვის, გიორგისთვის, როგორც სანჯაყი ისე გადაუცია. გიორგი გურიელი ხმის ამოუღებლად ამ გადაწყვეტილებას დამორჩილებია და სტამბოლში ჩასვლის ნებართვა უთხოვია. სულთანი დათანხმებულა, მაგრამ შავშეთის ბატონისა და ლევან დადიანის თხოვნით გადაუფიქრებია. ამის მიზეზი ის იყო, რომ თუ გიორგი გურიელი სტამბოლში წავიდოდა, ის ისლამს მიიღებდა და ამ შემთხვევაში სულთანი, მუსულმან ბატონს უფრო დაუჭერდა მხარს. ეს კი ლევან დადიანის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. გარდა ამისა, გურიისგან მიღებული თანხა, სტამბოლში სრულიად გადაუგზავნია. ოსმალეთის იმპერიასა და დასავლეთ საქართველოს სამთავროს შორის ეს

ურთიერთობა, ოსმალური საარქივო დოკუმენტების მიხედვით, 1568 წლის ივლისითა და ნოემბერითაა დათარიღებული (**BOA, MH. 7/1767, 2301, 2303, 2476, 2511**).

1572 წელს ლევან დადიანი გარდაიცვალა და ტახტზე მისი შვილი გიორგი ავიდა. ამით გურიელსა და დადიანს შორის ურთიერთობები დასრულდა. იმერეთის მეფე გიორგიმ გადაწყვიტა, რომ ისეთი კავშირი ჩამოეყალიბებინა, რომლიდანაც სარგებელს ნახავდა. მან გიორგი დადიანის და, თავის შვილსა და მემკვიდრე ბაგრატზე დააქორწინა. ამ გზით კი დადიანი მოკავშირედ გაიხადა (**რეხვიაშვილი, 1989:58**).

იმერეთის მეფისა და დადიანის ამ კავშირის საპასუხოდ, გიორგი გურიელმა გიორგი დადიანის ძმა მამია თავის მხარეზე გადმოიბირა და მეფე გიორგის წინააღმდეგ კავშირი შექმნა. გიორგი დადიანი, აფხაზეთზე, ჯიქეთსა და ჩერქეზეთზე წარმატებული ლაშქრობის შემდეგ, ძმის, მამიას წინააღმდეგ გაემართა. მამიამ, გურიელს დახმარება სთხოვა. გურიელი, თავისი ჯარისკაცებით მის დასახმარებლად ზუგდიდში წავიდა და ერთიანი ძალებით გიორგი დადიანი დაამარცხეს. გურიელსა და დადიანს შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც დადიანი დათანხმდა, რომ გურიელს 10.000 ოქროს ოდენობის კომპენსაციას გადაუხდიდა. ამ ხელშეკრულების შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, იმერეთში მშვიდობა სუფევდა (**რეხვიაშვილი, 1989:59**).

ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ასულმა გიორგიმ, ვერ შეძლო ოსმალებისთვის დროულად გადასახადების გაგზავნა. ამის მიზეზი მამამისის გარდაცვალება იყო. გიორგიმ, რომელმაც სტამბოლს თავისი მდგომარეობა განუმარტა, განაცხადა, რომ ეს აჯანყება ან დაუმორჩილებლობა არ იყო. სტამბოლიდან გიორგისათვის გაგზავნილ 1573 წლის 28 ივნისით დათარიღებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ სულთანი მის ამ საბაბს ითვალისწინებდა და ამიერიდან ვალდებული იყო, საიმედო კაცის ხელით, გადასახადი დროულად გაეგზავნა (**Şahin, 2014, MH.22/221, s. 171**). თუმცა წყაროებიდან ირკვევა, რომ დადიანსა და გურიელს სტამბოლში გადასახადი არ გაუგზავნიათ. ამის გამო, 1573 წლის 14 აგვისტოს სულთანს არზრუმის ბეგლარბეგისათვის წერილი გაუგზავნია,

რომლისთვისაც გადასახადების რაც შეიძლება სწრაფად შეგროვება და მიწოდება უბრძანებია **(Altı, 2013, MH. 22/612, s. 122)**.

როგორც ვხედავთ, ოსმალეთის მმართველობა იმერეთში ამ პერიოდშიც გაგრძელებულა. ორ ქვეყანას შორის არანაირი ნეგატიური მოვლენები არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმერეთის სამეფოს, რადგან აქ მდგომარეობა უფრო რთულად იყო. მეფე ბაგრატ III-ს გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ასული გიორგი II-ს პერიოდში, მეფესა და მთავრებს შორის გარკვეულ უთანხმოებებს ჰქონდა ადგილი. მეფის უფლებამოსილების სისუსტის გამო, ის ზოგჯერ იძულებული ხდებოდა, მთავრებთან ერთობა ჩამოეყალიბებინა. ეს კავშირები, სიტუაციისა და დროის მიხედვით, მუდმივად იცვლებოდა. ზოგჯერ მეფე, მის წინააღმდეგ შექმნილ ალიანს არღვევდა, რადგან მხოლოდ ამის მეშვეობით შეეძლო, რომ ქვეყნის მთავრების წინააღმდეგ ძლიერი ყოფილიყო.

1574 წელს სელიმ II გარდაიცვალა. მისი მმართველობის პერიოდში, ოსმალეთის იმპერიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, 1571 წელს კვიპროსის კუნძულის დაპყრობა იყო **(Emecen, 2009-2:417; Uzunçarşılı, 1988:32-34)** ამგვარად, ოსმალეთის იმპერიამ ხმელთაშუა ზღვაში ძალიან მნიშვნელოვანი დასაყრდენი მოიპოვა და დომინირება გააძლიერა. სელიმ II-ის გარდაცვალების შემდეგ ოსმალეთის ტახტზე მისი შვილი, მურად III ავიდა (1574-1595) **(Kütükoğlu, 2006-1:172)**.

სელიმ II-ის პერიოდში ოსმალეთ-ირანის ურთიერთობები პოზიტიურად მიმდინარეობდა. ამას ადასტურებს შაჰ-თამაზის წერილი, რომელიც სელიმს ტახტზე ასვლისას გაუგზავნა. როცა შაჰ-თამაზის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე შაჰ-ისმაილ II ავიდა, ურთიერთობა შეიცვალა **(Hasani, 2003:16-17)**. ამ პერიოდში, შაჰისა და ირანის მმართველების ოსმალეთის საზღვარზე ნეგატიური საქმიანობიდან გამომდინარე და ასევე ანატოლიაში სეფიანების კვლავ გაჩენის გამო, ოსმალეთი იძულებული გახდა კვლავ ირანის წინააღმდეგ გაელაშქრა **(Muhammedoğlu, 2000:406)**. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ოსმალეთის იმპერიამ ირანში არსებული უთანხმოება შესაძლებლობად მიიჩნია **(Karamanlı, 1996-2:314)**, რადგან ოსმალეთი, ამასიის ხელშეკრულებით კმაყოფილი არ იყო. ოსმალეთს განსაკუთრებით კავკასიის

დაპყრობა სურდა. წარმატების შემთხვევაში მას შეეძლო ჩრდილოეთიდან ირანზე შეტევა. კასპიის ზღვის სანაპიროების დაპყრობის შედეგად, ცენტრალური აზიის თურქულ ხალხებთან ურთიერთობას გააძლიერებდა. გარდა ამისა, კაკკასიის სავაჭრო გზას ოსმალეთისთვის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა **(რეხვიაშვილი, 1989:60)**.

როგორც ვხედავთ, საქართველო, რომელიც XVI ს-ის დასაწყისიდან ოსმალეთის იმპერიასა და ირანს შორის ბრძოლის ველი იყო, ამასიის ხელშეკრულების პირობების თანახმად, 1555-1578 წლებში ამ ორ ქვეყანას შორის გაიყო და ურთიერთობებიც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაგრძელდა. თუმცა, ეს შეთანხმება 1578 წელს ოსმალეთ-ირანის უთანხმოებით დაირღვა და საქართველოს ტერიტორიები კვლავ ბრძოლის ველად გადაიქცა **(Karamanlı, 1996-2:314)**. 1578 წლის 2 იანვარს ქოჯა სინან ფაშა და ლალა მუსტაფა ფაშა მთავარსარდლად დაინიშნა, რათა საქართველოს მიწები და შირვანი დაეპყროთ, რომლებიც იმ პერიოდში სეფიანების ხელში იყო **(Kütükoğlu, 2003:74; Matthee, 2014:15)**. ამგვარად, 1578-1590 წლებში ოსმალეთსა და ირანს შორის ომი კვლავ მიმდინარეობდა.

ბრძოლაში ორი მთავარსარდლის დანიშვნა არცერთის ინტერესებში არ ჯდებოდა და მათ შორის, უთანხმოება დაიწყო. რადგან ეს ომზე ცუდად აისახებოდა, დიდვეზირ სოკოლუ მეჰმედ ფაშამ, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ქოჯა სინან ფაშა თანამდებობიდან გადააყენა. ამგვარად, 1578 წლის 5 აპრილს მთავარსარდალი ლალა მუსტაფა ფაშა უსკუდარის გავლით ირანის წინააღმდეგ გაეშურა **(Kütükoğlu, 1993:28; Turan, 1958:584; Peçevi, 1982:32; Matthee, 2014:16; სვანიძე, 1965:387)**. მიხეილ რეხვიაშვილი აღვნიშნავს რომ, ფაშა სალაშქროდ 1578 წლის 2 იანვარს გავიდა **(რეხვიაშვილი, 1989:61)**. ეს თარიღი ქოჯა სინან ფაშასა და ლალა მუსტაფა ფაშას მთავარსარდლად დანიშნის თარიღია **(Kütükoğlu, 1993:27; Turan, 1958:582; Peçevi, 1982:32)**.

ამ პერიოდში ირანის ტახტზე ცვლილება მოხდა. 1577 წლის 24 ნოემბერს გარდაიცვალა შაჰ-ისმაილ II. მის გარდაცვალებას მიესალმნენ როგორც შაჰის კარზე ასევე საზოგადოებაში. ამის მიზეზი ისმაილ II-ს პერიოდში ირანში არსებული

არაეულობა და ქვეყნის მძიმე მდგომარეობაში იყო. შაჰის სიკვდილის შემდეგ 1578 წლის 11 თებერვალს, ტახტზე მისი ძმა მუჰამედ ჰუდაბენდე ავიდა (**Gündüz, 2008:453**).

სანამ ლალა მუსტაფა ფაშა სალაშქროდ გაემგზავრებოდა, 1578 წლის თებერვალ-მარტში ირანის საზღვართან მყოფ ოსმალეთის ჯარისკაცებს წერილი გაუგზავნა. მათ მზადების დასრულება და ოსმალეთის მოწინააღმდეგე ქართველი და ყიზილბაში მეთაურების დამორჩილება უბრძანა. მეორე მხრიდან ყირიმის ხანმა, შირვანის და დაღესტნის მეთაურებმა ოსმალეთს ირანის წინააღმდეგ ომში დახმარება სთხოვეს (**Kütükoğlu, 1993:39; Turan, 1958:584; Demir, 2017:171**).

აღმოსავლეთის ლაშქრობამდე ფაშამ საქართველოს მეფეებსა და თავადებს ცალ-ცალკე წერილები გაუგზავნა და დამორჩილება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემოვიდოდნენ, ქვეყანას გაძარცვავდნენ და გაანადგურებდნენ, ხალხს კი ტყვედ ჩაიგდებდნენ. იმერეთის მეფე გიორგი II, რომელსაც ოსმალეთის სახელმწიფოსთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ქართველი მეთაურების, განსაკუთრებით კახეთის მეფისა და სამცხის ათაბაგის დასამორჩილებლად, ოსმალეთს დახმარება შესთავაზა (**Kütükoğlu, 1993:41-42; Gelibolulu Mustafa, 2014:31-33**).

სტამბოლიდან გამოსული ოსმალეთის არმია, როდესაც სივასს მიუახლოვდა, გიორგი დადიანმა და გიორგი გურიელმა ლალა მუსტაფა ფაშას პასუხი შეატყობინეს. ქართველი მმართველები ატყობინებდნენ, რომ ისინი ძველებურად გააგრძელებდნენ ოსმალეთსთვის გადასახადების გადახდას და ითხოვდნენ დახმარებას ჩრდილო კავკასიელების - აფხაზების, ჩერქეზების, ალანების და ჯიქების წინააღმდეგ რომლებიც პერიოდულად თავს ესხმოდნენ და არბევდნენ იმერეთის მიწებს. ქართველ თავადებს საპასუხოდ გაგზავნილი წერილით აცნობეს, რომ ისინი საზღვაო გზით გამოგზავნილი ზარბაზნებით დაეხმარებოდნენ მათ. ამგვარად, მათ ბრძოლაში ჩართვას ითხოვდნენ (**Gelibolulu Mustafa, 2014:56; Kütükoğlu, 1993:42**).

1578 წლის 2 ივლისს ჯარმა სივასი დატოვა და არზრუმში ჩავიდა. ლალა მუსტაფა ფაშამ არზრუმში სამხედრო მეთაურები შეკრიბა. ამ შეკრებამდე კი გადაწყდა, რომ ჯერ საქართველოს (ქართლ-კახეთი), შემდეგ კი შირვანსა და დაღესტანს აიღებდნენ (**სვანიძე, 1971:103**). ჯარმა, რომელიც არზრუმში 20 დღის განმავლობაში ტრაპიზონისა და ბათუმის ნავსადგურებიდან ელოდებოდა

შეიარაღებას, მზადება დაასრულა და გზას გაუდგა (**სვანიძე, 1971:101**). როდესაც ალაჰექბერის მთას მიუახლოვდნენ, შეისვენეს. ამ დროს იმერეთის მეფე გიორგისგან ოსმალებს მიუვიდა წერილი, სადაც იტყობინებოდა, რომ ომში მათ სასარგებლოდ მიიღებდა მონაწილეობას. საპასუხო წერილში ფაშამ მოსთხოვა, რომ თბილისის მართველი დავუდ ხანი და სამცხის ათაბაგის დედა, დედისიმედი ოსმალეთისადმი მორჩილების პირობით თან ჩაეყვანა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართლისა და სამცხეს განადგურებით იმუქრებოდა (**Gelibolulu Mustafa, 2014:70-71; Kütükoğlu, 1993:43**).

ქართული წყაროებში, რომლებიც მუსტაფა ფაშას მიერ ქართველ მეფეებსა და თავადებისთვის გაგზავნილ წერილებზე მოგვითხრობს, ნათქვამია, რომ ფაშას იმერეთს, ქართლს, კახეთსა და სამცხის ათაბაგს შორის შუღლის ჩამოგდება სურდა (**რეხვიაშვილი, 1989:61; სვანიძე, 1971:116**). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაშამ იმერეთის მეფეს ომში დახმარება სთხოვა. მოგვიანებით იმერეთის მეფეს, თბილისის მის შვილზე გადაცემის პორობით, ლალა მუსტაფა ფაშასთვის ქალაქის დაპყრობაში დახმარება შეუთავაზებია. ლალა მუსტაფა ფაშა გადასახადის გადახდის სანაცვლოდ, თბილისის იმერეთის მეფის შვილზე გადაცემას დათანხმებულა. ასევე მას განუცხადებია, რომ სამი წლის განმავლობაში არანაირ გადასახადს არ აიღედა. მუსტაფა ფაშა მეფე გიორგის ატყობინებდა, რომ თბილისის დაპყრობასთან დაკავშირებით კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს წერილი გაუგზავნა და სთხოვდა, რომ მასთან ერთად ემოქმედა (**Gümüş, 2000:83**). ქართული წყაროებიც ამას ადასტურებენ და ნათქვამია, რომ თბილისის ალყის დროს ფაშამ დახმარება გიორგის თხოვა, თბილისის აღების შემდეგ მის შვილზე გადაცემის პირობით. გარდა ამისა მსგავსი შინაარსის წერილი კახეთის მეფე ალექსანდრე II-თვისაც გაუგზავნია, მისგან ისლამის მიღება მოუთხოვია, თუმცა მეფე ამაზე არ დათანხმებულა (**რეხვიაშვილი, 1989:61; სვანიძე, 1971:115-116**). როგორც ვხედავთ, ამ საკითხთან დაკავშირებით ქართული და ოსმალური წყაროები ერთმანეთს ემთხვევა.

5 აგვისტოს ოსმალების არმია არტაანში ჩავიდა, სადაც სამი დღე დაჰყო. 8 აგვისტოს საქართველოს იმ ნაწილებში შემოიჭრა, რომლებიც ირანის ხელში იყო (**Turan, 1958:585**). 9-11 აგვისტოს ვალეს, ხერთვისის, ჩილდირის, ახალქალაქის და ახალციხის ციხეები აიღეს (**Demir, 2017:181**). იმ დროს, როდესაც ოსმალები

ზემოხსენებულ ციხეებს იპყრობდნენ, თოქმაქ ხანისა და იმამ ყულუ ხანის მეთაურობით 20-30.000-იანმა ჯარმა გადაწყვიტა, რომ ოსმალებისთვის ზურგიდან დაერტყა. ეს ოსმალებმა შენიშნეს და 1578 წლის 9 აგვისტოს ჩილდირის დაბლობზე ორ არმიას შორის ბრძოლა გაჩაღდა. ოსმალეთმა ეს ბრძოლა მოიგეს (Peçevi, 1982:35-36). ჩილდირში გამარჯვებით ოსმალეთს გზა გაეხსნათ საქართველოსკენ (Turan, 1958:586; სვანიძე, 1971:108). ამ გამარჯვების შემდეგ ზოგმა ქართველმა და ადგილობრივმა მართველმა ოსმალეთის სუზერენიტეტი აღიარეს (Demir, 2017:184). ჩილდირის ბრძოლის დასასრულს სამცხის მმართველი მანუჩარი ომში 6.000 კაციანი ჯარით მოსულა და ბძოლისთვის თვალი უდევნებია. დილით კი მუსტაფა ფაშასთან მისულა და მორჩლება გამოუცხადებია (გუჩუა, სვანიძე, 1973:127; სვანიძე, 1971:108). ოსმალეთს მანუჩარისთვის აწყური, მისი ძმისთვის ოლთისი და დედის-იმედისთვის სამი სოფელი გადაუცია. მანუჩარს, რომელიც მუსტაფა ფაშას გვერდით იმყოფებოდა, შირვანში მსვლელობის დროს ჯარისთვის ხელმძღვანელობა გაუწევია (Kütükoğlu, 1993:57; სვანიძე, 1971:113).

ჩილდირში გამარჯვების შემდეგ ოსმალეთის არმიამ განაგრძო წინსვლა და 1578 წლის 24 აგვისტოს თბილისში ჩავიდა. იმ პერიოდში თბილისის მმართველი სიმონის ძმა, დავითი, ისლამის მიღების შემდეგ დავუდ ხანი იყო. სანამ ოსმალეთის არმია თბილისში გადაინაცვლებდა, დავუდ ხანმა ქალაქი დაცალა და ხალხთან ერთად მთებში გაიქცა. ჯარმა გაანადგურდა თბილისის ციხე და მისი შემოგარენი. ამგვარად, ქალაქი ბრძოლის გარეშე ოსმალების ხელში გადავიდა. თბილისის ბეგლარბეგად, სოლაკ ფერჰად ფაშას შვილი, კასტამონის სანჯაყ-ბეგი მეჰმედი დაინიშნა. მისი ბრძანებით 300 იანიჩარი და 1.000 ჯარისკაცი გაათავისუფლეს. გარდა ამისა, ციხის აღდგენითა და გამაგრებით, როგორც ციხის, ასევე ქალაქის საჭიროებები დაკმაყოფილდა. ადამიანები, რომლებიც ქალაქიდან გაიქცნენ, ცდილობდნენ, რომ უკან დაებრუნებინათ. ოსმალებმა ქალაქში ორი ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს. ქალაქში ფადიშაჰის სახელით ორ, ლალა მუსტაფას სახელით კი ერთ მეჩეთს ჩაეყარა საფუძველი (Gelibolulu Mustafa, 2014:114; Selânikî, 1999-1:119; Peçevi, 1982:38; Kütükoğlu, 1993:58; რეხვიაშვილი, 1989:61; სვანიძე, 1971:113; კაციტაძე, 1998:123; გუჩუა, სვანიძე, 1973:128).

კახეთის მეფე ალექსანდრე, თბილისის დაპყრობის შემდეგ ქალაქიდან გასულ ოსმალეთის ჯარს დაეწია და მორჩილება გამოუცხადა. გარდა ამისა ჯარისკაცებს საგზურიც მიუტანა. ოსმალეთმა კახეთის მეფე ალექსანდრეს, გადასახადების გადახდის სანაცლოდ, კახეთის მმართველობის უფლება მისცა **(Demir, 2017:189-190; სვანიძე, 1971:116)**. ოსმალეთის არმიამ, რომელმაც გზა გააგრძელა, ალაზანი მდინარის მიდამოებს მიუახლოვდა. ამ პერიოდში ლალა მუსტაფა ფაშამ, შირვანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქის, შაქის დაპყრობა მეფე ალექსანდრესა და ბასიანის სანჯაყ-ბეგს დაავალა. შაქის ხანმა ვერ შეძლო ოსმალებზე გამკლავება და ქალაქი დატოვა. ქალაქის მოსახლეობამ, რომლებიც სუნიტები იყვნენ, მორჩლება ოსმალეთს გამოუცხადეს. შაქის მდებარე, ალექსანდრე მეფის შვილს, სანჯაყად გადაეცა **(Kütükoğlu, 1993:61; Gelibolulu Mustafa, 2014:140; Peçevi, 1982:40; სვანიძე, 1971:120; გუჩუა, სვანიძე, 1973:129)**.

1578 წლის 4 სექტემბერს ლალა მუსტაფა ფაშას მეთაურობით, ოსმალეთის არმია საქართველოს გავლით შირვანში შევიდა. როდესაც მტკვარი გადალახეს, არმიის მეთაურმა სურსათის მოსატანად ჯარისკაცები გაუშვა. მათ ამ დროს სეფიანები თავს დაესხნენ. ამის გამგონე ოსმალეთის არმიამ სასწრაფოდ მიიღო საბრძოლო პოზიცია. სპარსელებმა 1578 წლის 9 სექტემბერის ბრძოლაში მძიმე მარცხი განიცადეს **(Kütükoğlu, 1993:60-61; Gelibolulu Mustafa, 2014:133-140)**.

ამ ბრძოლის შემდეგ ოსმალეთის ჯარმა სვლა გააგრძელა და 1578 წლის 12-13 სექტემბერს მდინარე ალაზანი გადალახა. ამ დროს მდინარე ძალიან ადიდებული იყო და ჯარი საკმაოდ დააზარალა. მათ შორის დაიკარგა ცოცხალი ძალაც. ოსმალეთის არმია 1578 წლის 15 სექტემბერს ქალაქ არეშში ჩავიდა **(Demir, 2017:194)**. საჭირო ნივთები და საკვები მოიმარაგეს და გზა განაგრძეს. დაიპყრეს შემახა, გაბალა, ბაქო, შაბრანი და სალიანი. ამ დაპრობების შემდეგ დარუბანდის ხალხი სეფიანებს აუმხედრდა და ოსმალეთს დაემორჩილა **(Kütükoğlu, 1993:64)**.

ოსმალეთის არმია, რომელმაც რეგიონში დიდი ნაწილი დაიპყრო ცდილობდა აქ მუდმივად დარჩენას. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყო სეფიანთა თავდასხმებისგან თავის დასაცავად შირვანში მმართველის დატოვება ამ დავალებას

დიარბაქირისა და ალეპოს მმართველები დათანხმდენენ. ოზდემიროღლუ ოსმან ფაშა კი წოდების მიღებით შირვანის ბეგლარბეგი გახდა (**Zeyrek, 2001:27; Sungur, 2012:67**).

ლალა მუსტაფა ფაშამ დაპყრობილი ტერიტორიები ოთხ ნაწილად გაყო და შირვანის საბეგლარბეგო ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას, თბილისის - ფერჰად ფაშას შვილს, მეჰმედ ფაშას, კახეთის - ალექსანდრე მეფეს და სოხუმის საბეგლარბეგო ჰაიდარ ფაშას გადასცა (**Gelibolulu Mustafa, 2014:148-149; Kütükoğlu, 1993:66; Jorga, 2009-3:208**). ამ დაპყრობებით ოსმალებმა საქართველოს, დღევანდელი აზერბაიჯანისა და დაღესტნის მნიშვნელოვანი ტერიტორიები იგდეს ხელთ (**Demir, 2017:198**).

ამის შემდეგ, 1578 წლის 8 ოქტომბერს, ოსმალეთის არმიამ დაიწყო არეშიდან უკან დაბრუნება და თბილისის მახლობლად შესასვენებლად გაჩერდა (**Peçevi, 1982:45**). 1578 წლის 24 ოქტომბერს საშინელი ამინდის გამო ოსმალეთის არმიამ დაახლოებით 5-6.000 ჯარისკაცი დაკარგა. მეორე დღეს კი გზა გააგრძელეს და გორში ჩავიდნენ. აქ ორი დღე დარჩნენ და კვლავ გზა გააგრძელეს. გორის ციხეზე 60 იენიჩარი და რამოდენიმე ჯარისკაცი დატოვეს და მეთაურად ჰასან ბეგი დაინიშნა (**Kütükoğlu, 1993:71; სვანიძე, 1971:122**). ქართული წყაროების მიხედვით, როდესაც მუსტაფა ლალა ფაშა არზრუმში ბრუნდებოდა, ჯარის ერთი ნაწილი იმერეთის დასაპყრობად გაუგზავნია, მაგრამ ლიხის ქედთან გამართულ ბრძოლაში ოსმალები დამარცხებულან და უკან გაბრუნებულან. იმერეთის ჯარს კი ბევრი საბრძოლო იარაღი ჩაუგდია ხელთ (**ბატონიშვილი, 1973:817; რეხვიაშვილი, 1989:61; სვანიძე, 1971:122; გუჩუა, სვანიძე, 1973:128**). თუმცა ოსმალურ წყაროებში ამ ბრძოლის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვება. ამ პერიოდში ოსმალეთის ჯარი, სურამის ხეობის გავლით მთაგორიანი გზებით გადაადგილდებოდა. ქართველები კი მათ გზადაგზა თავს ესხმოდნენ და არბევდნენ მათ გარდა ამისა ქართველებმა მტკვარზე გადასავლელი ხიდიც კი დაანგრიეს, რათა მტერს გაძნელებოდა გზის გაგრძელება (**Kütükoğlu, 1993:72**). ამგვარი სირთულეების გადალახვის შემდეგ ოსმალეთის არმია აწყურში ჩავიდა და აქ ორი დღე დაბინავდა. დასვენების შემდეგ გზა განაგრძო და ჯერ არტაანში ჩავიდა, 1578 წლის 21 ნოემბერს კი არზრუმში (**Peçevi, 1982:46; Turan, 1958:587**). ლალა ფაშამ ზამთარი არზრუმში, რუმელის ჯარმა თოქათში, სივასსა და

ამასიაში, ხოლო ალეპოსა და დიარბაქირის ბეგლარბეგებმა საკუთარ ჯართან ერთად დიაბაქირში გაათარეს (Demir, 2017:208).

ამ პერიოდში ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას სეფიანებთან ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული. 1578 წლის 24 ნოემბერს სპარსელები კვლავ დაესხნენ თავს შემახას და ამჯერად ყირიმის ჯარი დაამარცხეს. ამ დამარცხების შემდეგ, 1579 წლის 7 იანვარს ოსმან ფაშა იძულებული გახდა შემახადან დარუბანდში გადასულიყო. სეფიანებმა კი შირვანი ხელთ იგდეს (Zeyrek, 2001:30-40; Sungur, 2012:71-82).

1578 წლის 30 დეკემბერს ლალა მუსტაფა ფაშას სტამბოლიდან ბრძანება მოუვიდა, რომ ყარსის ციხე აღედგინა, საჭირო მასალები შეეგროვებინა და გაზაფხულისთვის მოემზადებინა. არზრუმში გამოსაზამთრებელად მყოფმა ფაშამ აქ ბრძოლისთვის საჭირო აღჭურვილობა შეაგროვა. ამისთვის სხვადასხვა ადგილებში ბრძანება გასცა. გარდა ამისა 1579 წლის თებერვლის შუა ხანებში, სხვა ქალაქებში მყოფ ჯარისკაცებს უბრძანა, რომ ბრძოლისთვის მომზადებულიყვნენ არზრუმში შეგროვებულიყვნენ (Demir, 2017:216-218).

სპარსელებმა 1579 წლის 30 მარტს თბილისს ალყა შემოარტყეს. ამ ალყის დროს სიმონ მეფემ მათ დახმარება გაუწია (Turan, 1958:588). ქართლის მეფე სიმონი 1569 წელს სეფიანებთან ერთად გამართულ ბრძოლაში დამარცხდა, ტყვედ ჩავარდა და ალამუთის ციხეში გამოკეტეს (ჯავახიშვილი, 1967:260-261). 9 წლის ტყვეობის შემდეგ, ის ოსმალებთან ბრძოლისთვის სეფაიდებმა კვლავ გაათავისუფლეს (რეხვიაშვილი, 1989:62; სვანიძე, 1971:135). 1579 წლის 7 სექტემბერს, როდესაც თბილისის ჯარის დასახმარებლად ოსმალები მოვიდნენ, სეფიანები განჯაში გაიხიზნენ (Kütükoğlu, 1993:100). ახლად მოსული ოსმალთა ჯარი თბილისის დასაცავად ქალაქში დარჩა, ადრე მისულები კი ყარსისკენ გაემართნენ. ეს რომ სეფიანებმა გაიგეს თბილისს კვლავ ალყა შემოარტყეს. გარდა ამისა ყარსისკენ წასულ ჯარს ქართული არმია თავს დაესხა. საბოლოოდ დანაკარგის მიუხედავად დანიშნულების ადგილს მიაღწიეს (Demir, 2017:218-219). მრავალი დაბრკოლების მიუხედავად ოსმალებმა დასახმარებლად თბილისში ჯარი მაინც გაგზავნეს. 1579 წლის 25 ივნისს დაარსდა ჩილდირის ვილაეთი და ბეგლარბეგად გამუსლიმანებული, მუსტაფად წოდებული, მანუჩარი დაინიშნა (სვანიძე, 1971:134; გუჩუა, სვანიძე, 1973:131).

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებმა გაიმარჯვეს, როდესაც გამოზამთრების მიზნით უკან იხევდნენ, სპარსელები მათ მუდმივად თავს ესხმოდნენ. აქ მუდმივად დარჩენის მიზნით, მთელი რიგი ზომების მიღება იყო საჭირო. ამიტომ რეგიონის კონტროლის მიზნით, ლალა მუსტაფა ფაშამ შესთავაზა საქართველოს სანაპირო ზოლში არსებული ციხეების შეკეთება. ამ ციხეების წყალობით, კონტროლი მათ ხელში იქნებოდა და შავი ზღვიდან შეძლებდნენ უპრობლემოდ გაეგზავნათ დახმარება თბილისსა და შირვანში. ამისათვის გადაწყდა ქალაქ ფოთში ციხის აშენება. 1579 წლის გაზაფხულის ბოლოს, კაპუტან-ფაშა ქილიჩ ალი ფაშამ, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე სამოცი გემით მოვიდა, მდინარე რიონის ნაპირას ციხის აშენება დაიწყო. ციხის მშენებლობა დასრულდა 1579 წლის 26 ივლისს **(Aydın, 1986:69-70)**.

ქართული წყაროების მიხედვით, ამ ციხის აშენების მიზანი დასავლეთ საქართველოს დაპყრობა იყო. ქართული წყაროების და არქენჯელო ლამბერტის მიერ მოწოდებული ცნობის თანახმად, ოსმალებს, რომლებიც ირანის წინააღმდეგ იბრძოდნენ, თბილისი აუღიათ და ირანის დაპყრობა დაუგეგმავთ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო ფოთის დაპყრობა და იქ ციხის აშენება. ამგვარად, ისინი როგორც ზღვიდან ასევე ხმელეთიდან შეძლებდნენ ქუთაისამდე მიღწევას. ოსმალებს ფოთის დაპყრობის შემდეგ რიონის მხრიდან იმერეთის დედაქალაქ ქუთაისში შემოსვლა და მისი დაპყრობა დაუპირებიათ. თუმცა ,მდინარის ვიწრო კალაპოტისა და იმერეთის ჯარის მიერ ნასროლი ტყვიებისა და ჭურვების გამო, მიზანი განუხორციელებელი დარჩენიათ. იგივე არქენჯელო ლამბერტის ცნობით, ოსმალებს ციხე დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეუნარჩუნებიათ. სამეგრელოს ბატონს ეს ციხე დაუნგრევია და ციხეში ნაპოვნი 25 ზარბაზანი წაუღია. არქენჯელო ლამბერტს ამ თარიღად არაფერი აქვს მითითებული. ოსმალეთის იმპერიას დასავლეთ საქართველოს დაპყრობა განუზრახავს, თუმცა უშედეგოდ **(რეხვიაშვილი, 1989:62; სვანიძე, 1971:124-125; ლამბერტი, 1938:172)**. თუ თურქულ და ოსმალურ წყაროებს დავუჯერებთ ჩანს, რომ ფაშის ციხე (ფოთი) ოსმალეთს დარჩენია, რომელსაც ხშირად არემონტებდნენ **(Gümüş, 2000:87-89; Aydın, 1986:70-71)**. *აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების ფასის/ფოთს ორი სახელი გააჩინა. ლათინი*

ავტორებისათვის ფასისი ხშირ შემთხვევაში ფასოს (Fasso) სახელით არის ცნობილი. განსხვავებულია ოსმალური სახალეწოდება ფასის/ფოთისთვის, თურქულ საარქივო ცნობებებში იგი ფაშ-ის (Paş) სახელით არის ცნობილი **(ნასყიდაშვილი, 2019:275).**

ამ დროს ლალა მუსტაფა ფაშას სტამბოლიდან ბრძანება მოუვიდა, რომ სეფიანებთან მშვიდობა დაემყარებია. თუ შირვანისა და საქართველოს დაპყრობილი ტერიტორიები ოსმალებს დარჩებოდათ და ყარსში ციხის აგებას სეფიანები დათანხმდებოდნენ, სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდებოდა. 1579 წლის ივლისში არზრუმში შეიარაღებული ძალები შეიკრიბნენ. 100.000 კაციანი ოსმალეთის არმია 1578 წლის 6 ივლისს არზრუმიდან გაემგზავრა და 26 ივლისს ყარსში ჩავიდა. მეორე დღეს ყარსის ციხის აღდგენა-მშენებლობა დაიწყო და 24 აგვისტოს დასრულდა **(Kütükoğlu, 1993:76-77; Selânikî, 1999-1:123; Bey-zâde, 2004-2:268)**.

1579 წლის 23 ოქტომბერს ოზდემიროღლუ ოსმან ფაშასა და ყირიმის ძალებმა სეფიანებისგან შემახა უკან დაიბრუნეს; შემდეგ კი ბაქო და შირვანი **(Zeyrek, 2001:51-53; Sungur, 2012:86)**. ამავდროულად, 1579 წლის 22 ოქტომბერს, ზამთრის მოახლოების გამო, ოსმალეთის არმია ყარსიდან გამოსაზამთრებლად კვლავ არზრუმში გადავიდა. ასე რომ, ფაშამ 1579 წლის ზამთარი არზრუმში გაატარა. როდესაც ლალა მუსტაფა ფაშა ყარსში იყო, 1579 წლის 30 სექტემბერს დიდვეზირი სოკოლუ მეჰმედ ფაშა მოკლეს. მის ნაცვლად მეორე ვეზირი აჰმედ ფაშა დაინიშნა **(Turan, 1958:590)**. ამავდროულად, სტამბოლში სინან ფაშამ, რომელიც მისი კონკურენტი იყო, დაიწყო ლალა მუსტაფა ფაშას წინააღმდეგ მოქმედება. ომის მეორე წელი ოსმალეთის იმპერიისთვის ცუდი გამოდგა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, 1578 წლის 7 იანვარს ლალა მუსტაფა ფაშა გაათავისუფლეს **(Kütükoğlu, 1993:82)**.

ლალა მუსტაფა ფაშას ადგილზე ქოჯა სინან ფაშა დაინიშნა. მან 1580 წლის 25 აპრილს უსკუდარის გავლით სამხედრო ბანაკისკენ გადაინაცვლა. 1580 წლის 15 ივლისს ფაშა თბილისში გადავიდა და აქ რამდენიმე ხანს დაჰყო. თბილისის ციხის სურსათითა და საბრძოლო მასალით მომარაგების შემდეგ არზრუმში დაბრუნდა. სინან ფაშა, რომელიც პირველად ყარსში მივიდა, იქ საბეგლარბეგო დააარსა. 1580 წლის 9 ნოემბერს კი არზრუმში ჩავიდა. აქ ფაშამ დაიწყო სეფიანებთან სამშვიდობო მოლაპარაკებები. 1581 წლის 26 ივლისს ის სტამბოლში დაბრუნდა. 1582 წლის

ბოლომდე სამშვიდობო მოლაპარაკებები გაგრძელდა, მაგრამ შედეგი ვერ იქნა მიღწეული, რადგან ოსმალეთის იმპერია არ აპირებდა დაპყრობილი მიწების დათმობას (Kütükoğlu, 1993:109-115).

ქართული წყაროების ცნობით, სინან ფაშას სამცხის თავადი იმერეთში გაუგზავნია. გაგზავნის მიზანი იმერეთის მეფე გიორგისთან გარიგება და მეფე სიმონთან ბრძოლის დროს მისი მხარდაჭერის მოპოვება იყო. ასევე სურდა, რომ ხელი შეეშალა მეფე გიორგის და სიმონთან კავშირისთვის (**რეხვიაშვილი, 1989:63; სვანიძე, 1971:142**).

ამ პერიოდში კახეთის მეფე ალექსანდრე სეფიანებს დაექვემდებარა. სეფიანებმა რეგიონში ჯარი შეკრიბა და თბილისს ალყა შემოარტყა. ამის საპასუხოდ ოსმალეთის სახელმწიფომ 1582 წლის აგვისტოს ბოლოს, თბილისში მყოფ მის ჯარს დახმარება გაუგზავნა. როდესაც ოსმალებს პროვიანტი და საბრძოლო მასალა თბილისში შემოჰყონდათ, მტკვარზე გადასვლის დროს მათ თავს დაესხა სიმონი თავისი ხალხით. ოსმალებმა უკან დაიხიეს და ყარსში ჩავიდნენ. თუმცა, ოსმალეთმა რთულ ვითარებაში მყოფ თბილისში, კვლავ დახმარება გააგზავნა, ამჯერად წარმატებით (Kütükoğlu, 1993:119-122).

ამ დროს ოზდემიროღლუ ოსმან ფაშა შირვანში სეფიანებს ებრძოდა. რეგიონის ქალაქები მუდმივად ხელიდან ხელში გადადიოდა. 1582 წელს სეფიანებმა ხელთ იგდეს გაბალა, ყუბა და შაბრანი. ამის შემდეგ ოსმან ფაშა იძულებული გახდა დემირქაფიში გადასულიყო. ოსმალეთის იმპერიამ, რომელიც ამ რეგიონში მუდმივად უნდა ყოფილიყო, დაუყოვნებლივ გაუგზავნა ოსმან ფაშას დამხმარე ძალები. 1583 წლის გაზაფხულზე, სეფიანთა შეიარაღებულმა ძალებმა, შაბრანის სიახლოვეს, ოსმალეთის ძალების წინააღმდეგ გააჩაღეს ბრძოლა. ოსმალებმა ბრძოლა წააგეს და დემირქაფის შეაფარეს თავი. 1583 წლის 8-11 მაისის ბრძოლაში ოსმან ფაშამ დიდი ძალისხმევის შედეგად სეფიანთა ჯარი დაამარცხა. ამ ბრძოლაში, დაახლოებით 30-40 კახელი, რომლებიც სეფიანთა მხარეს იბრძოდა, ბრძოლის ბოლოს შეიწყალეს და მეფე ალექსანდრეს გადასცეს. ამ გამარჯვების შემდეგ ოსმან ფაშამ თავის მაგივრად ჯაფარ ფაშა დანიშნა, თვითონ კი სტამბოლში დაბრუნდა. ფაშა

სტამბოლში 1584 წლის 25 ივნისს ჩავიდა და 1584 წლის 28 ივლისს დიდვეზირად დაინიშნა **(Sungur, 2012:114-117)**.

1582 წელს იმერეთის სამეფოში არეულობა დაიწყო. 1586 წელს იმერეთის მეფე გიორგი გარდაიცვალა. მისი ადგილი 12 წლის ვაჟმა ლევანმა დაიკავა. ამ დროს ბიძა კონსტანტინე, რომელიც ციხეში იმყოფებოდა, გაიქცა და ახალგაზრდა მეფის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. მეფე ლევანი, მამია დადიანის ქალიშვილზე იყო დაქორწინებული. სიმამრის დახმარებით მან 1587 წელს დაამარცხა თავისი მეამბოხე ბიძა კონსტანტინე. ლევანის მეფობის დროს (1586-1590) იმერეთში მის წინააღმდეგ განუწყვეტლივ აჯანყებებს ჰქონდა ადგილი. იგი იმერეთის თავადებთან მუდმივად ბრძოლაში იმყოფებოდა **(რეხვიაშვილი, 1989:65)**.

1582 წლის 29 დეკემბერს, ფერჰად ფაშა, ქოჯა სინან ფაშას ნაცვლად მთავარსარდლად დაინიშნა **(Selânikî, 1999-1:138; Bey-zâde, 2004-2:305)**. 1583 წლის 1 მაისს, ფერჰად ფაშა აღმოსავლეთით წავიდა და პირველად ყარსში ჩავიდა. ცოტა ხნის შემდეგ 1583 წლის 11 აგვისტოს მან ყარსი დატოვა და ერევნისკენ გაეშურა. ერევანის დაპყრობის შემდეგ, ჯაღალზადე იუსუფ სინან ფაშა ერევანის დამცველად დანიშნა. ამის შემდეგ ფერჰად ფაშა ჯერ ყარსში, შემდეგ კი არტაანში ჩავიდა. ამ დროს ოსმალეთის ჯარს, რომელსაც თბილისში სამხედრო საქონელი მიჰქონდა, თავს ქართველებისა და სეფიანების ლაშქარი დაესხა. მიუხედავად ამისა ოსმალებმა მაინც მოახერხეს დასახული მიზნის შესრულება და ჯერ არტაანში, შემდეგ კი არზრუმში დაბრუნდნენ **(Kütükoğlu, 1993:133-138)**.

ფერჰად ფაშა, რომელმაც ზამთარი არზრუმში გაატარა, უზრუნველყოფდა საჭირო საბრძოლო მასალისა და ტვირთის გადაზიდვას. სამზადისის დასრულების შემდეგ, ფაშამ 1584 წლის 12 ივლისს, არზრუმი დატოვა. გაარემონტა და გააძლიერა ახალქალაქის, ლივანას, შავშეთის, მაჭახლის, აჭარის, ლორისა და დმანისის ციხეები. თბილისი, რომელიც მუდმივად სეფიანებისა და ქართული თავდასხმების ქვეშ იმყოფებოდა, საჭიროებდა რეგულარულად დახმარების მიწოდებას. ციხე-სიმაგრეების შეკეთებისა და გამაგრების შემდეგ, თბილისში დახმარება გააგზავნა, თუმცა მათ თავს ჩასაფრებული სეფიანებისა და ქართველთა ჯარი დაესხა. ეს

უკანასკნელები ბრძოლაში დამარცხდნენ და უკან დაიხიეს, მეფე სიმონი კი სიკვდილს ძლივს გადაურჩა (**Kütükoğlu, 1993:140-142**).

ამ პერიოდში სტამბოლში მყოფმა ოზდემიროღლუ ოსმან ფაშამ, 1584 წლის 15 ოქტომბერს ქალაქი დატოვა და არზრუმში ჩავიდა, შემდეგ კი 1585 წლის 12 აგვისტოს თავრიზში გადავიდა. ქალაქს ალყა შემოარყა და მალე აიღო კიდეც. 1585 წლის 27 ოქტომბერს, რადგან საკვების მარაგი მცირდებოდა, ზამთარი ახლოვდებოდა და ოსმან ფაშაც შეუძლოდ იყო, ამს ამას ემატებოდა სეფიანთა თავდასხმებიც, ფაშამ თავისი ჯარის გარკვეული ნაწილით თავრიზი დატოვა. უკან დახევის დროს ოსმან ფაშა გზაში გარდაიცვალა (**Sungur, 2012:126-139; Zeyrek, 2001:63-73**). არმიის გაყვანის შემდეგ სეფიანებს 11 თვის განმავლობაში, თავრიზზე ალყა ჰქონდათ შემორტყმული.

ფერჰად ფაშა, რომელიც 1586 წლის იანვრის შუა რიცხვებში მეორედ დაინიშნა მთავარსარდლად. 1586 წლის 8 ივნისს სტამბოლი დატოვა და ივლისის ბოლოს არზრუმში ჩავიდა. აქედან ალყაშემორტყმულ თავრიზს დახმარების მიზნით, ჯარი და საკვების მარაგი გაუგზავნა. ფაშამ ციხე შეაკეთა და არზრუმში გადავიდა ზამთრის გასატარებლად (**Kütükoğlu, 1993:167-168**). ფერჰად ფაშას მეორედ მთავარსარდლად დანიშვნიდან ორი თვის შემდეგ, ჯაღალზადე სინან ფაშა ჯერ ვანის ბეგლარბეგად, შემდეგ კი ბაღდათის გამგებლად დაინიშნა. ბაღდადში ყოფნის დროს ის აგრძელებდა ბრძოლას სეფიანთა წინააღმდეგ. სეფიანების მიერ თავრიზზე ალყის შემორტყმიდან 10 დღის შემდეგ, მათსა და ოსმალებს შორის დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკება, რადგან ოსმალეთის საფრთხე არ მთავრდება, სეფიანები კი ყოველ წელს ტერიტორიებს კარგავდნენ. თუმცა, 1587 წლის მაისის ბოლოს, როდესაც აბას მირზამ ტახტი დაიკავა ყაზვინში, სამშვიდობო მოლაპარაკებებიც დასრულდა (**Kütükoğlu, 1993:182-188**).

მეფე სიმონმა, რომელიც ქართლში ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძოდა, იმერეთზეც გაილაშქრა, რადგან იმერეთის სამეფოს ზოგიერთმა თავადმა მხარი დაუჭირა მას ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეფე ლევანმა ჯარი შეაგროვა და დადიანსა და გულიელს დახმარება სთხოვა, თუმცა უშედეგოდ. 1588 წელს გოფანთოს ბრძოლაში სიმონმა ლევანი დაამარცხა. დამარცხებული მეფე ლეჩხუმში გაიქცა. სიმონ მეფემ ქუთაისი დაიკავა და აქ მმართველებად თავისი ხალხი დატოვა,

თვითონ კი ოსმალებთან ბრძოლის მიზნით, ქართლში დაბრუნდა **(რეხვიაშვილი, 1989:66; გუჩუა, 1973-4:141)**.

1587 წლის 28 აგვისტოს ჩატარდა სამხედრო მეჯლისი, სადაც გადაწყდა რომ მეფე სიმონის წინააღმდეგ, გორში ციხე-სიმაგრე აეგოთ. სიმონმა კი ახტალა და დმანისის ციხე-სიმაგრეებზე სცადა ალყის შემორტყმა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ჯარი 1587 წლის 11 სექტემბერს გორში შევიდა და 13 სექტემბერს ციხის მშენებლობა დაიწყო. მშენებლობა სექტემბრის ბოლოს დასრულდა **(Kütükoğlu, 1993:189-190)**. ამის შემდეგ გორის ტერიტორია ჩამოყალიბდა **(Bilge, 2015:105)**. აქედან არმია თბილისისკენ დაიძრა, ოქტომბრის თვეში კი არზრუმში გადავიდა ზამთრის გასატარებლად.

იმერეთის მეფე ლევანმა ისარგებლა სიმონ მეფის ქართლში არ ყოფნით, ქუთაისში დაბრუნდა და ხელისუფლება დაიბრუნა. მეფე ლევანს უნდოდა დადიანის დასჯა, რადგან მას არ დაეხმარა, თუმცა დადიანი მოულოდნელად ჩავიდა, მეფე დააპატიმრა და ოდიშში წაიყვანა. ტყვეობაში მყოფი მეფე 1590 წელს გარდაიცვალა **(რეხვიაშვილი, 1989:67; გუჩუა, 1973:142)**. იმირეთის სამეფო ტახტზე, მამია დადიანის და იმერეთის თავადების დახმარებით, დასვეს ლევანის ბიძაშვილი (ბაგრატ III-ის შვილიშვილი) როსტომ კონსტანტინის ძე (1590-1605) **(წვერავა, 2013:149)**.

ჯარისკაცებმა, რომელმაც ზამთარში არზრუმში გაატარეს, 1588 წლის 25 ივლისს ქალაქი დატოვეს და განჯასა და ყარაბაღისკენ შეუდგნენ მსვლელობას. ამავდროულად, ახლადაშენებულ გორის ციხეში დახმარება გააგზავნეს. გზად ოსმალებს სიმონ მეფე თავისი ჯარით თავს დაესხა, თუმცა მალევე უკან დაიხია. სიმონ მეფემ ასევე გაანადგურა ოსმალეთის ჯარის მიერ გასავლელი გზა, რამაც გარკვეული დროის განმავლობაში მარაგების სიმცირე გამოიწვია. ამასობაში, ოსმალთა ჯარი, 1588 წლის 1 სექტემბერს განჯაში ჩავიდა. სეფიანებმა ოსმალეთის არმიის ჩამოსვლის შესახებ ინფორმაცია რომ მიიღეს, ქალაქი დატოვეს. ამგვარად, ოსმალეთის ჯარმა ქალაქი ბრძოლის გარეშე დაიპყრო **(Kütükoğlu, 1993:192-193)**. 1588 წელს სიმონ მეფემ ფერჰად ფაშასთან ხელი მოაწერა შეთანხმებას და ოსმალების დაქვემდებარებაში შევიდა **(სვანიძე, 1971:172)**. 1589 წელს ხარკის გადახდის პირობით, ქართლის მმართველობა სიმონ მეფეს გადაეცა **(Bilge, 2015:105)**.

სეფიანები ერთი მხრივ ოსმალებს, მეორე მხრივ უზბეკებს ებრძოდნენ. უზბეკური საფრთხის აღმოფხვრის მიზნით, სეფიანებს მშვიდობის დამყარება სურდათ ოსმალებთან. მშვიდობა ლოგიკური იყო ოსმალეთის იმპერიისთვისაც, რადგან გრძელვადიან ომს, ეკონომიკისა და მმართველობის თვალსაზრისით, პრობლემები წამოეწყო. ამ მიზეზით, მხარეები შეთანხმდნენ და 1590 წლის 21 მარტს ხელი მოაწერეს სტამბოლის (ფერჰად ფაშას) ხელშეკრულებას. ირან-ოსმალეთის ომი, რომელიც 12 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, ამ ხელშეკრულებით დასრულდა. შეთანხმების მიხედვით, თავრიზი, ყარაჯადაღი, ლურისტანი, ხუზისტანი, ნიჰავენდი, საქართველო, დაღესტანი და შირვანი ოსმალეთს დარჩა. ხელშეკრულების თანახმად, ორივე მხარემ ბრძოლის დროს აყვანილი ტყვეები ერთმანეთს უკან დაუბრუნა **(Muhammedoğlu, 2000:406; Bilge, 2015:105-106)**.



რუკა II. :საქართველო (1520 – 1590 წლებში)

თავი III. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები XVII ს-ში

1. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები XVII ს-ის პირველ ნახევარში

1.1. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთბები 1603-1612 წწ. ირან-ოსმალეთის ომის დროს

ოსმალეთის იმპერიასა და ირანს შორის ომი, რომელიც 1578-1590 წლებს შორის მიმდინარეობდა, 1590 წელს ფერჰად ფაშას ხელშეკრულების შედეგად დასრულდა, რის შედეგადაც ამ ორ სახელმწიფოს შორის დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდი. წინა თავში ომი და მისი შედეგები დეტალურად განვიხილეთ. ამის მიხედვით ოსმალეთმა 1555 წლის ამასიის ხელშეკრულებით გააფართოვა თავისი ტერიტორია და აზერბაიჯანი, დაღესტანი და საქართველო ხელთ იგდო. 1578-1590 წლების ომის შედეგად, ოსმალეთის იმპერიამ დიდი ტერიტორიები შეიერთა, ირანმა კი დაკარგა. ამ სიტუაციით უკმაყოფილო ირანის შაჰი აბას I (1587-1629), მდგომარეობის შეცვლის მიზნით მოქმედებისთვის ემზადებოდა. ქვეყანაში არსებული არეულობა, რომელიც მის ტახტზე ასვლამდე დაიწყო, ირანის 1578-1590 წლების ომის წაგების მიზეზი იყო. შაჰ აბას I-მა სწრაფი ტემპით დაიწყო ქვეყანაში მდგომარეობის გამოსწორება. უპირველესად ჩაატარა სამხედრო რეფორმები და ჯარი შესაბამისად აღჭურვა. სამხედრო რეფორმების გატარების დროს, მის სამსახურში მყოფ ინგლისელ შერლეი ძმებიდან დახმარება ითხოვა. იმისათვის, რომ შეემცირებინა თურქმენული ჯგუფების და ბატონების გავლენა ჯარში, მან ჯარისკაცების საჭიროება შეამცირა. მან მასზე დამოკიდებული მსახურებიდან (გულამებიდან) არმია დააარსა. ეს ჯარი ჩამოყალიბდა ქართველი, სომეხი და ჩერქეზის შვილების აყვანისა და გაწვრთნის გზით. ამ მსახურთა არმიაში 12.000 კაცი იყო. არმია, რომელიც ცხენოსნებისგან შედგებოდა, შუბების ნაცვლად თოფებს იყენებდა. ამ მსახურებიდან შერჩეული 3.000 კაცი, შაჰის სპეციალურ დაცვას წარმოადგენდა. შტატში თოფიან ჯარისკაცების რაოდენოდა 12.000 შეადგენდა. ტყვეებიდან შემდგარი საარტილერიო რაზმის გარდა, შაჰის ჯარისკაცთა რაოდენობა 37 ათასს აღწევდა **(Sümer, 1988:18; Kütükoğlu, 1993:246-249; Rota, 2000:108; Bilge,**

2015:108-109; Lockhart, 2016:180-182; Lang, 1952:525; Matthee, 2001:493; Matthee, 2017-1:552-553). გარდა ამისა, შაჰ აბას I, რომელიც 1598 წელს უზბეკებზე წავიდა და დაამარცხა ისინი, უზრუნველყოფილი იყო აღმოსავლეთ საზღვრებით **(Küpeli, 2015:98)**. ახლა მას უკვე შეეძლო მთელი თავისი ძალა და ყურადღება ოსმალეთის იმპერიაზე გადაეტანა.

ამ პერიოდში, ოსმალეთის იმპერია დასავლეთში ავსტრიასთან ომს აწარმოებდა. ქვეყნის შიგნით კი, გაჭიანურებული ირანული ომების გამო, ანატოლიაში ჯელალიების გლეხთა აჯანყებები დაიწყო. ირანი ცდილობდა, ოსმალეთის იმპერიაში შექმნილი ეს მდგომარეობა სათავისოდ გამოეყენებინა.

XVII ს-ის დასაწყისში საქართველოში სიტუაცია არც თუ ისე სასიამოვნო იყო. ამ პერიოდში დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებელი იყო ერთიანი საქართველოს შესახებ საუბარი. ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო ორი საუკუნის განმავლობაში და უფრო მეტიც ცალკეული პოლიტიკური ერთეულები იყვნენ. იმერეთის სამეფოში იყვნენ ლეჩხუმი და რაჭა, სამეგრელო (ოდიში), აფხაზეთი, გურია და სვანეთის სამთავროები. დასავლეთ საქართველოში არსებული ეს სამთავროები, იბრძოდა იმერეთის მეფის წინააღმდეგ, დამოუკიდებლობისთვის. XVII ს-ის დასაწყისში მთლიანი დასავლეთ საქართველო, ოსმალეთის ქვეშევდომობის ქვეშ იყო და მათ გადასახადებს უხდიდა. მეფე და მთავრები, რომლებიც საგარეო პოლიტიკაში ოსმალეთის იმპერიასთან იყო დაკავშირებული, დამოუკიდებლად მოქმედებდნენ შიდა პოლიტიკაში **(რეხვიაშვილი, 1989:70-72)**.

ხანგრძლივი ირან-ოსმალეთის ომები არა მხოლოდ ომში მონაწილე ქვეყნებს, არამედ იმ ქვეყნებსაც შეეხო, სადაც ბრძოლებს მართავდნენ. ესენი, კავკასიის სახელმწიფოები, ძირითადად კი ქართველები იყვნენ. ამ პერიოდში იმერეთის სამეფო ტახტზე როსტომ I (1590-1605) იჯდა. ოსმალეთის ტახტზე კი მეჰმედ III (1595-1603) **(Emecen, 2003-2:407)**.

1600 წელს გარდაიცვალა გიორგი გურიელი და მისი ადგილი დაიკავა მისმა შვილმა მამია II-მ (1600-1625). მანუჩარ დადიანის გარდაცვალების შემდეგ, ოდიშის (სამეგრელო) ტახტზე ავიდა მისი მცირე წლოვანი ვაჟი, ლევან II (1611-1657). ერთი პერიოდი დამოუკიდებლობის ჩათვლით კარგი ურთიერთობა იყო დასავლეთ

საქართველოს მეფესა და მთავრებს შორის. დამოუკიდებლობის პოლიტიკის თვალსაზრისით, ისინი ასევე კარგად იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს ლიდერებთან. ამის კარგ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შაჰ აბასის აღმოსავლეთ საქართველოში შემოჭრის შემდეგ, კახეთის მეფის თეიმურაზ I-ისა და ქართლის მეფე ლუარსაბ II-ის იმერეთზე თავის შეფარება **(რეხვიაშვილი, 1989:72)**.

XVII ს-ის დასაწყისში სეფიანებმა დაიწყეს ოსმალების წინააღმდეგ მოქმედებები. შაჰ აბასმა, სერ ანტონი შარლისა და ჰუსეინ ალი ბეის ხელმძღვანელობით, ევროპაში მოსკოვის გავლით ელჩების დელეგაცია გაუგზავნა, რათა ავსტრიასთან ომში მყოფ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ალიანსი შეექმნათ **(Sümer, 1988:18)**. დელეგაცია, 1599 წლის აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში ისპაანიდან გზას დაადგნენ. დელეგაცია, ესპანეთთან, გერმანიასთან, საფრანგეთთან, პოლონეთთან, ინგლისთან, შოტლანდიასთან, ვენეციასთან და პაპთან მოლაპარაკების გამართვის მიზნით მოსკოვში ჩავიდა და იქ ექვსი თვე დაჰყო. მოსკოვში რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, დელეგაცია გერმანიაში გაემგზავრა ბალტიის გავლით და 1600 წლის 20 ოქტომბერს პრაღას მიაღწია, შემდეგ კი რომს 1601 წლის 5 აპრილს. აქ მოლაპარაკებები პაპთან გაიმართა. რომის დატოვების წინ ანტონი შერლიმ, რუდოლს II-ის შაჰისთვის და სხვა ევროპელ მმართველებისთვის შაჰის მიერ მიწერილი წერილები, ოსმალეთის დიდვეზირს მიყიდა და გაიქცა. დელეგაციის სამმა წევრმა, რომლებმაც ამის გამო წარმატებას ვერ მიაღწია, ქრისტიანობა მიიღო და რომში დარჩა. დარჩენილი წევრები ესპანეთში გადავიდნენ, იქ ორი თვე დარჩნენ და მეფე ფილიპ III-ს შეხვდნენ. ესპანეთში კი ორი წევრი გაქრისტიანდა და იქ დარჩა. შედეგად, დასუსტებულმა საელჩოს დელეგაციამ, დანარჩენ ქვეყნებთან მოლაპარაკებები შეწყვიტა და 1602 წელს საზღვაო გზით ესპანეთი დატოვა და ირანში დაბრუნდა **(Kütükoğlu, 1993:250-252; Bilge, 2015:109-110; Hasani, 2003:23; სვანიძე, 1971:228; Küpeli, 2015:98)**.

ოსმალეთის იმპერიის გახანგრძლივებულმა ომებმა ავსტრალიაში და ანატოლიაში ჯელალის აჯანყებებმა, შაჰ აბასს შესაძლებლობა მისცა ოსმალეთის სახელმწიფოსთვის ომი გამოეცხადებინა **(Muhammedoğlu, 2000:407)**. სეფიანთა არმია მოქმედებაზე გადავიდა. 1603 წლის 27 სექტემბერს ჯარი თავრიზში ჩავიდა.

თავრიზის ახლოს ოსმალეთისა და ირანს შორის მომხდარ ბრძოლას ნახჩივანის ბატონი მაჰმუდი და ახალციხის ბეგლარბეგი ჰალილ ფაშა შეეწირნენ. თავრიზის ბეგლარბეგი ალი ფაშა, რომელიც დაჭრილი იყო, ტყვედ ჩავარდა. ალყა თითქმის ერთი თვე გაგრძელდა. თუმცა მიღებული მარცხისა და მეთაურების ტყვედ ჩაგდების გამო, ოსმალებმა 1603 წლის 21 ოქტომბერს ქალაქ თავრიზი, სეფიანებს გადასცეს. სეფაიდებმა, რომლებიც ხალხს ქალაქში აწამებდნენ, მამაკაცები ტყვედ ჩაიგდეს, ქალებსა და გოგოებს კი პროსტიტუციას აიძულებდნენ **(Peçevi, 1982:243-244; სვანიძე, 1971:231; Bilge, 2015:110-111)**.

თავრიზის აღების შემდეგ სეფიანთა ჯარმა გზა, ნახიჭევანისკენ განაგრძო. 1603 წლის 26 ოქტომბერს შეიტყვეს, რომ შაჰი ნახიჭევანს უახლოვდებოდა. ამის გამო ოსმალებმა თავი შეაფარეს ერევანის ციხე-სიმაგრეს, რომელიც სამხედრო დაცვისთვის უფრო მოსახერხებელი იყო. ამ დროს, ოსმალებმა შაჰს ელჩი გაუგზავნეს. 20 ოქტომბერს ელჩი შაჰის წერილით, ერევანში ჩავიდა. შაჰი წერილში ამბობდა, რომ თავრიზის შემდეგ ნოხჩივანიც დამორჩილდა, რომ ადვილად შეძლებდა ერევნის აღებას, ის მოკლე დროში დაამარცხებდა აზერბაიჯანს, განჯასა და შირვანს და ზამთარს ყარაბაღში გაატარებდა. მან დაპირდა, რომ ხალხის სიცოცხლესა და საკუთრებას ზიანს არ მიაყენებდა. შერიფ ფაშამ, რომელმაც ეს წერილი სტამბოლში გააგზავნა, მის სიახლოვეს მყოფი ბეგლარბეგებთან ერთად, არზრუმის დაცვა საათჩი ჰასან ფაშა და ჯელალი სერდარი ნუჰ ფაშა ერევანში გაგზავნა დახმარების სათხოვნელად **(Kütükoğlu, 1993:263-264; Tunay, 1998:49)**.

შაჰ აბასმა 1603 წლის 16 ნოემბერს თავის არმიასთან ერთად ერევანში გამოჩნდა. ციხეს ალყა შემოარტყა. ალყის დროს ოსმალეთის ტახტზე ცვლილებები მოხდა. მეჰმედ III-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე აჰმედ I (1603-1617) ავიდა **(İlgürel, 1989-1:30)**.

ამ პერიოდში ქართლის მეფე გიორგი X და კახეთის მეფე ალექსანდრე II, ერევნის ალყაში მდებარე შაჰის შტაბში მივიდნენ და მას მორჩილება გამოუცხადეს. შაჰ აბასი ამით ძალიან კმაყოფილი დარჩა **(სვანიძე, 1971:232)**. ნოემბერში დაწყებული ალყა, ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. მაისში, ალყის სიმძიმე გაიზარდა. ოსმალეთის ჯარმა, ზამთრის დამთავრებისა და ამინდი უკეთესობის მიუხედავად, დახმარების

მიღება ვერ შეძლეს. ოსმალეთის ჯარისკაცებს, რომლებიც ციხე-სიმაგრეს იცავდნენ, უკვე ძალები აღარ ჰქონოდათ. ამიტომ, 1604 წლის 8 ივნისს ციხე შაჰს გადასცეს **(Peçevi, 1982:245-246; Kütükoğlu, 1993:264-266)**. ერევანის დაპყრობის შემდეგ, შაჰმა ქართველი მეფეები გულუხვად დააჯილდოვა. მან მათ წლიური ხელფასები გადასცა და ირანიდან სოფლები უსაჩუქრა **(სვანიძე, 1971:232)**.

ავსტრიის ომისა და ჯელალის აჯანყებების გამო, ოსმალეთის იმპერიამ ვერ შეძლო რეაგირება მოეხდინა სეფიანების სამხედრო მსვლელობებზე. საბოლოოდ, ოსმალებმა, რომლებსაც შესაძლებლობა მიეცათ, ჯაღალაზადე სინან ფაშა, როგორც არმიის მეთაური, სეფიანების წინააღმდეგ გაგზავნა. ფაშა 1604 წლის 16 მაისში უსკუდარში გადავიდა, 1604 წლის 15 ივნისში კი ირანის წინააღმდეგ გაემართა **(Kütükoğlu, 1993:270; Bilge, 2015:111-112; Peçevi, 1982:246)**.

როდესაც სერდარ სინან ფაშა ყარსში ჩავიდა, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს შაჰი უკან იხევდა. ირანის არმია კლასიკური ტაქტიკის გამოყენებით უკან იხევდა, უკან დახევის დროს კი გავლილ ტერიტორიებს წვავდა და ანადგურებდა. ამგვარად, ის გეგმავდა ლოჯისტიკის კუთხით, ოსმალეთის არმიის მძიმე მდგომარეობაში ჩაგდებას. შაჰმა და მისმა არმიამ, რომლებმაც თავრიზში გადაინაცვლეს, გააფართოვეს მანძილი მათ და ოსმალეთის ჯარს შორის. ირანის არმიის გამგზავრებისა და ზამთრის მოახლოების გამო, გამოსაზამთრებლად სინან ფაშა ვანში გადავიდა. განჯაში, ახალციხეში, ყარსში, ოლთუსა და გორში გაგზავნილ იქნა დამხმარე ძალები, მარაგი და საბრძოლო მასალა **(Kütükoğlu, 1993:271-272; Peçevi, 1982:247; Bilge, 2015:112)**.

როდესაც სერდარ სინან ფაშა ვანში წავიდა ზამთრის გასატარებლად, მან იგივე მიზნით ჯარის დიდი ნაწილი ამ მხარის მიდამოებში მიმოფანტა. შაჰ აბასმა ეს როცა შეიტყო, დაუყოვნებლივ ზომების მიღებას შეუდგა. ძლიერი ზამთარის მიუხედავად, სპარსეთის მმართველმა, ქართველური წარმოშობის ალაჰვერდი ხანი მოულოდნელად ვანში გაგზავნა. ომში ოსმალები დამარცხდნენ. სინან ფაშა 1605 წლის იანვარში ჯარისკაცების შეკრებისა და სტამბოლიდან მოსალოდნელი დახმარების მიზნით, დამარცხების შემდეგ არზრუმში გადავიდა. ვანი და მის

მიმდებარე ტერიტორიები სეფიანებმა გადაწვეს, მამაკაცები დახოცეს, დარჩენილები ტყვედ ჩაიგდეს და ნადავლთან ერთად ირანში წაიყვანეს **(Kütükoğlu, 1993:272-273)**.

არზრუმში კვლავ მოძლიერებული ოსმალეთის არმია, სინან ფაშას მეთაურობით, 1605 წლის 19 მაისს თავრიზისკენ გაემართა. თავრიზის ახლოს მდებარე სოფელ სისში სეფიანებისა და ოსმალთა ჯარისკაცებს გადაეყარნენ და მათ შორის ბრძოლა გაიმართა. ოსმალები ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ. ბრძოლის დროს ბევრი ფაშა და ბატონო ან მოკვდა ან ტყვედ ჩავარდა. სინან ფაშა 2.000 იენიჩართან ერთად წინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად, იძულებული გახდა ვანს შეხიზვნოდა. ოსმალეთის ჯარის საგანძური, საბრძოლო მასალა, იარაღი და მარაგი სეფიანებს ხელთ ჩაუვარდათ **(Peçevi, 1982:248-250; Küpeli, 2015:99; Bilge, 2015:112)**.

1605 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე როსტომ I (1590-1605), რომელსაც მემკვიდრე არ დარჩენია. იმერეთის სამეფო ტახტზე დიდი ფეოდალების მხარდაჭერით, მისი ნახევარ ძმა გიორგი III (1605-1639) ავიდა **(რეხვიაშვილი, 1989:72; ჭაავა, 2018-1:19)**. იმავე წელს კახეთის მეფემ გიორგი III-მ რუსეთის იმპერატორს ბორის გოდუნოვს მორჩილება გამოუცხადა. ამის საპასუხოდ შაჰ აბასი მსვლელობაზე გადავიდა, რადგან ქართველების დაახლოება რუსეთთან ეწინააღმდეგება ირანის ინტერესებს. შაჰ აბასმა კახეთის მერე გიორგი III-ის წინააღმდეგ, სეფიანთა სასახლეში აღზრდილი ძმა კონსტანტინე გაგზავნა, რომელიც შიიტი მუსულმანი იყო. კონტანტინემ შაჰის ჯარისკაცების დახმარებით, მეფე გიორგი, მამამისი მეფე ალექსანდრე და მსახურები დახოცა და ტახტი დაიკავა **(ჯამბურია, 2020:194)**. კახეთის მეფემ ალექსანდრე I ოსმალეთის მფარველობიდან გამოვიდა და სეფიანთა მფარველობაში შევიდა. კონსტანტინე I შირვანში, 1605 წლის მაისში სეფიანების ჯართან ერთად შეიჭრა და კაბალას ციხე აიღო **(სვანიძე, 1971:235)**. კაბალას დასახმარებლად მოსული ოსმალეთის ძალები დამარცხდნენ და თავი შამახას ციხეს შეაფარეს. კონსტანტინემ ამ ციხესაც ალყა შემოარტყა, თუმცა ოსმალების თავდასხმის შედეგად დამარცხდა და საკუთარი ქვეყნისკენ წავიდა. კონსტანტინე I და მასთან მყოფი სეფიანთა ჯარი, ქართველი ჯარისკაცების აჯანყების შედეგად, 1605 წლის 22 ოქტომბერს დაიღუპნენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართველებს არ სურდათ მეფე,

რომელსაც მუსულმანები და სეფაინები უხელმძღვანელებდნენ. 1606 წელს, შაჰ-აბასმა კახეთის ტახტი, თეიმურაზ I- ს (1606-1625) გადასცა **(Bilge, 2015:113)**. იმავე წელს გარდაიცვალა ქართლის მეფე გიორგი X. ქართველებმა შაჰ აბასს შეატყობინეს მეფე გიორგი სიკვდილის შესახებ და მისგან გიორგი მეფის 14 წლის ვაჟი ლუარსაბის მეფედ დანიშნა ითხოვეს. ამ თხოვნით შაჰი კმაყოფილი დარჩა და ლუარსაბ II (1606-1615) ქართლის მეფედ გამოაცხადა **(სვანიძე, 1971:236; ჯამბურია, 2020:195)**.

კვლავ 1605 წელს სამეგრელოს დადიანმა სტამბოლში ელჩი გაგზავნა. ელჩი 1605 წლის 11 დეკემბერს სულთან აჰმედ I- ს წინაშე წარდგა და მას ერთგულება გამოუცხადა. იმავე წელს, იმერეთის ტახტის მეფემ, გიორგი III სტამბოლში ელჩი გაგზავნა. იმერეთის ელჩი სტამბოლში 1607 წელს ჩავიდა და მეფეს ერთგულება შესთავაზა **(Bilge, 2015:113)**. როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებს, სამეგრელოსა და იმერეთის სამეფოს, ოსმალეთის იმპერიასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, 1603-1612 წლების ოსმალეთ-ირანულ ომის დროს.

როდესაც საქართველოში მდგომარეობა ამგავრი იყო, თავრიზში დამარცხების შემდეგ ვანში შეხიზნული ოსმალეთის მთავარსარდალი სინან ფაშა, ვანიდან დიარბაქირში გადავიდა და სამი თვის შემდეგ იქ გარდაიცვალა **(Peçevi, 1982:250)**. სინან ფაშას ადგილას ლალა მეჰმედ ფაშა დაინიშნა. თუმცა, ფაშა გარდაიცვალა 1606 წლაის 24 მაისს, სანამ ის ომში წავიდოდა **(Solakzâde, 2016:761; Peçevi, 1982:301)**. ამის შემდეგ მთავარსარდლობა დელი ფერჰად ფაშას გადაეცა, თუმცა ჯელალის აჯანყების გამო ვერ მოახერხა ქონიაზე წინ წასვლა. ამ აჯანყებების გამო, ოსმალეთის ფლოტი დაახლოებით ხუთი წელი მთავარსარდლის გარეშე დარჩა და სამხრეთ კავკასიის ბევრი ტერიტორია სეფიანთა ხელში გადავიდა.

ამ პერიოდში სეფიანებმა განჯას შემოარტყეს ალყა, რომელიც ექვსი თვე გაგრძელდა და 1606 წლის 4 ივლისს კიდევაც დაიპყრეს ხალხი აწამეს **(Peçevi, 1982:251)**. ამის შემხედვარე ლორუ, თბილისი და ტომანისი უომრად დანებდნენ **(Svanidze, 2006:373)**. შაჰმა ყიზილბაშის ჯარები თბილისის ციხეში განათავსა და მეთაურად დელი მეჰმედი დანიშნა. აქედან შემახას წინააღმდეგ გაემართა. თბილისიდან ოსმალების განდევნის შემდეგ, ქართლის სამეფოში ბოლო მოეღო ოსმალების პირველ მმართველობის პერიოდს (1578-1606). ეს პერიოდი ქართველი

ხალხისთვის მძიმე პირობებში ცხოვრების დროა. მიუხედავად ომისა, რომ ქართლიდან ოსმალები გაძევებული იყო, ქვეყანა მაინც არ იყო დამოუკიდებელი, ოსმალების ადგილი ირანელებმა დაიკავეს **(სვანიძე, 1971:237; ჯამბურია, 2020:195)**.

1607 წლის 9 იანვარს ალყაში მოქცეული შემახა, 1607 წლის 25 ივნისს დაიპყრეს. შემახაში მყოფი ყველა ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი დახოცეს **(Kütükoğlu, 1993:277; Kılıç, 2003:128)**. დიდვეზირმა მურად ფაშამ, როდესაც შემახას ალყის შესახებ შეიტყო, ყირიმის ხანიდან დახმარება ითხოვა. სწორედ ამ პერიოდში შავი ჭირისგან გარდაიცვალა ყირიმის ხანი გაზი გირაი და დახმარება ვეღარ გააგზავნეს **(Küpeli, 2014:167)**.

შემახას ალყის დროს, ბაქოში მცხოვრები შიიტი ხალხი აჯანყდა და ციხეში მყოფი ოსმალეთის ჯარისკაცები დახოცეს. ბაქო, სეფიანთა მმართველობის ქვეშ შევიდა. შემახასა და ბაქოს შემდეგ, 1607 წლის აგვისტოს დერბენტი დაიკავეს **(სვანიძე, 1971:244; Bilge, 2015:114)**.

შაჰ აბასმა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი დარტყმას გეგმავდა. შაჰმა დასავლეთ საქართველოსა და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილის დაპყრობით შავიზღვისპირეთს მიაღწია. საზღვაო გზით ის ცდილობდა ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობის დამყარებას. ამ გეგმით ირანი შეძლებდა დახმარება ეთხოვა ევროპის ქვეყნებისთვის. ამ მიზნით, 1608 წლის დასაწყისში აღმოსავლეთ ქვეყნებთან მოლაპარაკების მიზნით, დელეგაცია გაგზავნა რობერტ შერლის ხელმძღვანელობით **(სვანიძე, 1971:245)**. მათ შორის ასევე იმყოფებოდნენ ბერძენი ჯენგიზ ბეი და თომას პაველიც. დელეგაციამ თებერვალში ირანი დატოვა. ლეხის მეფე სიგისმუნდ III, გერმანიის იმპერატორი რუდოლფ II, პაპი პაულ V-სა და ესპანეთის მეფე ფილიპ II-თან მოეწყო შეხვედრა. ესპანეთში სეფიანთა დელეგაცია 1611 წლის ზაფხულამდე დარჩა. 1611 წლის ზაფხულში რობერტ შერლი მარტო წავიდა ინგლისში და ინგლისის მეფეს ჯეკს შეხვდა, რომელსაც შაჰის წერილები გადასცა. 1614 წელს შერლიმ ინგლისი დატოვა და 1615 წლის ივნისში ისპაანში ჩავიდა **(Kütükoğlu, 1993:255-258; Bilge, 2015:115)**. მეორე საელჩო დელეგაციამ დადებითი და მყარი შედეგი ვერ მიიღო. ევროპის ქვეყნებს არ სურდათ ირანთან მოკავშირეობა და ოსმალეთის წინაშე ომის დაწყება **(სვანიძე, 1971:245)**.

ამ პერიოდში ქართლის მეფე ლუარსაბ II თავს დაეცა ჩილდირის პროვინციის ტერიტორიას. ჩილდირის ბეგლარბეგი მუსტაფა ფაშას სურდა ლუარსაბ II-ის შეპყრობა და მხარის მნიშვნელოვანი ქალაქის გორის დაპყრობა, ამიტომ 1609 წლის მაისში ქართლის ტერიტორიაზე შეიჭრა **(Bilge, 2015:114)**. თბილისიდან დასახმარებლად გიორგის სააკაძეს მეთაურობით ქართველი ჯარი ჩავიდა, რომელსაც მხარს სეფიანებიც უჭერდნენ. ოსმალებსა და მათ შორის ქვიშხეთში გამართულ ბრძოლაში, ოსმალები დამარცხდნენ **(სვანიძე, 1971:247)**.

ოსმალო-ირანის ომი 1610 წელს შეჩერების პერიოდში შევიდა. ოსმალებმა 1606 წლის 11 ნოემბერს ხელი მოაწერეს ჟიტვატორიკის შეთანხმებას ავსტრიასთან და ამით დასრულდა გრძელვადიანი ომი **(Papp, 2013:472)**. ამგვარად, მან თავისი ძალაუფლება სხვა დიდ პრობლემაზე, ჯელალის აჯანყებებზე გადაიტანა. 1607-1609 წლებში დიდვეზირმა მურად ფაშამ ჯელალის აჯანყებები, მკაცრი ჩარევით ჩაახშო **(Peçevi, 1982:309-316; Solakzâde, 2016:764)**. შაჰ აბასი მიხვდა, რომ ვერ მიიღებდა ევროპის ქვეყნებს დახმარებას. ოსმალეთის იმპერიასთან, რომელმაც ჯერ ავსტრალიასთან ომი დაამთავრა, შემდეგ კი ჯელალის აჯანყებები ჩაახშო, შაჰ არ სურდა ომის დაწყება და ამიტომ გადაწყვიტა, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკება წამოეწყო. ამ პრობლემის აღმოფხვრის გზით, ოსმალეთის იმპერიამ ყურადღება და მთელი თავისი ძალა ირანზე გადაიტანა. ამ მიზნით, დიდვეზირი მურად ფაშა არმიის მთავარსარდლად დაინიშნა და 1610 წლის 29 აპრილს ირანის წინააღმდეგ გაილაშქრა. 1610 წლის 11 ნოემბერს ჯარი თავრიზის ახლოს მივიდა. რადგან ზამთარი ახლოვდებოდა, 1610 წლის 16 ნოემბერს გამოსაზამთრებლად დიარბექირში დაბანაკდა. იმავდროულად ფაშამ, რომელიც ირანთან სამშვიდობო მოლაპარაკებებს აწარმოებდა, შედეგებს ვერ მიაღწია **(Peçevi, 1982:317-318)**. მურად ფაშა 1611 წლის 5 აგვისტოს გარდაიცვალა **(Kılıç, 2008:96)**.

დიდვეზირს მურად ფაშას გარდაცვალების შემდეგ, მისი ადგილი, მასთან მყოფმა დიარბაქირის ბეგლარბეგიმ ნასუჰ ფაშამ, 1611 წლის 22 აგვისტოს დაიკავა. იმავდროულად, სეფიანთა საელჩოს დელეგაცია ჩავიდა დიარბაქირში, სამშვიდობო მოლაპარაკებების გასაგრძელებლად. ნასუჰ ფაშა სტამბოლში 1612 წლის 22 სექტემბერს ჩავიდა **(Kütükoğlu, 1993:277)**.

ამ შეხვედრების შემდეგ, 1612 წლის 20 ნოემბერს ხელი მოეწერა ნასუფ ფაშას ხელშეკრულებას (**შველიძე, 2011:237**) და ამის შედეგად დასრულდა 9 წლიან ირან-ოსმალეთის ომი. ხელშეკრულების მიხედვით, სეფიანებს ოსმალებისთვის ყოველწლიურად ორასი დატვირთული აბრეშუმი უნდა გაეგზავნათ. ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი კი 1555 წლის ამასიის ხელშეკრულების მიხედვით განისაზღვრებოდა. ერაყის საზღვართან მყოფ მეამბოხე სეფიან ბატონებს, სეფიანები დახმარებას ვერ გაუწევდნენ. ოსმალეთის მმართველობას გააგრძელებდა შემჰალისა და დაღესტნის მოსამართლეებზე. სეფიანები, რუსებთან გამართულ ნებისმიერ ბრძოლაში, ოსმალების გვერდით დადგებოდნენ და ხელს არ შეუშლიდნენ. ირანელი მომლოცველები, მოსალოცად ბაღდათი-ბასრას გზით კი არა, ალეპო-შამის გზით წავიდ-წამოვიდოდნენ. ირანში შიიტები არ შეურაცხყოფდნენ წინასწარმეტყველსა და ისლამის მნიშვნელოვან მოღვაწეებს. ამასიის ხელშეკრულებით განსაზღვრული საზღვრების კვლავ დადგენის მიზნით, ოსმალეთის მხრიდან წარმომადგენელი ბაღდადის ბეგლარბეგი მაჰმუდ ფაშა და ვანის ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა იქნებოდა. შეთანხმების შემდეგ სეფიანთა დელეგაცია, 1612 წლის ნოემბერში სტამბოლიდან ირანისკენ გაემგზავრა (**Kılıç, 2003:129-130**). შეთანხმებასთან ერთად, ოსმალეთის იმპერიამ საქართველოში დაკარგა ორი მნიშვნელოვანი სამეფო, როგორიცაა ქართლი და კახეთი. ეს ტერიტორიები ირანის ქვეშევდომობის ქვეშ გადავიდა. ირანული მთავრობა ოსმალეთთან შედარებით უფრო ლოიალური იყო და მეფეებს უფრო ადვილად შეეძლოთ გადაადგილება (**სვანიძე, 1971:254-255**). დასავლეთ საქართველოს ტერიტორია და იმერეთი კვლავ ოსმალეთის ქვეშევდომობის ქვეშ იყო. გარდა ამისა, ჩრდილო კავკასია და დაღესტანიც ოსმალებს დარჩათ. 1578-1590 წლებში დაპყრობილი დასავლეთ ირანი, ერევანი, ნახჩივანი, ყარაბაღი, სამხრეთ და ჩრდილოეთ აზერბაიჯანი სეფიანთა ქვეშევდომობის ქვეშ შევიდა. ოსმალებმა დაახლოებით 400.000 კვადრატული კილომეტრის ოდენა ფართობი ირანს გადასცა (**Kütükoğlu, 1993:228; Küpeli, 2015:99-100; Bilge, 2015:116**).

როგორც ვხედავთ, 1603-1612 წლების ოსმალეთ-ირანის ომის დროს, იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის მეგობრული და მოკავშირეთა ურთიერთობა ხელშეუხებელი დარჩა. ომში იმერეთის სამეფოს მიერ არ

განხორციელებულა არცერთი ანტიოტომური ნაბიჯი და არ მოექცა ირანის მმართველობის ქვეშ. 1590 წლის ფერჰად ფაშას ხელშეკრულების მსგავსად, იმერეთის სამეფო კვლავ რჩებოდა ოსმალეთის მმართველობის ქვეშ.

1.2. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები 1615-1618 წწ. ირან-ოსმალეთის ომის დროს

1612 წელს ოსმალებსა და ირანს შორის გაფორმდა ნასუჰ ფაშას ხელშეკრულება და ომი, რომელიც 1603 წლიდან მიმდინარეობდა, დასრულდა. თუმცა, მხარეებს შორის დაძაბულობა კვლავ არსებობდა. 1615 წელს, ქვემოთ მოყვანილი მიზეზების გამო, ორ ქვეყანას შორის ახალი ომი კვლავ დაიწყო.

შაჰ-აბასმა, ოსმალებთან მშვიდობის დამყარების შემდეგ, დაიწყო ბრძოლა ქართული სამეფოების წინააღმდეგ (**შველიძე, 2011:237**). ამის მიზეზი ის იყო, რომ მასზე დაქვემდებარებული კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა და ქართლის მეფე ლუარსაბ II-მ დაიწყეს მოქმედებები შაჰის წინააღმდეგ (**Küpeli, 2015:100**). გარდა ამისა, მეფე თეიმურაზ I-მა ოსმალებს სთხოვა დახმარება სეფიანების წინააღმდეგ, სანაცვლოდ კი მათ ქვეშევდომობაში შესვლას ჰპირდებოდა. ამის შემდეგ შაჰმა გააფრთხილა მეფე, თუმცა, რადგან მეფემ დამოკიდებულება არ შეცვალა, 1613 წლის 16 ოქტომბერს სეფიანთა ჯარი კახეთის ტერიტორიაზე შეიჭრა. თეიმურაზმა შაჰის შესაჩერებლად, დედა, შვილები და ზოგი ქართველი თავადის შვილები გააგზავნა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. როდესაც შაჰი მაინც არ შეჩერდა, მეფე გაიქცა და თავი ლუარსაბ II-ს შეაფარა. კახეთის ტახტი, შაჰ-აბასმა თეიმურაზის ბიძაშვილს, გამუსლიმანებულ ისა ხანს გადასცა (**Bilge, 2015:116**). ის რაც შაჰ-აბასმა ქართლსა და კახეთში გააკეთა, ოდნავ განსხვავებულადაა აღწერილი ქართულ წყაროებში. შაჰმა ირანიდან საქართველოზე გაილაშქრა 1613 წლის 10 ოქტომბერს. მან უამრავი ტყვე და საქონელი წაასხა (**ჯამბურია, 2020:200-201**). შაჰ აბასის საქართველოში ამ შემოჭრის ისტორიის დეტალური ინფორმაციაა მოცემული მიხეილ სვანიძის ნაშრომში. სვანიძის თქმით, ქართული წყაროების მიხედვით, შაჰ აბასი საქართველოში შემოიჭრა 1613 წლის შემოდგომაზე. ქართული მემატიანის თანახმად, კი ლაშქრობა დაიწყო 1613 წლის 10 ოქტომბერს. სვანიძის გადმოცემით, რუსულ წყაროებში აღნიშნულ თარიღად

მოცემულია 1614 წლის ოქტომბერი. ისკენდერ მუნშის მიხედვით კი, 1613 წლის 16 ოქტომბერია. სომხური წყაროების თანახმად - 1613 წელი **(სვანიძე, 1971:257-258)**.

ქართლის მეფე თეიმურაზ I-ის გაქცევისა და ქართლში თავის შეფარების შემდეგ, შაჰ-აბასი, ქართლის ზოგ თავადთან შეთანხმებით, 1615 წელს ქართლის ტერიტორიაზე შემოიჭრა. მათ შორის ვინც შეთანხმება გააფორმეს სეფიანებთან, იყო გიორგი სააკაძე. სეფიანებმა, რომლებმაც დაიპყრეს ქართლი, ტახტზე დავით XI-ს ვაჟი, შიიტი მუსულმანი, ბაგრატ VII დასვეს, რომელიც მალევე 1619 წელს გარდაიცვალა. მისი ადგილი მისმა მცირეწლოვანმა ვაჟმა სიმონ II-მ დაიკავა. გიორგი სააკაძე კი მოადგილის სტატუსით, მეფის მრჩეველი გახდა **(Bilge, 2015:117)**.

თეიმურაზმა და ლუარსაბმა, რომლებიც შაჰ-აბასს ვერ გაუმკლავდნენ, ოსმალეთის იმპერიის ქვეშევდომობაში მყოფ იმერეთის სამეფოს შეაფარეს თავი **(სვანიძე, 1971:259; შველიძე, 2011:238; მამისთვალაშვილი, 2019:41; ჭაავა, 2018-1:19)**. იმერეთის მეფე გიორგი III-მ მიიღო თეიმურაზისა და ლუარსაბის თავშესაფრის მოთხოვნა. შაჰ-აბასი, ოსმალებთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, იმერეთის სამეფოში არ შეიჭრა და გადაწყვიტა საქმე მშვიდობიანად მოეგვარებინა. ამისთვის მან გიორგი III-ს ელჩი გაუგზავნა. სეფიანთა ელჩმა მას მოთხოვა, რომ ქართველი მეფეები გადაეცა **(Küpeli, 2015:100; ჯამბურია, 2020:201; ჭაავა, 2018-1:20)**. ამასთანავე, ამ მდგომარეობით რომ ოსმალეთი არ შეწუხებულიყო, შაჰ-აბასმა სტამბოლში ელჩი გააგზავნა და აუწყა, რომ მისი მიზანი მუსულმანების დევნის გარეშე, ქართველების შეჩერება იყო. ისა ხანი, რომელიც კახეთის სამეფო ტახტს მართავდა, შაჰ-აბასთან შეხვედრის მიზნით, ისპაჰანში წავიდა. ქართველებმა, რომლებსაც არ სურდათ მუსლიმანი და შაჰის დასმული მეფე, ნახეს ხელსაყრელი მომენტი და აჯანყდნენ. თეიმურაზ I-ს კვლავ სამშობლოში მოუხმეს. ამის შემდეგ მეფე დაბრუნდა, ირანელი ჯარისკაცები დახოცა და ოსმალების მხარდაჭერით, შექი და არეში სეფიანებისგან გაათავისუფლა. გარდა ამისა, მან დაამარცხა შაჰ-აბასის მიერ ალი ყული ხანის მეთაურობით, თბილისის დასაპყრობად გაგზავნილი 15.000 კაციანი ჯარი **(Bilge, 2015:117)**. იმავდროულად ქართლში აჯანყება დაიწყო, მეფის მრჩეველი, გიორგი სააკაძე გაიქცა და თავი სეფიანებს შეაფარა. ეს აჯანყება სეფიანების მიერ მკაცრად იქნა ჩახშობილი. ქართლის მეფე ლუარსაბ II, რომელიც შაჰმა შეიპყრო,

პირველად ირანში წაიყვანა და გულაბის ციხეში დაატყვევა. მეფემ, მუსულმანობა არ მიიღო და შაჰის ბრძანებით, 1622 წლის 21 ივნისს მოკლეს (**რეხვიაშვილი, 1989:75; Bilge, 2015:117**).

XVII ს-ის 20-იან წლამდე დასავლეთ საქართველოში, მეფისა და თავადებს შორის ურთიერთობა საკმაოდ კარგი იყო. ერთად იღებდნენ გადაწყვეტილებას საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. როდესაც ქართველი მეფეების უკან გადაცემასთან დაკავშირებით დაიგეგმა მეფე გიორგი III-ის ელჩთან მოლაპარაკების გამართვა, მან სამეგრელოს თავადი ლევან დადიანი და მამია გურიელიც მიიწვია. დელეგაცია გეგუთის სასახლეში შეიკრიბა. მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ მეფეებს უკან არ დააბრუნებდნენ (**რეხვიაშვილი, 1989:74**).

შაჰ-აბასი, რომელმაც იმერეთის მეფე გიორგი III-სგან უარყოფითი პასუხი მიიღო, მას იმერეთის დაპყრობით დაემუქრა. ამ მდგომარეობას ოსმალეთი მშვიდად არ შეხვედრია. ამის გამო შაჰმა სტამბოლში ელჩი გაგზავნა და აუწყა, რომ მისი მიზანი სეფიანებზე დამოკიდებული ქართველი მეფეების კვლავ დამორჩილება იყო. სეფიანთა მუქარისგან შეშინებულმა იმერეთის მეფე გიორგი III-მ შაჰს ელჩები და ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა. შაჰ-აბასმა იცოდა, რომ იმერეთის მეფე მასთან შეხიზნულ მეფეებს არ გადასცემდა. იმერეთის სამეფოს თუ თავს დაესხმებოდა, ოსმალეთთან ომის გამოცხადება იქნებოდა, რადგან შეთანხმების მიხედვით, იმერეთის სამეფო, ოსმალების ქვეშევდომობაში იყო. შაჰს კი არ სურდა ოსმალებთან ომში ჩაბმა, ამიტომ უარი თქვა ქართველი მეფეების გადაცემის სურვილზე. ამის სხვა მიზეზი, შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოს მეფისა და თავადებს შორის არსებული კარგი ურთიერთობა იყო (**რეხვიაშვილი, 1989:74-75**).

იმავდროულად, სტამბოლში ჭორები გავრცელდა, რომ დიდვეზირი ნასუჰ ფაშა ფარულად ელაპარაკებოდა სეფიანებს. ამასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის საზღვართან დაკავშირებით არსებობდა ხელშეკრულება, გარკვეულ საკითხები მაინც არ იყო გადაწყვეტილი. ამას ემატებოდა ის, რომ ირანში ელჩის სახით გაგზავნილი მუსტაფა ჩავუში უკან არ დაბრუნდა, ორასი აბრეშუმი კი კვლავ არ იყო გამოგზავნილი. ყოველივე ამ მიზეზების გამო, ოსმალეთს ირანის უკმაყოფილო იყო. გარდა ამისა, შაჰ-აბასის საომარი მოქმედებები ქართველებზე

ოსმალეთის იმპერიას აწუხებდა. სასაზღვრო მოლაპარაკებების თაობაზეც არ არსებოდა საბოლოო შედეგი. სეფიანები ამტკიცებდნენ, რომ ახალციხის ტერიტორია მათ ეკუთვნოდათ. ამის გამო ოსმალეთის სასახლეში სულთანზე იზრდებოდა ირანთან ომის მსურველების ზეწოლა. ამ ზეწოლის შემდეგ, ნასუჰ ფაშა მოვალეობიდან გადააყენეს. შაჰ-აბასმა, როდესაც ეს გაიგო, ოსმალების ელჩი მუსტაფა ჩავუში აბრეშუმთან ერთად უკან დააბრუნა, თუმცა ამან მოსალოდნელი ომის შეჩერება ვერ გამოიღო (Küpeli, 2015:100-101).

ოსმალეთის არმია 100 ათასიანი ჯარით, დიდვეზირ მეჰმედ ფაშას მეთაურობით 1615 წლის 22 მაისს სტამბოლიდან დაიძრა. მეჰმედ ფაშა, ალეპოში გამოზამთრების შემდეგ ერევნისკენ გაემართა. 1616 წლის 5 ივნისს ლაშქარმა ყარსს მიაღწია, 1616 წლის 11 სექტემბერს ერევანში შევიდა და ციხეს ალყა შემოარტყა. ციხე-სიმაგრეში მყოფები ოსმალებს საკმაოდ დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. დიდვეზირ მეჰმედ ფაშამ, რომელმაც ვერა და ვერ მოახერხა დადებითი შედეგის მიღება, ზამთრის მოახლოებისა და საბრძოლო მასალისა და საკვების შემცირების გამო ალყა მოხსნა. ჯარმა არზრუმში გადაინაცვლა. გზაში საშინელი სიცივის გამო, ბევრი ჯარისკაცი დაიხოცა (Küpeli, 2015:101-102; Bilge, 2015:119). როდესაც ჯარმა არზრუმს მიაღწია, სეფიანთა ელჩი ყადი ხანი, ბანაკში მოვიდა და ორ მხარეს შორის დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები. 1612 წლის ნასუჰ ფაშას ხელშეკრულების მსგავს პირობებზე შეთანხმდნენ. თუმცა სულთანი აჰმედ I ამ პირობებს არ დაეთანხმა და დიდვეზირი მეჰმედ ფაშა, 1616 წლის 17 ნოემბერს მოვალეობიდან გადააყენა (Küpeli, 2009:58).

დიდვეზირი ჰალილ ფაშა გახდა. ჰალილ ფაშა იმავდროულად ჯარის სარდლადაც დაინიშნა, რომელმაც 1617 წლის 15 ივნისს, 60.000 კაცით სტამბოლიდან სეფიანებზე გაილაშქრა. 1617 წლის ოქტომბერს არმიამ დიარბაქირს მიაღწია და ზამთარი იქ გაატარა (Bilge, 2015:119). ამ დროს ოსმალეთის ტახტზე ცვლილებები მოხდა. 1617 წლის 22 ნოემბერს გარდაიცვალა აჰმედ I და მისი ადგილი მუსტაფა I-მა დაიკავა. მას რამდენიმე თვე, 1618 წლის 26 თებერვლამდე ეკავა ტახტი (Emecen, 2006:272-273). მუსტაფას ადგილას ოსმალეთის სამეფო ტახტზე ოსმან II (1618-1622) ავიდა (Emecen, 2007:453).

მან დიდვეზირ ჰალილ ფაშას გაუგზავნა წერილი, რომელსაც აუწყებდა, რომ სანამ არ დადგინდებოდა თუ ვის ეკუთვნოდა საქართველოსა და ვანის შემოგარენში საკამათო ტერიტორიები და სანამ სეფიანები არაბულ ერაყში დაპყრობილ ზოგიერთ ციხე-სიმაგრეს არ დაცლიდნენ, მშვიდობის ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნებოდა. გამოზამთრებისთანავე ოსმალეთის ჯარმა დიარბაქირი დატოვა და თავრიზისკენ გაემართა. როდესაც ვანს მიუახლოვდა, ოსმალეთის არმიას ყირიმის ხან ჯანიბექ გირაი II შეუერთდა მისი ჯარით და ისე განაგრძეს გზა. შაჰ-აბასმა, როდესაც მტრის ჯარის შემოსვლის ამბავი გაიგო, შეეცადა მის შეჩერებას და მშვიდობის დამყარების მიზნით ელჩი გაუგზავნა დიდვეზირ ჰალილ ფაშას. ელჩმა ჯარის მსვლელობას ხელი ვერ შეუშალა. ოსმალეთის არმიამ ირგვლივ ტერიტორიების ძარცვით მიაღწია თავრიზს. ოსმალეთის ჯარის მთავარი მიზანი ქალაქი არდებილი იყო. როდესაც შაჰ-აბასმა ოსმალეთის მთავარი მიზანის შესახებ შეიტყო, თავრიზიდან არდებილში გადანაცვლება დაიწყო. გზადაგზა კი სეფიანთა ჩვეულ ტაქტიკას მიმართავდა, განვლილ ადგილებს წვავდა და ანადგურებდა. ამით კი ოსმალეთის არმიას მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. ოსმალთა არმიამ, როდესაც თავრიზს მიაღწია, დაინახა რა სეფიანები უკან იხევდნენ, განაგრძო სვლა არდებილისკენ. ამ დროს ოსმალების ბანაკში მეორედ ჩავიდა სეფიანთა ელჩი, თუმცა კვლავ უშედეგოდ. ოსმალეთის სალაშქრო საბჭომ გადაწყვიტა, არდებილისკენ მიმავალ სეფიანების მოულოდნელი დარბევა. თუმცა სანამ ეს მოხდებოდა, სეფიანებმა შეიტყვეს და 1618 წლის 24-25 აგვისტოს ოსმალები სასტიკად დაამარცხეს. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებმა დაახლოებით 15.000 ჯარისკაცი დაკარგეს, მაინც არ დანებდნენ და არდებილისკენ გზა გააგრძელეს **(Küpeli, 2015:102-103)**.

დიდვეზირ ჰალილ ფაშამ, რომელმაც იცოდა, რომ ირანში მსველობის გაგრძელება მომარაგების თვალსაზრისით ჯარს გასაჭირში ჩააგდებდა, შაჰ-აბასს ელჩი გაუგზავნა. შესაბამისად, ოსმალეთმა მოთხოვნებზე უარი თქვა მშვიდობას დათანხმდა. დიდვეზირის ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი ოსმალეთის დასავლეთ საზღვართან პოლონელებთან არსებული პრობლემები იყო. ამ საკითხის გადაჭრის მიზნით, დღის წესრიგში იყო პოლონეთთან ბრძოლის წამოწყება. ამისთვის საჭირო იყო, დიდვეზირის მიერ სეფიანებთან არსებული პრობლემების მოგვარება და

სტამბოლში დაბრუნება. გარდა ამისა ზამთარიც ახლოვდებოდა. ჰალილ ფაშა, იმის გამო, რომ შაჰი მალე დათანხმებოდა შეთავაზებას, არდებილისკენ სვლას აგრძელებდა. არდებილი სეფიანთათვის ძალზედ მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. შესაბამისად შაჰ-აბასი ომს ვერ დაუშვებდა, ამიტომ მოლაპარაკების დაწყების მიზნით ელჩი გაგზავნა (Küpeli, 2009:67-68).

მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად ის უნდა დათანხმებოდა, რომ ახალციხე ოსმალეთის კუთვნილება იყო, მას ასევე უნდა დაეცალა და ოსმალეთზე გადაეცა ბაღდათის ახლოს მდებარე სეფიანთა მიერ დაპყრობილი ციხეები, ყოველ წლიურად კი აბრეშუმისა და ნაჭრის მსგავსი ძვირფასი საჩუქრები უნდა გაეგზავნა ოსმალებისთვის. ამ პირობებს შაჰ-აბასი დათანხმდა. შეთანხმების თანახმად, რომელიც ცნობილია, როგორც სერავის შეთანხმება, ოსმალეთ-სეფიანთა საზღვარი განისაზღვრა 1555 წელს ხელმოწერილი ამასიის ხელშეკრულების საფუძველზე. ამის მიხედვით, აზერბაიჯანი და აღმოსავლეთ საქართველო სეფიანებს, დასავლეთ საქართველო, ყარსი და ახალციხე კი ოსმალების ქვეშევდომობაში შევიდა. შაჰმა ასევე დადოდ პირობა, არ ჩაერეოდა დაღესტანის საქმეებში, რომელიც ოსმალეთის იმპერიას ექვემდებარებოდა (Küpeli, 2015:104).

როგორც ვხედავთ, ოსმალეთის იმპერიასა და სეფიანთა შორის გამართული ომის შემდეგ, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის პირობები თითქმის იგივე იყო, რაც 1603-1612 წლის ომის შემდეგ ხელმოწერილი ნასუჰ ფაშას ხელშეკრულებისა. სერავის ხელშეკრულებაში ერთი გასხვავება იყო ის, რომ ყოველწლიურად ორასი აბრეშუმის სანაცვლოდ ასი გაუგზავნიდნენ. გარდა ამისა, მოგვარდა დარჩენილი სასაზღვრო საკითხებიც.

ოსმალეთ-ირანის 1613-1618 წლების ომის შედეგად საქართველო კვლავ ყველაზე დაზარალებული გამოვიდა. როგორც ყოველთვის, ქართველები ორი ქვეყნის ფრონტს შორის მოექცნენ. ამ ომის დროს ოსმალეთის იმპერიასა და იმერეთის სამეფოს შორის ცუდი ურთიერთობა არ ყოფილა. კახეთისა და ქართლის მეფეები, ოსმალეთის ქვეშევდომობაში მყოფ იმერეთის სამეფოს შეეხიზნენ და ამის გამო იმერეთს მცირე უთანხმოება მოუვიდა სეფიანებთან. თუმცა, კვლავ შეეცადნენ ეს დაძაბულობა მოეგვარებინათ სამშვიდობო შეთანხმებებით. ქართლისა და კახეთის

სამეფოები, რომლებსაც 1603-1612 წლების ომის დროს ოსმალეთის ქვეშევდომობაში ყოფნას სეფიანთა ქვეშევდომობა არჩიეს, გააცნობიერეს შეცდომა და ცდილობდნენ ოსმალეთის მფარველობაში შესვლას. ამის საპასუხოდ სეფიანები თავს დაესხნენ საქართველოს. ფაქტობრივად, ზემოხსენებული ომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო საქართველოს წინააღმდეგ სეფიანთა თავდასხმები. რადგან, თუ ოსმალები კვლავ გააკონტროლებდნენ საქართველოს, კავკასიაში მათ წინააღმდეგ უფრო ხელსაყრელი პირობები ექნებოდათ. თუმცა, მრავალი უარყოფითი მიზეზის გამო, სასურველ შედეგს კვლავ ვერ მიაღწიეს.

1.3. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები 1623-1639 წწ. ირან-ოსმალეთის ომის დროს

1618 წელს გაფორმებული სერავის ხელშეკრულებით დასრულდა 1613-1618 წლების ოსმალეთ-ირანის ომი. ამ ომის შემდეგ, ვერცერთმა სახელმწიფომ ვერ მიაღწია მნიშვნელოვან მიღწევებს. გამყარდა 1612 წელს გაფორმებული ნასუჰ ფაშას ხელშეკრულების პირობები. სერავის ხელშეკრულებით, ორ ქვეყანას შორის დაიწყო მშვიდობიანი პერიოდი, რომელიც დაახლოებით ხუთი წელი გაგრძელდა.

ახალი ბრძოლა ოსმალეთსა და ირანს შორის 1623 წელს დაიწყო. ომის განახლების მიზეზი იყო ოსმალეთის ტახტის ცვლილების შემდეგ გამოწვეული გარკვეული არეულობები. 1622 წლის 19 მაისს ოსმან II ტახტიდან გადააყენეს, რომელიც შემდგომ მოკლულ იქნა იანიჩარების მიერ. მის ნაცვლად, მუსტაფა I (1622-1623) უკვე მეორედ ავიდა ოსმალეთის ტახტზე (Emecen, 2006:274-275). ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე წინააღმდეგი იყო შექმნილი მგომარეობის. ამ დროს, ხელისუფლების კრიზისის გამო, როგორც ყოველთვის სეფიანებმა ანატოლიაში ისევ არეულობა დაიწყეს (Kılıç, 2000:267).

ირანს სურდა ესარგებლა შექმნილი მდგომარეობიდან, ამიტომ დაიწყო მოქმედება. მოვლენა, რამაც მოახდინა ირანის მობილიზება, იყო ოსმალეთის ტერიტორიის შემადგენელ ნაწილში, ბაღდადში არსებული ადმინისტრაციული პრობლემები. ამბოხებულ ბექირ სუბაშს სურდა ბაღდადის მმართველობის ხელში ჩაგდება. თუმცა ოსმალეთმა არ სცნო ის მმართველად და იქ დანიშნა დიარბაქირის

ძველი გამგებელი სულეიმან ფაშა (**Küpeli, 2009:80**). ბექირ სუბაშს ბაღდადის მმართველობის სულეიმან ფაშასთვის დათმობა არ სურდა, ამიტომ დიარბაქირის გამგებელ ჰაფიზ აჰმედ ფაშას დაევალა მისი განეიტრალება. როდესაც ჰაფიზ აჰმედ ფაშა ბაღდათისკენ გაეშურა, ბექირ სუბაშმა დახმარება ირანს სთხოვა და გამოუცხადა, რომ შეუერთდებოდა ირანს. შაჰ-აბასისთვის დახმარების ამგვარი თხოვნა ძალზედ ხელსაყრელი იყო. მას საშუალება მიეცა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად და სასწრაფოდ გაგზავნა ძალები ბაღდადის დასამორჩილებლად (**Kılıç, 2000:268; Küpeli, 2009:82-83**).

ჰაფიზ აჰმედ ფაშამ, როდესაც ეს ვითარება დაინახა, სასწრაფო ზომები მიიღო და ბექირ სუბაშს რაკას საბეგლარბეგო გადასცა, მაგრამ ამით მაინც ვერ გადააფიქრებინა მიზნისკენ სვლა. ბექირ სუბაშს არ მოეწონა ოსმალეთის შეთავაზება და განაცხადა, რომ იგი დაექვემდებარებოდა ირანს. ჰაფიზ აჰმედ ფაშა, რომელსაც სხვა არჩევანი არ ჰქონდა, იძულებული გახდა ბაღდადის საბეგლარგებო ბექირ სუბაშისთვის დაეთმო. ბექირ სუბაშმა გააგრძელა ორმაგი თამაში. მან, როდესაც ბაღდადის საბეგლარბეგო მიიღო, უკან გააბრუნა ირანის დელეგაცია და განაცხადა, რომ იგი დაექვემდებარებოდა ოსმალეთის იმპერიას (**Peçevi, 1982:368; Danişmend, 1972-1:327**).

როდესაც შაჰ აბასმა ამის შესახებ გაიგო, ყორჩიხა ხანის მეთაურობით 30.000-იანი ჯარი გაგზავნა ბაღდადის დასაპყრობად. ბაღდადი სამი თვის განმავლობაში იმყოფებოდა ირანის არმიის ალყაში (**Zinkeisen, 2011-4:44**). შაჰ-აბასმა, ბაღდადის ხანგრძლივი ალყის დროს ციხიდან გაქცეული ოსმალეთის ჯარისკაცები ხელთ იგდო და ეს ჯარისკაცები გამოიყენა დერვიშ მეჰმედთან, ბექირ სუბაშის შვილთან დასაკავშირებლად. გაქცეულ ჯარისკაცებთან ერთად, დერვიშ მეჰმედს შაჰ-აბასი შეუთანხმდა და განუცხადა, რომ ბაღდადის ციხე-სიმაგრის ერთი კარი გაეღო და ირანელი ჯარისკაცები შიგ შეეპარებინა და თუ ამას გააკეთებდა, მას დანიშნავდა ბაღდადის გამგებლად. დერვიშ მეჰმედმა, მიიღო შაჰ-აბასის შეთავაზება, ირანულ ჯარს ფარულად გაუღო ციხის კარი და შესაბამისად ირანელებმა დაიპყრეს ბაღდადი (1624 წლის 13-14 იანვარი). შაჰ-აბასმა ციხის დაპყრობის შემდეგ ბექირ ფაშა და ოსმალთა ჯარისკაცები დახოცა. მოგვიანებით მან ასევე მოკლა დერვიშ მეჰმეთი,

რომელსაც განუცხადა, რომ ადამიანი, ვინც მამამისს უღალატებდა, მას არ გამოადგებოდა (Küpeli, 2009:87; Danişmend, 1972-1:327-328; Zinkeisen, 2011-4:44-45; Peçevi, 1982:368; Kılıç, 2000:268-269). ბაღდადის დაკარგვის შემდეგ, მან განაგრძო სამხედრო მოქმედებები და დაიპყრო მოსული და კირკუკი (Zinkeisen, 2011-4:45; Küpeli, 2009:89-90; Peçevi, 1982:368; Kılıç, 2000:269).

კახეთის ტახტზე კვლავ ასულმა თეიმურაზ I-მა თავისი გამარჯვება გიორგი სააკაძის ვაჟის მეშვეობით შეატყობინა დიდვეზირს, დიარბაქირში მყოფ ჰაფიზ აჰმედ ფაშას. მან ოსმალებს სთხოვა სეფიანთა წინააღმდეგ დახმარება. ჰაფიზ აჰმედ ფაშამ თავაზიანად უარყო ქართული სამეფოების ეს მოთხოვნები. განაცხადა, რომ ევალებოდა ბაღდადის აღება და ბაღდადისკენ გაეშურა (Kılıç, 2000:269; Zinkeisen, 2011-4:49; შენგელია, 1960:257). საჭიროების შემთხვევაში ქართველებისთვის დასახმარებლად მთავარსარდლად საქართველოში დაინიშნა ბათუმის ბეგლარბეგი (Küpeli, 2009:93-94). ამგვარად, სეფიანების წინააღმდეგ ოსმალეთ-საქართველოს მოკავშირეობა ვერ შედგა.

1625 წლის სექტემბერში ჰაფიზ აჰმედ ფაშამ ბაღდადზე გაილაშქრა და 1625 წლის ნოემბერში ქალაქს ალყა შემოარტყა. ამ დროს შაჰ-აბასმა 30.000 კაციანი არმიით ოსმალთა ჯარის სასურსათო ხაზები დაბლოკა. ოსმალები, ამ მდგომარეობიდან განთავისუფლების მიზნით, შაჰის ჯარის წინააღმდეგ წავიდნენ. გამართულ ბრძოლაში შაჰ-აბასი დამარცხდა და უკან დაიხია. ბრძოლაწაგებულმა შაჰმა ოსმალთა სარდალს, ჰაფიზ აჰმედ ფაშას ზავისთვის ელჩი გაუგზავნა. გამართულმა შეხვედრამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ორ არმიას შორის ბრძოლა გაგრძელდა და საბოლოოდ შაჰ-აბასი დამარცხდა. შაჰ-აბასმა ვერ შეძლო ოსმალეთის ალყის მოხსნა და კვლავ გაგზავნა ელჩი ზავისთვის. ამასობაში, ალყის გახანგრძლივებისგან გამოწვეული საკვების უკმარისობის გამო ოსმალეთის ჯარში აჯანყება დაიწყო. შაჰ-აბასმა აღნიშნული დაპირისპირების გამოყენება სცადა და სამშვიდობო შეთავაზება გადაიფიქრა (Kılıç, 2000:270-271). ბაღდადის ალყა 9 თვე გაგრძელდა, 1625 წლის ნოემბრიდან 1626 წლის ივლისამდე, მაგრამ უშედეგოდ (Danişmend, 1972-1:335; Küpeli, 2009:105). ამის შემდეგ, მურად IV-მ ჰაფიზ აჰმედ ფაშა დიდვეზირობიდან გაანთავისუფლა და მის ნაცვლად 1626 წლის 1 დეკემბერს დანიშნა ჰალილ ფაშა,

რომელსაც დაავალა ალეპოს წინააღმდეგ წასვლა **(Sertoğlu, 1987:21; Peçevi, 1982:382; Küpeli, 2009:106; Danişmend, 1972-1:335-336)**.

1626 წლის 4 დეკემბერს ჰალილ ფაშა უსკუდარიდან ალეპოსკენ გაეშურა. ალეპოში ჩასვლის შემდეგ, მან 1627 წლის ივლისში ქალაქი დატოვა და გადავიდა დიარბაქირში, შემდეგ გაემგზავრა ბაღდადში **(Zinkeisen, 2011-4:52; Danişmend, 1972-1:336-337)**.

ამით ისარგებლეს ირანელებმა და ახალციხეს ალყა შემოარტყეს. ასევე აჯანყდა ოსმან II-ის მკველობის შემდეგ აჯანყებული და არზრუმში მყოფი აბაზა მეჰმედ ფაშა. ჰალილ ფაშამ სეფიანების მიერ ალყის ქვეშ მოქცეული ახალციხის დასახმარებლად, დიარბაქირის, რუმელიის, ალეპოსა და მარაშის მმართველები გაგზავნა. კირკუკის ბეგლარბეგი კი გააგზავნა არზრუმში, რათა აჯანყებული აბაზა მეჰმედ ფაშა შემოერიგებინა, მაგრამ მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ამ დროს გაანთავისუფლეს ახალციხის ციხე. ამის შემდეგ, აბაზა მეჰმედ ფაშას აჯანყების ჩახშობის მიზნით, ჰალილ ფაშამ ალყა შემოარტყა არზრუმს, მაგრამ იარაღის უკმარისობის გამო, ყოველგვარი შედეგის გარეშე, ალყა მოხსნილი იქნა 1627 წლის ნოემბერში **(Kılıç, 2000:271)**. ჰალილ ფაშას ამ წარუმატებლობისთანავე მურად IV-მ ის გაათავისუფლა და დიდვეზირად დანიშნა ჰუსრევ ფაშა. 1628 წლის აპრილში, აბაზა მეჰმედ ფაშას აჯანყების ჩახშობის მიზნით, ახალი ვეზირი, ჰუსრევ ფაშა არზრუმისკენ გაეშურა **(Peçevi, 1982:338; Küpeli, 2009:111; Zinkeisen, 2011-4:54)**. 1628 წლის სექტემბერში აბაზა მეჰმეა ფაშამ პატიება ითხოვა და დანებდა. ოსმალეთის ჯარისკაცები ირანის ფრონტზე ომში დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდნენ, ამიტომ 1628 წლის ოქტომბერში ირან-ოსმალეთის ომი, რომელიც 5 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, გარკვეული ხნით შეჩერდა **(Danişmend, 1972-1:341-342; Zinkeisen, 2011-4:91; Kılıç, 2000:273)**.

საქართველოში კი მდგომარეობა იცვლებოდა. 1627 წელს კახეთის მეფე თეიმურაზ I სეფიანთა ქვეშევდომობის ქვეშ შევიდა. კვლავ დაიკავა კახეთის ტახტი და შაჰ-აბასს დაადასტურებინა თავისი მეფობა. ოსმალებმა სეფიანთა ქვეშევდომობაში შესული თეიმურაზის წინააღმდეგ ჩილდირის ბეგლარბეგის, იმერეთის მეფე გიორგი III-სა და გიორგი სააკაძის მეთაურობით ჯარი გაგზავნა.

თეიმურაზი ოსმალთა და ქართველთა ჯართან დამარცხდა. ქართული სამეფოები განაწყენებულები იყვნენ თეიმურაზის სეფიანთა მმართველობის ქვეშ შესვლის გამო. 1626 წლის ოქტომბერს თეიმურაზის ტახტიდან ჩამოგდების მიზნით, გიორგი სააკაძის მეთაურობით, ქართველთა რაზმმა მის წინააღმდეგ გაილაშქრა, თუმცა თეიმურაზმა ისინი დაამარცხა. გიორგი სააკაძე გაიქცა და თავი ოსმალეთს შეაფარა **(Bilge, 2015:122)**.

ოსმალეთსა და ირანს შორის ომი 1629 წლის 9 ივნისს კვლავ განახლდა, როდესაც ოსმალეთის არმია, ჰუსრევ ფაშას მეთაურობით ბაღდადზე შეტევაზე გადავიდა **(Küpeli, 2009:115; Danişmend, 1972-1:343)**. ჰუსრევ ფაშა 1629 წლის 17 დეკემბერს მოსულში ჩავიდა, თუმცა უამინდობის გამო დაწინაურება ვერ შეძლო და იქ დარჩა. 1630 წლის მარტში შეჰრიზორის შემოგარენი გაამაგრეს **(Peçevi, 1982:385-386, Kılıç, 2000:274)**.

ამასობაში საფიანთა ტახტზე ცვლილებები მოხდა. 1629 წელს გარდაიცვალა შაჰ-აბას I და მისი ადგილი დაიკავა შვილიშვილმა შაჰ საფიმ (1629-1642) **(Kılıç, 2000:276; Matthee, 2017-2:573)**. სეფიანთა ტახტის შემდეგ, ცვლილებები მოხდა ქართლის სამეფო ტახტზეც. ქართლის მეფე სიმონ II ზურაბ არაგვის ერისთავის მიერ მოკლულ იქნა 1630 წელს. მეფის გარდაცვალების შემდეგ კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა ქართლი დაიპყრო და მოკლა არაგვის ერისთავი ზურაბი.

ჰუსრევ ფაშამ სამომავლოდ გადადო ბაღდადის საკითხი და მიჰრიბანის ციხისკენ გაეშურა. როდესაც ფაშა გზაში იყო, ბრძოლა გაიმართა ციხე-სიმაგრის ასაღებად წასულ 40.000 კაციან სეფიანთა ჯარსა და 10.000 კაციან ოსმალეთის ჯარს შორის. ბრძოლაში ოსმალებმა გაიმარჯვეს. ამ ბრძოლიდან 6 დღის შემდეგ ჰუსრევ ფაშამ მიჰრიბანის ციხესიმაგრეს მიაღწია. 1630 წლის მაისში ის ჰამადანისკენ გაეშურა. მისი მიზანი იყო ირანისთვის ეიძულებინა ბაღდადის დათმობა. 1630 წლის 9 ივნისს დაიპყრეს ჰამადანი **(Danişmend, 1972-1:345-346; Küpeli, 2009:121; Kılıç, 2000:274)**.

ჰუსრევ ფაშა იქ ერთი კვირა დარჩა, შემდეგ კი გაეშურა ყაზვინისკენ. გზაზე პრობლემები რომ არ შექმნოდა, დერგუზინისკენ გააგრძელა გზა. როდესაც სეფიანებმა შეიტყვეს ოსმალეთის არმიის ეს ნაბიჯი, უკან დაიხიეს და გზად ისევ

ყველაფერს წვავდენენ და ანადგურებდნენ. ოსმალეთის არმიამ ბაღდადამდე მიაღწია და 1630 წლის 5 ოქტომბერს დაიწყო ქალაქზე ალყა **(Küpeli, 2009:121-124)**.

როდესაც 1630 წლის 14 ნოემბერს გამართულმა ბრძოლამ შედეგი ვერ გამოიღო, გადაწყდა ალყის დასრულება **(Yans, 1977:114)**. ჰუსრევ ფაშა ამის შემდეგ, 1630 წლის 12 დეკემბერს მოსულში ჩავიდა. მოგვიანებით იგი დიარბაქირში გადავიდა **(Danişmend, 1972-1:349-351)**. ჰუსრევ ფაშა ამ მარცხის გამო, 1631 წლის 25 ოქტომბერს დიდვეზირობიდან გაათავისუფლეს. მის ნაცვლად ჰაფიზ აჰმედ ფაშა მეორედ დაინიშნა დიდვეზირად **(Zinkeisen, 2011-4:97; Peçevi, 1982:393)**. ამ უკანასკნელის ნაცვლად, 1632 წლის 10 თებერვალს დიდვეზირად დაინიშნა თოფალ რეჯეფ ფაშა, რომელმაც მხოლოდ სამ თვეს შეინარჩუნა თანამდებობა. მის ადგილზე, 632 წლის 18 მაისს დაინიშნა თაბანიიასსი მეჰმედ ფაშა **(Küpeli, 2009:134)**.

1631 წელს სეფიანთა იმპერიაში აჯანყება დაიწყო, რომელიც 1632 წელს ჩაახშეს. ამით ისარგებლა თეიმურაზ I-მა. ის განჯასა და ყარაბაღს თავს დაესხა და გაძარცვა. ამის შემდეგ სეფიანთა ჯარი საქართველოში შემოვიდა. თეიმურაზი სეფიანთა წინაშე მარტო დარჩა, რადგან მიხვდა, რომ მათ წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობდა, გაიქცა. მან თავი ოსმალთა ქვეშევდომობაში მყოფ იმერეთის სამეფოს შეაფარა. იქიდან არზრუმის ბეგლარბეგ ჰალილ ფაშას წერილი გაუგზავნა და სულთან მურად IV-ს მორჩილება გამოუცხადა და დახმერება სთხოვა. რადგან თეიმურაზმა თავი იმერეთს შეაფარა, კახეთისა და ქართლის სამეფო ტახტები ცარიელი დარჩა. შედეგად სეფიანების მიერ ქართლის ტახტზე დაინიშნა როსტომი (1631-1658). კახეთში კი, რომელიც სეფიანთა პროვინციად გადაიქცა, ირანელი მმართველი. ქართლისა და კახეთის სამეფოების ციხეებში სეფიანთა ჯარისკაცები განაწილდა. ამგვარად ამ ქართულ სამეფოებში კვლავ ჩამოყალიბდა სეფიანთა მმართველობა. სეფიანთა მიერ ქართ-კახეთის დაპყრობის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს სამთავროები, სამეგრელო და გურია სეფიანთა სახელმწიფოს დაემორჩილა. გურიის მთავარმა, ქაიხოსრო I-მა თავისი ქალიშვილი ქართლის მეფე როსტომს მიათხოვა. იმერეთის მეფეს გიორგი III-ს არ სურდა გურიელის ქალიშვილის მის მიწებზე გათარება არ სურდა. ამის გამო გიორგი III-ის წინააღმდეგ

სეფიანებმა ჯარი გააგზავნეს, დაამარცხეს იგი და იმერეთის სამეფო დაიკავეს (**Bilge, 2015:123-124**).

1633 წელს ირანის ჯარმა ალყა შემოარტყა ვანს. როდესაც სტამბოლში ამ ამბავმა ჩააღწია, დიდვეზირი თაბანიიასსი მეჰმედ ფაშა ვანისკენ დაიძრა. მაგრამ, ირანელებმა უკან დაიხიეს და ფაშამ ბაღდადისკენ გადაუხვია (**Kılıç, 2000:276**).

სეფიანებმა ქალაქი ერევანი გამოაცხადეს, როგორც მათი ავანპოსტი. აქედან ისინი ასრულებდნენ იერიშებს ოსმალეთის მიწებზე, რითაც ეკონომიკურ და სამხედრო ზიანს აყენებდნენ მათ. ოსმალეთი სეფიანთა ამ სამხედრო მოქმედებების თავიდან აცილების მიზნით ერევნის დასაპყრობად მოქმედებაზე გადავიდა. თავად სულთან მურად IV-ს მეთაურობით სტამბოლიდან ჯარი გაემგზავრა 1635 წლის 28 მარტს, რომელიც ჯერ კონიაში ჩავიდა, შემდეგ კი 1635 წლის 3 ივნისს არზრუმში, ჯარი არზრუმში დარჩა ცხრა დღის განმავლობაში, შემდეგ კი ყარსის გავლით 1635 წლის 26 ივლისს ერევანს მიაღწია. ერევნის ალყა დაიწყო 1635 წლის 28 ივლისს. 8 აგვისტოს კი სეფიანებმა ქალაქი ოსმალება გადასცეს (**Danişmend, 1972-1:361-365**).

გარკვეული დროის განმავლობაში სულთანი ერევანში დარჩა, შემდეგ ჯერ ვანში, მერე კი დიარბაქირში წავიდა. სტამბოლში დაბრუნებით მურად IV-მ დაასრულა თავისი 10 თვიანი ლაშქრობა (**Kılıç, 2000:277**). სულთნის წასვლის შემდეგ, 1636 წლის აპრილში ერევნის ციხე კვლავ დაიპყრეს სეფიანებმა (**Küpeli, 2009:158**). დიდვეზირი მეჰმედ ფაშა, რადგან დროულად ვერ დაეხმარა ერევანს, გადააყენეს და მის ნაცვლად დაინიშნა ბაირამ ფაშა (**Danişmend, 1972-1:369-370**).

1638 წლისთვის ოსმალეთის იმპერიამ მიიღო ზომები ბაღდადის დასაბრუნებლად, რაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო სპარსეთის ყურისა და ერაყის ტერიტორიის კონტროლისთვის. ამისათვის სულთან მურად IV-მ დაიწყო მზადება ბაღდადზე ლაშქრობისათვის. შაჰ საფიმ, როდესაც ეს გაიგო, სამშვიდობო ელჩები გააგზავნა, მაგრამ უშედეგოდ. გარდა ამისა, ოსმალებმა სეფიანთა ელჩები დააპატიმრეს (**Kılıç, 2000:278**).

მურად IV უსკუდარიდან ბაღდადისკენ მოქმედებაზე 1638 წლის 8 მაისს გადავიდა (**Yans, 1977:177; Zinkeisen, 2011-4:116**). პირველად სულთანი ქონიაში ჩავიდა და იქ 8 დღის განმავლობაში დარჩა. 1638 წლის 22 ივნისს გზა გააგრძელა და 1638

წლის 22 ივლისს ალეპოში ჩავიდა. 6 აგვისტოს დატოვა ალეპო და 3 სექტემბერს ჩავიდა დიარბაქირში (Danişmend, 1972-1:372-374). გზად გარდაიცვალა დიდვეზირი ბაირამ ფაშა და მის ადგილას დაინიშნა თაიარ მეჰმედ ფაშა (Zinkeisen, 2011-4:116). ჯარი 13 სექტემბერს, გაემგზავრა დიარბაქირიდან და 1638 წლის 7 ოქტომბერს მოსულში ჩავიდა. ოსმალეთის არმია ბაღდადში ჩავიდა 1638 წლის 15 ნოემბერს (Danişmend, 1972-1:372-374).

ამრიგად, დაიწყო ბაღდადის ალყა. ალყის დროს დიდვეზირი თაიარ მეჰმედ ფაშა გარდაიცვალა. მის ნაცვლად დაინიშნა ყარა მუსტაფა ფაშა. დაახლოებით 40 დღიანი ალყის შემდეგ ბაღდადი დანებდა სულთანმა 20.000 ჯარისკაცი ბაღდადში დატოვა, თვითონ კი 1639 წლის 14 იანვარს ქალაქი დატოვა და მოსულში ჩავიდა (Küpeli, 2009:181-191; Kılıç, 2000:279; Zinkeisen, 2011-4:116-120).

სტამბოლიდან მოსულში ჩამოყვანილი ირანის ელჩის მეშვეობით, მურად IV-მ 1639 წლის 27 იანვარს მუქარის წერილი გაუგზავნა ირანის შაჰ სეფის. წერილში ირანს მოსთხოვა საჩუქრების გაგზავნა, დაპყრობილი ტერიტორიების დაცლა და ოსმალეთის იმპერიისთვის მათი გადაცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აცხადებდა, რომ გაზაფხულზე კვლავ ირანისკენ გაეშურებოდა. წერილის შემდეგ, 1639 წლის 12 ივნისში სულთანი მოსულიდან სტამბოლში ჩავიდა. მისი წერილის შემდეგ, დიდვეზირ ყარა მუსტაფა ფაშამ 1639 წლის 23 მარტს ბაღდადი დატოვა და სეფიანთა წინააღმდეგ გაილაშქრა. 29 აპრილს სეფიანთა ელჩი მივიდა ყარა მუსტაფა ფაშას ბანაკში, მაგრამ მოლაპარაკებები წარუმატებელი აღმოჩნდა. ამის შემდეგ ფაშა მივიდა კასრი შირინში. 1639 წლის 14 მაისს სეფიანთა ელჩები კვლავ ჩავიდნენ ვეზირთან შესახვედრად. მოლაპარაკებების შედეგად, ოსმალეთის იმპერიასა და ირანს შორის, 1639 წლის 17 მაისს გაფორმდა ზოჰაბის ხელშეკრულება (Kılıç, 2000:280-281; Danişmend, 1972-1:382-383). მოლაპარაკების შედეგად დასრულდა 16 წლიანი ომი, რომელიც ორივე მხარისთვის დამღლელი იყო. ამ ხელშეკრულების მიხედვით სამეგრელოსა და გურიის სამთავროები და იმერეთის სამეფო ოსმალების, ქართლისა და კახეთის სამეფო და დაღესტანი კი სეფიანების დაქვემდებარების ქვეშ შევიდა. ამასიის ხელშეკრულების შემდეგ ოსმალეთ-ირანს შორის დარღვეული

ურთიერთობები, სულთან მურად IV-ს დროს კვლავ აღდგა (**Bilge, 2015:127; გუჩუა, 1973-5:227**).

ირან-ოსმალეთის ომებმა აჩვენა, რომ ოსმალეთის იმპერია ვერასოდეს ვერ შეძლებდა სეფიანების თავისი სუზერენიტეტის ქვეშ მოქცევას და მათზე მუდმივი ხარკის დაკისრებას. გარდა ამისა, სეფიანებიც მიხვდნენ, რომ აღმოსავლეთ ანატოლიაში ვერ შეძლებდნენ გაბატონებას (**Bilge, 2015:128**). ზოჰაბის ხელშეკრულებით 1514 წლიდან 1639 წლამდე, ოსმალეთსა და სეფიანთა შორის 125 წლიანი ომი დასრულდა. ირანსა და ოსმალეთს შორის მშვიდობა სეფიანდა დინასტიის დასრულებამდე გაგრძელდა. ზოჰაბის ხელშეკრულებიდან XVIII ს-ის პირველ მეოთხედამდე იმერეთის სამეფო, გურიისა და სამეგრელოს სამთავროები და აფხაზეთი ოსმალეთის ქვეშევდომობის ქვეშ დარჩა.

როგორც XVI ს-ში, ასევე XVII ს-ში ოსმალეთ-სეფიანთა ბრძოლების შედეგად დაზარალებული კვლავ საქართველო გამოვიდა. ომების დროს საქართველოს ტერიტორიები, ამ ორ ქვეყანას შორის, ხელიდან ხელში გადადიოდა. განსაკუთრებით ქართლისა და კახეთის სამეფოები ხან სეფიანთა ხელში იყო, ხან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ ან ოსმალებთან თანამშრომლობდნენ. იმერეთის სამეფო კი ამ ბრძლების დროს ყოველთვის ოსმალების სუზერენიტეტის ქვეშ იყო და სეფიანთა წინააღმდეგ ოსმალების გვერდით იბრძოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთხანს საქართველოს ორი მნიშვნელოვანი სამთავრო, სამეგრელო და გურია სეფიანებს დაემორჩილა, იმერეთის სამეფო მაინც ოსმალების ქვეშევდომობაში დარჩა. უფრო მეტიც, ამის გამო სეფიანებმა კიდევაც დაიპყრეს. გარდა ამისა იმერეთის სამეფომ შეიფარა და დახმარების ხელი გაუწოდა სეფიანთა ზეწოლებსა და თავდასხმებს გამოქცეულ ქართლისა და კახეთის მეფეებს.

შავი
ზღვა
ოსმალეთი
ირანი
ეგვიპტე
ეფესელი
ბერძენ-ალბანელ-ბულგარელ-ებრაელ-ოსმალ-ფრანგ-ინგლისელ-ესპანელ-

1657 წელს ლევან II დადიანი უეცრად გარდაიცვალა **(ჭაავა, 2018-2:30)**. ამით ისარგებლა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-მ და ხელახლა დაამყარა თავისი ბატონობა დასავლეთ საქართველოში **(კაჭარავა, 1998-1:208)**. თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. 1660 წლის 4 მარტს გარდაიცვალა ალექსანდრე III **(რეხვიაშვილი, 1989:111; კაჭარავა, 1998-1:209)**. მეუღლე, ნესტან-დარეჯანისგანმას შვილი არ ჰყავდა. მან ქართლის მეფის თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, ლუარსაბი იშვილა და თავის მემკვიდრედ აღზარდა. თუმცა, ლუარსაბიც გარდაიცვალა. ამის შემდეგ, ალექსანდრემ გურიაში მყოფი მისი პირველი ცოლისგან ვაჟი, ბაგრატი მემკვიდრედ გამოაცხადა. 1660 წლის მარტში ბაგრატი, ბაგრატ IV-ის სახელით, იმერეთის მეფე გახდა და დაიკავა მისი გარდაცვლილი მამის ალექსანდრეს ადგილი **(რეხვიაშვილი, 1989:110-111)**. ტახტზე ასვლის შემდეგ დაუოჯახებელი ბაგრატ IV, დედინაცვალმა ნესტან-დარეჯანმა დააქორწინა დეიდაშვილ ქეთევანზე **(ჯამბურია, 1973:344; ჭიჭინაძე, 1903:65)**. ამ ქორწინების დროს დედოფალს არაფერი უკითხია ბაგრატისთვის. იმ დროს დედოფალი ნესტან-დარეჯანი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო იმერეთის სამეფოში. უფრო მეტიც, მეფეზე წინაც კი იყო **(რეხვიაშვილი, 1989:110; ჯამბურია, 1973:345)**. ბაგრატს ამ ვითარების გამო არანაირი პრობლემა არ ჰქონდა. მას დედინაცვალ დედოფალთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. თუმცა, ამან დიდხანს არ გასტანა.

იმერეთის სამეფოში ფეოდალებს შორის მოხდა განხეთქილება. ორ ჯგუფად დაყოფილი ფეოდალების ერთი ნაწილი მეფე ბაგრატ IV-ს უჭერდა მხარს, ხოლო მეორე დედოფალ ნესტან-დარეჯანს. დედოფლის მომხრეებმა მხარი დაუჭირეს ნესტან-დარეჯანის მამის, მეფე თეიმურაზის I-ის პრორუსულ პოლიტიკას. მეფე ბაგრატ IV და მისი მომხრეები განიხილავდნენ ოსმალებისგან დახმარების მიღებას ნესტან-დარეჯანისგან თავის დასაღწევად. თუმცა ისინი რუსეთის წინააღმდეგნიც არ იყვნენ **(კაჭარავა, 1998-1:209)**.

1660 წლის ივლისში ბაგრატ IV დედინაცვალი დედოფლისა და მისი თვალთმაქცი კაცების ღალატის მსხვერპლი გახდა. დატყვევებულ მეფეს თვალები დათხარეს. ამ მოვლენის შემდეგ იმერეთის სამეფო მეფისა და მემკვიდრის გარეშე დარჩა **(რეხვიაშვილი, 1989:111)**.

ნესტან-დარეჯანმა ახალი ამბები შეუთვალა მამამისს, ქართლის ყოფილ მეფე თეიმურაზ I-ს. თეიმურაზ მეფე კი იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ მღვდლად აღიკვეცა და დაიწყო სკანდის ციხესიმაგრეში ცხოვრება (**კაჭარავა, 1998-1:192**). დედოფალს სურდა, რომ მამამისი მოსულიყო და იმერეთის სამეფო ემართა, მაგრამ თეიმურაზმა უარი შეუთვალა. მამის უარის შემდეგ დედოფალი დაქორწინდა ჭუჭუნიას ვაჟზე, ვახტანგ ბაგრატიონზე და ის მეფე გახადა. დედოფლის ამ საქციელმა საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია იმერეთის ფეოდალებში (**რეხვიაშვილი, 1989:111**).

ამ ფაქტით უკმაყოფილო იმერეთის ფეოდალები კვლავ ორად გაიყვნენ. ქვემო იმერეთის თავადებმა მხარი დაუჭირეს ვამეყ დადიანს, ხოლო ზემო იმერეთის თავადებმა ქართლის მეფეს ვატანგ V-ს. ორი ჯგუფის მიერ მხარდაჭერილი პირები, ხელისუფლების მიღების მიზნით, იმერეთში მიიწვიეს. ამ მოწვევისთანავე ორივე მხარე მოქმედებაზე გადავიდა. მაგრამ ვამეყ დადიანმა უფრო სწრაფად იმოქმედა, ხელთ იგდო ქუთაისის ციხე და თავი გამოაცხადა იმერეთის მეფედ (**რეხვიაშვილი, 1989:112**). მოგვიანებით ვამეყ დადიანმა გაძარცვა ციხე და დიდი ნადავლი მოიპოვა. შარდენის თავგადასავალის მიხედვით; *„ამბობენ, რომ იმერეთის მეფეებმა იმდენი ვერცხლი შეაგროვეს, რომ საფეხურებამდე და ტერასებამდე მათ სასახლეებში ყველაფერი ვერცხლი იყო. ძნელი დასაჯერებელი არ არის, რადგან ეს იყო ძველად ძალიან მდიდარი ქვეყანა, რომელსაც მეზობელ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და ვაჭრობდა.”* ამბობენ, რომ ნადავლი ვამეყ დადიანმა 12 მტვირთავით წაიღოო. დადიანმა ასევე წაიყვანა ნესტან-დარეჯანი და მისი მეუღლე ვახტანგიც (**Chardin, 2014:163; შარდენი, 2018:238-239**).

მას შემდეგ, რაც ვამეყ დადიანი ქუთაისში შეიჭრა, მეფე ვახტანგ V-მ იმერეთი დაიპყრო. ამის შემდეგ, 1660 წელს, დადიანი და მეფე ვახტანგ V შეთანხმდნენ, რომ იმერეთი ორად გაეყოთ და საზღვრად ბუჯისწყალი დააწესეს. იმერეთის დასავლეთი მხარე დადიანებს ერგო, აღმოსავლეთი მხარე კი ვახტანგს. გარდა ამისა დადიანმა და ვახტანგმა შეთანხმებით, ქორწინების გზით შეკრეს კავშირი. ამის მიხედვით, ვამეყ დადიანს ქალიშვილი უნდა დაექორწინებია ვახტანგის ვაჟ არჩილზე და არჩილი გახდებოდა იმერეთის მეფე (**კაჭარავა, 1998-1:211**).

ვახუშტი ბატონიშვილი სხვა ინფორმაციას გვაწვდის იმერეთში მიმდინარე აღნიშნული მოვლენების შესახებ. მის მიხედვით, ეს მოვლენები ახალციხის გამგებელ ასლან ფაშასთვის მოუხსენებიათ (1659-1679). ფაშა ჯართან ერთად იმერეთში ჩამოსულა. მის გვერდით ყოფილან დადიანის, გურიისა და იმერეთის ფეოდალები. ფაშას ტყვედ ჩაუგდია ვახტანგი, დარეჯანი და ქეთევანი და ბაგრატ IV-ის კვლავ მეფედ გამოცხადებით, თავის ტყვეებთან ერთად ახალციხეში დაბრუნებულა. შემდეგ ფაშას ვახტანგი, დარეჯანი და ქეთევანი გაუგზავნია ოლთისში. ეს ინფორმაცია, სავარაუდოდ, სწორია. რადგან ახალციხის ფაშას ოსმალეთის იმპერიის სახელით ევალებოდა დასავლეთ საქართველოს საკითხების მოგვარება. ამიტომ შესაძლოა, რომ ფაშა ჩარეულიყო იმერეთის სამეფოსთან დაკავშირებულ ამ საკითხის გადაჭრაში **(რეხვიაშვილი, 1989:114-115)**. თუ ამ ინფორმაციას ჭეშმარიტად მივიჩნევთ, დავინახავთ, რომ ურთიერთობები ოსმალეთის იმპერიასა და იმერეთის სამეფოს შორის ამ პერიოდშიც გრძელდებოდა. ოსმალეთის იმპერია დაინტერესებული იყო იმერეთის სამეფოს პრობლემებით და გამოსავლის მოძებნას ცდილობდა.

დადიანისა და ვახტანგის შეთანხმება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან დადიანმა არ შეასრულა დანაპირები და ქალიშვილი მიათხოვა იმერეთის ერთ-ერთ ძლიერ ფეოდალს, ბეჟან ღოღობერიძეს **(კაჭარავა, 1998-1:212)**. ვამეყ დადიანის სიტყვის შეუსრულებლობის შემდეგ, ქართლის მეფემ ვახტანგის V-მ მოკავშირეობა ჩამოაყალიბა დემეტრე გურიელსა და ზემო იმერეთის თავადებთან. ვახტანგ მეფე დიდი ჯარით იმერეთში შევიდა. ვამეყ დადიანი დაუპირისპირდა საჩხერეს მახლობლად მას, მაგრამ ბრძოლა ვერ გაბედა და ოდიშში დაბრუნდა. ვახტანგ V-მ აიღო სკანდე, კაცხისა და სვერის ციხეები და ქუთაისი. აქედან გადავიდა ოდიშში და აიღო ზუგდიდი. ვახტანგ მეფემ, ვამეყ დადიანის ნაცვლად, ლევან დადიანის ძმისწულს, ბიძამისის საპატივცემულოდ სახელი ლევანით შეუცვალა და სამეგრელოს ტახტზე დასვა (ლევან III 1661-1680) **(ჯამბურია, 1973:345)**. ვამეყ დადიანი, ვახტანგ V-ის ბრძანებით, 1661 წელს სვანეთში ყოფნის დროს მოკლეს **(რეხვიაშვილი, 1989:121)**.

ოდიშიდან იმერეთში დაბრუნებულმა ვახტანგ V-მ 1661 წელს ვაჟიშვილი არჩილი მეფედ გამოაცხადა **(ჭიჭინაძე, 1903:66)**. ამრიგად, ქართლის ჰეგემონია

გავრცელდა მთელ დასავლეთ საქართველოში. ზოჰაბის ზავის მიხედვით, რომლითაც დასრულდა ოსმალეთ-ირანის 1623–1639 წლების ომი, იმერეთის სამეფო კვლავ ოსმალეთის მმართველობაში დარჩა **(Kılıç, 2000:280-282)**. მაგრამ ამ დროს იმერეთის სამეფოს ტახტზე იყო ირანის ვასალი, ქართლის მეფე ვახტანგის ვაჟი - არჩილი. ამ მოვლენის საპასუხოდ მსვლელობაზე გადასულმა ოსმალეთის იმპერიამ, რათა თავიდან აეცილებინა ირანის გაბატონება იმერეთის სამეფოზე, იმერეთის დაპყრობა ახალციხის, ყარსისა და არზრუმის ფაშებს დაავალა. მან ასევე პროტესტი გამოუცხადა ირანს, 1639 წლის ზოჰაბის ხელშეკრულების დარღვევის გამო. ამის შემდეგ ირანი იძულებული გახდა უკან დაეხია, რადგან არ სურდა ზავის დარღვევა და ოსმალეთის იმპერიასთან ბრძოლა **(რეხვიაშვილი, 1989:123; კაჭარავა, 1998-1:212)**. ამრიგად, არჩილის მეფობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ორ-ნახევარი წლის შემდეგ, 1663 წელს, ირანის შაჰის ბრძანებით, ის იძულებული გახდა ტახტი დაეტოვებინა **(რეხვიაშვილი, 1989:124)**. როგორც ვხედავთ, იმერეთის სამეფომ ოსმალებისთვის მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა დასავლეთ საქართველოში. იმერეთში ოსმალეთის სუზერენიტეტის დაკარგვა ნიშნავდა მისი ბატონობის შესუსტებას საქართველოში და კავკასიაში. ოსმალებმა, რათა არ შესუსტებულიყო თავისი ჰეგემონია იმერეთის სამეფოზე, მსვლელობაზე გადავიდა და კონტროლი კვლავ ხელში აიღო. შაჰის ბრძანებით, ქართლის მეფე ვახტანგმა არჩილი ირანში გაგზავნა. ირანში მან ისლამი მიიღო და შაჰ ნაზარ ხანის სახელით, 1664 წელს კახეთის მეფე გახდა **(ჯამბურია, 1973:347; Nəcəfli, 2016:18)**.

არჩილ მეფის შემდეგ იმერეთის ტახტი გარკვეული ხნით ცარიელი დარჩა. ამ დროს იმერეთის მმართველობაში მოსვლა შეეძლო მას, ვისაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთის იმპერიასთან. დემეტრე გურიელს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთთან. ოსმალეთის სულთნის ბრძანებით, ახალციხის, არზრუმისა და ყარსის ფაშები შევიდნენ იმერეთში და დემეტრე გურიელი მეფედ გამოაცხადეს. ოდიშის მთავარი ლევან მე-III დადიანი ტახტიდან გადააყენეს და მის ნაცვლადაც დასვეს დემეტრე. ლევან დადიანს მანამდე შაჰის მხარდაჭერით ეკავა ტახტი. შედეგად, დემეტრე გურიელმა მიიღო იმერეთის ტახტი, მათ შორის დადიანობაც და გურიელობაც **(რეხვიაშვილი, 1989:125; კაჭარავა, 1998-1:212)**. აქ ისევ ვხედავთ, რომ

ოსმალებმა დემეტრე გურიელი, რომელთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, იმერეთის სამეფოსა და ოდიშის სამთავროში მმართველად დანიშნა. ამრიგად, ამ ქვეყნებში მათი ჰეგემონია გაიზარდა. ირანის შაჰის ბრძანებით, ლევან III დადიანის ტახტიდან ჩამოგდების მცდელობა ცხადყოფს, რომ ოსმალეთის იმპერიამ არ ცნო ირანის სუზერენიტეტი დასავლეთ საქართველოში და მისი სრული აღმოფხვრა სცადა.

დემეტრე გურიელმა იმერეთის ტახტი დიდხანს ვერ შეინარჩუნა. იმერეთიდან ოსმალთა ჯარის წასვლისთანავე, იმერეთის თავადები გაერთიანდნენ და მეფე დემეტრე გურიელი, რომლის მეფობის გამოც უკმაყოფილონი იყვნენ, ტახტიდან ჩამოაგდეს. ამის შემდეგ, მათ თხოვეს ქართლის მეფე ვახტან V-ს იმერეთის ტახტზე ბაგრატ V-ის დასმა. მეფე ვახტანგ V-მ 1663 წელს იმერეთის სამეფო ტახტზე დასვა ბაგრატი და მას, თავისი ძმიშვილი თათია შერთო ცოლად. ქართლის მეფე ვახტანგს ამ ქორწინების გზით სურდა იმერეთში გაბატონება, მაგრამ იმერეთის ფეოდალებმა ამის ნება არ მისცეს **(რეხვიაშვილი, 1989:125; ჯამბურია, 1973:351; კუპრაშვილი, სამუშია, 2016:24)**.

ამ პერიოდში, ოსმალეთის ტახტზე სულთან მეჰმედ IV (1648-1687) იმყოფებოდა **(Özcan, 2003-3:414)**. 1663 წელს, როდესაც ბაგრატ IV ტახტზე ავიდა, ოსმალეთის იმპერიას ომი ჰქონდა ავსტრიასთან. ომი 1663-1664 წწ. მიმდინარეობდა. ოსმალეთის იმპერიამ 1663 წლის 13 სექტემბერს დაიპყრო უივარის ციხე **(Uzunçarşılı, 1988:356)**. ზინკეისენს უივარის აღების თარიღად 1663 წლის 24 სექტემბერი აქვს მითითებული **(Zinkeisen, 2011-4:641)**. მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა. 1664 წლის 1 აგვისტოს წმინდა გოთარდში მოხდა ბრძოლა ოსმალეთსა და ავსტრიის ჯარებს შორის, რომელშიც ოსმალები დამარცხდნენ **(Kolçak, 2016:453-455)**. დამარცხების შემდეგ ოსმალეთისთვის მშვიდობა უფრო მისაღები გახდა და შესაბამისად დაიწყო მოლაპარაკებები. 1664 წლის 9 აგვისტოს, ორ სახელმწიფოს შორის გაფორმდა ვაშვარის სამშვიდობო ხელშეკრულება **(Kolçak, 2012:560-562)**. ამრიგად, ოსმალეთის იმპერიასა და ავსტრიაში დაიწყო მშვიდობის ხანა, რომელიც გაგრძელდა 1682 წლამდე.

ბაგრატ IV-ის მეორედ მეფობის პერიოდში იმერეთის სამეფოში მოხდა შიდა არეულობა. ლევან დადიანსა და მეფე ბაგრატს შორის დაიწყო ბრძოლა, რომელიც ბაგრატ მეფემ მოიგო და ლევან დადიანის ცოლი თამარი ცოლად მოიყვანა **(კაჭარავა, 1998-1:212)**. როცა, ეს შიდა არეულობები დასავლეთ საქართველოში გრძელდებოდა, 1666 წელს, სეხნია ჩხეიძემ ქუთაისის ციხეში შემოიყვანა და დაასახლა ოსმალეთის ჯარი **(რეხვიაშვილი, 1989:127)**.

დასავლეთ საქართველოში განვითარებულმა აჯანყებებმა და არეულობებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა უცხო სახელმწიფოებთან დიპლომატიურ ურთიერთობებზე. იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის დროს რუსეთთან ურთიერთობა შეწყვეტილი იყო. ბაგრატ IV-ს სურდა ამ ურთიერთობების განახლება. მან 1667 წელს ელჩობა გააგზავნა რუსეთში, რომელმაც თან წაიღო მეფის წერილი. წერილის თანახმად, ბაგრატმა განაცხადა, რომ როგორც მეფე ალექსანდრე III-ის მეფობის დროს იყო, მასაც სურდა რუსეთთან ურთიერთობის დამყარება, ითხოვდა სამხედრო და ფინანსურ დახმარებას ოსმალთა წინააღმდეგ და პასუხის სანაცვლოდ ელჩების გამოგზავნას იმერეთში **(კაჭარავა, 1998-1:212-213)**.

სანამ ბაგრატ მეფის ელჩი რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდებოდა, მანამდე იმერეთში მდგომარეობა ისევ შეიცვალა. 1666 წელს ბეჟან ლორთქიფანიძე ოსმალთა წინააღმდეგ მოქმედებაზე გადავიდა და სეხნია ჩხეიძის წყალობით დაიპყრო ქუთაისის ციხე. ლორთქიფანიძემ მოულოდნელად შეუტია ციხესიმაგრეს, ოსმალები იქიდან გააძევა და ციხე ბაგრატ IV-ს უკან დაუბრუნა **(კაჭარავა, 1998-1:214)**. ამ ვითარებით იმერეთში ყველაზე მეტად ისარგებლა დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა, რომელიც ახალციხეში ლტოლვილად იმყოფებოდა. დედოფალმა, რომელსაც კვლავ იმერეთის ტახტის დაკავება სურდა, ახალციხის ფაშას, ასლან ჯაყელს გადასცა 20.000 ოქრო და იმერეთის ტახტის დაბრუნებაში დახმარება სთხოვა. 1668 წელს ასლან ფაშა, ქუთაისის ციხის დასაბრუნებლად და ნესტან-დარეჯანის ტახტის დასაკავებლად, მრავალრიცხოვანი ლაშქრით იმერეთისკენ გაემართა. იმერეთში შემოსული ფაშას გვერდით იყვნენ გურიელი, დადიანი და სეხნია ჩხეიძე. ბაგრატ IV-მ გააცნობიერა რა, რომ ვერ შეეწინააღმდეგებოდა ამ ერთიან ძალებს, ლეჩხუმში გაიქცა. ფაშამ, დედოფალი ნესტან-დარეჯანი და მისი მეუღლე ვახტანგი

იმერეთის ტახტზე დასვა. გარდა ამისა, ოსმალეთის ჯარმა გაძარცვა და გაანადგურა ქვეყანა და დიდი რაოდენობის ტყვეებით უკან დაბრუნდა (**რეხვიაშვილი, 1989:128; Chardin, 2014:169**). ოსმალეთის იმპერიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმერეთის სამეფოში ხელისუფლების შეცვლაში. სინამდვილეში, იმერეთის ფეოდალებს შორის უთანხმოება და მეფისადმი მათი დაუმორჩილებლობა, ხელს უწყობდა ოსმალეთის ჩარევას იმერეთის საშინაო საქმეებში.

იმერეთის სამეფოში, ნესტან-დარეჯანისა და მისი მეუღლე ვახტანგის მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ისინი, მათით უკმაყოფილო ფეოდალებმა მოკლეს. მათ არ სურდათ ბაგრატ IV-ის ტახტზე ასვლა. ამიტომ 1668 წელს ტახტზე დემეტრე გურიელი დასვეს. 1669 წელს დემეტრე გურიელი იმავე ფეოდალებმა ტახტიდან ჩამოაგდეს და მის ნაცვლად, იმერეთის ტახტზე ბაგრატ IV ავიდა. ახალციხის ფაშამ გურიის ტახტზე დასვა ქაიოხოსროს ვაჟი გიორგი. 1669 წელს ბაგრატის გამეფების შემდეგ, სეხნია ჩხეიძემ არ ცნო ბაგრატის სამეფო და ოსმალთა ჯარისკაცები ისევ ქუთაისის ციხეში განათავსა (**რეხვიაშვილი, 1989:128-129**). ოსმალეთმა დაიპყრო ქუთაისის ციხე და ამით გაზარდა თავისი ბატონობა დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით იმერეთის სამეფოში. ოსმალეთი, რომელმაც კიდევ უფრო მეტად აიღო ხელში კონტროლი, უფრო ეფექტურად ახერხებდა დასავლეთ საქართველოში მეფეებსა და მთავრებს შორის კავშირის გაწყვეტას (**კაჭარავა, 1998-1:214**). ოსმალებმა ქუთაისის ციხე 1669 წელს დაიპყრეს და შეინარჩუნეს XVIII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისამდე (**ჯამბურია, 1973:353**). როგორც ვხედავთ, ნესტან-დარეჯანის ტახტზე ასვლის შემდეგ ერთი წელიც კი არ იყო გასული, რომ მის წინააღმდეგ იმერეთში კვლავ ასპარეზზე გამოვიდა ოპოზიციური მოძრაობა და ტახტი კვლავ შეიცვალა. თუმცა, თავს გადამხდარი სიტუაცია, ამ დროს სხვა ოპოზიციურ ჯგუფს არ მოსწონდა და ტახტის კვლავ შეიცვალა. კვლავ, ზემოთქმულის მსგავსად ინციდენტი განმეორდა და ოსმალეთის იმპერია კვლავ ჩაერია იმერეთის სამეფოს შიდა საქმეებში. ოსმალეთის იმპერია, იმერეთის ფეოდალების თხოვნით, რომელიც სინამდვილეში მისთვისაც ხელსაყრელი იყო, იმერეთს სთავაზობდა დროებით გადაწყვეტილებებს. ერთი შეხედვით, ეს გადაწყვეტილებები შეიძლება ჩანდეს, როგორც სასარგებლო, მაგრამ ჩვენი აზრით, ამ

გადაწყვეტილებებმა იმერეთის ფეოდალებს შორის კიდევ უფრო გააღრმავა დაყოფა და ანარქია. იმის გამო, რომ ამ ფეოდალებმა თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით დაიწყეს მოქმედება, იმის მაგივრად, რომ პრობლემები თავად გადაეწყვიტათ ერთმანეთში, მათ საგარეო ძალების იმედი ჰქონდათ. ამას ქვეყანისთვის არასდროს მოუტანია სრული დამოუკიდებლობა, მთლიანობა და მშვიდობა.

იმერეთის სამეფოში ამ მოვლენების შემდეგ, მეფე ბაგრატსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის ომი გარდაუვალი იყო. 1669 წელს სეხნია ჩხეიძემ შეკრიბა ჯარი და დაუკავშირდა ლევან დადიანს. ბაგრატ მეფის გვერდით იყო რაჭა-ლეჩუმის ჯარი. ჩხარში ორ ლაშქარს შორის მოხდა ბრძოლა. ბაგრატ მეფემ გაიმარჯვა ბრძოლაში. გარდაიცვალა მოღალატე სეხნია ჩხეიძე, ხოლო მისი მოკავშირე ლევან დადიანი ოდიშში გაიქცა. ბაგრატმაა გამარჯვების შედეგად დაიპყრო იმერეთის დიდ ნაწილი და გააძლიერდა **(რეხვიაშვილი, 1989:129)**.

1669 წელს ბაგრატ IV-მ ისევ გაგზავნა ელჩები რუსეთში, რომელიც მოსკოვში 13 თვის შემდეგ ჩავიდა. მეფემ ელჩების მეშვეობით ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთს სთხოვა მფარველობა და ფინანსური დახმარება, მაგრამ დელეგაციამ ვერც ვერავითარი დახმარება მიიღო და ვერც უკან დაბრუნდა **(კაჭარავა, 1998-1:215)**. შედეგად, იმერეთის სამეფოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დიდი ხნის განმავლობაში შეწყდა. ამ მოქმედებით ჩანს, რომ ბაგრატი არ ენდობოდა თავის ქვეყანაში ფეოდალებს და ოსმალეთის იმპერია მისთვის არ იყო მისაღები. ამიტომ იგი ცდილობდა კავშირის დამყარებას რუსეთთან. ბაგრატი გარკვეულწილად უმკლავდებოდა მის მოწინააღმდეგე ფეოდალებს, მაგრამ რადგან ვერ ახერხებდა ოსმალეთის იმპერიასთან გამკლავებას, იგი თავის ქვეყანაში სრულიად დამოუკიდებელი არ იყო და შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამიტომ მიმართავდა ამ გზას. ბაგრატ მეფემ 1667 წელს მცდელობის მსგავსად, ამჟამადაც რუსეთისგან ვერ მიიღო დახმარება.

დასავლეთ საქართველოში ფეოდალური ანარქია გაძლიერდა **(კაჭარავა, 1998-1:216)**. 1671 წელს ლევან III დადიანმა დაიწყო ომი მეფე ბაგრატთან. იმერეთის თავადების უმეტესობა ლევან დადიანის გვერდით იდგა. ამ შემთხვევაში ბაგრატ

მეფე მიხვდა, რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა მათ და იძულებული გახდა რაჭაში გადასულიყო. იქ ბაგრატმა მოკავშირედ გაიხადა რაჭა-ლეჩხუმელები და იმერეთის რამდენიმე თავადი. 1671 წელს გეგუთში, ბაგრატ მეფესა და ლევან დადიანს შორის ბრძოლა გაიმართა, რომელშიც ბაგრატმა გაიმარჯვა **(რეხვიაშვილი, 1989:129-130)**. სამეგრელოსა და იმერეთს შორის ამ ბრძოლამ ორივე მხარე შეასუსტა. ამ მდგომარეობით ყველაზე მეტად გიორგი გურიელმა ისარგებლა **(კაჭარავა, 1998-1:216)**. იგი დაუკავშირდა ოსმალებს და 1672 წელს ოსმალთა ჯართან ერთად იმერეთში შევიდა. გურიელმა და ახალციხის ფაშამ დაამარცხეს მეფე ბაგრატი და დაატყვევეს **(რეხვიაშვილი, 1989:130)**. იმერეთის დაპყრობის შემდეგ სამეგრელოს წინააღმდეგ წავიდნენ. ოსმალეთის იმპერიასთან კავშირის დამყარების მიუხედავად, გიორგი გურიელმა ვერ შეძლო იმერეთის ტახტზე ასვლა. ოსმალეთის იმპერიაში ტყვე მყოფმა ბაგრატ IV-მ ახალციხის ფაშას დიდი რაოდენობის თანხა გადაუხადა და მძევლად გადასცა თავისი ვაჟი ალექსანდრე. ასე რომ, ის კვლავ დაბრუნდა იმერეთის ტახტზე **(კაჭარავა, 1998-1:216)**. ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ოსმალებმა მხარი დაუჭირეს ბაგრატ მეფეს ამ საქმეში, იყო ის, რომ მათ მიიღეს ბაგრატისგან როგორც ფული, ასევე მძევლის სახით მისი შვილი. ის, რომ მეფის ვაჟი ოსმალების ხელში იყო, გულისხმობდა იმას, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ მეფის ნებისმიერ საქმიანობაში, ოსმალეთი მას გამოიყენებდა, როგორც ბერკეტს. შეიძლება ითქვას, რომ ოსმალებმა, რომლებმაც 1669 წელს ქუთაისის ციხის აღებით და ბაგრატის ვაჟის მძევლად აყვანით, იმერეთის ცენტრში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს და უფრო დიდი უპირატესობა მოიპოვეს.

ოსმალთა ჯარის დაბრუნების შემდეგ, მეფე ბაგრატ IV-მ კავშირი შეკრა დადიანთან. 1672 წლის დეკემბრის ბოლოს მათ ერთად ილაშქრეს გურიაზე. ბაგრატ მეფემ დაამარცხა გიორგი გურიელი და შური იძია. დაარბია გურია და მრავალი ნადავლით დაბრუნდა ქუთაისში **(რეხვიაშვილი, 1989:131)**.

კავშირი ბაგრატ მეფესა და დადიანს შორის დიდხანს არ გაგრძელებულა. ქართლის მეფე ვატანგ V-მ დაარღვია ეს იგი, რომელმაც დადიანს შესთავაზა, რომ დაექორწინებინათ მისი შვილიშვილი დარეჯანი (არჩილის ქალიშვილი) და დადიანის ვაჟი მანუჩარი. დადიანმა დაქორწინების მიზნით თავისი ვაჟი მანუჩარი

გაგზავნა ქართლში, მაგრამ ბაგრატ მეფემ ეს ქორწინება ჩაშალა **(კაჭარავა, 1998-1:216-217)**, რადგან სამეგრელოსა და ქართლს შორის კარგი ურთიერთობა შეარყევდა იმერეთის სამეფოს ავტორიტეტს დასავლეთ საქართველოში. 1674 წელს ბაგრატ IV-მ დაიპყრო ქუთაისის ციხე, სადაც მდებარეობდა ოსმალეთის გარნიზონი, რადგან ქუთაისის ციხე-სიმაგრეში ოსმალთა გარნიზონის არსებობა, მეფის ავტორიტეტის შესუსტებას ნიშნავდა. მეფე ვერაფერს აკეთებდა და ვერც ქვეყანას უზრუნველყოფდა თავისუფლებით. ბაგრატის მიერ ციხესიმაგრის დაპყრობა ოსმალეთის იმპერიისთვის ცუდი იყო, რადგან დასავლეთ საქართველოში მისი მმართველობა შესუსტდებოდა. ამის საპასუხოდ ახალციხის ფაშა მოქმედებაზე გადავიდა. ფაშა, ბაგრატს დაემუქრა, რომ ტახტს მეორე მემკვიდრეს ალექსანდრეს გადასცემდა და მოთხოვა ციხე-სიმაგრის ოსმალთათვის დაბრუნება. ახალციხის ფაშის ამ საფრთხის შეფასების შემდეგ, იმერეთის მმართველები შეთანხმდნენ, რომ ციხე ოსმალეთისთვის დაებრუნებინათ **(რეხვიაშვილი, 1989:131-132)**. თუ გავითვალისწინებთ იმერეთის მმართველების მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალექსანდრეს ტახტზე ასვლა ეწინააღმდეგება იმერეთის მმართველთა ინტერესებს. ასევე მათ, არ სურდათ ოსმალების დაპირისპირება.

1677 წელს მეფე ბაგრატ IV-მ 10 წლის შემდეგ მესამედ გაგზავნა ელჩები რუსეთში. იგი კვლავ ითხოვდა ოსმალებისგან დაცვას და დახმარება. მესამე ელჩობამ გააცოცხლა რუსეთისა და იმერეთის ურთიერთობები. თუმცა, ბაგრატ მეფემ კვლავ ვერ მიიღო რუსეთისგან მოსალოდნელი დახმარება **(კაჭარავა, 1998-1:217-218)**. ბაგრატმა კვლავ ოსმალთა საწინააღმდეგოდ თავისი კლასიკური პოლიტიკური ნაბიჯი გამოიყენა, მაგრამ მესამედ და ბოლოჯერაც მას წარუმატებელი შედეგი მოჰყვა. რუსეთისგან ეს უარყოფითი პასუხი შეიძლება მივაწეროთ 1676-1681 წლებში რუსეთის ოსმალეთთან ომს **(Zinkeisen,2011-5:57-60)**, რომელშიც რუსეთი დამარცხდა. ომის დასრულების შემდეგ, 1681 წლის 3 იანვარს ორ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა ბაღჩისარაის სამშვიდობო ხელშეკრულებას **(Kurat, 1987:234)**. რადგან რუსეთი ერთის მხრივ ოსმალებს ებრძოდა დაკავებული, მეორე მხრივ შესაძლოა მათ წინააღმდეგ იმერეთს ვერ გაუგზავნა დახმარება.

შინაგანი არეულობა იმერეთის სამეფოში კვლავ გაგრძელდა. ახალციხიდან მეფე არჩილი, გურიიდან გიორგი გურიელი იმერეთის ტახტის ხელში ჩასაგდებად, ზეწოლას ახდენდნენ ბაგრატ მეფეზე. ბაგრატმა გადაწყვიტა დაახლოებოდა თავის ორ მეტოქეს. ამ მიზნით მან მისი ქალიშვილი გიორგი გურიელს მიათხოვა. ბაგრატი, მიუხედავად გიორგი გურიელთან დანათესავებისა, ტახტს მაინც საფრთხის ქვეშ ხედავდა (**რეხვიაშვილი, 1989:134**).

ბაგრატ მეფეს რისიც ეშინოდა, ის მოხდა. 1678 წელს ახალციხის ფაშამ, ლევან დადიანისა და იმერეთის თავადების დახმარებით, ტახტიდან ჩამოაგდო ბაგრატი და მისი ადგილი დაიკავა არჩილმა. ბაგრატი, სიძესთან გიორგი გურიელთან გურიაში გაიქცა, მეუღლე კი სკანდის ციხე-სიმაგრეში დატოვა (**ჯამბურია, 1973:352; კუპრაშვილი, სამუშია, 2016:25**).

ჩამოგდებულმა ბაგრატ მეფემ, ტახტის დაბრუნებისთვის, თავის სიძესთან, გიორგი გურიელთან ერთად მიმართა ოსმალეთის დიდვეზირს. ოსმალეთმა, ბაგრატის კვლავ გამეფების მიზნით, არზრუმის ფაშას უბრძანა იმერეთში არსებული პრობლემების მოგვარება (**რეხვიაშვილი, 1989:135**). არზრუმის ფაშა, ბაგრატ მეფესთან და გიორგი გურიელთან ერთად იმერეთში შევიდა და არჩილ მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს. ბაგრატი იმერეთის ტახტზე 1679 წლის აგვისტოში კვლავ ავიდა. არჩილ მეფე რაჭაში გაიქცა. ოსმალეთის ჯარი გაქცეულ მეფეს უკან დაედევნა. არჩილი რაჭაში ვერ გაჩერდა და ქართლში დაბრუნდა. ტახტზე ასვლისთანავე, 1678 წელს ბაგრატ მეფემ დადიანის დასჯის მიზნით, რომელსაც ბაგრატის ტახტიდან ჩამოგდებაში დიდი როლი ჰქონდა, სამეგრელოში ილაშქრა. ლევან დადიანმა ვერ გაუძლო ბაგრატ მეფის წინააღმდეგობას გაიქცა. მოგვიანებით, მეფის სიძეს, გიორგი გურიელს შეუთანხმდა და დაბრუნდა თავის ქვეყანაში (**ჯამბურია, 1973:352; კუპრაშვილი, სამუშია, 2016:25; რეხვიაშვილი, 1989:135; კაჭარავა, 1998-1:218**).

1680 წელს გარდაიცვალა ლევან III დადიანი (**კაჭარავა, 1998-1:218**). 1681 წელს გარდაიცვალა ბაგრატ IV. ბაგრატს არ ჰყავდა ოფიციალური მემკვიდრე, მხოლოდ ჰყავდა უკანონო ვაჟი, ალექსანდრე. ამიტომ თავადების დახმარებით, 1681 წელს იმერეთის სამეფო ტახტი დაიკავა გიორგი დადიანმა (**რეხვიაშვილი, 1989:135**). ქართლის მეფეს, გიორგი XI-ს სურდა თავისი ვაჟის, არჩილის იმერეთის ტახტზე

აყვანა, მაგრამ ვერ შეძლო **(კაჭარავა, 1998-1:219)**. რაც დრო გავიდა, მეფე გიორგი გურიელის მიმართ უკმაყოფილება იმერეთში უფრო გაიზარდა **(კუპრაშვილი, სამუშია, 2016:25)**. თავადები, რომლებიც გიორგი გურიელის მიმართ უკმაყოფილონი იყვნენ, გაერთიანდნენ, ახალციხის ფაშას მიმართეს და თხოვეს დახმარება იმერეთის ტახტზე ბაგრატის უკანონო ვაჟის ალექსანდრეს ასაყვანად **(რეხვიაშვილი, 1989:135)**. 1678 წლიდან ალექსანდრე მძევლის სახით იმყოფებოდა გიორგი XI-სთან **(კაჭარავა, 1998-1:219)**. ეს არზრუმის ფაშამ შეატყობინა ოსმალეთის სულთანს, რომლის ბრძანებითაც, 1683 წელს ალექსანდრე, ალექსანდრე IV-ის სახელით გახდა იმერეთის მეფე **(რეხვიაშვილი, 1989:135; კაჭარავა, 1998-1:220)**. 1678-1683 წლებში, იმერეთში ოთხჯერ შეიცვალა სამეფო ტახტი. ამათგან სამი, თავადების მოთხოვნით განხორციელდა ოსმალთა ჩარევით. მიუხედავად წლების გასვლისა და მმართველობის შეცლისა, იმერეთში სცენარი უცვლელი რჩებოდა. კვლავ ფეოდალებმა პირდაპირ თუ ოსმალთა დახმარებით არაპირდაპირი გზით, იმერეთში შეინარჩუნეს სიტყვის თქმის უფლება და გააგრძელეს თავიანთი პოზიციის შენარჩუნება.

იმერეთის ტახტზე ახლად ასულ ალექსანდრე IV-ს, ავტორიტეტის უზრუნველყოფისა და ქვეყანაში არსებული არეულობის აღმოსაფხვრელად იმერეთის თავადების დახმარება სჭირდებოდა. ერთ-ერთი მათგანი იყო პაატა აბაშიძე, რომელსაც კარგი ურთიერთობის დასამყარებლად, მეფემ მისი და დარეჯანი მიათხოვა **(რეხვიაშვილი, 1989:136)**. ამასობაში მეფის წინააღმდეგ კვლავ გაერთიანდნენ. ამ ალიანსის სათავეში იყო გიორგი გურიელი, რომელსაც კვლავ სურდა იმერეთის ტახტზე ასვლა. გურიელმა იმერეთის სამეფოში მოკავშირედ გაიხადა ალექსანდრე მეფის მოწინააღმდეგე თავადები. ესენი იყვნენ:გიორგი ლიპარტიანი, რაჭის ერისთავი შოშიტა და ბეჟან ლორთქიფანიძე **(კაჭარავა, 1998-1:220)**. მეფე ალექსანდრეს თან ახლდა პაატა აბაშიძე, გიორგი მიქელაძე და სვიმონ ქუთათელი. გიორგი გურიელის მეთაურობით გაერთიანებულმა ძალებმა დაიწყეს მოქმედება მეფის წინააღმდეგ. გურიელი ჯარით შევიდა იმერეთში. მის გვერდით იდგნენ მოკავშირე თავადები. 1684 წელს ორ მხარეს შორის ბრძოლა გაიმართა. მეფე ალექსანდრემ და მისმა მოკავშირეებმა ბრძოლა მოიგეს. მოკლეს მეფის ერთ-ერთი

მოკავშირე ლევან აბაშიძე, ხოლო პაატა აბაშიძე მძიმედ დაშავდა. მოწინააღმდეფე მხარეში გარდაიცვალა გიორგი გურიელი და რაჭის ერისთავი შოშიტა, ხოლო გიორგი ლიპარტიანმა თავს გაქცევით უშველა **(რეხვიაშვილი, 1989:136-137; კაჭარავა, 1998-1:220)**.

1687 წელს გარდაიცვალა ოსმალეთის სულთანი მეჰმედ IV და მისი ადგილი დაიკავა მისმა ძმამ, სულეიმან II-მ (1687-1691) **(Özcan, 2010:75)**. 1688 წელს ქართლის ტახტზეც ცვლილებები მოხდა. ირანის მმართველობის ქვეშ მყოფმა ქართლის მეფემ, გიორგი XI-მ დაიწყო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ირანის წინააღმდეგ და აგრეთვე არ ასრულებდა ირანის შაჰის ბრძანებებს. ამის შემდეგ, 1688 წელს ირანის შაჰმა ქართლის მეფედ გიორგი XI-ის ნაცვლად, დავითის ვაჟი და თეიმურაზის შვილიშვილი, ერეკლე I გამოაცხადა. გიორგი XI, მოკავშირე რაჭის ერისთავთან, პაპუნასთან (1684-1696) გაიქცა **(რეხვიაშვილი, 1989:137)**. ალექსანდრე IV-მ რაჭის ერისთავს ბრძანება გაუგზავნა და უთხრა, რომ არ დაეშვა გიორგი მეფის რაჭაში დარჩენა, თუმცა მან არ შეასრულა ეს ბრძანება. ამის საპასუხოდ ალექსანდრე IV-მ რაჭის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ ვერ შეძლო მეფე გიორგის შეპყრობა, რაჭა კი დაარბია და იმერეთში დაბრუნდა.

იმავე წელს საქართველოში დაბრუნდა იმერეთის ყოფილი მეფე არჩილი. ის დაბრუნებისთანავე სტუმრად მიიწვია რაჭის ერისთავმა. იმერეთის მთავრებს, როგორებიცაა ოდიშის მთავარი გიორგი ლიპარტიანი, ჭილაძე, მიქელაძე და ბეჟან ლორთქიფანიძე, სურდათ არჩილის იმერეთის მეფედ გახდომა. ალექსანდრე მეფეს მხარს უჭერდა გიორგი აბაშიძე და სვიმონ ქუთათელი. მან მაშინვე შეიარაღებული ძალები შეკრიბა და რაჭისკენ გაემართა. არჩილის მომხრეებმა კი მას უღალატეს. ალექსანდრე მეფის დასახმარებლად ასევე მივიდა ოსმალთა ჯარი. არჩილი და გიორგი, რომლებმაც გააცნობიერეს რომ ბრძოლის გამართვას აზრი არ ჰქონდა, ჯერ ოდიშში, შემდეგ კი აფხაზეთში გაიქცნენ **(კუპრაშვილი, სამუშია, 2016:25)**. 1683 წელს ოსმალებმა მხარი დაუჭირეს ალექსანდრეს და უზრუნველყვეს მისი ტახტზე დარჩენა.

აფხაზეთში ყოფნის დროს არჩილმა ნდობით აღჭურვილი პირი გაუგზავნა ყირიმის ხანს, რომელსაც შუამავლობა სთხოვა ოსმალებთან, რათა შეძლებოდა

იმერეთის ტახტზე კვლავ მეფობა. ყირიმის ხანის შუამავლობის შემდეგ, ოსმალეთის დიდი ვეზირის ბრძანებებით, დაიწყო ალექსანდრე მეფის წინააღმდეგ მოქმედებები. ოსმალეთის დიდმა ვეზირმა უბრძანა არზრუმის ფაშას თავისი ჯარისკაცებით იმერეთში შესვლა და არჩილის იმერეთში გამეფება. მაგრამ ალექსანდრეს არ სურდა ტახტის დათმობა. 1690 წელს ოსმალეთის არმია შემოვიდა იმერეთის ტერიტორიაზე და ფერსათის ხეობაში დაბანაკდა. ამასობაში, მეფე არჩილს შეატყობინეს და ის ქუთაისში მიიწვიეს იმერეთის ტახტის დასაკავებლად. არჩილ მეფე, რაჭის ერისთავის ჯართან ერთად იმერეთში შევიდა. მეფე ალექსანდრეს არ შეეძლო ბრძოლა მის წინააღმდეგ შეკრებილ ძალებთან, ამიტომ ტახტი დატოვა და თავი ქართლის მეფეს ერეკლე I-ს შეაფარა. ამგვარად, 1690 წელს არჩილ მეფემ მესამედ დაიკავა იმერეთის სამეფოს ტახტი **(რეხვიაშვილი, 1989:139-140)**. აქ ასევე საყურადღებოა დოკუმენტი, რომელიც მოიპოვება ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში. 1690 წლის მაისით დათარიღებულ დოკუმენტში წერია, რომ მეფე ალექსანდრე არასწორად ეპყრობოდა თავის ხალხს და თანამშრომლობდა ბანდიტებთან და პრეტენზიას უცხადებდა ოსმალებს. დოკუმენტში ასევე ნახსენებია, რომ იმერეთის სამეფო, ოსმალეთის მფარველობას ექვემდებარებოდა და ამიტომ ხალხის წესრიგი და კეთილდღეობა ოსმალეთის პასუხისმგებლობა იყო. ამიტომ იმერეთში ამ არეულობის და გადასახადის გადაუხდელობის მიზეზის გარკვევის მიზნით, სულთანმა დანიშნა ამ მოვალეობის შემსრულებელი პირი **(Tan, 2015, MH. 99/591, s. 199)**. ამ დოკუმენტის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, 1690 წელს ალექსანდრე მეფის ტახტიდან ჩამოგდების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. რადგან მან ვერ უზრუნველყო თავისი ხალხის სიმშვიდე და არ გადაუხადა გადასახადი ოსმალეთის იმპერიისთვის.

იმერეთიდან ოსმალთა არმიის გასვლის შემდეგ, ალექსანდრეს მომხრე გიორგი აბაშიძე მოქმედებაზე გადავიდა და მოკავშირედ გაიხადა გიორგი ლიპარტიანი. ამ კავშირის მიზანი იყო არჩილ მეფის ჩამოგდება და მისი ალექსანდრე მეფით შეცვლა. ეს გეგმა აცნობეს მეფე ალექსანდრეს, რომელიც სასწრაფოდ ჩავიდა დასავლეთ საქართველოში. არჩილ მეფის მომხრეები იყვნენ რაჭის ერისთავი პაპუნა, სვიმონ ქუთათელი, მიქელაძე და ბეჟან ლორთქიფანიძე. გოდოგანში მოხდა სასტიკი

ბრძოლა, სადაც ალექსანდრე დამარცხდა და ქართლს შეეხიზნა. ამ გამარჯვების შემდეგ, არჩილ მეფემ სცადა წესრიგის დამყარება იმერეთში. იგი ცდილობდა დაებრუნებინა სოფლის ის მოსახლეობა, რომლებიც ფეოდალების ცუდი მოქცევის გამო, იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი მიწები. მიზანი სოფლის მეურნეობის აღორძინება, წარმოების გაზრდა და ეკონომიკის აყვავება იყო. თუმცა, ქვეყნაში არსებული არეულობების გამო, მეფე არჩილმა ეს ვერ მოახერხა **(რეხვიაშვილი, 1989:140-141)**.

გოდოგანში დამარცხების შემდეგ ალექსანდრემ იმერეთის ტახტის ხელში ჩასაგდებად დიპლომატიას მიმართა. მან ირანის მმართველობის ქვეშ მყოფ ქართლის მეფე ერეკლეს სთხოვა შეხვდროდა ირანის შაჰს და იმერეთის მეფედ გახდომის საკითხში შუამავლის როლი შეესრულებინა მისთვის. ერეკლე I-მა დაუყოვნებლივ ელჩი გაგზავნა ირანში, შაჰს შეატყობინა იმერეთში არსებული მოვლენების შესახებ და სთხოვა, რომ ოსმალეთის იმპერიისთვის ეთხოვა ალექსანდრეს იმერეთში კვლავ გამეფება. ირანის შაჰმა ერეკლეს თხოვნით, ელჩი გაგზავნა ოსმალეთში. სანამ ელჩი სტამბოლში ჩავიდოდა, გარდაიცვალა ოსმალეთის სულთანი სულეიმან II (1687-1691) და მისი ადგილი მისმა ძმამ მუსტაფა II-მ (1695-1703) დაიკავა **(რეხვიაშვილი, 1989:140-142)**. მიგვაჩნია, რომ მიხეილ რეხვიაშვილის მიერ გამოთქმული ეს ვარაუდი არასწორია, რადგან სულეიმან II-ის შემდეგ, ოსმალეთის ტახტზე აჰმედ II ავიდა. წიგნში მოყვანილი ქრონოლოგიური რიგის თანახმად, ირანის ელჩი სტამბოლში ჩავიდა 1691 წელს. 1691 წელს სულეიმან II გარდაიცვალა და მისი ადგილი მუსტაფა II-მ (1695-1703) კი არა აჰმად II-მ (1691-1695) დაიკავა **(Özcan, 2010:75; İlgürel, 1989-2:33; Özcan, 2006:275)**. ირანის ელჩმა საჩუქრები გადასცა ოსმალეთის ტახტზე ახლად ასულ სულთანს და შეატყობინა შაჰის სურვილები. ოსმალეთის იმპერიამ, რომელიც კმაყოფილი დარჩა ირანის ელჩის ქმედებებით ალექსანდრეს კვლავ გასამეფებლად ბრძანება გააგზავნა. ამის შემდეგ დააპატიმრეს ახალციხეში მყოფი და არჩილ მეფის მხარდამჭერი ქართლის ყოფილი მეფე გიორგი XI **(რეხვიაშვილი, 1989:142)**.

ეს რომ არჩილ მეფემ გაიგო, დაუყოვნებლივ მსვლელობაზე გადავიდა და ქუთაისის ციხე-სიმაგრეში მყოფ ოსმალთა გარნიზონს ალყა შემოარტყა. მან ციხესიმაგრეს შეუჩერა საკვების მიწოდება. თუმცა, მეფის მოწინააღმდეგე გიორგი

ლიპარტიანი, ოსმალთა ჯარს დაეხმარა და არჩილ მეფემ წარმატებას ვერ მიაღწია (**კაჭარავა, 1998-1:221-222**). ოსმალთა ჯარი ქუთაისის ციხესიმაგრიდან გამოვიდა და დაარბია ბაგრატის ტაძარი. ეს მოხდა 1691 წელს და ამის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილიც მოგვითხრობს (**რეხვიაშვილი, 1989:142**). თურქების მიერ ბაგრატის ტაძრის დანგრევასთან დაკავშირებით არსებობს სხვა მოსაზრებაც, კერძოდ 1698 წელი (**ისაკაძე, 2006:100-102**). ოსმალთა წინააღმდეგ ამ მსვლელობის შედეგად არჩილ მეფემ ტახტი დაკარგა. ალექსანდრე ოსმალთა ჯართან ერთად ახალციხიდან იმერეთში შევიდა და ტახტი 1691 წელს დაიკავა (**კუპრაშვილი, სამუშია, 2016:25**). ოსმალეთის იმპერიის გავლენით იმერეთის სამეფოში განვითარებული მოვლენები, ასევე აღნიშნულია ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში. მაგალითად, ჩილდირის ბეგლარბეგისთვის მიწერილი ბრძანება, მეფე არჩილის შესახებ. დოკუმენტის თანახმად, მეფე არჩილმა ჯერ ისლამი მიიღო, შემდეგ კი ქრისტიანობას დაუბრუნდა. მოგვიანებით, ძმებთან ერთად თავს დაესხა აჩიქბაშის (იმერეთის) მიწებს და გაიქცა. მეფე არჩილი და მისი ძმები, არზრუმის ბეგლარბეგ ჰალილის დახმარებით შეიპყრესდა გადასცეს ირანის შაჰის მიერ გაგზავნილ ელჩს (**BOA, MH. 104/62**). იმავე საკითხთან დაკავშირებით ბრძანება გაეგზავნა არზრუმის გამგებელს (**BOA, MH. 104/355**). ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში ასევე შეტანილია მეფე ალექსანდრეს ტახტზე ასვლის შესახებ მრავალი ბრძანებულება, რომელიც გადაეგზავნა არზრუმის ბეგლარბეგ ჰალილ ფაშას, ჩილდირის ბეგლარბეგსალიჰ ფაშას, გურიის მელიქსა (მმართველი) და აჩიქბაშის (იმერეთის) სამეფოს თავადებიდან, გიორგი ლიპარტიანს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აჩიქბაშის (იმერეთის) მეფედ 1691 წელს ტახტზე ასული ალექსანდრესთვის გაგზავნილ ბრძანებებში, ოსმალეთის იმპერია მიზანშეწონილად მიიჩნევდა მისი მოვალეობის კვლავ გაგრძელებას (**BOA, MH. 104/67, 75, 101**). გარდა ამისა, ალექსანდრე მეფესაც გაეგზავნა ერთი ბრძანება. ამის მიხედვით, ბრძანება იქნა გაცემული, რომ ჯიზია და საჩუქრები, რომლებიც იმერეთის სამეფოში რამდენიმე წლის განმავლობაში არ გროვდებოდა, ოსმალეთის იმპერიის მიერ დანიშნულ მოხელეს საშუალებით სტამბოლისთვის მიეწოდებინათ (**BOA, MH. 104/100**). შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ბრძანებების გაგზავნის მიზეზი ალბათ იყო ის, რომ იმერეთში სამეფო ტახტისთვის ბრძოლების დროს, ქვეყანაში

არსებული ეკონომიკური და ადმინისტრაციული პრობლემების გამო, ვერ იქნა უზრუნველყოფილი ოსმალეთისთვის გადასახადების გადახდა. როგორც სხვა დოკუმენტში ვხედავთ, არზრუმის გამგებელს დაევალა ალექსანდრე მეფისთვის ტახტის შენარჩუნება. ჩილდირის ბეგლარბეგს კი არზრუმის გამგებელის დახმარება **(BOA, MH. 104/354)**. კვლავ მოგვიანებით ჩილდირის ბეგლარბეგისთვის გაგზავნილი ბრძანებულებით, მას დაევალა არჩილის იმერეთზე თავდასხმის შემთხვევაში, იმერეთზე დახმარება **(BOA, MH. 104/701)**. რამდენიმე დღის შემდეგ იგივე ბრძანება გადაეგზავნა არზრუმის გამგებელს **(BOA, MH. 104/702)**. ისევ იმავე საკითხთან დაკავშირებით, სამი თვის შემდეგ არზრუმის გამგებლისთვის გაგზავნილ ბრძანებაში, ნაბრძანები იყო, რომ თუ არჩილი შემოიჭრებოდა იმერეთში და მეფე ალექსანდრე დახმარებას ითხოვდა, დახმარებოდა **(BOA, MH. 104/1204)**. ის იმერეთის ტახტზე მეორედ ავიდა. თუმცა, მას პრობლემები ჰქონდა იმერეთის თავადებთან. საბოლოოდ თავადები გაერთიანდნენ და 1695 წელს ალექსანდრე ტახტიდან ჩამოადგეს და მის ადგილას არჩილ მეფე მეოთხედ გაამეფეს **(რეხვიაშვილი, 1989:143-144)**. მეფე ალექსანდრეს ტახტიდან ჩამოგდების ფაქტი ასახულია ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში. არზრუმის გამგებელ ვეზირ მეჰმედ ფაშასთვის გაგზავნილ ბრძანებულებაში ნაბრძანები იყო ცუდი საქციელების გამო აჩიქბაშის მელიქის, (იმერეთის მეფე) ალექსანდრეს მოვალეობიდან გადაყენება **(BOA, MH. 106/275)**. ამასთან, ქართულ წყაროებში ნათქვამია, რომ ალექსანდრე ტახტიდან ქართველმა თავადებმა ჩამოაგდეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, იმერეთის თავადები ვერ შეეწყვნენ არჩილ მეფეს და 1696 წელს მის ადგილას დასვეს შემდგომში გიორგი IV-დ წოდებული, ბაგრატიონთა შთამომავალი გოჩია **(ჭაავა, 2018-2:32)**. გიორგი აბაშიძის დახმარებით გიორგი IV დაქორწინდა აბაშიძის ასულზე თამარზე. ამ ქორწინების შემდეგ, გიორგი აბაშიძემ მთლიანად აიღო იმერეთის მმართველობა. მეფეს არანაირი გავლენა არ ჰქონდა. ერთი წლის შემდეგ, თამარ დედოფალმა გადაწყვიტა, რომ ტახტიდან ჩამოეგდო თავისი მეუღლე გიორგი IV, რომელიც 1698 წელს გიორგი აბაშიძის მეთაურობით გადააყენეს. ამრიგად, ახალი მეფე იყო საჭირო იმერეთის ტახტზე. არჩილ მეფე ემზადებოდა რუსეთში წასასვლელად. იმერეთის თავადები შეხვდნენ მას და სთხოვეს იმერეთის ტახტზე კვლავ ასვლა. მეფე არჩილმა პირველად

ეს წინადადება უარყო, მოგვიანებით დათანხმდა და 1698 წელს მეხუთედ გამეფდა. ეს იყო მისი ყველაზე ხანმოკლე მმართველობა და იგი მხოლოდ ხუთი თვის განმავლობაში დარჩა ტახტზე **(რეხვიაშვილი, 1989:144; კუპრაშვილი, სამუშია, 2016:25)**.

იმერეთში, 1695-1698 წლებში, სამი წლის განმავლობაში სამი მეფე შეიცვალა. ქვეყანა გახდა დაუცველი. ქვეყნის ძლიერი თავადები იმას ამეფებდნენ, ვინც მათ სურდათ. ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ, დასავლეთ საქართველოზე პასუხისმგებელმა პირმა, ახალციხის ფაშამ შეატყობინა დიდვეზირს, რომელმაც ბრძანება გაუგზავნა ახალციხის ფაშას და მოსთხოვა, რომ არჩილი ტახტიდან ჩამოეგდო და შეეცვალა ალექსანდრე IV-ის უკანონო ვაჟით, სვიმონით **(კუპრაშვილი, სამუშია, 2016:25; რეხვიაშვილი, 1989:145)**, რომელიც იმ დროს ქართლში იმყოფებოდა.

ახალციხის ფაშამ ის ჯერ ქართლიდან ახალციხეში მიიყვანა, შემდეგ კი იმერეთში წაიყვანა და 1699 წელს ქუთაისში სვიმონი იმერეთის მეფედ გამოაცხადა **(რეხვიაშვილი, 1989:145)**. ოსმალეთის გავლენით იმერეთის ტახტზე ცვლილება, ასევე ჩანს ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში. ამ ვითარების შესახებ პირველად აცნობეს აჩიქბაშის ყოფილი მელიქის ალექსანდრეს უფროს ვაჟს (ე.ი. სვიმონს), რომელიც (ოსმალეთის) სახელმწიფოს მიმართ ერთგულების გათვალისწინებით, დააჯილდოვეს მოსასხამით **(BOA, MH. 110/1884))**. ოსმალეთის მმართველობამ, აღნიშნული ცვლილების შესახებ აცნობა იმერეთის სამეფოსთან ახლოს მდებარე რეგიონების მმართველებს და შეატყობინა მათ, თუ რაც უნდა გაეკეთებინათ. ოსმალეთის მმართველები, რომლებსაც ამ საკითხთან დაკავშირებით ბრძანებები გადაეგზავნათ იყვნენ:ჩილდირის ბეგლარბეგი, მცირე არტაანის სანჯაყ-ბეგი, ჩილდირის სანჯაყ-ბეგები, გონიოს სანჯაყბეგი, ჩილდირის ალაი-ბეგები, ახალციხის, აწყურისა და ხერთვისის მმართველები, არზრუმისა და ყარსის სანჯაყ-ბეგები და ალაი-ბეგები, ყარსის ალაიბეგები და ვანის გამგებელი **(BOA, MH. 110/1868, 1869, 1870, 1871, 1872, 1873, 1874, 1875, 1880, 1881, 1882, 1883, 1867)**. ამის გარდა, ოსმალეთმა გარკვეული ზომები მიიღო იმერეთში წესრიგის დასაცავად. ჩილდირის ბეგლარბეგ ისჰაკს დაევალა იმერეთზე თვალყურის დევნება, რომლის დახმარება დაევალა და ბრძანებები გაეგზავნა გურიის მელიქს, დადიანს, ლიპარტიანს, ყარსის ბეგლარბეგ

სალიჰს, აჩიქბაშის თავადებსა და აზნაურებს, გონიოს სანჯაყ-ბეგს **(BOA, MH. 110/1876, 1877, 1878, 1879, 1955).** ოსმალეთმა, იმერეთის საკითხებთან დაკავშირებით არაერთი ბრძანებულება გაუგზავნა ახალ მეფეს, სვიმონს. ამათგან პირველში ითხოვდა ქუთაისის ციხის წინ მდებარე განადგურებული კოშკისა და ხიდის შეკეთებას **(BOA, MH. 110/2011).** სხვა ბრძანებებში, ოსმალეთი სვიმონ მეფისგან ითხოვდა მის მმართველობაში ყოფნასა და მეფის მოწინააღმდეგეების დასჯას **(BOA, MH. 110/2012)**. მოგვიანებით, იმერეთის საქმეებით დაინტერესებული ჩილდირის ბეგლარბეგი ისჰაკ ფაშასთვის გაგზავნილი ბრძანების თანახმად, მას ასევე მოთხოვეს იმერეთის მეფე სვიმონი, გურიელის, დადიანის თავადი მამიასა და ამ მმართველების ქვეყნების დაცვა. გარდა ამისა, ისჰაკ ფაშას დაევალა იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში ჯიზიასა და საჩუქრების შეგროვება და სტამბოლში გაგზავნა **(BOA, MH. 111/1498).** ისჰაკ ფაშასთვის გაგზავნილი ამ ბრძანებულებების მსგავსი შინაარსის ბრძანებები ასევე გაეგზავნა სვიმონ მეფესა და იმერეთის სამეფოს თავადებს, რომელშიც ნაბრძანები იყო მათი ქვეყნის დაცვა. მათ ჩილდირის ბეგლარბეგი ისჰაკ ფაშას მეშვეობით, ასევე სისტემატიურად უნდა გაეგზავნათ ყოველ წელს ჯიზია და საჩუქრები **(BOA, MH. 111/1501)**. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ოსმალეთის იმპერია კვლავ მჭიდრო კავშირში იყო იმერეთის სამეფოს საქმეებთან. მან თავისი წვლილი შეიტანა იმერეთში არსებულ ფეოდალურ დაპირისპირებაში. სვიმონ მეფე, რომელიც გიორგი აბაშიძის გამო იძულებული გახდა ტახტი დაეტოვებინა, მამია გურიელის დახმარებით ისევ იმერეთის მეფე გახდა. მაგრამ გიორგი აბაშიძეს და გიორგი ლიპარტიანს არ სურდათ სვიმონის მეფობა. ერთმანეთში შეთანხმდნენ და მამია გურიელს იმერეთის ტახტზე ასვლა შესთავაზეს, მაგრამ ერთი პირობით, მას უნდა მოეკლა სვიმონ მეფე. იმერეთში გამეფების მიზნით, მამია გურიელმა 1701 წელს მოკლა სვიმონი და გახდა იმერეთის მეფე. მცირე ხნის განმავლობაში ტახტზე მყოფმა მამია III გურიელმა, 1702 წელს ტახტი დატოვა და თავის ქვეყანაში, გურიაში დაბრუნდა **(კუპრაშვილი, სამუშია, 2016:26)**.

ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში აგრეთვე აღწერილია მეფე სვიმონის ტახტის დატოვებისა და შემდგომ მისი მკვლელობის ფაქტები. მეფე სვიმონის გადაყენების ფაქტი პირველად გვხვდება ჩილდირის ბეგლარბეგისთვის გაგზავნილ

ბრძანებაში, რომლითაც ოსმალეთის მმართველობა ისჰაკ ფაშას ატყობინებდა, რომ გაქცეული აჩიქბაშის მელიქი სვიმონის ნაცვლად დანიშნული იყო გორკი/გიორგი. ამ დროს, ტახტის სიცარიელიდან გამომდინარე, იმერეთში გამოჩნდა ბანდიტები. ამიტომ, ფაშას დაევალა მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, ახლად დანიშნულ იმერეთის მეფე გიორგიზე დახმარება **(BOA, MH. 111/2275).** შემდგომ დათარიღებულ დოკუმენტებში მოცემულია დეტალური ინფორმაცია სვიმონ მეფისა და იმერეთის შესახებ. ეს ბრძანებები გადაეგზავნა გურიელსა და დადიანის მელიქს მამიას, აჩიქბაშის თავადებიდან გიორგი აბაშიძესა და ჩილდირის ბეგლარბეგს ისჰაკ ფაშას. გაგზავნილი ბრძანებების შინაარსი და თარიღი იგივეა. ამის მიხედვით, ყოფილმა აჩიქბაშის მელიქმა სვიმონმა, ვერ გაუგო იმერელ ხალხს, ამიტომ დატოვა ტახტი და სხვაგან გაიქცა. გაქცეული მეფის ნაცვლად დაინიშნა ყოფილი იმერეთის მეფე გიორგი. თუმცა, ის მტრებმა გაიტაცეს და თუ სად წაიყვანეს უცნობია. ამიტომ, გაიცა ბრძანება, რომ ის ეპოვათ, ჩამოეყვანათ იმერეთის დედაქალაქ ქუთაისში და მეფედ გამოეცხადებინათ. გარდა ამისა, გაქცეული მეფე სვიმონი ეპოვნათ და ჩილდირის ბეგლარბეგი ისჰაკისთვის გადაეცათ **(BOA, MH. 112/1018, 1019, 1020).** ოსმალეთის მმართველობამ ბრძანება გაუგზავნა მამია გურიელს, რომელსაც იმერეთის მმართველობაში გარკვეული გავლენა ჰქონდა. ოსმალეთი ამ უკანასკნელისგან მოითხოვდა დაბრუნებოდა თავის მიწებს, რადგან სვიმონ მეფის ნაცვლად გიორგის დანიშვნის გამო, იმერეთი აღარ საჭიროებდა დაცვას **(BOA, MH. 112/1022).** როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ოსმალეთს არ სურდა, რომ გურიის მმართველს, მამიას იმერეთში გავლენა ჰქონოდა და ცდილობა ხელი შეეშალა რეგიონში მოწინააღმდეგე ძალის გამოჩენისთვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამავე თარიღს კიდევ ერთი ბრძანება გაეგზავნა ჩილდირის ბეგლარბეგს ისჰაკ ფაშას. ამის მიხედვით, მამია გურიელს იმერეთში აღარანაირი მოვალეობა აღარ ჰქონდა დარჩენილი და საკუთარ ქვეყანაში უნდა დაბრუნებულიყო. ფაშას სთხოვეს ამ საკითხთან დაკავშირებით მამია გურიელის გაფრთხილება **(BOA, MH. 112/1024).** ოსმალებმა ამ გაფრთხილებებიდან ერთ თვეზე ნაკლები ხნის შემდეგ მიიღეს ინფორმაცია სვიმონ მეფის გარდაცვალების შესახებ. მან იგივე შინაარსისა და თარიღის ბრძანებები გაუგზავნა აჩიქბაშის მელიქსა და მათ თავადებს, გურიისა და

დადიანის მელიქს მამიას, განსაკუთრებით კი ჩილდირის ბეგლარბეგს ისჰაკ ფაშას. მათ თანახმად, იმერეთის ყოფილი მეფე სვიმონი მოკლეს იმერეთსა და გურიას შორის მდებარე ადგილას, გაქცევისას, იმერეთში დაბრუნებისას. ნაბრძანები იქნა, რომ გამოეძიათ თუ ვის მიერ და რა მიზეზით იქნა მეფე მოკლული **(BOA, MH. 112/1113, 1114, 1115).** ქართულ და ოსმალურ წყაროებში გადმოცემული ინფორმაცია, მცირედი განსხვავებების გარდა, იდენტურია. ქართული წყაროების გარდა, ოსმალურ საარქივო დოკუმენტებშიც ვხედავთ, რომ ოსმალეთი ძალიან იყო დაინტერესებული იმერეთის საქმეებით.

დასავლეთ საქართველოში ეს ფეოდალური ანარქია ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა. იმერეთის სამეფომ უზარმაზარი სოციალური და ეკონომიკური ზიანი მიაყენა სამეგრელოს, გურიისა და აფაზეთის სამთავროებს. ამ დაუსრულებელმა სამოქალაქო ომებმა უარყოფითად იმოქმედა მოსახლეობაზე, თითქმის განადგურდა სოფლის მეურნეობა, რომელმაც თავის მხრივ დააზარალა ქალაქის ცხოვრება. ვაჭრობა და მრეწველობა შეწყდა, ხოლო მონებით ვაჭრობა ძალიან გავრცელდა. ფეოდალური ანარქიის შედეგად, როცა დასავლეთ საქართველოს ზოგადი მდგომარეობა ასეთი იყო, იმერეთის სამეფომ ყველაზე მეტი ზიანი განიცადა. დასავლეთ საქართველოზე იმერეთის სამეფოს სუვერენიტეტი შესუსტდა. XVII ს-ის მეორე ნახევრამდე, იმერეთის მეფეებს სიტყვის თქმის უფლება და გავლენა ჰქონდათ დასავლეთ საქართველოში, ხოლო XVII ს-ის მეორე ნახევარში მთავრები უფრო ძლიერები იყვნენ, ვიდრე მეფე. შედეგად, დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური დაპირისპირება გაღრმავდა. დასავლეთ საქართველოს შიდა არეულობასთან ერთად ჰქონდა საგარეო პრობლემებიც. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ პოლიტიკურად გაყოფილმა დასავლეთ საქართველომ ვერ შეაჩერა ოსმალთა შემოტევები. ხშირად მეფეები და ფეოდალები, თავიანთი ინტერესების შესაბამისად, მიმართავდნენ ოსმალეთის იმპერიას, თავიანთ ქვეყნებში არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით. ამის შედეგად ქვეყანა უფრო და უფრო შედიოდა ოსმალთა ბატონობის ქვეშ **(კაჭარავა, 1998-1:222)**. ფეოდალური ანარქიის და სამოქალაქო ომების შედეგად, ოსმალეთის მმართველობა გაძლიერდა გურიაში, ოდიშსა და აფაზეთში და XVII ს-ის ბოლოსთვის საქართველოს შავი ზღვის

სანაპიროებზე თითქმის ყველა ციხე ოსმალეთმა დაიპყრო (ჯამბურია, 1973:353). ამ პერიოდში, 40 წლის განმავლობაში იმერეთის სამეფოს ტახტზე 20 მეფე შეიცვალა. ამ მეფეთაგან მხოლოდ ერთი გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით (რეხვიაშვილი, 1989:109).

ოსმალეთის იმპერია 1683 წელს ვენის ალყის დროს დამარცხდა (Uzunçarşılı, 1988:389-403). შედეგად, მის წინააღმდეგ ევროპაში შეიქმნა საღვთო ლიგა (Uzunçarşılı, 1988:409) და ომი 1699 წლამდე გაგრძელდა. 1699 წელს ავსტრიასთან ხელი მოეწერა კარლოვიცის (Özcan, 2001:507) ხელშეკრულებას და 1700 წელს კი სტამბოლის ხელშეკრულებას (Kurat, 1987:255-256) რუსეთთან. უნდა აღინიშნოს, რომ კარლოვიცის ხელშეკრულება იყო პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომლითაც ოსმალეთის იმპერია კი რა იძენდა, არამედ კარგავდა ევროპაში ტერიტორიებს. ოსმალები 16 წლის განმავლობაში მონაწილეობდნენ ამ ბრძოლებში, სადაც მარცხდებოდნენ. თუმცა, ოსმალთა ბატონობის ქვეშ მყოფმა დასავლეთ საქართველომ, ფეოდალების ანარქიისა და არეულობის გამო, ვერ შეაფასა ოსმალეთში არსებული ცუდი მდგომარეობა. იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამეფოები, რომლებიც ვერა და ვერ გაერთიანდნენ, ვერ გათავისუფლდნენ ოსმალეთის მმართველობიდან და ვერც დამოუკიდებელი გახდნენ. ამის მსგავსად ისინი ხშირად მიმართავდნენ ოსმალებს არსებული შიდა არეულობის გამო, რამაც განაპირობა ოსმალეთის სუზერენიტეტის შემდგომი გაძლიერება დასავლეთ საქართველოში.

თავი IV. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები XVIII ს-ში

1. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები XVIII ს-ის პირველ ნახევარში

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოში XVII ს-ის მეორე ნახევარში ძლიერ ფეოდალურ ანარქიას ჰქონდა ადგილი, რომელმაც ასევე უარყოფითად იმოქმედა იმერეთის სამეფოზე, შესუსტდა მმართველობაში მეფის ავტორიტეტი და ფეოდალების ძალაუფლება თანდათან გაიზარდა. ფეოდალური ძალაუფლების ზრდამ, ხალხის ცხოვრების პირობების გამწვავება გამოიწვია, რადგან ფეოდალები მმართველობაში თვითნებურ ქმედებებს მიმართავდნენ. ასეთ მდგომარეობაში, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება შეწყვეტის პირას აღმოჩნდა.

XVII ს-ის მეორე ნახევარში დაწყებული ფეოდალური ანარქია, იგივე სიმკაცრით გაგრძელდა XVIII ს-ის პირველ ნახევარში. თითქმის მთელ ქვეყანას ისინი მართავდნენ. ცენტრალური ხელისუფლების სისუსტემ ასევე გაამლიერა ოსმალეთის მმართველობა ქვეყანაში **(ჯანაშია, ბერძენიშვილი, 1990:250)**. ოსმალეთის გარნიზონები დასავლეთ საქართველოსა და იმერეთის ბევრ ციხეებში იყო განლაგებული. ეს ცხადია, როგორც ქართულ წყაროების, ისე ოსმალური საარქივო დოკუმენტების მიხედვით. რეხვიაშვილის თანახმად, ოსმალების ხელში მყოფი ციხე-სიმაგრეების გარშემო მცხოვრებ ხალხს მუსულმანობის მიღება დაუწყია **(რეხვიაშვილი, 1989:146)**. ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ ასეთი ინფორმაცია თურქულ წყაროებში, მაგრამ დიდია ალბათობა ინფორმაციის სისწორისა, რადგან ოსმალეთის საგადასახადო სისტემაში მუსლიმი ხალხისგან მიღებული გადასახადი დაბალია, ვიდრე ის არამუსლიმი ხალხისგან. ამ მიზეზის გამო, შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს რთულ ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები ქართველი ხალხი, ამ გზის შეეცადა საგადასახადო ტვირთის გარკვეულწილად შემცირებას. ის ფაქტი, რომ ციხე ოსმალების ხელში იყო, მათ საშუალებას აძლევდა, ადვილად ჩარეოდა იმერეთის საშინაო საქმეებში. ამრიგად, ოსმალებმა მხარი დაუჭირეს მათთან უფრო ახლოს მყოფ ფეოდალებს და მათ, ვინც თავიანთი ინტერესების შესაბამისად იმოქმედებდა, მეფედ ან მმართველად აცხადებდნენ. იმერეთის ფეოდალები თუ მეფეები ამ მხრივ ხშირად მიმართავდნენ ოსმალეთს. წინა თავში განვიხილეთ ამ საკითხთან

დაკავშირებული საკითხები, წინამდებარე თავში კი განვიხილავთ ამგვარი საკითხების მიმდინარეობას.

იმერეთის სამეფოს შიგნით არსებობდა ძირითადი ძლიერი ოჯახები, რომლებმაც გამოიწვიეს ფეოდალური ანარქია და არ მიიღეს მეფის ავტორიტეტი. ეს ოჯახები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანდებოდნენ, რაც სამეფო კარზე ცვლილებებს იწვევდა. ეს ოჯახები ზოგჯერ ერთმანეთის წინააღმდეგაც კი მიდიოდნენ, რაც გამოიხატებოდა ერთმანეთის მიწებზე თავდასხმაში, სოფლების, ციხეებისა და ეკლესიების რბევასა და ძარცვაში. ისინი ასევე იტაცებდნენ ბევრ ადამიანს, რომლებსაც მონებად ყიდდნენ. ქართველი მონების ყველაზე დიდი მყიდველი ოსმალეთის სახელმწიფო იყო **(რეხვიაშვილი, 1989:147)**. ადგილობრივი მართველები ხელს უწყობდნენ ოსმალებს ტყვეთა სყიდვაში. უფრო მეტიც, ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ზოგჯერ კავკასიის რეგიონში მმართველები იყვნენ, მონებით ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი. ყოველწლიურად ასობით ქართული, ჩერქეზული, აფხაზური წარმოშობის მონა მიდიოდა სტამბულის მონათა ბაზარზე **(Yağcı, 2015:440)**. იმერეთის სამეფოს ამ ფეოდალური ანარქიის შედეგად, ქვეყანა ეკონომიკურად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იმდენად, რომ ოსმალეთის იმპერიას გადასახადსაც კი ვერ უხდიდნენ. სამეფოს ხაზინა თითქმის ცარიელი იყო. სწორედ ამ გადასახადების გადახდის მიზნით ხდებოდა დროდადრო მონებით ვაჭრობა. თუმცა, ეს არ აღმოჩნდა საბოლოო გამოსავალი **(რეხვიაშვილი, 1989:164; ჩხატარაიშვილი, 1973-1:465-466)**. ამ ნეგატიურმა პირობებმა განაპირობა იმერეთის ხალხის მძიმე ცხოვრება. ეს იყო ზოგადად XVIII ს-ის დასაწყისში იმერეთის სამეფოს მდგომარეობა.

XVIII ს-ის დასაწყისში ოსმალეთის იმპერია კი დაკავებული იყო თავისი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამკლავებით, რაც გამოწვეული იყო 1683-1699 წლებში ევროპაში საღვთო ლიგის ძალებთან ომებით. ეს ბრძოლა დაახლოებით 16 წელი გრძელდებოდა. 1699 წელს გაფორმებული კარლოვიცი სამშვიდობო ხელშეკრულებით, ოსმალეთის სახელმწიფომ ტერიტორიები დაკარგა. გრძელი და დამღლელი საბრძოლო პერიოდის შედეგად, დაიცალა სახელმწიფო ხაზინა და გაუარესდა ხალხისგან აღებული გადასახადები. შედეგად, დაიწყო

არეულობები, განსაკუთრებით ანატოლიაში. დაუცველობისა და არეულობებისგან თავის დასაღწევად, ხალხმა დიდი ქალაქებისკენ მიგრაცია დაიწყო. ამრიგად, შემცირდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და შესაბამისად შემცირდა ნაწარმოები პროდუქტისგან სახელმწიფოს მიერ დაბეგრილი გადასახადები. დიდი ქალაქებისკენ წასულმა ხალხმა, ქალაქებში გამოიწვია უმუშევრობა და საზოგადოებრივი წესრიგის პრობლემები **(Çolak, 2002:847-848)**.

როგორც ჩანს, როგორც იმერეთის სამეფოს, ისე ოსმალეთის იმპერიას XVIII ს-ის დასაწყისში თითქმის მსგავსი სოციალურ–ეკონომიკური პრობლემები ჰქონდათ. ორივე სახელმწიფოში, დაუცველობისა და არეულობის გამო, გლეხები გადადიოდნენ დიდ ქალაქებში. ამრიგად, ორივე სახელმწიფოში სასოფლო-სამეურნეო წარმოება შემცირდა.

1701 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე სვიმონი. იმერეთის წამყვანმა თავადებმა ერთად მოიყარეს თავი და გადაწყვიტეს მამია III გურიელის იმერეთის ტახტზე აყვანა. თუმცა, მამია გურიელის მეფობის პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან იმერეთის უძლიერესი თავადი გიორგი აბაშიძე, წინააღმდეგი იყო ახალი მეფის. აბაშიძის ზეწოლის შედეგად, მამია III გურიელმა, 1702 წელს საკუთარი სურვილით ტახტზე უარი განაცხადა. შედეგად, იმერეთის ტახტზე გიორგი აბაშიძე ავიდა **(ბლიაძე, 2013:193)**. გიორგი აბაშიძე ასევე წინააღმდეგი იყო ოსმალეთის მმართველობის და სურდა თავისი ქვეყანა დამოუკიდებელი და ძლიერი გაეხადა, ამიტომ, მან რუსეთთან დაახლოება დაიწყო. გარდა ამისა, რუსეთს ჰქონდა გეგმა, თუ როგორ გამოეყენებინა ქართული ნავსადგურები შესაძლო ოსმალეთ-რუსეთის ომის დროს. სწორედ ამ მიზეზით გაიზარდა რუსეთის ინტერესი საქართველოში **(რეხვიაშვილი, 1989:147-149)**. გიორგი აბაშიძე, რომელმაც აიმაღლა ავტორიტეტი იმერეთში, ყოველწლიურად უარს ამბობდა ოსმალეთის გადასახადის გადახდაზე. იმერეთის სხვა ძლიერმა თავადებმა, გურიელმა და დადიანმაც უარი თქვა გადასახადების გადახდაზე. აფხაზებიც აჯანყდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ და გაძარცვეს ოსმალო ვაჭრები. ქართველებმა, იმერეთის მეფე, გიორგი აბაშიძის ხელმძღვანელობით დაიწყეს ოსმალეთის მიმართ

დაუმორჩილებლობა. ახალციხის ფაშამ ამის შესახებ მაშინვე სტამბოლს შეატყობინა **(ჩხატარაიშვილი, 1973-1:456)**.

ოსმალეთის იმპერიამ იცოდა მის წინააღმდეგ არსებული ერთიანობის შესახებ და ამის თავიდან ასაცილებლად, 1703 წელს არზრუმის ბეგლარბეგ, ქოსე ჰალილ ფაშას დაავალა ოსმალეთის მმართველობის აღდგენა დასავლეთ საქართველოში და მმართველების დასჯა **(ასათიანი, 2003:340)**. ოსმალეთის არმია საქართველოში სამი სხვადასხვა ადგილიდან შევიდა. ქოსა ჰალილ ფაშამ გურია აიღო, ახალციხის ფაშამ ზეკარის გადასასვლელები, ხოლო ოსმალეთის საზღვაო ძალებმა სამეგრელოში შეიყვანა ჯარი **(რეხვიაშვილი, 1989:150)**. ამ დროს, ქოსე ჰალილ ფაშამ იმერეთში მიიყვანა ყოფილი მეფის, სვიმონის ძმა გიორგი **(ასათიანი, 2003:340)**. ოსმალეთის იმპერიის მიერ იმერეთის წინააღმდეგ ორგანიზებული ეს სამხედრო ოპერაცია საარქივო დოკუმენტებშიც ჩანს. ამ საქმისთვის დანიშნულ არზრუმის გამგებელ ვეზირ ჰალილ ფაშას გაეგზავნა ბრძანებულება, რომელშიც ნაბრძანები იყო, რომ თავისთან წაეყვანა იმერეთის მეფე ალექსანდრეს ძე გიორგი და ხმელეთიდან და ზღვიდან მიეღო ყველანაირი სიფრთხილის ზომები მამია დადიანის წინააღმდეგ, რომელსაც იმერეთში არეულობის გამოწვევა სურდა **(BOA, MH. 114/228).** ჰალილ ფაშას დასახმარებლად დაინიშნა ჩილდირის ბეგლარბეგი ისჰაკ ფაშა და მას სამხედრო მოქმედებებისთვის მზადყოფნა დაევალა **(BOA, MH. 114/237).** სხვა ბრძანებით კი, არზრუმის გამგებელი ჰალილ ფაშა იმერეთში ჩასვლამდე ჩილდირის ბეგლარბეგ ისჰაკ ფაშას დაევალა რეგიონში წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა **(BOA, MH. 114/284).**

დაიწყო ბრძოლა იმერეთსა და ოსმალეთს შორის. თავიდან ქართველებმა შეაჩერეს ოსმალეთის ჯარი, მაგრამ ისინი რაოდენობითა და შეიარაღებით ქართველებზე უფრო მეტნი იყვნენ. სამხედრო უპირატესობის გარდა, ქართველი თავადების კავშირისთვის, ქართველთა დამარცხება გამოიწვია. ბრძოლების დროს გურია მამია III დადიანი დაემორჩილა ოსმალეთის იმპერიას **(ჩხატარაიშვილი, 1973-1:458)**. გიორგი ლიპარტიანიც იყო მათ შორის, ვინც ემორჩილებოდა ოსმალეთის იმპერიას. ლიპარტიანი ასევე ხელმძღვანელობდა და ეხმარებოდა ოსმალეთის ჯარს იმერეთის ტერიტორიაზე შესვლისას. ზეკარის გადასასვლელებით ოსმალეთის არმია

შემოვიდა ბაღდადში, დაიპყრო თხმელის ციხე და ციხესიმაგრეში მოათავსა გარნიზონი (**ბლიაძე, 2013:194**). ოსმალეთის არმიამ, როგორც სამეგრელოში, ასევე იმერეთში სამხედრო წარმატებას მიაღწია. ოსმალეთმა დაიპყრო რუხის ციხე და ააშენა ანაკლიის ციხე. ამ ორი ციხის წყალობით, ოსმალებმა კიდევ ორი მნიშვნელოვანი დასაყრდენი მოიპოვეს შავი ზღვის სანაპიროზე. ამ სამხედრო ოპერაციების შედეგად, ოსმალეთმა კვლავ ხელში ჩაოგდო თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს მმართველობა (**რეხვიაშვილი, 1989:151**). მიუხედავად იმისა, რომ ქართველები გაერთიანდნენ, მათ საერთო მტრების წინააღმდეგ ვერ იმოქმედეს. ისევე, როგორც წლების წინ, სამცხის ათაბაგი უძღვებოდა უფლისწულ სელიმს, გიორგი ლიპარტელიანი უძღვებოდა არზრუმის ბეგლარბეგებს. წლების წინ მომხდარი ღალატი ხელახლა განხორციელდა.

ოსმალეთის იმპერია, დასავლეთ საქართველოში დაწყებული ამ დაპყრობითი მოქმედებების მხარდასაჭერად, რეგიონში უფრო მეტი ჯარის გაგზავნისთვის სამზადის შეუდგა, მაგრამ ეს ვერ განახორციელა 1703 წელს სტამბოლში მომხდარი აჯანყების გამო. როდესაც სტამბოლში მომხდარი ამბოხების შესახებ იმერეთში მყოფმა ოსმალო სარდალმა შეიტყო, შეთანხმების მიზნით, იმერეთის მეფე გიორგი აბაშიძეს შეხვდა (**ჩხატარაიშვილი, 1973-1:458-459; ასათიანი, 2008:283**). ოსმალეთის იმპერიის პირობები იყო შორაპნის ციხის დანგრევა, ტყვეების დაბრუნება და მეფე სვიმონ მეფის ძმისშვილის, გიორგის გამეფება. მათ შორის მოლაპარაკება დადებითად დასრულდა და მეფე გიორგი აბაშიძემ მიიღო ოსმალეთის იმპერიის მოთხოვნები. დაინგრა შორაპნის ციხე, დააბრუნეს ტყვეები და მეფე სიმონის ძმისშვილი, გიორგი, როგორც გიორგი VI იმერეთის ტახტზე ავიდა. მიუხედავად ამისა, გიორგი აბაშიძე კვლავ სამეფოს ნამდვილი მმართველი იყო (**რეხვიაშვილი, 1989:152; სამსონაძე, 2020-1:306**). იმერეთიდან დაბრუნებისას ოსმალთა ჯარს თავს დაესხნენ იმერლები. თავდასხმის დროს ბევრი ჯარისკაცი დაიღუპა, ბევრი ტყვედ ჩავარდა, მხოლოდ რამდენიმემ შეძლო უკან თავის დაღწევა. გარდა ამისა, ოსმალთა ჯარისკაცების მიერ მოპოვებული ნადავლი უკან დაიბრუნეს (**ასათიანი, 2003:340**). ოსმალეთის იმპერიამ ვერ დაასრულა დასავლეთ საქართველოში დაპყრობითი მოქმედებები, თუმცა დიდი ზიანი მიაყენა. მრავალი ადგილი გაიძარცვა და

განადგურდა. ამას გარდა, ოსმალებმა დაიპყრეს ფოთი, ანაკლია, რუხის და ბადადადის ციხეები (**ჩხატარაიშვილი, 1973-1:459; სამსონაძე, 2020-1:306; სანაძე, 2018:642**).

დასავლეთ საქართველოში ოსმალთა მიერ ციხეების დაპყრობის შესახებ ცნობებიოსმალურ საარქივო დოკუმენტებშიცაა დაცული. 1703 წლის 19 ივნისით დათარიღებულ დოკუმენტში ნახსენებია ქუთაისის ციხეში მომუშავე მოსამართლეების ხელფასების შეჯამების შესახებ (**BOA, İE. AS. / 48 – 4378**). 1706 წლის 15 ივლისით დათარიღებული დოკუმენტის თანახმად, იმერეთში მდებარე ბაღდადის ციხეში მომუშავე მეთაური დერვიშოღლუ ველის გარდაცვალების შემდეგ, მის ადგილზე დაინიშნა ომერი (**BOA, AE. SAMD. III / 47–4650**). 1707 წლის 4 მარტს დათარიღებულ სხვა დოკუმენტის მიხედვით, გაიცა ბრძანება, რომ ქუთაისის ციხესიმაგრეში მომუშავე ჯარისკაცების მარცვლეულის და ხორბლის ხარჯები, დაფარულიყო ცენტრალური ხაზინიდან (**BOA, AE. SAMD. III / 58–5802**). 1705 წლის 18 ნოემბრით დათარიღებული დოკუმენტის თანახმად კი, გამოიცა ბრძანება, ანაკლიის ციხესიმაგრეში არსებული იანიჩარების ზამთრის ხარჯების ტრაპიზონში არსებული მიწებიდან დაფარვის თაობაზე (**BOA, AE. SAMD. III / 148-14467**). 1704 წლის დოკუმენტში, არზრუმის გამგებლის ვეზირ ჰალილ ფაშას სტამბოლში გაგზავნილ წერილში, ჩვენ ვხვდებით დადიანების სამშობლოში გადასაცემი რუხისა და ხეთის ციხესიმაგრეების ტრაბზონის გამგებლის იუსუფ ფაშას მიერ ჩაბარების საკითხს (**შენგელია, 1982:213-215**). ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ქართული წყაროებიდან ჩვენ მიერ მოპოვებული ციხესიმაგრეების დაპყრობასთან დაკავშირებული ცნობები, მოწმდება ოსმალური საარქივო დოკუმენტებიდანაც.

ოსმალური საარქივო დოკუმენტებიდან ჩვენ ვხედავთ, 1703 წელს ოსმალეთის იმპერიის მოქმედებას დასავლეთ საქართველოში და მის ურთიერთობებს რეგიონში არსებულ ქართველ მმართველებთან. ამის მაგალითად, 1704 წლის 11 მაისით დათარიღებულ დოკუმენტში საუბარია აბაშიძის ქართული წერილის შინაარსზე. აბაშიძე, რომელმაც წერილი გაუგზავნა, ალბათ, გიორგი აბაშიძეა, რომელიც იმ დროს იმერეთის სამეფოს მართავდა. წერილის თანახმად, ლიპარტიანთან, ჰასეკი აღას, სულეიმან აღასა და ომერ აღას საუბრის შედეგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ლიპარტიანმა

ოსმალებს შვილი მძევლად გადასცა და ჩააბარა ციხეები (**BOA,HAT. / 1654-67**). თუ გადავხედავთ ჩვენს მიერ ქართული წყაროებიდან მოწოდებულ ინფორმაციას, შეგვიძლია ეს სიმართლედ მივიჩნიოთ. კერძოდ, 1703 წლის ოსმალეთის იმპერიის სამხედრო ოპერაციის დროს, ლიპარტიანი ემორჩილებოდა ოსმალეთს და ხელმძღვანელობდა რეგიონში ოსმალთა არმიას. ამის შემდეგ ოსმალები შევიდნენ ბაღდადში და აიღეს ბაღდადის ციხე და შიგ გარნიზონი დააყენეს. წერილის გაგრძელებაში ნათქვამია, რომ იმერეთმა უნდა გააგრძელოს ოსმალეთის ქვეშევრდომობა. ჩვენ ამას ვხედავთ ქართული წყაროებიდან ზემოთ მოყვანილ ინფორმაციებში. სტამბოლში აჯანყების შედეგად, ოსმალეთი იძულებული გახდა ოპერაცია დაესრულებინა და გიორგი აბაშიძესთან გააფორმდა ხელშეკრულება, ხოლო ამ უკანასკნელმა მიიღო ოსმალეთის იმპერიის მოთხოვნები. ვგებულობთ, რომ წერილი პირველად რეგიონთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელ პირთან, არზრუმის ბეგლარბეგთან გაიგზავნა, შემდეგ სტამბოლში, ხოლო წერილის თარგმანი შესრულდა არზრუმის ყადის აჰმედ ეფენდის მიერ. ჩვენი აზრით, შეგვიძლია დავუშვათ შემდეგი ვარაუდი: არზრუმის ყადი აჰმედ ეფენდი უკვე დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა რეგიონში და ამიტომ იცოდა ქართული, ან ქართული წარმოშობის სახელმწიფო მოხელეა, რომელიც შემდგომ მუსულმანი გახდა.

დასავლეთ საქართველოში, ოსმალეთის ხელში არსებულ ციხესიმაგრეებში თურქი ჯარისკაცების გვერდით, აგრეთვე მსახურობდნენ გამუსლიმანებული ქართველი ჯარისკაცები. სინამდვილეში, მუსლიმი ქართველი ჯარისკაცების რაოდენობა უფრო მეტი იყო, ვიდრე თურქი ჯარისკაცების. მაგალითად, ფოთის ციხეზე მომსახურე თურქული კავალერიიდან უმეტესობა მუსლიმი ქართველები იყვნენ, ხოლო სოხუმის ციხეში კი დასაქმებული იყო უფრო მეტი მუსულმანი აფხაზი, ვიდრე თურქი (**ჩხატარაიშვილი, 1973-1:463**). ს. კაკაბაძის მოხსენების თანახმად, ქუთაისის ციხესიმაგრეში არსებული გარნიზონის სათავეში იდგა გამუსლიმანებული ქართველი სარდალი, სახელად კიკიანი ასან (ჰასანი) ფაშა. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ არის კიკიანი, ნახსენებია მეფე ალექსანდრე V-ის პერიოდის ქართულ არქივებში. ისევ ქუთაისის ციხესიმაგრეში, ციხის იმამი, ყადი და

კავალერიის ჯარისკაცები იყვნენ გამუსლიმანებული ქართველები **(კაკაბაძე, 1928:121-124)**.

1703 წელს მოხდა ოსმალური ტახტის ცვლილება. ამ მოვლენის სახელი, რამაც ტახტის ცვლილება გამოიწვია, ედირნეს ფაქტია. ამის მიზეზი სულთან მუსტაფა II-ის მეფობის დროინდელი შეიხულ-ისლამი ფეიზულაჰ ევფენდია (1695-1703). იმდენად, რომ სულთან მუსტაფა II, შეიხ ულ-ისლამის გავლენის ქვეშ იყო. ფეიზულაჰ ეფენდიმ ეს გამოიყენა და საკუთარი ნათესავები და ხალხი სახელმწიფო ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშა, რითაც გაზარდა თავისი გავლენა სულთანზე. ამ ვითარებამ განაპირობა სტამბოლში შეიხულ-ისლამის მოწინააღმდეგეთა ჯგუფის შექმნა. ამასთან, ზემოხსენებული გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც საზოგადოებაში არეულობას იწვევდა. როდესაც ეს ყველაფერი სტამბოლში ხდებოდა, სულთან მუსტაფა II ედირნეში იმყოფებოდა. 1703 წლის 17 ივლისს სტამბოლში აჯანყება დაიწყო. აჯანყებაში მონაწილეობდნენ იანიჩარბი, ჯებეჯიები, არტილერია, ბოსტანჯიები და სხვადასხვა ჯარის ნაწილებმა. აჯანყებულთა რაოდენობა დაახლოებით 60.000-ს აღწევდა და ისინი სტამბოლიდან ედირნეს მიმართულებით დაიძრნენ. თუმცა, გზაზე მიღწეული იქნა შეთანხმება და შესაბამისად აჯანყება ჩაახშეს. აჯანყების შედეგად, მუსტაფა II იძულებული გახდა ტახტი მისი ძმის, აჰმედ III-თვის დაეთმო. აჰმედ III (1703-1730) ედირნეს ტახტზე 1703 წლის აგვისტოში ავიდა და მოგვიანებით გადავიდა სტამბოლში. გარდა ამისა, გაქცეული შეიხულ-ისლამი აჯანყებულებმა დაიჭირეს და მოკლეს. მოკლეს მისი ვაჟი ფეტულაჰ ეფენდიც. დანარჩენი სახელმწიფო მოხელეები გაიქცნენ **(Özcan, 1994:445-446)**. აჯანყებულთა ლიდერები, მიუხედავად იმისა, რომ სულთან აჰმედ III-ს გარკვეული პერიოდის განმავლობაში პრობლემებს უქმნიდნენ, სულთანმა ისინი მთლიანად გაანეიტრალა **(Aktepe, 1989:35)**.

მაშინ, როდესაც აღნიშნული ამბები ოსმალეთის იმპერიაში ხდებოდა, 1703 წელს ტახტზე ასული ახალი მეფე გიორგი VI-ის დროს, იმერეთში არანაირი წესრიგი არ დამყარებულა. მეფე არ ინტერესდებოდა ქვეყნის პრობლემებით. მმართველობა მთლიანად გიორგი აბაშიძის ხელში იყო, ხოლო მეფე გიორგი VI პასიური რჩებოდა. ამ მდგომარეობით უკმაყოფილო იმერეთის თავადები შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს

მხარი დაეჭირათ გიორგი მეფისთვის. მხარდაჭერის მიღების შედეგად, 1707 წელს მეფემ დაასრულა გიორგი აბაშიძის ყველა უფლებამოსილება. გიორგი აბაშიძე ვერ შეეგუა არსებულ მდგომარეობას და შეუთანხმდა მეფის მოწინააღმდეგე ლიპარტიანს. 1709 წელს ლიპარტიანისა და რაჭის ერისთავის ჯარი შეიკრიბა და გიორგი აბაშიძეს ელოდა. ისინი უნდა წასულიყვნენ მეფის წინააღმდეგ და ტახტიდან ჩამოეგდოთ. თუმცა, მეფე გიორგი VI-მ შეიტყო მის მოწინააღმდეგეების შესახებ და მაშინვე მოქმედებაზე გადავიდა. მეფემ მოულოდნელად შეუტია მოწინააღმდეგეებს, გამარჯვება მოიპოვა და ტყვედ უამრავი ადამიანი ჩაიგდო. გიორგი აბაშიძე ბრძოლიდან გაიქცა და თავი სვერის ციხეს შეაფარა. გამარჯვებული მეფე ძალაუფლების გამყარებას შეუდგა. დაიპყრო კაცხის და ნავარძეთის ციხეები. ასევე ალყა შემოარტყა სვერის ციხეს, მაგრამ ვერ აიღო. გააძლიერა თავისი ძალა-უფლება რაჭაში, ოდიშსა და გურიაში. თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, დასავლეთ საქართველოში კვლავ დაიწყო არეულობები **(რეხვიაშვილი, 1989:153-154)**. ლიპარტიანმა, გურიელმა, რაჭის ერისთავმა, ლეჩხუმის მთავარმა ბეჟანმა და ზურაბ აბაშიძემ კავშირი შეკრეს და 1711 წელს მეფე გიორგი VI ტახტიდან ჩამოაგდეს. გიორგის ნაცვლად იმერეთის მეფედ, მამია III გურიელი გამოაცხადეს **(ჩხატარაიშვილი, 1973-1:460; ლორთქიფანიძე, მეტრეველი, 2007:254)**.

ამ პერიოდთან დაკავშირებით, გიორგის მიერ ხელმოწერილი პეტიცია ნახსენებია ოსმალური საარქივო დოკუმენტში, რომელიც დათარიღებულია 1708 წლის 13 ოქტომბრით. წერილის თანახმად, იმერეთის სამეფო თავის თავს თვითონ განაგებდა, ამიტომ მან მოითხოვა, რომ როგორც ადრე, პასუხისმგებლობა მას დარჩენოდა და არავინ ჩარეოდა მის საქმეში **(BOA, İE. TCT. / 12–1414)**. სხვა საარქივო დოკუმენტში ჩანს, რომ მეფე რთულ ვითარებაში მიმართავდა ოსმალეთის იმპერიას. ჩილდირის ბეგლარბეგი ისჰაკ ფაშასთვის გაგზავნილ ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ მეფე გიორგის მმართველობას იმერეთში ხელს უშლიდნენ მისი მოწინააღმდეგეები. დოკუმენტის თანახმად, გიორგი მეფეს უთქვამს, რომ იმყოფებოდა ქუთაისის ციხეში. თურქული ჩანაწერების დათვალიერებით დგინდება, რომ იმ დროს მეფე ნამდვილად ქუთაისის ციხეში იყო. მეფის მხარდასაჭერად დაინიშნა ჩილდირის ბეგლარგები ისჰაკ ფაშა **(BOA, MH. 115/3032)**. ამ წერილს ხელს

აწერს გიორგი, მეფე გიორგი VI. ჩვენ ვხედავთ, რომ დოკუმენტის თარიღის მიხედვით იმ დროის იმერეთის მეფე იყო გიორგი VI. ასევე ცხადია, რომ არსებობდა მყარი ურთიერთობა იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის, და რომ რთულ ვითარებაში მეფე მიმართავდა ოსმალეთს.

1712 წლის 22 მარტის დათარიღებული კიდევ ერთი ოსმალურ საარქივო დოკუმენტში ვხვდებით იმერეთთან დაკავშირებულ საკითხს. დოკუმენტის თანახმად, გადაწყდა, რომ გიორგი აბაშიძე და მისი ხალხი, რომლებიც იმერეთში ყაჩაღობით იყვნენ დაკავებულები და ქუთაისის ციხე გარშემორტყმული ჰქონდათ, საქართველოდან გადაესახლებინათ და უძრავი ქონება და მიწა, ერთგულების პირობით გადაეცათ გიორგი აბაშიძის შვილებისთვის, ზურაბ და სიმონისთვის **(BOA, AE. SAMD. III / 141–13665)**. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დოკუმენტი დაიწერა 1707 წელს მეფე გიორგი VI-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, გიორგი აბაშიძის დამარცხების შემდეგ, რადგან 1711 წლის შემდეგ გიორგი აბაშიძეს აღარ უთამაშია აქტიური როლი იმერეთში. ისევ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 1712 წლის აგვისტოს ჩილდირის ბეგლარბეგს გაუგზავნეს ბრძანება. მას დაევალა იმერეთში მცხოვრები გიორგი აბაშიძის საქართველოდან გაძევება, რადგან ის 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ახორციელებდა მუდმივ ზეწოლას იმერეთის მმართველობაზე, კლავდა სტამბოლის გადაწყვეტილებით დანიშნულ მმართველებს, რადგან მან ალყა შემოარტყა ქუთაისის ციხეს, ზიანი მიაყენა მუსლიმებს და აბრკოლებდა ბაღდადჩიკის ციხის აშენებას. გიორგი აბაშიძის გაძევების შემდეგ, გაიცა ბრძანება, რომ იმ პირობით თუ იმერეთში მდებარე ყველა ციხესიმაგრე და მგზავრები მიიღებდნენ საჭირო მომსახურებას, ყველა ქონება გადაეცათ მისი ვაჟებისათვის, ზურაბ და სიმონ აბაშიძეებისთვის **(BOA, MH. 116/942).**

როდესაც ეს ყველაფერი იმერეთში ხდებოდა, 1711 წელს ოსმალეთსა და რუსეთს შორის განხორციელდა პრუტის ლაშქრობა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ლაშქრობის მიზეზი იყო რუსეთის ცხელ ზღვებზე დაშვების პოლიტიკა. სწორედ ამიტომ, რუსეთი მოქმედებაზე გადავიდა და დაიწყო ომი შვედეთსა და პოლონეთთან. ეს ომები ისტორიაში შევიდა, როგორც დიდი ჩრდილოეთის ომები და მიმდინარეობდა 1700-1721 წლებში **(Beydilli, 2007:359)**. 1709 წლის ივლისში,

შვედეთის არმია, მეფე კარლ XII-ის მეთაურობი, დამარცხდა რუსებთან ბრძოლაში პოლტავაში (**Zinkeisen, 2011-5:265-266**). კარლ XII ანუ ოსმალეთის იმპერიაში ცნობილი, როგორც „დემირბაშ შარლი“ ბრძოლის ველიდან გაიქცა და თავი ოსმალეთის იმპერიას შეაფარა. ასეთ მდგომარეობაში ომში ოსმალეთის იმპერიაც ჩაერთო (**Yağcı, 2007:34**). რუსეთმა დაუყოვნებლივ ომი წამოიწყო ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. 1711 წლის 9 აპრილს ოსმალეთის არმია, დიდვეზირ ბალთაჯი მეჰმედ ფაშას მეთაურობით, სტამბოლიდან დაიძრა (**Aktepe, 1992:35**). პრუტის ლაშქრობა, რომელიც 19 ივლისს დაიწყო, დასრულდა 1711 წლის 21 ივლისს რუსეთთან ხელმოწერილი ხელშეკრულებით. რომლითაც ოსმალეთმა უკან დაიბრუნა მნიშვნელოვანი მონაპოვარი აზაკი და მისი შემოგარენი (**Danişmend, 1972-2:3-5; Beydilli, 2007:359-360**).

იმავე წელს მეფე გიორგი VI, რომელმაც იმერეთის ტახტი დაკარგა, ქართლში გაიქცა. ქართლში ყოფნის პერიოდში, ვახტანგ VI-ის შუამავლობით, მან კარგი ურთიერთობა დაამყარა ახალციხის ფაშასთან (**ჩხატარაიშვილი, 1973-1:460**). იმერეთში კი ჩვეულებრივ გრძელდებოდა მეფის მიმართ წინააღმდეგობა. გიორგი აბაშიძის ვაჟს, ზურაბ აბაშიძეს არ სიამოვნებდა, რომ ახალი მეფე მამია III გურიელი იყო. ამიტომ მოქმედებაზე გადავიდა და დაიწყო გაერთიანების შექმნა მეფის წინააღმდეგ. გაერთიანებაში შედიოდნენ ზურაბ აბაშიძე, ლეჩხუმის მთავარი ბეჟანი და ყოფილი მეფე გიორგი VI (**რეხვიაშვილი, 1989:154**). გაერთიანებას ასევე მხარი დაუჭირა ახალციხის ფაშამ, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა გიორგი VI-თან. 1712 წლის ივნისში გამართულ ბრძოლაში, მეფე მამია III გურიელი დამარცხდა. მოკავშირე ძალებმა ყოფილი მეფე გიორგი VI გამოაცხადეს იმერეთის მეფედ (**ჩხატარაიშვილი, 1973-1:460; ლორთქიფანიძე, მეტრეველი, 2007:254**). დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, მეფის წინააღმდეგ კავშირი კვლავ შეიკრიბა, რომლის წევრთა შემადგენლობაში შედიოდნენ გურიელი, დადიანი, რაჭის ერისთავი, აბაშიძე, ლეჩხუმის მთავარი ბეჟანი. 1713 წელს ოკრიბაში გაიმართა ბრძოლა გიორგი VI-სა და მის წინააღმდეგ შეკრებილ ძალებს შორის. ბრძოლა გიორგიმ წააგო და ტახტზე მესამედ მამია III გურიელი ავიდა. მამია გურიელი ორი თვის მმართველობის შემდეგ გარდაიცვალა. 1714 წლის იანვარში ეს გამოიყენა გიორგი VI-მ და ტახტი დაიკავა

(მეტრეველი, 2010:142). მეფე გიორგიმ ტახტზე ასვლისთანავე მიიღო მხარდაჭერა ოსმალბისგან მის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. მან მოკავშირედ გაიხადა რაჭის ერისთავი, მოულოდნელად შეუტია ზურაბ აბაშიძეს და მისი მიწები დაიპყრო. ზურაბ აბაშიძემ დახმარება სთხოვა ოსმალეთს, რასაც ოსმალეთის იმპერია დათანხმდა. როდესაც გიორგიმ, 1716 წელს მის მოწინააღმდეგეებს შორის სოფელ სიმონეთში გამართული ბრძოლა წააგო, ქართლში გაიქცა. მის ნაცვლად, იმერეთის ტახტზე დასვეს მამია გურიელის ძმა, გიორგი გურიელი. ოსმალეთის ჯარიც უკან დაბრუნდა. ამის შემდეგ ძალიან მოკლე პერიოდი მშვიდობა სუფევდა. გარკვეული დროის შემდეგ გიორგი გურიელმა იმერეთის ტახტი დატოვა და გურიაში დაბრუნდა **(რეხვიაშვილი, 1989:154-155)**. ოსმალურ საარქივო დოკუმენტში იმერეთის ტახტზე ასული გიორგი გურიელი მოხსენიებულია არა როგორც მამია გურიელის ძმა, არამედ როგორც მისი შვილი. დოკუმენტის სხვა ნაწილებში აღწერილია, თუ რატომ გადააყენეს მეფე გიორგი. ამის მიხედვით, მისი ტახტიდან ჩამოგდების მიზეზი იყო ოსმალეთისთვის გადასახადების გადაუხდელობა ხალხის დევნა და ირანის შაჰთან ელჩების გაგზავნის ამბის გავრცელება **(BOA, MH. 126/1093).**

იმერეთის ნამდვილი მეფე, გიორგი VI იმ დროს ქართლში იმყოფებოდა. მოგვიანებით, მეფე ახალციხეში გადავიდა, მაგრამ აქ ვერ იპოვა დამხმარე ძალა და სტამბოლში წავიდა. ოსმალეთის იმპერია დათანხმდა გიორგი მეფის დახმარებას, ხოლო ისჰაკ ფაშას ბრძანება გაუგზავნა და იმერეთში გამეფებისათვის კვლავ დახმარება სთხოვა **(ლორთქიფანიძე, მეტრეველი, 2007:254)**. 1719 წელს ახალციხის ფაშას ჯარი და მეფე გიორგი იმერეთში შეიჭრნენ. გიორგის მიზანი კვლავ გამეფება იყო, მაგრამ ქვეყანაში მის მიმართ წინააღმდეგობა კვლავ მიმდინარეობდა. ამ ოპოზიციური ჯგუფის ლიდერი იყო აბაშიძე, რაჭის ერისთავი და დადიანი. მათი ჯარები ოკრიბაში იმყოფებოდნენ. მეფემ გარიგება შესთავაზა თავადებს, მაგრამ როდესაც მან უარყოფითი პასუხი მიიღო, მაშინვე მოქმედებაზე გადავიდა, მათ თავს დაესხა, დაამარცხა და ააოხრა ოკრიბა. მეფე ოკრიბიდან სამეგრელოში გადავიდა. დადიანმა მას ძვირფასი საჩუქრების გაუგზავნა და ამით შეძლო მისი შეჩერება. მეფის გამარჯვების შედეგად, სამივე თავადი მას დაემორჩილა. ამრიგად, 1719 წელს გიორგი VI ოსმალთა დახმარებით მეოთხეჯერ ავიდა იმერეთის ტახტზე. ექვსი თვის შემდეგ,

1720 წელს, სიმონ აბაშიძე, ზურაბ აბაშიძის, რაჭის ერისთავი შოშიტას და ბეჟან დადიანის მიერ შედგენილი გეგმის შესაბამისად მოქმედებაზე გადავიდა. სიმონ აბაშიძემ მეფე თხმელის ციხეში მიიწვია, ხაფანგში გააბა და იქვე მოკლა. მეფის გარშემომყოფები კი დაატყვევა და გაყიდა. ამრიგად, იმერეთი კვლავ დარჩა ამ სამი თავადის ხელში, რომლებმაც იმერეთი კვლავ სამად გაყო და თავიანთ მიწებს შეუერთა **(რეხვიაშვილი, 1989:156)**.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, ამ სამ მოკავშირეს შორის უთანხმოება დაიწყო. რაჭის ერისთავ შოშიტასა და ზურაბ აბაშიძეს შორის ურთიერთობა გაუარესდა. ოსმალეთმა კი იმერეთში მეფის როლის გაზრდის მიზნით, ისჰაკ ფაშას სთხოვა გარდაცვლილი მეფის გიორგი VI-ის შვილის, ალექსანდრე იმერეთის მეფე გაეხადა **(ჩხატარაიშვილი, 1973-1:461)**. ახალციხის ფაშამ, ქართლის მეფე ვატანგ VI-ს, ქართლში აღზრდილი იმერეთის უფლისწულის, ალექსანდრეს მისთვის გადაცემა მოსთხოვა. ფაშამ, პრინცი ალექსანდრე პირველად ახალციხეში მიიყვანა. შემდეგ იმერეთში გადაიყვანა და 1720 წელს იმერეთის ტახტზე ალექსანდრე V-ის სახელით დასვა **(ბლიაძე, 2013:194)**. ამრიგად, იმერეთში დაიწყო ალექსანდრე V-ს ხანა, რომელიც 1741 წლამდე გაგრძელდა.

ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში ასევე გადმოცემულია 1718 წლიდან 1720 წლამდე პერიოდი და 1720 წელს ალექსანდრე მეფის იმერეთის ტახტზე ასვლა და შემდგომი პერიოდი. ამასთან, საარქივო დოკუმენტებში გადმოცემული ზოგიერთი ინფორმაცია ქართულ წყაროებში არ მოიპოვება. 1718 წლის ივნისში ჩილდირის ბეგლარბეგ ისჰაკ ფაშასთვის გაგზავნილ ბრძანებაში გადმოცემული იყო ბეჟან დადიანის აჯანყება, რუხის ციხეში შეჭრა და შედეგად რეგიონის მოსახლეობის საფრთხის ქვეშ დაყენება. ფაშას სთხოვეს აღეკვეთა ბეჟან დადიანის მიერ დაწყებული აჯანყება. ამასთან მოითხოვეს, იმერეთისა და გურიის მმართველებს გაეგრძელებინათ თავიანთი მოვალეობები და შეეკრიბათ გადასახადები. ამის გარდა, ბეჟან დადიანის აჯანყების ჩასახშობად, ფაშას დაქვემდებარების იყვნენ ჩილდირისა და ყარსის ტერიტორიების ყველა სანჯაყ-ბეგები და თიმარიოტები, ახალციხის, ბაღდადისა და ქუთაისის ციხეებში მომსახურე იანიჩარები, საარტილერიო და ადგილობრივი ჯარიი, იმერეთის მეფის ალექსანდრეს ძე გიორგი და მამია

გურიელის ძე გიორგი. მათ შეეძლოთ მოეთხოვათ იმდენი ქვემეხი და საბრძოლო მასალა, რამდენსაც მოისურვებდნენ (BOA, MH. 127/570). იმერეთის მეფეს, ალექსანდრეს გაუგზავნეს ბრძანება აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით და სთხოვეს ჩილდირის გამგებელ ისჰაკ ფაშასთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენა (BOA, MH. 127/573).

ორი წლის შემდეგ, ჩილდირის გამგებელ ისჰაკ ფაშას სთხოვეს იმერეთის მეფის გიორგის ნაცვლად დაენიშნა მეფის ნიჭიერი ვაჟი (BOA, MH. 129/1022). იმერეთის მეფედ დანიშნული ალექსანდრე ოსმალეთმა ქუთაისში ჩაიყვანეს. ბრძანებები გაუგზავნეს მათ, ვინც ალექსანდრეს წესრიგის დაცვაში დაეხმარებოდა. ესენი იყვნენ ჩილდირისა და ყარსის სანჯაყ-ბეგები, ქუთაისისა და ბაღდადის ციხეებში მყოფი იანიჩართა მეთაურები, ახალციხის, აწყურისა და ჩილდირის ციხეებში მყოფი ჯარისკაცების მეთაურები. აღნიშნული პირები დაექვემდებარებოდა ჩილდირის ბეგლარბეგ ისჰაკ ფაშას (BOA, MH. 130/97, 98, 99, 100, 101). ჩილდირის ბეგლარბეგ ისჰაკ ფაშასთვის გაგზავნილ ბრძანებით კი მოითხოვდნენ იმერეთის მეფის გიორგის მკვლელების მოძებნას. გარდა ამისა, მასში აღნიშნული იყო, რომ დანიშნული იყო ხსენებული ჯარისკაცების მეთაურად, რომლებსაც უნდა უზრუნველეყო ახლად დანიშნული მეფის მოვალეობის შესრულება და უსაფრთხოება (BOA, MH. 130/92, 95, 161). ერთი თვის შემდეგ ისჰაკ ფაშასთვის გაგზავნილ ბრძანებაში მოითხოვდნენ, რომ ალექსანდრეს მოვალეობის შესრულების ადგილას მიყვანის შემდეგ, მისთვის მფლობელობაში გადაეცათ მამისგან დატოვებული სოფლები (BOA, MH. 130/208). როგორც ჩანს, ოსმალეთმა საკუთარი ინიციატივით, სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით მხარი დაუჭირა იმერეთი ტახტზე დანიშნულ ალექსანდრეს. ამას მოწმობს ის, რომ მან მრავალი თავადი და სარდალი დანიშნა ახალი მეფის დასაცავად და ასევე ის, რომ მას გადასცა მამისგან დატოვებული მიწები. ოსმალეთის მმართველობამ აგრეთვე გაუგზავნა დებულება ქართლის თავადებს და მათ მოთხოვა არ დაეცვათ ყოფილი მეფის, გიორგის მკვლელები (BOA, MH. 130/209). იმავე დღეს ჩილდირის ბეგლარბეგისთვის მიწერილი სხვა ბრძანებით, ყოფილი მეფის გიორგის მკვლელობაში დაადანაშაულეს ქართლის თავადები. ასევე აღნიშნული იყო, რომ იმერეთის გაძარცვასა და

გაანადგურებას ბეჟან დადიანი წინ არ აღუდგა. ამ მიზეზების გამო, იმერეთში უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად დაინიშნა ჩილდირის ბეგლარბეგი ისჰაკ ფაშა (BOA, MH. 130/167). ქართული წყაროების თანახმად, ბეჟან დადიანი იმ სამმხრივ კავშირში იმყოფებოდა, რომელიც გიორგი მეფის მოკვლას აპირებდა. გეგმის შესაბამისად, სიმონ აბაშიძემ იმოქმედა და მოკლა მეფე. ამიტომ, ბეჟან დადიანი ირიბად პასუხისმგებელი იყო მეფის გარდაცვალებაზე. ოსმალურ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ქართლის თავადები და ყაჩაღები პასუხისმგებელნი იყვნენ მეფის სიკვდილზე და ბეჟან დადიანმა მათ ხელი არ შეუშალა. ოსმალეთმა ქართლის თავადები მიიჩნიეს მეფის გარდაცვალებაში დამნაშავედ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართლზე თავდასხმისათვის ეს საბაბი იყო. როგორც ვხედავთ, წყაროების დაცულ ცნობებში გარკვეული სხვაობაა.

1711–1720 წლებში, მაშინ, როდესაც იმერეთში ზემოთაღნიშნული მოვლენები ხდებოდა, ოსმალეთის იმპერია 1718 წელს მომხდარი მოვლენებით, ემზადებოდა ახალი ხანისთვის. 1711 წელს ოსმალეთის იმპერიამ, რუსეთთან 1700 წელს ხელმოწერილი სტამბოლის ხელშეკრულებით დაკარგული ტერიტორიები უკან დაიბრუნა. ოსმალეთის იმპერიამ, რომელმაც ჩრდილოეთით დაამარცხა თავისი მტერი, 1699 წლის კარლოვიცის ხელშეკრულებით სურდა უკან დაებრუნებინა ვენეციისა და ავსტრიასთან დაკარგული მიწები. ამ მიზეზის გამო, ოსმალეთის იმპერია, 1716 წელს ვენეციასა და ავსტრიასთან ომში ჩაება და 1718 წლის 21 ივნისს გაფორმებული პოჟარევაცის ხელშეკრულებით ავსტრიას ტერიტორია გადასცა და ვენეციიდან კი თვითონ მოიპოვა (Özcan, 2007:177-180). პოჟარევაცის ხელშეკრულებით, ოსმალეთის იმპერიამ დაამყარა მშვიდობიანი ურთიერთობა დასავლეთით თავის მოწინააღმდეგეებთან. ამრიგად, სახელმწიფო შევიდა ახალ ხანაში. ამ პერიოდში, რომელიც მოგვიანებით ისტორიაში შევიდა, როგორც ტიტების ხანა, ინოვაციებსა და განვითარებებს ჰქონდა ადგილი ისეთ სფეროებში, როგორიცაა მეცნიერება, ხელოვნება და არქიტექტურა. მიზეზი, რის გამოც ეს ხანა ამ სახელწოდებით არის მოხსენიებული, ის არის, რომ სტამბოლის თითქმის ყველა ადგილას გაშენებული იყო ტიტები. ეს პერიოდი გაგრძელდა 1730 წლამდე (Özcan, 2003-1:81).

1720 წელს ტახტზე ასული ალექსანდრე V იგივე ბედს იზიარებდა, რასაც მისი წინამორბედი მეფეები. სამმა თავადმა - ბეჟან დადიანმა, ზურაბ აბაშიძემ და შოშიტა რაჭის ერისთავი რომლებიც მანამდე ქვეყანას განაგებდნენ, არ სცნეს ახალი მეფე, საკუთარ მეფედ. მიზეზი გასაგები იყო, მათი უფლებები და უფლებამოსილებები მცირდებოდა. ამასთან, ამ სამი მოკავშირიდან, რაჭის ერისთავმა შოშიტამ, ახალ მეფესთან გარიგება დაიდო და დაემორჩილა მას. მანვე მეფე ალექსანდრეს გადასცა კაცხის ციხის გასაღებები და ყოფილი მეფის, გიორგი VI-ის საგანძური. მეფე ალექსანდრემ ეს საგანძური ისჰაკ ფაშას გადასცა და მასთან ერთად სასწრაფოდ გაილაშქრა ზურაბ აბაშიძისა და ბეჟან დადიანის წინაშე. პირველად მან დაიპყრო ცუცხვათის ციხე, რომელიც აბაშიძეს ეკუთვნოდა და იქ ოსმალეთის ჯარისკაცები ჩააყენა. შემდეგ მან შეუტია ბეჟან დადიანის და ლეჩხუმის ტერიტორიას და ქუთაისში დაბრუნდა **(რეხვიაშვილი, 1989:157)**. მეფე ალექსანდრემ ოსმალეთს საჩუქრები გაუგზავნა და მასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნა. ამგვარად მან დაიმორჩილა მის წინააღმდეგ მყოფები და თავისი ძალა-უფლება გააძლიერა.

იმერეთის მეფე ალექსანდრე V აღზრდილი იყო ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის სამეფო კარზე და პოლიტიკურის თვალსაზრისით მაგალითს მისგან იღებდა. იგი იბრძოდა თავისი ქვეყნის გასაძლიერებლად, მაგრამ უნდა გაჰყოლოდა ორმხრივ პოლიტიკას. ამ თვალსაზრისით, მას ერთი მხრივ, კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა თურქებთან, რადგან როდესაც ქვეყანა რთულ ვითარებაში ჩავარდებოდა, იგი დახმარებას ოსმალეთის იმპერიისგან იღებდა. მეორე მხრივ, ის ოდნავ უახლოვდებოდა რუსებს. მეფე ალექსანდრემ სამხედრო მხარდაჭერა გაუგზავნა ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს 1721 წლის ზამთარსა და 1722 წლის ზაფხულში განჯასთან გამართულ ბრძოლაში. 1722 წელს, ქართლის მეფე ვახტანგთან ერთად, მან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა რუსებთან **(ჩხატარაიშვილი, 1973-1:461-462; ბლიაძე, 2013:194; კაჭარავა, 1998-2:240-241)**. XVII ს-ში იმერეთის მეფეები მოქმედებდნენ თავიანთი ინტერესების შესაბამისად და განახორციელეს დაბალამსებული პოლიტიკა რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიას შორის. ჩვენ ვხედავთ მსგავს პოლიტიკას XVIII ს-შიც. ალექსანდრე, რომელიც ოსმალეთის

დახმარებით მეფობდა, ხშირად, როდესაც ოსმალეთს დაუახლოვდებოდა, რუსეთთანაც დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას იწყებდა.

1722 წლისთვის რეგიონის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოდან ერთ-ერთში, კერძოდ ირანში დაიწყო გარკვეული რადიკალური ცვლილებები. 1922 წელს ირანის ტახტს შაჰ საფის ვაჟი, შაჰ ჰუსეინი (1694-1722) განაგებდა. მის პერიოდში ირანში დაიწყო გარკვეული არეულობები, რომლის მიზეზიც იყოის, რომ შაჰ ჰუსეინი არ იყო დაინტერესებული სახელმწიფო საქმეებით. იგი მმართველობას უტოვებდა სახელმწიფო მოხელეებს და დროს ატარებდა გართობაში. ქვეყანაში დაძაბულობა თანდათან იზრდებოდა და დაიწყო აჯანყება შაჰის წინააღმდეგ. დასუსტდა ცენტრალური ხელისუფლება, განსაკუთრებით შორეულ სასაზღვრო რეგიონებში. აღმოსავლეთ ირანში თურქული ტომების მეთაურთაგან მირ უვეისის ვაჟი მაჰმუდი, შაჰ ჰუსეინის წინააღმდეგ მოქმედებაზე გადავიდა და 1722 წელს გაილაშქრა ისპაჰანზე, სეფიანთა დედაქალაქზე. როდესაც ირანის სასახლეში ეს ამბავი გაიგეს, უფლისწული თამაზი ყაზვინში წაიყვანეს **(Uzunçarşılı, 1978:822)**. მაჰმუდმა 1722 წლის მარტში დაიწყო ისპაჰანზე ალყა. ხანგრძლივი ალყის შემდეგ ქალაქის მცველებს ძალა აღარ შერჩათ. დაბოლოს, 1722 წლის 22 ოქტომბერს შაჰ ჰუსეინმა გადაწყვიტა, რომ ქალაქი ემირ მაჰმუდისთვის დაეტოვებინა. 1722 წლის 25 ოქტომბერს მაჰმუდი ქალაქში შევიდა. იმავე დღეს შაჰ ჰუსეინმა გვირგვინი დაიდგა და ირანის შაჰი გახდა. უფლისწული თამაზი ქალაქგარეთ გაიქცა და სანამ ისპაჰანი ალყის ქვეშ იყო, ყაზვინში იმყოფებოდა. როდესაც მან ისპაჰანის დაპყრობის ამბავი გაიგო, 1722 წლის ნოემბერში თავი ირანის შაჰად გამოაცხადა **(Külbilge, 2010:87-90)**. ამრიგად, ირანში დამყარდა ორმხრივი მმართველობა. ერთი იყო სეფიანთა დინასტიის წევრი შაჰ თამაზ II და მეორე თურქული ტომის ლიდერი ემირ მაჰმუდი. ამასთან, ისინი ერთმანეთს ლეგიტიმურ ლიდერებად არ აღიარებდნენ. ეს მდგომარეობა ირანს ძვირად დაუჯდებოდა.

ოსმალეთი აღმოსავლეთ საზღვრებში მის ყველაზე მნიშვნელოვან მეზობელ და მეტოქე ირანში არსებულ მოვლენებს თვალყურს არზრუმის გამგებელ სილადჰარ იბრაჰიმ ფაშასა და ბაღდადის გამგებელი ეიუბიდი ჰასან ფაშას მეშვეობით ადევნებდა. ირანში არსებულმა ამ შიდა არეულობებმა ოსმალეთის იმპერიის

შეშფოთება გამოიწვია. ამ მიზეზით, ირანის საკითხის განსახილველად, სტამბოლში დივანის (სულთნის საბჭოს) შეხვედრა გაიმართა. 1722 წლის მაისში შეკრებილმა დივანმა, გადაწყვიტა ირანის საქმეებში ჩარევა. დიდვეზირი დამად იბრაჰიმ ფაშა, ამ საკითხთან დაკავშირებით მოქმედებაზე გადავიდა და ბრძანებები გაუგზავნა ბასრას, ბაღდადის, მოსულის, შეჰრიზორის, ვანის, არზრუმის, ყარსისა და ჩილდირის გამგებლებს. გაგზავნილი ბრძანების თანახმად, თუ ირანის დედაქალაქ ისპაჰანს ემირ მაჰმუდი დაიკავებდა, ირანის კუთვნილი ერევანი, განჯა, თავრიზი და თბილისი დაუყოვნებლივ იქნებოდა დაპყრობილი. ფაშამ ამ ბრძანების გაგზავნიდან ერთი თვის შემდეგ კვლავ გაუგზავნა ბრძანებები იმავე გამგებლებს და უბრძანა, რომ ისპაჰანი რომც დაეპყროთ, სანამ ემირ მაჰმუდის განზრახვას არ გაიგებდნენ, შეტევაზე არ გადასულიყვნენ **(Uzunçarşılı, 1978:822-823, Külbilge, 2010:96-98)**.

ოსმალეთი ერთადერთი სახელმწიფო არ იყო, რომელსაც ირანში არსებული მდგომარეობით სარგებლობა სურდა. რუსეთსაც სურდა ირანის ამ ვითარებით ესარგებლა. შვედეთთან ხანგრძლივი ომების შედეგად, ის ბალტიის ზღვაზე გავიდა. თუმცა, ვერ მიაღწია შავი ზღვის სანაპიროებს და ვერ შეძლო ოსმალეთის იმპერიისგან სრუტეების აღება. ცხელ ზღვებზე გასვლის პოლიტიკაში რუსეთის ახალი სამიზნე კასპიის ზღვა იყო **(Budak, 1999:595-596)**. ამ პერიოდში რუსეთის ტახტს განაგებდა პეტრე I **(Beydilli, 2008:254-255)**. 1722 წლის ივნისში, იგი კასპიის ზღვის სანაპიროებისკენ 100.000 კაციანი არმიით გაეშურა. ამასთან, პეტრეს მიზანი არა მხოლოდ კასპიის ზღვის სანაპიროების დაპყრობა, არამედ ოსმალეთის მმართველობაში მყოფი იმერეთის, ბათუმისა და არზრუმის ჩათვლით მთელი სამხრეთ კავკასიის დაპყრობა და ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნა იყო. სომხებმა და ქართველებმა (ვახტანგი VI) ამ მოვლენამდე დაუჭირეს რუსეთს მხარი **(Teyyuboğlu, 1999:561-562; Genç, 2012:6-7; პაიჭაძე, 1973:416)**.

რუსები 1722 წლის 22 აგვისტოს დარუბანდში შეიჭრნენ, შემდეგ კი კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე არსებულ გილანში, მაზანდარანში, ბაქოსა და ასტრაბადში **(Çakmak, 1999:616; Lang, 1952:538)**. ოსმალეთმა, რუსეთის ამ ოპერაციების წინააღმდეგ, დაიწყო სიფრთხილის ზომების მიღება. უპირველეს ყოვლისა, შირვანის ხანმა, რომელიც ოსმალეთის იმპერიისგან მფარველობას ითხოვდა, დავუდ ხანი

მფარველობის ქვეშ აყვანა. ეს ვითარება რუსეთს შეატყობინეს ნიშული მეჰმედ აღას მეშვეობით (**Uzunçarşılı, 1978:824; Genç, 2012:8**). 1722 წლის სექტემბერში ოსმალებმა სიფრთხილის მიზნით, ყარსის ფაშას ასევე უბრძანა ჯართან ერთად შირვანში წასვლა და ზამთრის იქ გატარება (**Küpeli, Külbilge, 2018:687**).

1723 წელს ოსმალები ფაქტიურად მოქმედებაზე გადავიდნენ და ირანის წინააღმდეგ სამ ფრონტზე გაილაშქრეს: კავკასიაში, აზერბაიჯანსა და ერაყში (**Uzunçarşılı, 1978:824**). ერაყის ფრონტის მთავარსარდალები იყვნენ ბაღდადის გამგებელი ეიუბიდი ჰასან ფაშა, აზერბაიჯანის, ვანის გემგებელი ქოფრულუზადე აბდულა ფაშა და კავკასიის არზრუმის გამგებელი სილაჰდარ იბრაჰიმ ფაშა (**Küpeli, Külbilge, 2018:688; Uzunçarşılı, 1978:824**). ოსმალეთის არმიამ, სილაჰდარ იბრაჰიმ ფაშას მეთაურობით, 1723 წლის ივნისში ჯერ გორი (**Külbilge, 2010:113**), შემდეგ კი 1723 წლის 10 ივნისს თბილისი ბრძოლის გარეშე დაიპყრო (**სამუშია, 2014:25; სვანიძე, 1990, 307; პაიჭაძე, 1973:420; Valiyev, Yörük, 2016:19**).

მას შემდეგ, რაც ოსმალეთი ირანის საკითხით დაინტერესდა, ასევე დაიწყო მჭიდროდ დაკვირვება რუსეთის მოქმედებაზე კავკასიაში. ოსმალეთი, რომელიც რუსეთის ამ სამხედრო ოპერაციით იყო შეშფოთებული, რუსეთს სთხოვა უკან დაეხიათ კასპიის ზღვის სანაპიროებიდან, განსაკუთრებით ბაქოსა და დარუბანდიდან (**Küpeli, Külbilge, 2018:690**). რუსეთმა კი არ მიიღო ოსმალეთის იმპერიის ეს შეთავაზება, რადგან არ სურდა თავისი დაპყრობილი მიწების დათმობა (**Teyyuboğlu, 1999:563**). ოსმალეთმა რუსეთს გამოუცხადა, რომ იგი არასოდეს დაუშვებდა შემახას დაპყრობას და შემდეგ იმერეთი და საქართველო სხვა ტერიტორიების დაკავებას (**Çaycıoğlu, 2017:121**). ოსმალები, კავკასიაში რუსეთის გავლენის დაწყებისთანავე მოქმედებაზე გადავიდნენ და 1723 წელს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე მდებარე ციხესიმაგრეები ხელთ იგდეს, ამით კი საქართველოს შავ ზღვასთან ურთიერთობა შეწყვიტეს (**რეხვიაშვილი, 1989:157; სანაძე, 2018:643**). ამის განხორციელებისას ოსმალეთის კიდევ ერთი მიზანი იყო შავ ზღვაში რუსეთის ეფექტურობის შემცირება და საკუთარი ბატონობის გაზრდა. როგორც ვხედავთ, ოსმალეთი ვერ შეელია საქართველოს, რომელიც წლების განმავლობაში ქვეშევდომობაში ჰყავდა და რუსეთი მკაცრად გააფრთხილა.

ოსმალეთის იმპერიის ამ დაპყრობითი ოპერაციებით, დასავლეთ საქართველოც რთული ვითარებაში აღმოჩნდა. მათ ჯარი განათავსეს ციხისძირის, ქობულეთის, სეფისა (?) და გრიგოლეთის ციხეებში. ასევე გააძლიერეს მანამდე დაპყრობილი ბათუმის, ჩაქვის, ფოთის, ბიჭვინთის, ანაკლიისა და ანაკოფიის ციხესიმაგრეები (**სანაძე, 2018:643**). თუ გადავხედავთ იმ დროს ოსმალეთის იმპერიის ციხეებში ჯარისკაცების რაოდენობას; ქუთაისის ციხეში იმყოფებოდა 500 იანიჩარი, ბაღდადის (თხმელის) ციხე-სიმაგრეში 100, სოხუმის ციხეში 100 ცხენოსანი და 10 ქვემეხი და ფოთის ციხეში 200 ცხენოსანი. ამასთან, ანაკოფიასა და ანაკლიის ციხეებში იყო ქვემეხები (**ჩხატარაიშვილი, 1973-1:462**). ორი სახელმწიფო კავკასიაში ომის ზღვარზე დადგა, რადგან რუსეთი უარს არ ამბობდა დაპყრობილი მიწების დათმობაზე და ოსმალეთის იმპერია კი კავკასიაში რუსული საფრთხის ქვეშ იმყოფება. თუმცა, რუსეთს არ სურდა ოსმალეთთან ბრძოლა, შვედეთთან 21 წლიანი ომის შემდეგ. ორი სახელმწიფო შეთანხმდა, რომ მორიგდებოდნენ საფრანგეთის შუამავლობით. მოლაპარაკება, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა, დასრულდა 1724 წლის ივნისში (**Teyyuboğlu, 1999:562-564**). 1724 წლის 24 ივნისს ხელმოწერილი სტამბოლის ხელშეკრულების, ან ირანის ,,გაყოფის წიგნის (Mukaseme-namesi)“ თანახმად ჩრდილოეთ შირვანი, დაღესტანი, გილანის, მაზანდარანი და ასტრაბადი რუსეთს; ორდუბადი, თავრიზი, ურმია, ხოი, განჯა, ყარაბაღი, ნახიჭევანი, ერევანი, სამი ეკლესია, ბარდა, ტორსი, სალმასი, ჰამადანი, ქირმანშაჰი, ერდელანი ოსმალეთს დარჩა. გარდა ამისა, რუსეთი და ოსმალეთის იმპერია ერთმანეთს მხარს დაუჭერდნენ ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში (**Budak, 1999:597; Çaycıoğlu, 2017:128-129; Zinkeisen, 2011-5:423-425; Valiyev, Yörük, 2016:20; Watson, 1988:60**). ამ ხელშეკრულებით რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში შეაღწია. რუსეთისთვის კასპიის ზღვის სავაჭრო გზის გახსნასთან ერთად, ოსმალეთს შეუწყდა პირდაპირი კავშირი კასპიის ზღვასთან (**Külbilge, 2010:138**). ოსმალეთმა, რომლის ქვეშევდომობაშიც დასავლეთ საქართველო შედიოდა, სტამბოლის ხელშეკრულებით ქართლისა და კახეთის სამეფოებიც ქვეშევდომობის ქვეშ მოაქცია. ამრიგად, მთელი საქართველო ოსმალეთის ქვეშევდომობის ქვეშ აღმოჩნდა (**გურული, 2010:9**). ქართლის სამეფოს ოსმალეთის ქვეშევდომობაში შესვლის შემდეგ, ვახტანგი VI იმავე

წელს რუსეთში, თავის 1.200 კაციან გარემოცვასთან ერთად წავიდა. მეფის მიზანი იყო პირისპირ შეხვედრა რუსეთის იმპერატორ პეტრე I-თან და ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ, მისგან დახმარების მიღება. მაგრამ საქმე ისე არ წავიდა, როგორც დაგეგმილი ჰქონდა. ვახტან VI რუსეთში ყოფნისას, 1737 წელს ასტრახანში გარდაიცვალა **(მურუსიძე, 2017:9)**. ვახტანგ VI-ის რუსეთში გამგზავრების შემდეგ, ოსმალეთმა ქართლის მმართველად დანიშნა ახალციხის ფაშა ისჰაკ ფაშა **(მეგრელაძე, 1973:434)**.

სტამბოლის ხელშეკრულების შემდეგ, ოსმალეთმა, რომელიც განაგრძობდა ირანის ტერიტორიაზე მოქმედებებს, სამთვიანი ალყის შემდეგ, 1724 წლის 4 ოქტომბერს აიღო ერევანი, 1724 წლის აგვისტოში ნახიჭევანი და 1724 წლის სექტემბერში ორდუბადი **(Küpeli, Külbilge, 2018:689)**. ერთი მხრივ, ოსმალეთის ძალებმა, რომლებიც თავრიზისკენ გაეშურნენ პირველად დაიპყრეს ხოი. თავრიზის ალყა სექტემბრის დასაწყისში დაიწყო, მაგრამ უამინდობის გამო, ერთთვიანი ალყის შემდეგ იძულებული გახდნენ ალყა მოეხსნათ **(Uzunçarşılı, 1978:825; Genç, 2012:10)**.

ოსმალეთმა ვერ შეძლო წარმატების მიღწევა პირველივე მცდელობებში და ზამთრის დასრულების შემდეგ, მომზადებული სახით თავრიზს შეუტია. ქალაქს ალყა შემოარტყეს, 1725 წლის აგვისტოში კი აიღეს **(Genç, 2012:11)**. თავრიზის დაპყრობის შემდეგ, ოსმალეთის მმართველობის ქვეშ მოექცა ყარაბაღი, არდებილი და ურმია. შაჰ-თამაზი თეირანში გადავიდა. ირანის წინააღმდეგ ბრძოლა ორ ფრონტზე მიმდინარეობდა. ოსმალებმა დაიპყრეს ლორი, განჯა, ჰამადანი, ჰურემაბადი და ნიჰავენდი **(Küpeli, Külbilge, 2018:691)**.

1725 წლის აპრილში ირანის შაჰი, მაჰმუდ შაჰი ტახდიდან ჩამოაგდეს, ხოლო მისი ძმისშვილი ეშრეფი, ირანის შაჰად გამოაცხადეს **(Üstün, 2000:401)**. იგი ოსმალეთის იმპერიასთან შეთანხმების მიღწევას ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ, 1726 წლის სექტემბერში დაიპყრო ოსმალეთის კუთვნილი ტარუნი, ზენჯანი, ებჰერი და სულთანიე. 1726 წლის 8 ნოემბერს ორი ჯარი ერთმანეთს დაუპირისპირდა, რაც ირანის მარცხით დასრულდა. შაჰი ჰამადანში შეიხიზნა.

გარკვეული პერიოდის შემდეგ ეშრეფ შაჰი მიხვდა, რომ თან ოსმალეთს, თან შაჰ თამაზს, ერთად ვერ გაუმკლავდებოდა და ოსმალეთის იმპერიას მშვიდობა

შესთავაზა. მოლაპარაკებების შედეგად, 1727 წლის 3-4 ოქტომბერს ხელი მოეწერა ჰამადანის ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, ორივე მხარე შეთანხმდნენ, რომ ორივე მხარე აღიარებდა ერთმანეთისგან წართმეულ მიწებს და ეშრეფს ოსმალები შაჰად აღიარებდნენ (**Küpeli, Külbilge, 2018:692-693**).

ოსმალეთი, რომელიც ერთი მხრივ ირანთან და მეორე მხრივ რუსეთთან იბრძოდა ცდილობდა საქართველოზე გავლენის გაზრდას. 1725 წელს ორთუღიანი ფაშა ფოთში დაინიშნა (**ჩხატარაიშვილი, 1973-1:462; სამსონაძე, 2020-1:308**). ფოთი იყო ადგილი, სადაც მდინარე რიონი შეედინებოდა შავ ზღვაში და ასევე იყო საპორტო ქალაქი. მას ამ მხრივ სტრატეგიული პოზიცია ჰქონდა. ოსმალები აქ საზღვაო ძალებით აღწევდნენ და აქედან პირველ რიგში საქართველოს სანაპირო ზოლის და შემდეგ მდინარე რიონის გავლით, შიდა ნაწილებს ყველანაირად ამარაგებდა და სამხედრო დახმარებას უწევდა. 1730 წლისთვის ოსმალებმა ფოთში მყოფი ფაშას მეთაურობით დაიწყეს შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობა. ოსმალეთის იმპერიის მიზანი იყო ბათუმიდან აზოვამდე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების მთლიანად დაპყრობა. ამ მიზნით ოსმალეთი მოქმედებაზე გადავიდა და დასახმარებლად მიიწვია იმერეთის სამეფო, რომელიც მას ექვემდებარებოდა. იმერეთის სამეფო ერთგულების დასამტკიცებლად ამას დადებითად გამოეხმაურა (**Allen, 1971:188**). ოტია დადიანიც მიიწვიეს, მაგრამ მან უარი თქვა, რადგან მისი მამა ბეჟან დადიანი 1728 წელს ოსმალებმა მოკლეს (**მაკალათია, 1941:136**). ოსმალების მიერ ბეჟან დადიანის მკვლელობის საკითხი ასევე გხვდება საარქივო დოკუმენტში. აღნიშნული ფაქტი აღწერილია თბილისის დამპყრობის, თბილისის მცველად დანიშნული, ყოფილი ჩილდირის ბეგლარბეგის, ვეზირ ისჰაკ ფაშას ვაჟი, იუსუფ ბეგისთვის გაგზავნილ ბრძანებაში. ამის მიხედვით, იგი დააჯილდოეს ბეჟან დადიანის მკვლელობაში გაწეული მომსახურების გამო, რომელმაც იმერეთში და გურიაში და აფხაზეთში არეულობა გამოიწვია (**BOA, MH. 135/125).** ოსმალეთისა და იმერეთის ერთობლივი ძალები შეტევაზე გადავიდნენ და პირველ რიგში გაანადგურეს ოდიში. მოგვიანებით, აფხაზეთზე გადასულმა არმიამ, დაამარცხა შარვაშიძის არმია. შარვაშიძეს და მის გარემოცვას იძულებით ისლამი მიაღებიეს (**რეხვიაშვილი, 1989:159; Allen, 1971:189**).

ამ დაპყრობებში, იმერეთის მეფემ ალექსანდრემ V გააცნობიერა ერთი რამ, რომ მათ შედეგად ოსმალეთი დასავლეთ საქართველოში ძლიერდებოდა და ეს იმერეთის სამეფოსთვის კარგ შედეგს არ მოიტანდა. ამიტომ, როდესაც ოსმალეთმა იმერეთის სამეფოს სთხოვა დახმარება ჯიქეთიდან აზოვამდე ტერიტორიის დაპყრობაში, იმერეთის მეფე თავისი ჯარით ოსმალეთის ბანაკიდან გაიქცა **(ჩხატარაიშვილი, 1973-1:465; Allen, 1971:189)**. აფხაზებიც აჯანყდნენ ფოთის ფაშას წინააღმდეგ და ოსმალთა ჯარისკაცები დახოცეს. ფაშა გაიქცა და თავი გადაირჩინა. ამის გამო ოსმალთა დაპყრობითი მოქმედებები წარუმატებლად დასრულდა. თუმცა, საქართველოსთვის საფრთხე კვლავ რჩებოდა, რადგან შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროები ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო რუსეთთან კონკურენციის პირობებში **(რეხვიაშვილი, 1989:160)**.

ოსმალების მიერ 1728 წელს ბეჟან დადიანის მკვლელობის შემდეგ, დასავლეთ საქართველოში მთელი ძალაუფლება მეფე ალექსანდრე V-ის ხელში გადავიდა **(ასათიანი, 2008:285)**. ბეჟან დადიანი გავლენიანი ფეოდალი და მეფის მოწინააღმდეგე იყო. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ძალაუფლება ალექსანდრე V-ის ხელში გადავიდა, სინამდვილეში ოსმალეთი განსაზღვრავდა იმერეთში ხელისუფლების მფლობელს. შესაძლებელი იყო ოსმალთა გავლენით, ქვეყანაში მეფეთა ცვლილებები **(ჩხატარაიშვილი, 1973-1:464)**. მეფე ალექსანდრეს ეს აბსოლუტური ძალა-უფლება დიდხანს აღარ გაგრძელებულა. კვლავ დაიწყო კონფლიქტი მეფესა და ფეოდალებს შორის და ფეოდალთა შიდა ომები. მეფე ცდილობდა ამ პრობლემების მოგვარებას, მაგრამ ძალა არ ჰყოფნიდა. მეფე იძულებული გახდა ოსმალეთისთვის დახმარება ეთხოვა. ასეთ შემთხვევაში, ოსმალებს საშუალება ეძლეოდათ ყოველ ჯერზე იმერეთის შიდა საქმეებში ჩარეულიყვნენ. ალექსანდრეს მიმართ წინააღმდეგობა იმერეთში თანდათან იზრდებოდა და მოკავშირეებიც თანდათან ძლიერდებოდნენ. ამჯერად ალიანსს ოტია დადიანი ხელმძღვანელობდა. მან სრულიად შეწყვიტა ურთიერთობა ოსმალეთთან. იმერეთის მეფის ოსმალეთთან კავშირის გამო, თავად ოტია ჩაუდგა სათავეში მეფის ტახტიდან ჩამოგდების საკითხს **(რეხვიაშვილი, 1989:162)**.

ოტია მოქმედებაზე გადავიდა და მოკავშირედ გაიხადა რაჭის ერისთავი და ზურაბ აბაშიძე. მან მეფე ალექსანდრეს ძმა მამუკა, თავის შვილზე დააქორწინა და ამით გეგმავდა მამუკას იმერეთში გამეფებას. ოტია დადიანმა, ოდიშისა და აფხაზეთის ჯარი გეგუთში მიიყვანა. რაჭის ერისთავი და ზურაბ აბაშიძე თავიანთ მეომრებთან ერთად მათ შეუერთდნენ. ალექსანდრემ V ქუთაისის ციხეში შეიხიზნა, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყო გარშემორტყმული მეფის მოწინააღმდეგე ძალებით. მაგრამ მოკავშირეებმა ოსმალეთის არმიის შიშით უკან დაიხიეს. ალექსანდრე V-მ ბრძოლაში გაიმარჯვა **(რეხვიაშვილი, 1989:163)**. მან შეძლო თავისი ტახტის კიდევ ერთხელ დაცვა ოსმალთა წყალობით.

გადავხედოთ 1730 წელს ოსმალეთის სახელმწიფოში განვითარებულ მოვლენებს. აფშარის ტომიდან ნადირ შაჰმა დაასრულა ავღანეთის ბატონობა, რომელიც ირანში გავლენიანი იყო, დაიპყრო ისპაჰანი და ირანის ტახტზე შაჰ თამაზ II დასვა **(Üstün, 2000:401)**. ნადირ შაჰი ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი მიწების უკან დაბრუნების მიზნით, მოქმედებაზე გადავიდა და ოსმალებს ჰამადანი, თავრიზი და ერდელენი წაართვა. ირანის ომშიმდგომარეობის გამოსწორების მიზნით, დიდვეზირმა დამად იბრაჰიმ ფაშამ დაარწმუნა აჰმედ III, რომ ლაშქარს სათავეში ჩადგომოდა. თავდაპირველად სულთანი ამ წინადადებას დათანხმდა, მოგვიანებით კი გადაიფიქრა. ამის შემდეგ სტამბოლის კომფორტს შეჩვეულმა დიდვეზირმაც გადაიფიქრა ლაშქრის სათავეში ჩადგომა. ამ დროს სტამბოლმა შეიტყო, რომ აღნიშნული ქალაქები ირანმა დაიპყრო. უფრო მეტიც გავრცელდა ჭორი, რომ ეს ქალაქები დიდვეზირმა ფარულად გადასცა ირანს **(Çolak, 2002:849; Küpeli, Külbilge, 2018:694-695)**.

ამის პარალელურად, სტამბოლში ყალიბდებოდა სულთნის, დიდვეზირისა და შეიხულ-ისმალმის წინააღმდეგ ოპოზიცია. ტიტების პერიოდის მდიდრული ცხოვრების, სახელმწიფო მოხელეების გართობისა და კომფორტისკენ ლტოლვამ, მცირე ქალაქებში უწესრიგობის გამო ხალხის სტამბოლში მიგრაციამ, რაის გამოც ვაჭრობა გართულდა და უმუშევრობა გაიზარდა, ხლხში უკმაყოფილება კიდევ უფრო გაზარდა. სახელმწიფოს მნიშვნელოვან ორგანოებში დიდვეზირისა და შეიხულ-ისმალმის ახლობლების მოსვლამ ასევე არეულობა გამოიწვია სასახლეში. ამას

აგრეთვე ემატებოდა ირანული ომების შედეგად საგადასახადო ტვირთი (**Özcan, 2003-1:83**). ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, 1730 წლის 28 სექტემბერს დაიწყო პატრონა ჰალილის აჯანყება (**Danişmend, 1972-2:18; Çolak, 2002:850; Aktepe, 1958:131**). აჯანყების გამო, 1730 წლის 1 ოქტომბერს სულთან აჰმედ III იძულებული გახდა ტახტი დაეტოვებინა (**Aktepe, 1989:37**). მისი ადგილი კი 1730 წლის 2 ოქტომბერს დაიკავა მაჰმუდ I-მა (1730-1754) (**Özcan, 2003-2:348**). ამრიგად, ოსმალეთის იმპერიაში დასრულდა ,,ტიტების ეპოქა, რომელიც დაიწყო 1718 წლის პოჟარევეცის ხელშეკრულებით და დასრულდა 1730 წლის პატრონა ჰალილის აჯანყებით.

მაშინ, როდესაც ოსმალეთის იმპერიის ტახტზე 1730 წელს აჯანყების შედეგად ცვლილება მოხდა, იმერეთის მეფე ალექსანდრე V თავის ტახტის დაცვას ცდილობდა. 1732 წელს, მეფე ალექსანდრემ, ძალა-უფლების გასაძლიერებლად და ფეოდალებთან მოკავშირეობის შესაქმნელად, ქორწინების გზას მიმართა. მეფემ ცოლად შეირთო ლევან აბაშიძის ქალიშვილი და პირველი ცოლისგან საკუთარი ქალიშვილი მამია გურიელს მიათხოვა. ამრიგად, ორ ძლიერ ფეოდალთან დანათესავებით გააძლიერა საკუთარი უფლებამოსილება (**რეხვიაშვილი, 1989:163**). თუმცა მეფის მოწინააღმდეგე ფეოდალები თავიანთ მიზნებზე უარს არ ამბობდნენ. ოტია დადიანი იყო ის, რომელმაც ოპოზიციური ფეოდალები გააერთიანია. მის მოკავშირეთა შორის იყვნენ რაჭის ერისთავი გრიგოლი (შოშიტა გარდაიცვალა 1731 წელს) და ზურაბ აბაშიძე. ამ ფეოდალების სურვილი იყო მეფის სიკვდილი ან მისი ტახტიდან ჩამოგდება და მეფის ძმის მამუკა ბატონიშვილის გამეფება. მეფის მხარდამჭერთა შორის იყვნენ მისი სიძე მამია გურიელი, სიმამრი ლევან აბაშიძე, დადიანის ძმა კაცია, გედევან ერისთავი და მერაბ წულუკიძე. 1732 წელს მეფე და მისი მოწინააღმდეგეები ჩიხორში პირისპირ აღმოჩნდნენ. ბრძოლა, ალექსანდრე V-მ და მისმა მომხრეებმა მოიგეს. ოტია დადიანი დაიჭრა და მეფეს ტყვედ ჩაუვარდა (**ჩხატარაიშვილი, 1973-1:465; ასათიანი, 2008:286**). ბრძოლაში გარდაიცვალა ოტია დადიანის ძმა, კაცია დადიანი. ბრძოლის ველიდან გაგცეულებს მეფის ჯარისკაცები კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ და ბევრი მათგანი ტყვედ აიყვანეს. ზოგიერთი წყარო, ჩიხორის ბრძოლის თარიღად 1734 წელს ასახელებს (**ლორთქიფანიძე, მეტრეველი, 2007:257; სამსონაძე, 2020-1:309**).

ბრძოლის შემდეგ, მეფე ალექსანდრემ დაშავებულ დადიანს უმკურნალა. მეფემ მას უთხრა, რომ გაანთავისუფლებდა თუ ამის სანაცვლოდ იმერეთის სამეფოს ლეჩხუმს გადასცემდა. ოტია დადიანმა უარი თქვა ამ შეთავაზებაზე და ტყვედ ყოფნა არჩია. ამის შემდეგ ამ საქმეში ოსმალეთი ჩაერია. ოსმალებმა მხარი დაუჭირეს იმერეთის სამეფოს და მისი გავლენის ქვეშ. ამასთან, ოსმალეთს არ სურდა მეფის გაძლიერება, რადგან თუ მეფე გაძლიერდებოდა, ოსმალთა წინააღმდეგ შეეძლო რეგიონში პრობლემები შეექმნა. ამის გამო, ალექსანდრეს მოსთხოვა დადიანის განთავისუფლება, ხოლო ისჰაკ ფაშამ ოსმალეთის ჯარი გაგზავნა მეფის წინააღმდეგ **(რეხვიაშვილი, 1989:164)**. მეფეს არ ჰქონდა ძალა ოსმალებს შეწინააღმდეგებოდა და ამიტომ დადიანთან შეთანხმების გაფორმებით, ის გაათავისუფლა. შეთანხმების შედეგად, დადიანი კვლავ დაემორჩილებოდა იმერეთის სამეფოს **(ჩხატარაიშვილი, 1973-1:465)**. ისევე, როგორც იმერეთის მეფეები ხან ოსმალეთს ხან კი რუსეთს უახლოვდებოდნენ და ინარჩუნებდნენ პოლიტიკურ წონასწორობას - რა თქმა უნდა, ისინი ოსმალეთთან უფრო მჭიდრო კავშირში იყვნენ - ოსმალეთსაც არ სურდა რეგიონში ძლიერი მეფე და ამისთვის იმერეთის სამეფოში ანალოგიურ პოლიტიკას ახორციელებდა. ზოგჯერ მხარს მეფეს უჭერდა და ინარჩუნებდა წესრიგს, ზოგჯერ კი, როდესაც მეფე გაძლიერდებოდა, მხარს უჭერდნენ ფეოდალებს და მეფის ძალას ასუსტებდნენ. ამასთან, ის მაინც იძულებული იყო იმერეთის სამეფოში წესრიგი შეენარჩუნებია, რადგან ამის გარეშე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები იქმნებოდა. ეს პრობლემები კი მრავალ ასპექტში აზიანებდა როგორც იმერეთს, ასევე ოსმალეთს.

1732 წელს, როდესაც იმერეთის სამეფოში აღნიშნული ხდებოდა, იმავე წელს, ირანსა და ოსმალეთის იმპერიას შორის მიმდინარე ბრძოლების შემდეგ, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ერევანი, განჯა, ნახიჭევანი, თბილისი, შირვანი და შემახა ოსმალეთს დარჩა, თავრიზი, ლურიტანი, ჰამადანი და ქირმანშაჰი ირანს **(Karadeniz, 2012:136; Zinkeisen, 2011-5:447)**. თუმცა აღნიშნულმა ხელშეკრულებამ მხარეები არ დააკმაყოფილა. ნადირ შაჰმა დაარღვია ხელშეკრულება, თამაზ II ტახტიდან გადააყენა და მის ადგილას დასვა შაჰ თამაზის ორმოცი დღის ვაჟი, შაჰ აბას III (1732 წლის აგვისტო - სექტემბერი) **(Fındıklılı**

Süleyman, 1976:32). ეს ოფიციალურად, არადა მთელი მმართველობა მის ხელში აღმოჩნდა. 1735 წელს ნადირ შაჰი ოსმალების წინააღმდეგ კვლავ მოქმედებაზე გადავიდა და 1735 წლის 9 ივლისს დაიპყრო განჯა, 12 აგვისტოს თბილისი და 3 ოქტომბერს ერევანი **(Özcan, 2006:276; Valiyev, Yörük, 2016:25)**. 1736 წელს ნადირ შაჰმა ხელი მოაწერა ოსმალეთთან ხელშეკრულებას და შირვანიდან მუღანში გაემგზავრა **(Karadeniz, 2012:145)**. 1736 წლის 8 მარტს მუღანში გვირგვინი მიიღო და ირანის შაჰი გახდა. მან დედაქალაქი ისპაჰანიდან მეშჰედში გადაიტანა **(Külbilge, 2010:244)**. ამრიგად, ირანში დაიწყო აფშარიდების დინასტიის ხანა. ნადირ შაჰმა 1740 წელს დაღესტანსა და საქართველოზე გაილაშქრა. 18 თვიანი ლაშქრობის შედეგად **(Özcan, 2006:277)**, 1743 წლის ივნისში ომი წამოიწყო ოსმალეთის იმპერიასთან. შაჰმა დაიპყრო ჰილი, კირკუკი და ერბილი, ალყა შემოარტყა მოსულს, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია **(Külbilge, 2010:289-290)**. 1744 წლის ივლისში ალყა შემოარტყა ყარსს, მაგრამ 2 თვიანმა ალყამ შედეგი ვერ გამოიღო **(Karadeniz, 2012:172)**. 1745 წლის აგვისტოში მან დაამარცხა ოსმალეთის ძალები **(Özcan, 2006:277)**. ორმა სახელმწიფომ გარკვეული პერიოდი კიდევ გააგრძელეს ბრძოლა, 1746 წლის 4 სექტემბერს კი ხელი მოაწერეს კერდენის ხელშეკრულებას. იგი შინაარსის მიხედვით იგივე იყო, რაც 1639 წელს გაფორმებული ზოჰაბის ხელშეკრულება. ქვეყნებს შორის საზღვრები განისაზღვრა ზოჰაბის ხელშეკრულების დებულებების საფუძველზე **(Danişmend, 1972-2:32)**. კერდენის ხელშეკრულება ასევე ცნობილია როგორც ზოჰაბი II ხელშეკრულება.

1735 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ირანს ოსმალეთთან შედარებით უპირატესობა ჰქონდა. შედეგად, მან იმერეთის სამეფოს მოსთხოვა დამორჩილება. მეფე ალექსანდრემ ამაზე უარი თქვა და არ შევიდა ირანის მმართველობის ქვეშ. ამასთან, მან კარგად შეაფასა ოსმალეთსა და ირანს შორის არსებული ბრძოლა. ოსმალეთს დაემუქრა, რომ ირანს დაექვემდებარებოდა და შედეგად იმერეთში ოსმალეთის ზეწოლა გარკვეულწილად შეასუსტა **(ჩხატარაიშვილი, 1973-1:466)**. იმერეთში დამალულმა ალექსანდრემ, 1737 წელს ირანიდან გაქცეული შანშე ერისთავი, ელჩების დელეგაციასთან ერთად, ტიმოთე ღაბაშვილის მეთაურობით რუსეთში გაგზავნა და ოსმალების წინააღმდეგ დახმარება ითხოვა. რუსეთმა დახმარებაზე უარი უთხრა, რადგან 1739 წელს რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიას

შორის გაფორმდა ბელგრადის ხელშეკრულება და დასრულდა 1735-1739 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომი (**Beydilli, 2008:255**). იმერეთმა ვერ შეძლო რუსეთიდან სასურველი დახმარების მიღება. 1740 წელს საქართველოს საელჩოს დელეგაცია იმერეთში დაბრუნდა (**რეხვიაშვილი, 1982:34-37; ბერძენიშვილი, 1965:170**).

1740 წელს იმერეთის სამეფოს ფეოდალებმა კვლავ გამოიწვიეს გარკვეული არეულობა და დაიწყეს მეფის ხელისუფლების უარყოფა. კვლავ შეიქმნა მოკავშირე ძალა ალექსანდრე V-ის წინააღმდეგ. მეფესა და მის მოწინააღმდეგეებს შორის გამართული ბრძოლა, მეფემ მოიგო. თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ საქმეში ოსმალეთი ჩაერთო (**რეხვიაშვილი, 1989:165-166**), რადგან იმერეთის სამეფოში იგივე სცენარი მეორდებოდა. ოსმალეთს არ სურდა მეფის გაძლიერება და ამ მიზეზით ერეოდა მის საქმეებში. ოსმალეთის ჩარევას წინააღმდეგობა გაუწია ალექსანდრემ, რაც ტახტის დაკარგვით გადაიხადა. 1741 წელს ოსმალეთის იმპერიამ ჯარი გაგზავნა ალექსანდრე მეფის წინააღმდეგ. მათ შორის ოსმალთა ჯარისკაცების გარდა, იყვნენ ისინი, რომლებიც მეფის წინააღმდეგ ალიანსს ქმნიდნენ. ესენი იყვნენ: აბაშიძის, დადიანისა და ერისთავის მეომრები. ალექსანდრე V-მ ვერ გაუძლო მის წინააღმდეგ შეკრებილ ძალას და იძულებული გახდა ქართლში გაქცეულიყო. მეფეზე გამარჯვებულმა ჯგუფმა იმერეთის ტახტზე ალექსანდრეს ნახევარძმა, გიორგი დასვეს (**ჩხატარაიშვილი, 1973-1:466; მეტრეველი, 2010:143**). ქართლის მეფემ დიდი პატივისცემით მიიღო ალექსანდრე, თუმცა მოგვიანებით იგი დაატყვევა. იმერლებმა და მეფის ერთგულმა თავადებმა, როდესაც ეს გაიგეს, დაუკავშირდნენ ირანში ნადირ შაჰს და მეფე ალექსანდრე ტყვეობიდან გაათავისუფლეს (**რეხვიაშვილი, 1989:167**). ნადირ შაჰი ასევე დაუკავშირდა ახალციხის ფაშას და მისგან ალექსანდრეს კვლავ იმერეთში გამეფება ითხოვა. იუსუფ ფაშამ არ უარყო შაჰის ეს თხოვნა და 1741 წელს დაეხმარა ალექსანდრეს, რომ იმერეთის ტახტზე ასულიყო. იუსუფ ფაშამ, იმერელ თავადებსა და მეფეს შორის ურთიერთობა გამოასწორა და ამგვარად, ალექსანდრე V 1741 წელს მეორედ ავიდა იმერეთის ტახტზე (**ჩხატარაიშვილი, 1973-1:466**). რატომ სთხოვა ნადირ შაჰმა იმერეთში ალექსანდრეს გამეფება იმ სახელმწიფოს, რომელსაც იგი ებრძოდა? როგორც ჩანს, მისი მიზანი იყო ალექსანდრე ვალში ჰყოლოდა და, ასე

გაბატონებულიყო დასავლეთ საქართველოს მიწებზე, რისი სურვილიც მუდამ ჰქონდა. ეს იყო დიდი შესაძლებლობა, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა.

ალექსანდრე მეფის კვლავ ტახტზე ასვლისას, აბაშიძეების, იმერეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ოჯახში გარკვეული არეულობას ჰქონდა ადგილი. მეფე ალექსანდრეს სურდა ამ ოჯახის მდგომარეობით ესარგებლა, რომელიც მუდმივად პრობლემებს უქმნიდა და დაუყოვნებლივ ქმედებაზე გადავიდა. მან პროვოცირება მოახდინა და მხარი დაუჭირა ზურაბ აბაშიძის ბიძაშვილს ლევან აბაშიძეს, ოჯახის ლიდერის ზურაბ აბაშიძის წინააღმდეგ. რთულ მდგომარეობაში მყოფი ზურაბ აბაშიძე გაიქცა და თავი ქართლს შეაფარა. ლევან აბაშიძე, აბაშიძეების ოჯახის უფროსი გახდა **(რეხვიაშვილი, 1989:167)**. ამ ნაბიჯით, მეფე ალექსანდრემ დაასრულა აბაშიძეებთან არსებული მტრობა. ამგვარად, მის წინააღმდეგ კლასიკური სამმაგი კავშირის ძალაც შემცირდა.

1743 წელს იმერეთში მშვიდობიანი გარემო კვლავ დაირღვა, რადგან დადიანმა და ერისთავმა კიდევ ერთხელ შეკრეს კავშირი მეფის წინააღმდეგ. ამ სიტუაციის საწინააღმდეგოდ, მეფემ თავი ქუთაისის ციხესიმაგრეს შეაფარა და დახმარებისთვის ახალციხეს ამბავი შეატყობინა. გარკვეული ხანი მიმდინარეობდა ბრძოლა მეფის მოწინააღმდეგეებსა და გეგუთში მყოფ მეფეს შორის. დადიანისა და ერისთავის ჯარები დაიშალნენ, როდესაც ოსმალეთის ჯარისკაცების ჩასვლის ამბავი გაიგეს. ამ ხანმოკლე ბრძოლის დროს, რაჭის ერისთავი გრიგოლი გარდაიცვალა. გრიგოლ ერისთავის ნაცვლად, მეფე ალექსანდრემ დანიშნა ვახტანგი და მასთან გააფორმა ხელშეკრულება. ამ შეთანხმების წყალობით, იმერეთში ხანმოკლე მშვიდობის იყო, მაგრამ ამ პერიოდმა დიდხანს არ გასტანა, რადგან ვახტანგ ერისთავიც მეფის წინააღმდეგი იყო **(რეხვიაშვილი, 1989; 167-168)**.

იმერეთის სამეფოში, 1746 წელს, მეფე ალექსანდრემ კიდევ ერთხელ დაკარგა ტახტი და იგი შეცვალა მამუკა ბატონიშვილმა **(ლორთქიფანიძე, მეტრეველი, 2007:259)**. თუმცა, მეფე ალექსანდრე, ახალციხის ფაშას დახმარებით, 1749 წელს იმერეთის ტახტზე მესამედ ავიდა. მან კიდევ სამი წლის განმავლობაში შეძლო იმერეთის ტახტზე დარჩენა, გარდაიცვალა 1752 წელს და მისი ადგილი დაიკავა მისმა ვაჟმა სოლომონ I-მა **(ჩხატარაიშვილი, 1973-1:466; ბლიაძე, 2013:195)**.

XVIII ს-ის დასაწყისში, იმერეთისა და ოსმალეთის ურთიერთობები მტრულად დაიწყო, რადგან იმერეთის მმართველობაში ოსმალეთის მოწინააღმდეგე პირები იყვნენ. მოგვიანებით, იმერეთსა და ოსმალეთის იმპერიას შორის მიმდინარე ბრძოლა ორ მხარეს შორის შეთანხმებით დასრულდა. ამის შემდეგ, ოსმალეთის გავლენით გამეფებული გიორგი VI-ს პერიოდში, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა უფრო პოზიტიური იყო. გასული საუკუნეები მსგავსად, იმერეთში მიმდინარე სამოქალაქო ომისა და ფეოდალური ანარქიის გამო, ოსმალებმა განაგრძეს იმერეთის შიდა საქმეებში ჩარევა. ამასთან, ირანში მომხდარი მოვლენების შედეგად რუსეთის რეგიონის საქმეებში ჩარევამ, ოსმალეთი და რუსეთი ერთმანეთს დაუპირისპირა. ოსმალები, რომლებსაც სურდათ თავიანთი ბატონობის შენარჩუნება საქართველოს ტერიტორიაზე და განსაკუთრებით იმერეთზე, რუსეთთან ომის ზღვარზე მივიდნენ, მაგრამ სანამ დაიწყებოდა ომი, შეთანხმება შედგა. ამ შეთანხმებით, რუსეთმა აღიარა ოსმალეთის იმპერიის ბატონობა დასავლეთ საქართველოში. გარდა ამის ოსმალეთმა აღმოსავლეთ საქართველო ირანს წაართვა და მთელი საქართველო მისი გავლენის ქვეშ მოაქცია.

ამ პერიოდში ოსმალეთი, იმერეთს თავის ვასალად მიიჩნევდა **(ჩხატარაიშვილი, 1973-1:455)**. თუმცა, იმერეთის მეფეებს და მმართველებს არასოდეს მოიხსენიებდნენ როგორც გამგებლებს, მსგავსად ირანის მმართველობის ქვეშ მყოფი აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებისა და მმართველებისა. მათ ყოველთვის მეფეს და მთავარს ეძახდნენ. გარდა ამისა, იმერეთის მეფეები თავისუფალი იყვნენ თავიანთ შიდა საქმეებში. ისინი თავიანთი ქვეყანა თავიანთი წესების მიხედვით მართავდნენ. ისევე, როგორც მმართველებს შორის თურქები არ იყვნენ, მათი სახელებიც თურქული არ იყო. ოსმალები, XVIII ს-ის პირველ ნახევარში იმერეთში დაპყრობილი ციხესიმაგრეების წყალობით, დომინირებდნენ დაბლობებზე. მათი მმართველობა უფრო სუსტი იყო მთიან და რთულად მისადგომ ადგილებში. ამ პერიოდში იმერეთის მიერ ოსმალეთისთვის გადახდილ გადასახადებს შორის ყველაზე დიდ წილს ტყვეები შეადგენდნენ. ჩვეულებრივ, ტყვეები ახალგაზრდა გოგო-ბიჭები იყვნენ. ამის გარდა, გადასახადებს შორის იყო ძვირფასი საგნები, ქსოვილები და ისეთი ფრინველები, როგორიცაა ქორი და შევარდენი. ამ გადასახადებს

ყოველწლიურად უგზავნიდნენ ახალციხის ფაშას. ფაშა კი სტამბოლში გზავნიდა. გადასახადის გადახდისგან თავის არიდება, ოსმალური ვასალიზმისგან თავის დაღწევას გულისხმობდა. ამ მიზეზით, ტყვეთა სყიდვა უზომოდ გაიზარდა იმერეთში. ვაჭრობაში დომინანტი იყო ოსმალეთის სავაჭრო და საზომი ერთეულები. ამასთან, გამოყენებული იქნა ქართული ფული და საზომი ერთეულებიც **(ჩხატარაიშვილი, 1973-1:471-474)**. ქვეყნის შიგნით კი დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ვაჭრობა საკმაოდ სუსტი იყო **(თაბუაშვილი, 2018:248)**.

2. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები XVIII ს-ის მეორე ნახევარში

XVIII ს-ის მეორე ნახევარში იმერეთის ტახტზე ისევ ცვლილება მოხდა. 1752 წელს გარდაიცვალა ალექსანდრე V და მისი ადგილი დაიკავა მისმა 17 წლის ვაჟმა, სოლომონ I-მა (1752-1784) **(ჩხატარაიშვილი, 1973-2:636; სამსონაძე, 2020-2:384)**. როინ მეტრეველის მოსაზრებით, სოლომონ I ტახტზე ასვლისას 14 წლის იყო **(მეტრეველი, 2010:144)**. ახალ მეფესთან ერთად იმერეთის სამეფოც ახალ ხანაში შევიდა. ახალგაზრდა და ენერგიული მეფის მიზანი იყო ქვეყანაში მრავალი ცვლილების განხორციელება. ერთ-ერთი იყო მონებით ვაჭრობის აკრძალვა და ოსმალეთის ბატონობის დასრულება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. სოლომონის მიზნები, რა თქმა უნდა, აისახებოდა ოსმალეთის სახელმწიფოსთან ურთიერთობებზეც. მისი მეფობის დროს, ამ ორმა სახელმწიფომ მრავალჯერ იბრძოლა ერთმანეთის წინააღმდეგ. ოსმალეთმა სამხედრო დაპირისპირება დაიწყო მონებით ვაჭრობის აკრძალვისა და იმერეთის მიერ მათი ბატონობის უარყოფის გამო. ამ ბრძოლებს ცოტა მოგვიანებით განვიხილავთ. პირველ რიგში, უმჯობესია, ვისაუბროთ ამ პერიოდში იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

სოლომონმა გარდაცვლილი მამისგან მემკვიდრეობით უძლური სამეფო მიიღო. იმერეთის უმნიშვნელოვანესი ქუთაისის, ბაღდათის, შორაპანისა და ცუცხვათის ციხეები ოსმალების ხელში იყო. მათ ეჭირათ ასევე საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე გონიოს, ბათუმის, ფოთის, რუხისა და ანაკლიის ციხეები. ამ

ციხესიმაგრეების წყალობით, ოსმალეთს კონტროლი ჰქონდა მოპოვებული მთელ აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროებზე. გარდა ამისა, გურიის, ოდიშისა და აფხაზეთის თავადები, ოსმალეთის მხარდაჭერით, იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ (**რეხვიაშვილი, 1982:42; კუპრაშვილი, 2019:22-23**).

იმერეთის ტახტზე ცვლილებამ XVIII ს-ის მეორე ნახევარში ახალი მეფის წინააღმდეგობა გამოიწვია. ახალგაზრდა მეფის კიდევ ერთი მიზანი იყო დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და იმერეთის სამეფოს ავტორიტეტის კვლავ განმტკიცება. თუმცა, მეფის ეს მიზანი ზოგს არ მოსწონდა. სოლომონმა წინაპრების ბედი განიცადა. გამეფებისთანავე იგი იბრძოდა ქვეყანაში მყოფი თავადების, ფეოდალებისა და არისტოკრატების წინააღმდეგ.

ამ პერიოდში მეფის მიმართ წინააღმდეგობა მისი უახლოესი ადამიანების მხრიდან ხორციელდებოდა. მათ შორის, ვინც სოლომონი იმერეთის მეფედ არ აღიარა, იყვნენ დედის მხრიდან მისი ბაბუა - ლევან აბაშიძე, ბიძები, მამუკა და გიორგი ბატონიშვილები (ალექსანდრეს V-ის უფროსი ძმა), თამარი, მეფის დედა. მეფის ოჯახის გარდა, რაჭის ერისთავი როსტომიც, რომელიც ყოველთვის მეფის მიმართ ოპოზიციურად იყო განწყობილი, შეუერთდა მეფის მოწინააღმდეგეებს. ჩამოთვლილი სახელების მქონე პიროვნებები აჯანყდნენ ახალგაზრდა მეფის, სოლომონის წინააღმდეგ და იმერეთის ტახტიდან ჩამოაგდეს (**ჩხატარაიშვილი, 1973-2:636; კუპრაშვილი, 2019:24; ტყეშელაშვილი, 2016:17**).

იმერეთის ტახტიდან გადაყენებულმა მეფემ მიმართა გზას, რომელსაც იმერეთის მეფეები ადრე მიმართავდნენ და თავი ახალციხეს შეაფარა. ახალციხის ფაშამ, ოსმალეთის იმპერიას შეფარებული იმერეთის მეფე დიდი სიამოვნებით მიიღო. რადგან ამის გამო სოლომონი ვალში იქნებოდა ოსმალეთის იმპერიასთან და ოსმალებს კი ამით ადვილად შეეძლოთ იმერეთის შიდა საქმეებში ჩარევა. სოლომონმა ეს ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ მას სხვა არჩევანი არ ჰქონდა. მეფე გარკვეული დროით ახალციხეში დარჩა და ტახტზე დაბრუნების მიზნით, მიიღო ოსმალეთისგან სამხედრო დახმარება. 1753 წელს ამ დახმარებით იმერეთში ჩავიდა და ტახტი უკან დაიბრუნა (**რეხვიაშვილი, 1982:44; კუპრაშვილი, 2019:26**).

ტახტზე კვლავ ასული მეფის პირველი საქმე მის წინააღმდეგ აჯანყებულთა დასჯა იყო. მან იმერეთიდან გააძევა დედა და ბიძა მამუკა ბატონიშვილი **(კუპრაშვილი, 2019:27; ტყეშელაშვილი, 2016:18)**. შემდეგ, ოსმალთა ჯარის მხარდაჭერით, სოლომონმა გურიაზე გაილაშქრა, მამია IV გურიის ტახტიდან ჩამოაგდო და მის ადგილას დასვა მამიას უმცროსი ძმა, გიორგი **(რეხვიაშვილი, 1982:48; ჩხატარაიშვილი, 1973-2:636)**. სოლომონ მეფის იმერეთში დაბრუნების შემდეგ, მამია IV-მ ოსმალეთის იმპერიის მხარდაჭერით, გურიაში კვლავ დაიბრუნა მმართველობა. მაგრამ ამჯერად ის უნდა დამორჩილებოდა სოლომონს **(კუპრაშვილი, 2019:27-28; რეხვიაშვილი, 1982:48-49)**.

ამ პერიოდში ცვლილებები მოხდა ოსმალეთის ტახტზეც. სულთან მაჰმუდ I-ის გარდაცვალების შემდეგ, 1754 წლის 14 დეკემბერს, ოსმალეთის ტახტზე ავიდა 58 წლის მისი ძმა, ოსმან III (1754-1757) **(Sarıcaoğlu, 2007:456)**.

სოლომონის გამეფებამდე, იმერეთი გადასახადს სახით ოსმალებს ფულს და ტყვეებს უგზავნიდა. პირველ წლებში სოლომონმა ვერ შეძლო აღნიშნული თანხის გადახდა და ვერც ისეთი ქსოვილები გაუგზავნა, როგორსაც ადრე უგზავნიდნენ, რადგან იმერეთის სამეფო ეკონომიკურად ძალიან ცუდ ვითარებაში იმყოფებოდა **(რეხვიაშვილი, 1982:50)**. გარდა ამისა, სოლომონი იბრძოდა ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ. თავის მხრივ, იმერეთში ავტორიტეტმოხვეჭილმა მეფემ **(კუპრაშვილი, 2019:38)**, გამოასწორა თავისი ურთიერთობები ქვეყანაში მყოფ ფეოდალებთან, დაიწყო ეკლესიის გაძლიერებისთვის ღონისძიებები და ისლამის გავრცელების წინააღმდეგ ზომების მიღება. ოსმალები ამ ყველაფერს ახალციხის ფაშას საშუალებით იგებდნენ და არ მოსწონდათ მეფის ამგვარი ქმედებები. ამ მიზეზით ისინი მოქმედებაზე გადავიდნენ და დაიწყეს მზადება სოლომონის დასასუსტებლად და დასამორჩილებლად. მათ მოკავშირედ გაიხადეს სოლომონ მეფის მოწინააღმდეგე ლევან აბაშიძე და რაჭის ერისთავი როსტომი **(რეხვიაშვილი, 1982:56-57; ტყეშელაშვილი, 2016:34)**.

იმერეთში ლაშქრობის მოწყობისთვის, ახალციხეში თავმოყრილ ოსმალეთის ჯარს ხელმძღვანელობდა ლევან აბაშიძე, ოსმალეთის ჯარი იმერეთში შეიყვანა **(რობაქიძე, 2012:183-184)**. იმერეთში შემოსული ოსმალთა ჯარი ოკრიბაში

(დღევანდელი ტყიბულის რაიონი) მდებარე ხრესილის დაბლობში დაბანაკდა. მას რაჭის ერისთავი როსტომიც შეუერთდა. სოლომონ მეფეც მოქმედებაზე გადავიდა და დაიწყო ჯარის შეკრება. მან დახმარება სთხოვა სიმამრს, ოტია დადიანს, მაგრამ რადგან ოტია მოხუცი იყო, პირადად ვერ ჩამოვიდა და თავისი ვაჟი კაციას მეთაურობით გაუგზავნა ოდიშის, ლეჩხუმისა და აფხაზეთის ჯარი **(რეხვიაშვილი, 1982:57)**. გარდა ამისა, სოლომონმა ჩაკეტა იმერეთში შესასვლელი ყველა გზა ფოთიდან, გურიიდან და ახალციხისდან **(ჩხატარაიშვილი, 1973-2:638)**.

სოლომონის ჯარი შედგებოდა ქვეითებისა და ცხენოსნებისგან, რომელთა რაოდენობა 11.000 დან 13.000-მდე იყო **(ტყეშელაშვილი, 2016:35)**. ოსმალთა არმიის რაოდენობას 4-ჯერ უფრო მეტი, დაახლოებით 40.000-დან 45.000-მდე იყო. თუმცა მაგრამ ეს რიცხვი გადაჭარბებული ჩანს **(კუპრაშვილი, 2019:40)**. იმერეთის არმიას მარჯვენა ფლანგიდან სოლომონ მეფე, მარცხენა ფლანგიდან პაპუნა წერეთელი ხელმძღვანელობდა **(ტყეშელაშვილი, 2016:39)**.

1757 წლის 14 დეკემბერს იმერეთის ჯარმა მზის ამოსვლამდე შეუტია ოსმალებს. სისხლისმღვრელი ბრძოლა მიმდინარეობდა მზის პირველ ნათებამდე. თუმცა, ვერცერთი მხარე უპირატესობას ხელთ ვერ იგდებდა. სოლომონ მეფეც პირადად იბრძოდა და ოსმალთა სარდალიც კი მოკლა. ოსმალთა არმიის სარდალი ლევან აბაშიძე გახდა **(რეხიაშვილი, 1982:58-61)**. ზუსტად არ არის ცნობილი ვინ იყო ომში ოსმალეთის არმიის სარდალი. ტყეშელაშვილის, მისიონერ ლეონის გადმოცემის თანახმად, ოსმალეთის სარდალი იყო გოლა ფაშა. თუმცა, სხვა წყაროების თანახმად, ოსმალეთის სარდალი ქუთაისის ფაშა, კიკიანი იყო, რადგან სხვა წყაროებში ჩანს, რომ გოლა ფაშა ბრძოლის შემდეგ ტყვედ აიყვანეს, შემდეგ კი მოკლეს **(ტყეშელაშვილი, 2016:40-41)**. ოსმალთა სარდლის გარდაცვალების შემდეგ, ჯარმა დაშლა დაიწყო. გარდა ამისა, ოსმალეთის ჯარში მყოფმა ლევან აბაშიძის და რაჭის ერისთავ როსტომის ჯარის ნაწილმა სოლომონის მხარეს გადასვლა დაიწი **(რეხვიაშვილი, 1982:58)**. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის არმიას რაოდენობრივი უპირატესობა ჰქონდა, ბრძოლის ვიწრო ადგილას მიმდინარეობამ გამოიწვია მათი მარცხი **(ტყეშელაშვილი, 2016:37)**. სოლომონმა თავისი არმია დაყო 150-200 და 250-300 კაციან ნაწილებად და ამგვარად მან შეეძლო სწრაფად შეტევის განხორციელება **(რობაქიძე,**

2012:185). ბრძოლა იმავე დღეს დასრულდა და გამარჯვება სოლომონ მეფემ მოიპოვა **(სამსონაძე, 2020-2:385)**. ოსმალთა ჯარის დიდი ნაწილი დაიხოცა, ზოგი კი ტყვედ ჩავარდა. დანარჩენებმა თავი ბრძოლის ველიდან გაქცევით გადაირჩინეს, მაგრამ ზოგი მათგანი დაიღუპა, სანამ იმერეთის ტერიტორიის დატოვებას შეძლებდა, ზოგიც ტყვედ ჩავარდა. დაიღუპნენ ოსმალეთა ჯარის მეთაურებიც, მათ შორის გოლა ფაშა, ქემჰა ახალციხის ფაშა და ფაშა აღა. გარდაცვლილთა შორის იყო სოლომონ მეფის მოღალატე ბაბუა ლევან აბაშიძე. კიდევ ერთი მოღალატე ქართველი, რაჭის ერისთავი როსტომი გაიქცა და თავი გადაირჩინა. იმერეთის არმიის ყველაზე მნიშვნელოვანი დანაკარგი იყო ხუტუნია შარვაშიძე **(რეხვიაშვილი, 1982:61-62; კუპრაშვილი, 2019:39-41; ჩხატარაიშვილი, 1973-2:638-639; ჯანაშია, ბერძენიშვილი, 1990:252; ასათიანი, 2003:344)**.

1757 წლის 14 დეკემბერს იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის გამართულ ხრესილის ბრძოლა დეტალურად არ არის აღწერილი თურქულ წყაროებში. აქედან გამომდინარე, თურქულ წყაროებიდან ჩვენ ვერ მივიღეთ სრული ინფორმაცია თუ ვინ იყო ოსმალეთის სარდლები ან ომის დროს დაღუპული ოსმალეთის ფაშები.

1757 წლის 30 ოქტომბერს გარდაიცვალა სულთანი ოსმან III. იმავე დღეს მისი ადგილი დაიკავა მუსტაფა III-მ (1757-1774) **(Beydilli, 2006-1:280)**.

ოსმალებთან გამარჯვებულმა სოლომონ მეფემ გადაწყვიტა მოეწყო საეკლესიო კრება, ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემების განსახილველად. ამ შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ ეკლესიის წარმომადგენლები და ფეოდალები მთელი დასავლეთ საქართველოდან. 1759 წლის 4 დეკემბერს ქუთაისში გამართულ შეხვედრაზე განხილული იყო ორი ძირითადი საკითხი. ეს იყო საეკლესიო საქმეების რეგულირება და ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა **(ჩხატარაიშვილი, 1973-2:640; ტყეშელაშვილი, 2016:27; რეხვიაშვილი, 1982:63)**.

ამ შეხვედრის მიზეზებს შორის შეგვიძლია ვთქვათ, რომ იყო ოსმალეთის იმერეთზე დამკვიდრებული ბატონობა. მას შემდეგ, რაც სოლომონმა ოსმალთა წინააღმდეგ სამხედრო გამარჯვება მოიპოვა, ამგვარი შეხვედრის ორგანიზებით შეიძლება ითქვას, რომ მას სურდა იმერეთის საზოგადოებრივი ცხოვრების

ოსმალური ბატონობისგან განთავისუფლება. რადგან, ქართული წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ოსმალები იმერეთში ავრცელებდნენ ისლამს და აშენებდნენ მეჩეთებს. გარდა ამისა, ისინი ანგრევდნენ ეკლესიებს, არ უშვებდნენ ძველი ეკლესიების აღდგენას და კრძალავდნენ ახლის აშენებას (**კუპრაშვილი, 2019:45; რეხვიაშვილი, 1982:63**).

ამ საკითხთან დაკავშირებით, 1772 წელს ქუთაისში გერმანელი მოგზაურის გულდენშედტის მოხსენების თანახმად, ქართული ეკლესია ადრე იყო ქუთაისის ციხის შუაგულში. ამის ნაცვლად ოსმალებმა ააგეს მეჩეთი. ზემოთ მდებარეობდა განადგურებული ქართული ეკლესია. ოსმალებმა ქალაქის დაპყრობის დროს ის დაანგრიეს (იგულისხმება ბაგრატის ტაძარი). ოსმალები 120 წლის განმავლობაში ბატონობდნენ ქუთაისზე (**რეხვიაშვილი, 1982:63-64**).

ქუთაისში გამართულ ამ შეხვედრაზე ტყვეთა სყიდვა აიკრძალა მთელ დასავლეთ საქართველოში (**ტყეშელაშვილი, 2016:32; ბერძენიშვილი, 1965:215**). შემდგომში ეს გადაწყვეტილება გახდა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ოსმალეთსა და იმერეთს შორის გამართული ბრძოლების. ამასთან, ამ შეხვედრაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გამოიწვია დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შეცვლა. იმერეთის სამეფოში დაიწყო ოსმალეთის ბატონობისგან თავის დაღწევის და ფეოდალური ურთიერთობების გამოსწორების ხანა (**ჩხატარაიშვილი, 1973-2:641; რეხვიაშვილი, 1982:65**). სოლომონმა გააძლიერა თავისი უფლებამოსილება დასავლეთ საქართველოში, როგორც ამ საეკლესიო კრების ორგანიზატორმა და ოსმალთა წინააღმდეგ გამარჯვებულმა მეფემ. დასავლეთ საქართველოს მმართველებმა, ფეოდალებმა და თავადებმა დაიწყეს სოლომონ მეფეზე დამორჩილება (**კუპრაშვილი, 2019:47-48; ბერძენიშვილი, 1965:216**). ეს სოლომონისა და იმერეთის სამეფოსთვის საშინაო პოლიტიკაში დიდი გამარჯვება იყო. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნიშნავდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას. სოლომონმა შემდეგი საეკლესიო კრება 1761 წლის 23 აპრილს ჩაატარა (**ტყეშელაშვილი, 2016:30; ასათიანი, 2008:319**).

თუ კვლავ დავუბრუნდებით ოსმალეთის ურთიერთობებს იმერეთთან, 1757 წლის 14 დეკემბერს გამართული ხრესილის ბრძოლის შემდეგ, ბრძოლაწაგებული

ოსმალეთი რიგ ქმედებებზე გადავიდა. ახალციხის ფაშას, ჰაჯი აჰმედს დაევალა იმერეთის კვლავ დამორჩილება. ამის შემდეგ ფაშამ სოლომონს გადასახადისა და სასჯელის სახით მოსთხოვა 300 ქისა და დატყვევებული პატიმრების განთავისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ სოლომონს ოსმალეთთან ბრძოლა მოგებული ჰქონდა, მას არ სურდა კვლავ ომის წამოწყება და ქვეყნის ალყაში მოქცევა, ამიტომაც მიიღო ოსმალეთის პირველი მოთხოვნა, ხოლო მეორე უარყო. როდესაც ყველა თხოვნა არ იქნა მიღებული, ოსმალეთი, რომელიც იმერეთთან საბრძოლველად საბაბს ეძებდა, 1758 წელს ხუნძახის მფლობელთან და ლეკებთან ერთად, იმერეთის დაპყრობის მიზნით, მოქმედებაზე გადავიდა. სოლომონი, ოსმალეთის იმპერიის ამ სამხედრო ოპერაციას მოუმზადებლად შეხვდა. ოსმალებმა დაწვეს და გაანადგურეს მთელი იმერეთი. ამ მოვლენების შედეგად, სოლომონ მეფე იძულებული გახდა ოსმალეთის იმპერიის ყველა პირობა მიეღო. იმერეთის ციხეებში მყოფ ოსმალთა ჯარისკაცებს დაევალათ გადასახადების აკრება. მათ ბოროტად გამოიყენეს თავიანთი მოვალეობები და ხალხს ცუდად მოექცნენ. ამის გამო იმერეთის ხალხმა ახალციხის ფაშას შესჩივლა **(რეხვიაშვილი, 1982:67; კუპრაშვილი, 2019:49; ტყეშელაშვილი, 2016:48)**.

რეხვიაშვილი ამ შემთხვევას ისტორიკოს ჰამერზე დაყრდნობით გადმოგვცემს, რომლის მიხედვითაც, სოლომონი, ოსმალეთის ჯარისკაცების იმერეთში განხორციელებული ქმედებებზე ჩივილის მიზნით ახალციხეში ჩასულა. იმერლები უჩიოდნენ ქუთაისის და ბაღდადის ციხეებში მყოფ ოსმალთა გარნიზონებს. ახალციხის ფაშამ, ჰაჯი აჰმედმა მოისმინა სოლომონის პრეტენზიები და მეფეს 3000 ჯარისკაცი გადასცა. სოლომონი ამ 3.000 კაცით, იმერეთის ხალხზე ცუდად მოქცევის გამო, აპირებდა იმერეთის ციხეებში მყოფი ოსმალთა ჯარისკაცების დასჯას. თუმცა, სოლომონის თანმხლები ოსმალთა ჯარს იმერლები ფარულად თავს დაეხსნენ და ამოხოცეს. ამ ფაქტის გამო ჰაჯი აჰმედ ფაშა თანამდებობიდან გაათავისუფლეს და სიკვდილით დასაჯეს **(რეხვიაშვილი, 1982:67-68)**

ჰამერის „ოსმალეთის ისტორიაზე“ დაყრდნობით ქართველი ავტორიები ამ მოვლენას ოდნავ განსხვავებულად განიხილავენ. თუმცა, ჰამერის ნაშრომში ეს მოვლენები, რომელიც მოცემულია ცალკე სათაურით - "არეულობა საქართველოში",

სხვანაირად არის აღწერილი. "არეულობა საქართველოში" ჩვენს ხელთ არსებული ჰამერის „ოსმალეთის ისტორია'' ამას ცოტა უფრო განსხვავებულად გადმოგვცემს. კერძოდ; ჰამერმა ეს მოვლენები აღწერა სათაურით. მოდით გადავხედოთ ამ სათაურით გადმოცემულ ამბავს. იმერლები, ქართველი ხალხის ნაწილს შეადგენდნენ და ოსმალეთის იმპერია მათ უწოდებდა აჩიქბაშებს. იმერლები, ახალციხის ფაშას ანუ ჩილდირის გამგებლის გადაწყვეტილების თანახმად, ვალდებულნი იყვნენ ყოველწლიურად ოსმალეთისთვის გაეგზავნათ 300 ქისა გადასახადი და ტყვეები, თუმცა, იმერელებმა გარკვეული ხნით შეწყვიტეს ტყვეების გაგზავნა იმ მოტივით, რომ ეს მათ რელიგიას ეწინააღმდეგებოდა. ოსმალეთის ხელისუფლების ოფიციალური ისტორიკოსის[4], ქრონიკების თანახმად, სწორედ რუსები პროვოცირებდნენ იმერელებზე. 1758 წელს ახალციხის ფაშამ, ჰაჯი აჰმედმა მოკავშირედ გაიხადა დაღესტნელები, მოაწყო ლაშქრობა იმერეთში და ხალხს გადასახადების გადახდა აიძულა. სოლომონი ახალციხეში ჩავიდა, სადაც მას როგორც მეფეს ისე შეხვდნენ. მოლაპარეკებების დასრულების შემდეგ, ახალციხის ფაშამ მისი მამასახლისი 3.000 ოსმალო ჯარისკაცით იმერეთში გააყოლა. გზიდან სოლომონმა იმერეთში ამბავი გააგზავნა, სადაც ატყობინებდა, რომ მას თურქები ცუდად ეპყრობდნენ და შურისძიებას ითხოვდა. ამის გამო იმერლები ერთ ღამეს, სოლომონის მხარდასაჭერად ოსმალო ჯარისკაცებს თავს დაესხნენ. ახალციხის მამასახლისი შეიპყრეს და კლდიდან გადააგდეს. ამ ფაქტის გამო, ახალციხის ფაშა ჯერ თანამდებობიდან გადააყენეს, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯეს **(Hammer, 2008-16:72-73)**.

ჰამერის თქმით, რუსეთი იმერეთის სამეფოს აქეზებდა, რათა ოსმალეთის იმპერიაში ტყვეები არ გაეგზავნა. თუმცა, ასეთი ცნობა ქართულ წყაროებში არ გვხვდება. იმ დროს რუსეთსა და იმერეთს შორის არავითარი ურთიერთობა არ არსებობდა. გარდა ამისა, სოლომონ მეფის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი იყო ქვეყანაში ტყვეთა სყიდვის აკრძალვა. ამ მიზეზით იგი იბრძოდა ოსმალეთის იმპერიასთან და საეკლესიო კრების გამართვით ქვეყანაში წესრიგი დაამყარა. გამომდინარე აქედან, საეჭვოა, რომ ჰამერის მომათხრობი სიმართლე იყოს. კვლავ,

[4] ოსმალეთის სულთნის კარზე არსებობდა აღნიშნული ოფიციალური ისტორიკოსის თანანდებობა, რომელსაც „ვაკაი ნუვის“ ერქვა.

ჰამერის ცნობების თანახმად, სოლომონი, იმერლების ჩივილის გამო, გადასახადებისა და ჯარისკაცების გაგზავნის საკითხზე საუბრის მიზნით არ წასულა. ქართულ წყაროებში კი პირიქით.

სიკვდილით დასჯილი ჰაჯი აჰმედ ფაშას ადგილას, ახალციხის ფაშად დაინიშნა ჰასან ფაშა **(Süreyya, 1996-2:632)**. ჰასან ფაშას დაევალა მოეგვარებინა იმერეთის საკითხი და იმერეთის მეფე სოლომონი ოსმალეთის მმართველობის ქვეშ კვლავ შეეყვანა. 1758 წელს ჰასან ფაშამ ორჯერ მოაწყო ლაშქრობა იმერეთზე. ამ შეტევებიდან პირველი ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა სოლომონისთვის და იმერეთი დაარბია ოსმალეთის ჯარმა, ამ უკანასკნელმა კი მრავალი ნადავლი მოიპოვა და უკან დაბრუნდა **(ჩხატარაიშვილი, 1973-2:639)**. ოსმალეთის პირველი შეტევით დამარცხებულმა სოლომონმა მეორე შეტევა მოიგერია და გაიმარჯვა **(ბერძენიშვილი, 1965:215; ჯანაშია, ბერძენიშვილი, 1990:252-253)**. ამ დამარცხების შემდეგ, ფაშა დიდი ალბათობით თანამდებობიდან გადააყენეს, რადგან 1759 წლის შემდეგ ის აღარ გვხვდება **(რეხვიაშვილი, 1982:69)**.

წყაროები შეიცავს სხვადასხვა ინფორმაციას ამ პერიოდის ახალციხის ფაშების სახელების შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰამერი წერს, რომ ჰაჯი აჰმედ ფაშა თანამდებობიდან გაათავისუფლეს და სიკვდილით დასაჯეს იმერეთთან მომხდარი ინცინდენტის გამო **(Hammer, 2008-16:72-73)**. ქართული წყაროების ცნობები ემთხვევა ჰამერის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. თუმცა, ჰამერის იგივე ნაწარმოების წინა გვერდებზე ის წერს, რომ ჰაჯი აჰმედ ფაშა თანამდებობიდან გაათავისუფლეს, რადგან მან მოკავშირედ გაიხადა ლეზგები (ლეკები). ამასთან, იგი წერს, რომ სანამ ჰაჯი აჰმედ ფაშას ნაცვლად დანიშნული იბრაჰიმ ფაშა სანამ დიარბაქირიდან ჩილდირში ჩამოვიდოდა, ფაშა გაიქცა. თუმცა იგი მალევე შეიპყრეს და თავი მოკვეთეს. მოკვეთილი თავი სტამბოლში გააგზავნეს და სასახლის წინ გამოფინეს **(Hammer, 2008-16:42)**. ამ თემაზე კიდევ ერთი ინფორმაცია მოვიძიეთ. ეს ინფორმაცია გხვდება მეჰმედ სურეიას „ოსმალურ ნუსხებში“ (“Sicil-i Osmani”), სადაც გადმოცემულია სულთნების, დინასტიის წევრებისა და ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეების ბიოგრაფიები. ამ ნაწარმოების თანახმად, ჰაჯი აჰმედ ფაშა არის ყოფილი ახალციხის ფაშას, ისჰაკ ფაშას ვაჟი და მის ადგილზე დაინიშნა მამამისის 1748 წელს

გარდაცვალების შემდეგ. იგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, რადგან ის 1759 წლის ნოემბერ-დეკემბერში იყო ჩართული ბანდიტურ საქმიანობაში. მოგვიანებით, რადგან ის ანატოლიაში ჩასვლის ბრძანებას არ დაემორჩილა და გაიქცა, დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს **(Süreyya, 1996-1:210)**. ინფორმაცია ჰაჯი აჰმედ ფაშას ბედის შესახებ, ასევე შედის იმ დროის ისტორიკოსის, შემდანიზადე ფინდიქლილი სულეიმან ეფენდის ნაშრომშიც. შემდენიზადეს თანახმად, ჰაჯი აჰმედ ფაშამ მოკავშირედ გაიხადა ლეზგები (ლეკები), ზიანი მიაყენა ქართველებს და გამოიწვია ქართველთა აჯანყება და სწორედ ამ მიზეზით იგი დასაჯეს **(Fındıklılı Süleyman, 1978-2A:30)**.

1758 წელს ქართველებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვან პოლიტიკურ განვითარებას ჰქონდა ადგილი. თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა იმერეთ-ქართლ-კახეთის სამეფოებს შორის **(Gvosdev, 2000:17)**. არსებობს ინფორმაცია, რომ ეს ხელშეკრულება გაგრძელდა 1770 **(ბერძენიშვილი, 1965:215)** თუ 1779 წლამდე **(ჯანაშია, ბერძენიშვილი, 1990:252)**. შეთანხმების თანახმად, როდესაც რომელიმე ქვეყანას თავს დაესხმებოდნენ, ერთიანი ძალებით შეუტევდნენ. შეთანხმების შემდეგ, მეფეებმა ერთმანეთს სამხედრო დახმარება გაუწიეს. როდესაც ოსმალეთი თავს დაესხა იმერეთს, მეფე ერეკლემ მას ფარულად ორჯერ გაუგზავნა დახმარება. იმერეთმა კი მეფე ერეკლეს 9.000 კაციანი ჯარი ორჯერ გაუზავნა. ისინი იბრძოდნენ ლეკების წინააღმდეგ და გაიმარჯვეს. 1760 წელს სოლომონ მეფე, ერეკლეს 15.000 ჯარის გაგზავნით, განჯის დაბრუნებაში დაეხმარა. ამასთან, ქართველი მეფეები ერთმანეთს სისტემატურად და ღიად ვერ ეხმარებოდნენ. ირანსა და ოსმალეთს შორის 1555 წელს გაფორმებული ამასიის ხელშეკრულება, ამას ხელს უშლიდა, რადგან ამ ხელშეკრულებამ საქართველო პოლიტიკურად გაყო **(კუპრაშვილი, 2019:50-51; რეხვიაშვილი, 2019:68-69)**.

1759 წელს ახალციხის ფაშად დაინიშნა იბრაჰიმ ფაშა. როგორც კი იბრაჰიმ ფაშა ახალციხეში ჩავიდა, სოლომონმა ფაშასთვის საჩუქრების გაგზავნით, მასთან მოლაპარაკება დაიწყო. საუბრებს სოლომონის ნაცვლად აწარმოებს მისი ცოლი მარიამი. მოლაპარაკებების დროს, იბრაჰიმ ფაშა ითხოვდა მონებით ვაჭრობის დაშვებას, თუმცა დედოფალმა განაცხადა, რომ მას არ შეეძლო ამ პირობის მიღება.

ამრიგად, პრობლემის მოგვარება ვერ მოხერხდა და მოლაპარაკებები დასრულდა **(რეხვიაშვილი, 1982:69; კუპრაშვილი, 2019:52)**.

1760 წლის შემოდგომის დასრულების შემდეგ, იბრაჰიმ ფაშამ დაიწყო იმერეთზე ლაშქრობის სამზადისი. მოლა აბდულაჰ ფაშა ოსმალეთის ჯარს სარდლობას უწევდა. ამ ლაშქრობის მიზანი ოსმალეთის მიერ სოლომონ მეფის დამორჩილება, იმერეთიდან გადასახადების აკრეფა და ტყვეთა სყიდვის დაშვება იყო. მეფე სოლომონი ამჯერად მზად იყო ოსმალეთთან ბრძოლისთის. ორ ლაშქარს შორის პირველ ბრძოლაში იმერლებმა გაიმარჯვეს. ოსმალეთის ჯარი დაიშალა და გაიქცა. გაქცეულებს გზაზე ცუდი ამინდის პირობებში უწევდათ ბრძოლა, რის გამოც, ისინი დაიჭირეს და დახოცეს იმერეთის ჯარისკაცებმა. 1761 წელს ოსმალებმა კიდევ ერთხელ მოაწყვეს ლაშქრობა იმერეთში, მაგრამ კვლავ დამარცხდნენ **(კუპრაშვილი, 2019:52-53; ტყეშელაშვილი, 2016:52-53; რეხვიაშვილი, 1982:70)**. 1761 წელს იბრაჰიმ ფაშა დაინიშნა ყარსის გამგებლად, ხოლო მისი ადგილი დაიკავა ყოფილმა ახალციხის ფაშამ, ჰასანმა **(რეხვიაშვილი, 1982:70)**.

როდესაც მოვლენები ამგვარად არის აღწერილი ქართულ წყაროებში, სიტუაცია განსხვავებულია ოსმალურ საარქივო დოკუმენტების მიხედვით. 1761 წლის 29 სექტემბრით დათარიღებული ფაშის (ფოთის) ციხე-სიმაგრის მცველის აბაზა მეჰმედისადმი გაგზავნილ ბრძანებაში ნათქვამია, რომ სიკვდილით დასჯილმა ჰაჯი აჰმედ ფაშამ ქართველი ხალხის სიძულვილი მოიპოვა ცუდი მმართელობის გამო. ბრძანების გაგრძელებაში ითხოვდა ქართველებთან ადრინდელის მსგავს კარგ ურთიერთობას და მათ დამორჩილებას **(BOA, C.DH. /312–15551)**. 1762 წლის 25 იანვარით დათარიღებულ სხვა დოკუმენტის მიხედვით, ქართველი მელიქები (მთავრები) სოლომონისა და მამიასთვის საჩუქრების გაგზავნით, ურთიერთობების გამოსწორების მიზნით, ფაშის მცველს მეჰმედ ფაშასა და სხვა მცველებს ბრძანებები გაუგზავნეს **(BOA, AE.SMST.III / 300-23974)**. 1762 წლის 4 თებერვალს ქართველი მელიქებისთვის გაგზავნილ დოკუმენტში ასევე აღნიშნულია ეს მოვლენა. დოკუმენტის თანახმად, ჰაჯი აჰმედ ფაშა სიკვდილით დასაჯეს ქართველთა მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო, ხოლო ქართველ ხალხს მოპყრობასთან დაკავშირებით ბრძანებები გადაეგზავნა ფოთის, ქუთაისის, ბაღდადსა და შორაპნის

ციხეების მცველებს (**BOA, C.HR. / 16–769**). დოკუმენტებზე დაყრდნობით, ოსმალებს სურდათ ქართველებთან და იმერეთთან კარგი ურთიერთობის დამყარება. ქართული წყაროებში ნახსენები 1760 და 1761 წლების დათარიღებული ლაშქრობა არ არის შესული ოსმალურ წყაროებში.

1763 წლის იანვარში იბრაჰიმ ფაშამ 13.000 კაციანი არმია ორად გაყო და კვლავ შეუტია იმერეთს (**ჩხატარაიშვილი, 1973-2:643**). სარი აბდულრაჰიმ ფაშა ოსმალთა არმიის ერთ ნაწილს მეთაურობდა, ხოლო ჰასან ფაშა მეორეს (**კუპრაშვილი, 2019:53**). იმერეთის ჯარის რიცხვი 5.000 კაცს შეადგენდა (**ტყეშელაშვილი, 2016:53**). ოსმალეთის იმპერიის ამ თავდასხმისთანავე იმერეთის არმიამ შიდა რეგიონებისაკენ უკან დახევა დაიწყო. მოწინავე ოსმალეთის არმიამ დაიპყრო სამხრეთ რეგიონები (სეზეკას მხარე). ამ ომში სოლომონის მტერმა, რაჭის ერისთავმა როსტომმა მხარი დაუჭირა ოსმალებს. როდესაც იმერეთის მიწებზე მიმავალმა ოსმალო ჯარისკაცებმა დაიწყეს ძარცვა, სოლომონმა ისინი დაამარცხა. ლაშქარმა დაიწყო გაქცევა ახალციხეში და მიატოვეს ძვირფასი ნივთები. ამ დამარცხების შემდეგ, იმავე წლის ოქტომბერში ჰასან ფაშას ბრძანებითა და სარი აბდულრაჰიმ ფაშას მეთაურობით, ოსმალები კვლავ დაესხნენ თავს იმერეთს, თუმცა, ამჯერადაც მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. ამ დამარცხების შემდეგ ოსმალეთმა შეცვალა თავისი მიმართულება და ზემო იმერეთიდან სცადა, მაგრამ ამჯერად იგი გადააწყდა მეფე ერეკლეს წინააღმდეგობას. ერეკლესა და სოლომონს შორის შეთანხმების შესაბამისად, ერეკლემ ოსმალებს იმერეთისკენ მიმავალი გზა ჩაუკეტა. ასე რომ, ოსმალები იძულებული გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ (**რეხვიაშვილი, 1982:70-71; ჩხატარაიშვილი, 1973-2:643; სამსონაძე, 2020-2:385**).

1763 წელს ოსმალეთის იმერეთზე ლაშქრობა და აღნიშნულის მიმდინარეობის პროცესი განსხვავებულადაა გადმოცემული ოსმალურ წყაროებში. შეიძლება ითქვას, რომ ლაშქრობის ფორმირების პროცესი დაიწყო 1762 წლის 29 აგვისტოს დათარიღებული წერილით, რომელიც ჩილდირის (ახალციხის) გამგებელმა, ჰასან ფაშამ სტამბოლში გაგზავნა. წერილში ნათქვამია, რომ იმერეთის მეფე სოლომონის მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნის გამო, მან მრავალი დევნა მოახდინა საკუთარი ხალხის ჩათვლით, ამიტომ, ოდიშის მმართველის გარდა, ყველა თავადი და აზნაური

უჩიოდა სოლომონს. იმერეთის თავადებსა და აზნაურებს სურდათ, რომ სოლომონის ბიძაშვილი თეიმურაზი, იმერეთის მმართველი ყოფილიყო. ჰასან ფაშამ მოითხოვა, რომ ამ საქმის მოსაგვარებლად ის დაენიშნათ და მისთვის გაეგზავნათ ჯარი (**BOA, C.MTZ. / 15–730**). სტამბოლიდან ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხი ჰასან ფაშას 1762 წლის 1 სექტემბერს გაუგზავნეს. პასუხის თანახმად, ქართველთა თხოვნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ იმერეთის მმართველად დაენიშნათ მამუკას ძე თეიმურაზი. ამასთან, რადგან ეს საკითხი ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ჰასან ფაშას დაევალა ამ საკითხის განხილვა მის გვერდით მყოფ პიროვნებებთან ერთად, ამის მიხედვით მიეღო გადაწყვეტილება და ემოქმედა (**BOA, C.HR. / 88–4391**). ჰასან ფაშამ, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, სოლომონის დასასჯელად გარკვეული პერიოდის შემდეგ, იმერეთში გაგზავნა თავისი დამხმარე. ოსმალებსა და იმერელებს შორის მცირეხნიანი ბრძოლის შემდეგ, იმერლები გაიქცნენ. ზამთრის მოსვლისთანავე ოსმალეთის ჯარისკაცებიც აქ დიდხანს არ დარჩენილან და უკან დაბრუნდნენ. მომდევნო, 1763 წელს, ოსმალებმა კიდევ ერთხელ მოაწყვეს ლაშქრობა იმერეთში. როგორც ლაშქრობისთვის ორგანიზებული არმიის სარდლად 1761 წელს ტრაპიზონის, შემდეგ 1762 წელს დამატებით დაინიშნა აიდინის გამგებელი (**Süreyya, 1996-1:96**) სარი აბდულრაჰმან ფაშა (**Fındıklılı Süleyman, 1978-2A:92**). ამ დანიშვნის შესახებ ინფორმაცია ვხვდებით 1763 წლის 11 აგვისტოს დათარიღებულ ოსმალურ საარქივო დოკუმენტში. დოკუმენტის თანახმად, ტრაპიზონის გამგებელი აბდულრაჰმან ფაშა დაინიშნა აჩიქბაშის მმართველი სოლომონის დასასჯელად და იგი ასევე დაინიშნა აიდინისა და არზრუმის გამგებლად (**BOA, AE.SMST.III / 210–16561**). როდესაც სარი აბდულრაჰმან ფაშა საქართველოში ჩავიდა, ახალციხის მახლობლად მყოფი აჩიკბაშის ხალხი გაიქცა და მთებში დაიმალა. ფაშამ უკან დაბრუნება გადაწყვიტა, რადგან ვერავინ იპოვა საბრძოლველად. იმერლები ჩასაფრებულები იყვნენ ვიწრო გადასასვლელში და ოსმალეთის არმიას დიდი ზიანი მიაყენეს. დამარცხებული აბდულრაჰმან ფაშას ნაცვლად, იმერეთის საკითხის მოსაგვარებლად, ახალციხის გამგებლად დაინიშნა ჰასან ფაშა (**Fındıklılı Süleyman, 1978:2A:92**).

ოსმალეთმა, რომელმაც ვერ შეძლო ბრძოლით წარმატებული ყოფილიყო მეფე სოლომონის წინააღმდეგ, ამჯერად სხვა გზების ძიებას შეუდგა. მან მოკავშირედ გაიხადა სოლომონის ბიძაშვილი თეიმურაზი, რომელიც იყო იმერეთიდან გაქცეული და ჰქონდა იმერეთის ტახტზე პრეტენზია. მას სურდა, რომ იმერეთის მეფე გამხდარიყო და მონებით ვაჭრობა კვლავ აღედგინა (**კუპრაშვილი, 2019:53-54; რეხვიაშვილი, 1982:71**).

მრავალი მარცხის შემდეგ, ოსმალეთმა 1764 წელს დაიწყო მზადება დიდი ლაშქრობისათვის. ლაშქარში, ახალციხისა და არზრუმის ფაშების ჯარის გარდა, ამჯერად კიდევ 6 ოსმალო ფაშა შედიოდა. ოსმალეთის ჯარში ასევე იყო მეფის ბიძაშვილი, თეიმურაზი. ოსმალეთის არმიის რაოდენობა, რომელსაც ჰასან ფაშა ხელმძღვანელობდა, 100.000 კაცს აღწევდა. 1765 წელს არმია მზად იყო ლაშქრობისათვის. სოლომონის გვერდით იყვნენ გურიისა და ოდიშის თავადები, ხოლო რაჭის ერისთავი როსტომი ოსმალეთს უჭერდა მხარს. ჯარი, ჰასან ფაშას მეთაურობით ჯერ შევიდა გურიაში და გურიის მმართველად დანიშნა გიორგი V. ოსმალებს გამოცდილება ჰქონდათ მიღებული და იმერეთის ტერიტორიაზე სწრაფად არ მოქმედებდნენ. ნელი და ფრთხილი ოსმალეთის არმია ოდიშისკენ გაეშურა. ოდიში მათ დაემორჩინა, რადგან ეშინოდა ოსმალეთის შეტევის, ჯარმა კი ზამთარი აქ გაატარა. 1766 წლის აგვისტოში ოსმალეთმა შეუტია იმერეთს და 1 თვიანი ალყის შემდეგ დაიპყრო სვერის ციხე. მოწინავე ჯარი შევიდა ქუთაისში და თეიმურაზი იმერეთის მეფედ გამოაცხადა (**ჩხატარაიშვილი, 1973-2:643-644; ტყეშელაშვილი, 2016:57; კუპრაშვილი, 2019:54-55; რეხვიაშვილი, 1982:72-73**). გამარჯვების შემდეგ, ჰასან ფაშამ გადასახადების შეგროვების მიზნით, იმერეთში ჰაჯი ალი ფაშას დაუტოვა 4.000 ჯარისკაცი და ახალციხეში დაუბრუნდა (**ჩხატარაიშვილი, 1973-2:643; კუპრაშვილი, 2019:56; ტყეშელაშვილი, 2016:58**).

გადავხედოთ ოსმალურ წყაროებში მოცემულ 1765 წლის ოსმალეთის იმერეთზე ლაშქრობის შესახებ ინფორმაციას. სარი აბდულრაჰმან ფაშას ნაცვლად, 1765 წლის თებერვალში, იმერეთის საკითხის მოსაგვარებლად, დაინიშნა ჰასან ფაშა. იმერეთზე ლაშქრობისას მთავარსარდლად მყოფი ფაშას ბრძანებით მას გადაეცა 8.000 ჯარისკაცი, საზღვაო გზით, ფოთის პორტისკენ 2.000 ჯარისკაცი რუმელიდან (**BOA,**

C.AS. / 1051-46192), 2.000 ჯარისკაცი ჩილდირიდან და 4.000 ჯარისკაცი ჯანიკიდან. ამის გარდა, სტამბოლიდან სხვადასხვა სახეობის ჯარები. მაღაროელი (ჯარისკაცები, რომლებიც ციხის ალყაში მოქცევისას თხრიდნენ მიწისქვეშა გვირაბს და აფეთქებენ ციხესიმაგრის კედლებს), არტილერია და ჯებიჯიები (ჯარები, რომლებიც იარაღს უვლიდნენ), არზრუმის, სივასის, ტრაპიზონის და ყარამანის ფაშები და მათი ჯარები. გარდა ამისა, ფაშას დახმარების მიზნით, სტამბოლიდან საზღვაო გზით ეგზავნებოდა საბრძოლო მასალა, ქერი და ფქვილი. ლაშქრობის გადასახადის გარდა, ფაშას 40 ქისა ოქრო გადაეცა **(Fındıklılı Süleyman, 1978-2A:93)**. ამრიგად, ფაშას საბრძოლველად გამოყოფილი ჰქონდა ჯარები და საბრძოლო მასალა. ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში ჩვენ ასევე ვხდებით ომისთვის საჭირო ჩამონათვალს, როგორებიცაა ქვეითი, საარტილერიო, კავალერია, საბრძოლო მასალა, ქვემეხი, სურსათი **(BOA, C. AS. / 306-12647; C. AS. / 668-28068; C. AS. / 47–2175; AE. SMST. III / 175–13756; AE. SMST. III / 171–13442; C. AS. / 278-11567)**. როდესაც ოსმალეთის მმართველობამ დაასრულა მზადება, მან სთხოვა ფაშას, რომ ჩამოეყალიბებინა და მიეღო რჩევები მათგან, ვისაც ჰქონდა ინფორმაცია, თუ რომელი მხრიდან უნდა შესულიყვნენ იმერეთში, როგორ ჩაეკეტათ თბილისის გზა, რათა სოლომონს არ მიეღო თბილისიდან დახმარება. გარდა ამისა, ითხოვდა სოლომონისა და მისი ჯარის დამარცხებას, მეფის შეპყრობას, მის სიკვდილით დასჯას და თავის სტამბოლში გაგზავნას. ოსმალეთის მმართველობას სურდა აჩიქბაშის მმარველად შესაფერისი პირის დანიშვნა და ჰასან ფაშსა დაემუქრა, რომ თავს სულთნის რისხვა დაატყდებოდა, თუ ვერ მოაგვარებდა იმერეთის საკითხს **(Köse, 2014:53)**.

1765 წლის ზაფხულში ახალციხიდან დაძრული ოსმალეთის არმია, პირველად მივიდა გურიაში. გურიის ორი ციხე ხალხის დანებებით დაიპყრო. გურიის მთავარი მამია გაიქცა. ამის შემდეგ, მისი უმცროსი ძმა დაინიშნა გურიის მელიქად და გადასცეს გურის ციხე. თუმცა, რადგან გურიის ხალხი არ ემორჩილებოდა ოსმალეთის იმპერიას, მათი უმეტესობა ხმლით აკუწა და დანარჩენი ტყვედ ჩაიგდო. გურიის შემდეგ ოსმალეთის არმია ოდიშში მივიდა. ოდიშის დადიანი, კაცია დაემორჩილა ოსმალეთის იმპერიას და ჯარს საკვები მისცა. აღებული ციხეები გადასცეს თეიმურაზს, სოლომონის ბიძაშვილს. როდესაც ოსმალეთის იმპერიის ჯარი

ოდიშში იმყოფებოდა, სოლომონი იმ დროს იქ არ იყო. იმავდროულად, იმერეთის რამდენიმე დაბა დაემორჩილა თეიმურაზს (**Fındıklılı Süleyman, 1978-2A:92-93; Köse, 2014:54**). ოსმალეთის არმიას გადაეცა ბრძანება, რომ სანამ იმერეთში საჭირო წესრიგს არ დაამყარებდა, უკან არ დაბრუნებულიყვნენ და ზამთარი საქართველოში გაეტარებინათ (**BOA, C. AS. / 54-2535**). ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში საუბარია, ოსმალეთის არმიის ზოგადი მდგომარეობის შესახებ ზამთრის გატარების დროს. გვაცნობებს, რომ გურიასა და ოდიშში პრობლემა აღარ არსებობდა და იმერეთზე გასალაშრებლად საჭირო იყო ყარსისა და ჩილდირის საკვებით მომარაგება (**BOA, HAT. / 175-7587**). კიდევ ერთი დოკუმენტის თანახმად, არზრუმის გამგებელს, ნუმან ფაშას, ჯარის საკვების გადასატანად მოსთხოვეს მტვირთავები (**BOA, AE.SMST.III / 356-28528**). დაბოლოს, აღნიშნულია, რომ ჯებელი ფერსათი გავლით პირდაპირ გაემართნენ სოლომონის ციხასიმაგრეებისკენ, დაიკავეს მნიშვნელოვანი ციხეები, დანარჩენები დაანგრიეს. მოითხოვეს ალბანეთში 2.000 ჯარისკაცის შეკრება. გარდა ამისა, ჯარისთვის 10 თვის საკვებით დაკმაყოფილება ყარსის ბეგლარბეგს და სხვებს დაავალეს. დოკუმენტში ნახსენებია, რომ ქართველი ხალხი შიშის გამო, თანდათან ემორჩილება ოსმალეთის არმიის. რადგან წინა წელს 40.000 ყურუში დაიხარჯა აჭარისა და მაჭახელას სანჯაყებისთვის, ამიტომ მეორე წელს უნდა გადაეხადათ 40.000 ყურუში. ფოთიდან გაგზავნილი მარაგი გადაეცა ჯარისკაცებს, რომელიც ზამთარს ატარებდნენ. ვინაიდან სოლომონის ციხეები შორს იყო, მოითხოვეს სასწრაფოდ ახალციხისთვის სანოვაგე გაეგზავნათ და ჯარისთვის მიეწოდებინათ. არსებობს ცნობა, რომ არზრუმიდან და დიარბაქირიდან გაგზავნილ ჯარში არ იყვნენ კარგი მებრძოლები და ასეთი ხალხით შეუძლებელი იყო სალაშქროდ წასვლა. ასევე გამოზამთრებული ჯარის მდგომარეობა არასახარბიელო იყო, მარაშიდან მოითხოვეს ჯარის გაგზავნა (**BOA, HAT. / 8-278-1**).

ზამთრის დადგომისთანავე, ოდიშში გამოზამთრებულმა ოსმალებმა, გაზაფხულის დადგომისთანავე ბაღდადის ციხესიმაგრეში დატოვეს საკვების მარაგი და მოქმედებაზე გადავიდნენ. ოსმალთა ჯარი, სვერის ციხეში მოვიდა და 29 დღიანი ალყის შემდეგ აიღო, რომელიც შემდეგ თეიმურაზს დაუტოვა. სვერის ციხის აღების შემდეგ ოსმალეთის არმიამ გზა გააგრძელა, მიუახლოვდა ქუთაისს და შეხვდა

იმერეთის დელეგაციაც. ამ დელეგაციაში შედიოდნენ დადიანი, გურიის მელიქი, სოლომონის ბიძა გიორგი, სასულიერო პირი - კათალიკოსი და თავადები. თავის მხრივ, ოსმალეთის დელეგაციაში შედიოდა სასახლის მთავარი მცვლელი ჰაჯი მეჰმედ ბეგი, მისი მოადგილე არაბი გირლი იბრაჰიმ აღა, ჰასან ფაშას მამასახლისი იბრაჰიმ ეფენდი, და ყადიასკერი (სამხედრო მოსამართლე) ისმაილ ეფენდი.

ქართულმა დელეგაციამ მოლაპარაკებების დროს, განაცხადა, რომ ინცინდენტები მოხდა სოლომონის გამო, რომელსაც ძალაუფლება უკვე აღარ ჰქონდა. რომ ისინი იყვნენ ოსმალთა ერთგული მსახურები და სოლომონის გამოჩენის შემთხვევაში მას სიკვდილით დასჯინდნენ. რეგიონში წესრიგის დამყარების მიზნით სვერის ციხესიმაგრეს მისცემდნენ იმერეთის ახალ მეფეს, თეიმურაზს. გარდა ამისა, მოითხოვეს, რომ ჰაჯი ალი ბეგი გარკვეული რაოდენობის ჯართან ერთად დარჩენილიყო ქუთაისის ციხეში და ოსმალებს აღარ გაეგრძელბინათ საქართველოს ტერიტორიების დაპყრობა. ეს თხოვნები მიიღეს ოსმალებმა. სვერის ციხესიმაგრე გადაეცა თეიმურაზს. მან კი ოჯახი და შვილები გაგზავნა ქუთაისის ციხესიმაგრეში მძევლის სახით. ჰაჯი ალი ბეგი ქუთაისის ციხესიმაგრეში ზამთრის გასატარებლად 3-4000 ჯარისკაცით დარჩა. ოსმალეთის მმართველობამ, ჰასან ფაშას მოსთხოვა, რომ თეიმურაზთან, მთავარი სასულიერო პირსა (კათალიკოსი) და ჰაჯი ალი ბეგთან ერთად შეეპყრო სოლომონი და დაესაჯა **(Fındıklılı Süleyman, 1978-2A:93-94; Köse, 2014:54-55)**.

სოლომონ მეფე მარცხის შემდეგ ქუთაისიდან გაიქცა და თავის 4 ერთგულ კაცთან ერთად თავი წერეთლებს შეაფარა. იმავდროულად, სოლომონმა ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავშირეობის მიზნით, 1766 წლის 20 ოქტომბერს მღვდელი გრიგოლი გაგზავნა რუსი გენერალი ნიკოლაი პოტაპოვის მეთაურობის ქვეშ მყოფი ყიზილარის ციხესიმაგრეში. მან რუსეთისგან დროებით მოითხოვა თავშესაფარი და დახმარება სთხოვა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. საქართველოს ელჩები აქედან პეტერბურგში გადავიდნენ. თუმცა, იქ დადებითი პასუხი ვერ მიიღეს. ამის მიზეზი იყო ის, რომ სოლომონი იყო ოსმალეთის ვასალი. ამ მიზეზით, რუსეთმა სოლომონს არ მისცა თავშესაფარი. ეს ითვლებოდა ოსმალეთის შიდა საკითხად. სოლომონისთვის თავშესაფრის მიცემა ნიშნავდა ოსმალეთთან აქამდე არსებული

კარგი ურთიერთობების განადგურებას. ამასთან, ომის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდებოდა, რომ სოლომონი რუსეთის ქვეშევდომობაში შესულიყო (**Gvosdev, 2000:27**). რუსეთის უარის კიდევ ერთი მიზეზი იყო ის, რომ მას არ სურდა ძლიერი იმერეთის სამეფო, ოსმალეთის წინააღმდეგ მიმავალ გზაზე. ჰასან ფაშას დაბრუნებისთანავე სოლომონი მოქმედებაზე გადავიდა, იმერეთში ერთგულთა ლაშქარი ჩამოაყალიბა და თანდათან უფრო გაძლიერდა (**რეხვიაშვილი, 1982:73-75**).

1766 წელს, იმერეთზე კვლავ შეტევის მიზნით, ოსმალებმა გადაწყვიტეს 45.000-იანი ჯარის შეგროვება, მაგრამ ამისთვის 30.000 მანეთი უნდა დახარჯულიყო. ოსმალებს ესმოდათ, რომ ეს ომი საბოლოო შედეგს ვერ მოიტანდა და უკეთესი იქნებოდა დათანხმებოდა სოლომონს. თუმცა არცერთმა მხარემ არ იცოდა თუ როგორ ეწარმოებინათ მოლაპარაკებები. სოლომონმა ქართლ-კახეთის მეფეს, ერეკლეს სთხოვა შუამავლობა ოსმალებთან. ოსმალებმა ეს ძალიან დადებითად მიიღეს. შეთანხმების მოლაპარაკებები სტამბოლში გაიმართა, საქართველოს დელეგაციაში შედიოდნენ მეფე ერეკლეს ელჩი და სოლომონის ძმა. შეთანხმების თანახმად, იმერეთი ყოველწლიურად 60 ტყვე ქალს გაუგზავნიდა ოსმალეთს, მაგრამ სავალდებულო არ იყო ისინი ქართველები ყოფილიყვნენ. ოსმალეთი არ ჩაერეობა იმერეთის შიდა საქმეებში. ხელშეკრულება 1767 წელს გაფორმდა (**რეხვიაშვილი, 1982:75-76**). იმერეთი გადაიხდიდა ძველ ვალებს (**კუპრაშვილი, 2019:58-59**). გარდა ამისა, იმერეთი აღარ იქნებოდა ოსმალეთის ვასალი ან ქვეშევრდომი (**ჩხატარაიშვილი, 1973-2:645**).

1768 წლისთვის, სოლომონმა ომი წამოიწყო მის მოწინააღმდეგეებთან. ოსმალებისა და მათი სუზერენი თეიმურაზის მიმართ წამოწყებულ ბრძოლაში, გურიელი, დადიანი და რაჭის ერისთავი, თეიმურაზის გვერდით იყვნენ. სოლომონის გვერდით კი დაქირავებული ლეკი ჯარისკაცები და მისი ერთგული იმერლები. სოლომონმა ჩხერის მახლობლად გამარჯვება მოიპოვა. ამ გამარჯვებით, სოლომონი ისევ იმერეთის ტახტზე ავიდა. თეიმურაზი და მისი ძმა გიორგი დაიჭირეს და მუხურის ციხეში დააპატიმრეს (**კუპრაშვილი, 2019:59; რეხვიაშვილი, 1982:76**).

ტახტზე ასვლის შემდეგ სოლომონ მეფემ გააუქმა თავისი შეთანხმება ოსმალეთთან. ამ უკანასკნელმა მის საწინააღმდეგოდ ვერაფერი მოიმოქმედა. ერთი

მხრივ, სოლომონი უახლოვდებოდა რუსეთს. ოსმალები სიფრთხილით მოქმედებდნენ. 1768 წლის 13 სექტემბერს ოსმალეთის სულთანმა, მუსტაფა III-მ გამოაქვეყნა ფირმანი, რომლითაც აღიარებდა სოლომონის სამეფოს. ამრიგად, სოლომონი კანონიერ მეფედ აღიარა ოსმალეთმა. ეს უდიდესი დიპლომატიური გამარჯვება იყო სოლომონისთვის (**კუპრაშვილი, 2019:59-61**). ოსმალებმა მეფეს მოსასხამი (ხალათი) და მახვილი გაუგზავნეს (**ტყეშელაშვილი, 2016:63**).

სოლომონმა 1768 წელს ოსმალებთან პრობლემების გადაჭრის შემდეგ ყურადღება გაამახვილა შიდა საქმეებზე. მან ბრძოლა წამოიწყო მის მიმართ მუდმივად მოწინააღმდეგე რაჭის ერისთავ როსტომთან. 1768-1769 წლებში არაერთხელ განხორციელდა ლაშქრობა რაჭაზე (**ტყეშელაშვილი, 2016:63**). 1768 წელს სოლომონმა მაქსიმე ქუთათელი რუსეთში ელჩად გაგზავნა. მან რუსეთს მფარველობა და ოსმალების წინააღმდეგ დახმარება სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო, რადგან რუსეთი ოსმალეთთან ომში იმყოფებოდა (**ასათიანი, 2003:346**).

ოსმალეთის იმერეთთთან 1765 წელს დაწყებული და 1766 წელს დასრულებული ომის შემდეგი პროცესები ქართული წყაროების მიხედვით ზემოთ ზემოთ განვიხილეთ. ამასთან, ეს პროცესები ცოტა განსხვავებულად არის აღწერილი თურქულ წყაროებში, რომლის მიხედვითაც ჰასან ფაშა თანამდებობიდან გაათავისუფლეს, როცა იმერეთი საკითხებთან დაკავშირებით წარმატებას ვერ მიაღწია. მაშინ, როდესაც ჰასან ფაშა იჩელის (ახ. მერსინი) გამგებლად დაინიშნა, მისი ადგილი 1767 წლის მარტში ვეზირის წოდებით დაწინაურებულმა იბრაჰიმ აღამ დაიკავა. იბრაჰიმ ფაშა გახდა ქუთაჰიის, ახალციხისა გამგებელი (**Süreyya, 1996-3:772; Fındıklılı Süleyman, 1978-2A:100**). იბრაჰიმ ფაშას ჩილდირის გამგებლად დანიშვნის ამბავი აცნობეს იმერეთში საკითხის მოსაგვარებლად დანიშნულ ალი ბეგს (**BOA, C.DH./290-14451**). შეიძლება ითქვას, რომ ჰასან ფაშას წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი იყო ჯარში მოშლილი დისციპლინა. ამას ჩვენ ვხედავთ საარქივო დოკუმენტებში. საქართველოზე ლაშქრობისთვის დანიშნული 2.000 ჯარისკაცი უკან დაბრუნდა ყოველგვარი მომსახურებისა და ნებართვის გარეშე. ამ ჯარისკაცების მეთაურები გადაასახლეს და დასაჯეს, ხოლო ამ ჯარისკაცების ხარჯები მეთაურებმა დაფარეს (**BOA, C.AS./895-38539**). ამ საკითხთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტში

გადმოცემულია, რომ 2.000 ჯარისკაციდან ლაშქარს შეუერთდა მხოლოდ 1.400 კაცი, რომლებიც ბრძოლის გარეშე გაიქცნენ. დანარჩენი 600 კაცის ხელფასის - 23.000 ყურუშის უკან დასაბრუნებლად ცალკე მოხელე დანიშნეს (**BOA, C. AS. / 326 - 13517**).

იბრაჰიმ ფაშას მიერ თანამდებობის დაკავების შემდეგ, იმერეთში სოლომონსა და მეფე თეიმურაზ და მათ მომხრეებს შორის ბრძოლა დაიწყო. ამის გამო, იმერეთზე თავდასხმის მიზნით, იბრაჰიმ ფაშამ დამათებით 1.500 ქვეითი და ცხენოსანი მოითხოვა, რადგან მისი ჯარი არ ჰყოფნიდა. ჯარის შესაგროვებლად არზრუმის ციხეში არსებული 25.000 ყურუშის გამოყენება დაევალა არზრუმის გამგებელ ვეზირ ნუმან ფაშას (**BOA, C.HR. / 152–7583**). ბრძანებები იბრაჰიმ ფაშას სტამნბოლიდანაც მიიღო, იმასთან დაკავშირებით, რომ სოლომონის მოწინააღმდეგე თავადები, რომლებიც ადრე ოსმალეთის მხარეს იჭერდნენ, ამჯერად მეფეს ემხრობოდნენ. აქედან ერთადერთი გამოსავალი იყო სოლომონის შეყპრობა სიკვდილით დასჯა. მაგრამ ახალციხის მოწინავეთა ერთი ჯგუფი იბრაჰიმ ფაშას წინააღმდეგ გამოვიდა, რამაც ფაშას დავალების შესრულებაში ხელი შეუშალა (**Köse, 2014:58-59**). ჰამერის გადმოცემით, იბრაჰიმ ფაშა ახალციხიდან გააძევეს (**Hammer, 2008-16:106**). ამის შემდეგ, არზრუმის გამგებელი ნუმან ფაშა, 1767 წლის ოქტომბერს ჩილდირის (ახალციხის) გამგებლად დაინიშნა (**Süreyya, 1996-4:1264**), იბრაჰიმ ფაშა კი 1767 წლის ნოემბერში ნუმან ფაშას ადგილზე (**Süreyya, 1996-3:772**). ასე რომ, ფაშებმა ადგილები გაცვალეს.

ახლად დანიშნულ ნუმან ფაშას შეატყობინეს, რომ სოლომონი თავს დაესხმებოდა მეფე თეიმურაზს. ამ მიზეზის გამო, 600-700 ჯარისკაცთან ერთად, დასავლეთ საქართველოში არსებული ოსმალეთის ციხეების შემოწმება დაავალა მის დამხმარეს მეჰმედ აღას, სულეიმან ფაშასა და ახალციხის მესაზღვრეს, მეჰმედ აღას. ოსმალეთის ჯარისკაცები 1768 წლის 20 ივნისს, ბაღდათჩიკის ციხესიმაგრეში მივიდნენ. ამ დროს, სოლომონი იმყოფებოდა აღნიშნულ ციხესთან ახლოს. სოლომონის მიზანი იყო ოსმალეთის წარმომადგენლებთან შეხვედრა. ოსმალეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდათ უფლებამოსილება ამგვარი შეხვედრის და უარი განაცხადეს შეთავაზებაზე, თუმცა სოლომონ მეფის დაჟინებული თხოვნით, ორ მხარეს შორის მოლაპარაკება დაიწყო (**Köse, 2014:61-62**).

ჰამერი ამ ინციდენტთან დაკავშირებით მოგვითხრობს, რომ როდესაც ოსმალები თვალყურს ადევნებდნენ სოლომონს, ბაღდათჩიკის ციხესიმაგრეში მივიდნენ, სწორედ ამ დროს მათთან მივიდა სოლომონი და ოსმალებს ბოდიში მოუხადა **(Hammer, 2008-16:107)**.

ამ შეხვედრის დროს სოლომონმა პირველად ხაზი გაუსვა, რომ მისი წინაპრები და თავად ერთგული იყო ოსმალეთის იმპერიის. შემდეგ განაცხადა, რომ მომხდარი ჰაჯი აჰმედ ფაშას ბრალი იყო და რომ ფაშამ მას ძალიან ბევრი გადასახადი მოსთხოვა. მან ასევე თქვა, რომ ფაშას დამხმარე მოკლა დადიანმა და არა მან. თუმცა ამის შემდეგ ჰაჯი აჰმედ ფაშამ იმერეთზე ლეზგებთან ერთად მოაწყო ლაშქრობა, რეგიონი დაწვა და გაძარცვა (ჩვენ ეს ინცინდენტი ვნახეთ ზემოთ მოცემულ ქართულ წყაროებში. როდესაც გადასახადი, რომელიც ფაშას სურდა, სრულად ვერ მიიღო, მან ლეზგებთან ერთად ორგანიზება გაუწია იმერეთში ლაშქრობას). გარდა ამისა, ფაშამ შეატყობინა ოსმალეთის იმპერიას, რომ სოლომონი აჯანყებული იყო. სოლომონმა ასევე განაცხადა, რომ მან ჰაჯი აჰმედ ფაშას ადგილზე მყოფ იბრაჰიმ ფაშას პატიება სთხოვა, მაგრამ პატიებამდე იბრაჰიმ ფაშას მაგივრად დაინიშნა ჰასან ფაშა. მისი თქმით, მან პატიება სთხოვა ჰასან ფაშასაც, მაგრამ ფაშამ მისგან 400 ქისა მონეტა ითხოვა, რის სანაცვლოდაც ოსმალეთის იმპერია მას აპატიებდა. სოლომონმა უთხრა, რომ პირველ ეტაპზე შეეძლო ფაშასთვის გადაეცა 100 ქისა მონეტა და 5-10 ტყვე, ხოლო ფაშას დამხარესთვის 3 ტყვე და 10 ქისა მონეტა, მაგრამ ამას ფაშა არ დათანხმდა. ამის შემდეგ სოლომონმა თქვა, რომ თეიმურაზი მეფედ გამოაცხადეს და სიცოცხლის გადასარჩენად მთებში გაიქცა. სოლომონმა ერთგულების დამტკიცების მიზნით განაცხადა, რომ ის თავს არ დასხმია იმერეთში ცუდ მდგომარეობაში მყოფ ოსმალეთის ციხესიმაგრეებს, და მისი თუ არ სჯეროდათ, ციხეებში მყოფ ოსმალთა ჯარისკაცებისთვის ეკითხათ. მან სვერის ციხე ალყისა და დაპყრობის მიზეზად აბაშიძესთან მტრობა დაასახელა და ციხის მდგომარეობა ოსმალებს აუხსნა. შეხვედრის მიმდინარეობისას, სოლომონმა ოსმალეთისგან პატიება ითხოვა და ოსმალეთის დელეგაციას შეახსენა, რომ ხალხი, ვინც პატიებას ითხოვდა თავიანთი რელიგიური მრწამსის გამო, ხმალს არ ამოიღებდა. როდესაც ოსმალეთის დელეგაციამ უთხრა, დაგვარწმუნე შენს უდანაშაულობაშიო, სოლომონმა თავისი

რელიგიური რწმენის შესაბამისად, ჯვარზე დაიფიცა. ოსმალეთის დელეგაციამ სოლომონს მოსთხოვა სანდო ხალხის ახალციხეში გაგზავნა. ამაზე სოლომონი დათანხმდა. ოსმალებმა სოლომონს ჰკითხეს თუ რატომ აკრძალა მონებით ვაჭრობა, როდესაც მანამდე დაშვებული იყოვო. ამის საპასუხოდ, სოლომონმა განაცხადა, რომ მას ვაჭრობა ააკრძალვინა მღვდელთუხუცეს კათალიკოსმა, რაჭის ერისთავმა და დადიანმა. მათ და მითხრა, რომ მონებით ვაჭრობა დიდი ცოდვა იყო, თუ ავკრძალავდი, ჩემი ხალხი და თავადები მხარს დამიჭერდა. მეც ავკრძალე მონებით ვაჭრობა, შემდეგ კი გავიაზრე, რომ მღვდელმთავარი კათალიკოსის, რაჭის ერისთავისა და დადიანის მიზანი იყო ოსმალეთის იმპერიის თვალში გამოვჩენილიყავი, როგორც აჯანყებული. ოსმალეთის მხარე იგივე ქართველ თავადებსაც ჰკითხა, რაზედაც დაეთანხმნენ, რომ სოლომონის პასუხი სწორი იყო. სოლომონმა ოსმალეთის დელეგაციას სთხოვა, რომ ჰასან ფაშა აღარ ყოფილიყო ახალციხის გამგებელი და ყოფილი მღვდელთუხუცეს კატალიკოსის გადასახლება. მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, ოსმალეთის დელეგაციამ გამოიკვლია სოლომონის პასუხების სისწორე ბაღდათში, ქუთაისში, შორაპანსა და ცუცხვათი ციხეებში და დარწმუნდა ნათქვამის სისწორეში. სოლომონს წერილი ჰქონდა გაგზავნილი ახალციხის მოწინავეე პირთათვის, რომ მისი ნათქვამის მოწმე ყოფილიყვნენ. მან აგრეთვე გაკიცხა ახალციხის ხალხი, ჰაჯი აჰმედ ფაშას უსამართლობებზე ხმა რომ არ ამოიღეს და სთხოვა მათ სიმართლე ეთქვათ. ამის შემდეგ ახალციხეში გამართულ 100 კაციან სხდომაზე გადაწყდა, რომ სოლომონი არ იყო დამნაშავე. ითქვა, რომ ქართველები და თურქები განადგურებულნი იყვნენ იმ გადასახადებითა და ლაშქრობებით, რომლებსაც ჩილდირის გამგებლები ითხოვდნენ. სოლომონს მხარი დაუჭერეს გურიის მმართველმა მამიამ, დასავლეთ საქართველოს ეკლესიების მღვდლებმა, თავადებმა, აზნაურებმა და ხალხმა. ნუმან ფაშასადმი მიწერილ წერილში მათ მთლიანად დაადანაშაულეს მღვდელუხუცესი კათალიკოსი, ქართველების წაქეზებასა და ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყებაში. მათ ითხოვეს მისი გადასახლება. ასევე სოლომონის პატიება **(Köse, 2014:62-69)**. ამ ამბავს ჰამერი მოკლედ გადმოსცემს **(Hammer, 2008-16:107)**.

მოლაპარაკებების შედეგად, ნუმან ფაშამ მოამზადა მოხსენება და სტამბოლში გაგზავნა. ამასობაში, ოსმალეთის იმპერია პოლონეთის საკითხის გამო, რუსეთთან ომის ზღვარზე იყო. ასეთ ვითარებაში იმერეთის მნიშვნელობა გაიზარდა და საჭირო იყო ქვეყანაში სასწრაფოდ წესრიგის დამყარება. ამ მიზეზით, 1768 წლის 25 სექტემბერს სულთან მუსტაფა III-მ, გარკვეული პირობების გათვალისწინებით, სოლომონს ფირმანი გაუგზავნა, რომელშიდაც აღიარებდა მის მეფობას **(გოგოლაური, 2016:11)**. პირობები შემდეგი იყო: სოლომონი, ოსმალეთსა და ახალციხის გამგებელს ერთგულად ემსახურებოდა, აბაშიძეს ზარალს არ მიაყენებდა და საქონელს გადასცემდა. მღვდელ კათალიკოსს სხვაგან გადაასახლებდნენ, ოსმალების ხელში მყოფ მძევლებს სოლომონს გადასცემდნენ, საქართველოში ვაჭრობა ადრე როგორც იყო შეზღუდვებისა და აკრძალვების გარეშე, კვლავ გაგრძელდებოდა. აირჩევდნენ, სვერის ციხეს დაანგრევდნენ თუ სოლომონს გადასცემდნენ. ოსმალეთის მხარე და სოლომონი ამ პირობებზე შეთანხმდნენ და სოლომონ მეფე კვლავ ტახტზე ავიდა **(Köse, 2014:70-71)**.

1768 წლის სექტემბერში ოსმალეთის სულთნის მუსტაფა III-ს მიერ სოლომონისთვის გაგზავნილი ფირმანით, ეს უკანასკნელი ოსმალეთის იმპერიის მიერ იმერეთის მეფედ იქნა ცნობილი. ამრიგად, ორ ქვეყანას შორის უთანხმოება გარკვეული პერიოდით შეჩერდა. თუმცა სოლომონი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ წასასვლელად რუსეთს უახლოვდებოდა. რუსეთი კი გეგმავდა, რომ ქართული სამეფოები გამოეყენებინა კავკასიაში პოზიციის გასამყარებლად.

1768 წლის 11 ოქტომბრით დათარიღებულ ოსმალურ საარქივო დოკუმენტში ვხედავთ ბრძანებას მღვდელმთავარ კათალიკოსის შესახებ, სადაც სოლომონი და დასავლელი ქართველები ჩიოდნენ და სურდათ მისი სხვაგან გადასახლება. დოკუმენტის თანახმად; ჰასანქეიფის (ბათმანთან ახლოს) ციხეში ქართველი ხალხის აჯანყებისკენ წამქეზებელი მღვდლის, სახელად კეკუნოზის (კატალიკოსი) დაპატიმრების მიზნით, ჩილდირის გამგებელ ნუმან ფაშას სთხოვეს საჭირო ზომების მიღება **(BOA, C.DH. / 299–14904)**.

1768 წლის 23 ივნისს, მეფე სოლომონმა I-მა დახმარების სათხოველად რუსეთში გაგზავნა საგანგებო უფლებამოსილებებით აღჭურვილი ელჩი, მაქსიმე

აბაშიძე. იმერეთის საელჩოს დელეგაცია 1768 წლის 4 ოქტომბერს, რუსი გენერალი პოტაპოვის მეთაურობაში მყოფ ყიზლარის ციხეში ჩავიდა. თუმცა, გენერალი დადებითად არ შეხვდა სოლომონის ელჩობას და მათი უკან დაბრუნება **(კუპრაშვილი, 2019:69; რეხვიაშვილი, 1982:98-99; გოგოლაური, 2016:12-13; პაიჭაძე, ჩხატარიშვილი, 1973:649)**.

იმავდროულად, ოსმალეთის იმპერიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. პოლონეთის შიდა საქმეებში ჩარევის, ყირიმის ხანათისა და ოსმალეთის მიწებზე დავდასხმის გამო, ოსმალებმა 1768 წლის სექტემბერში, ყოველგვარი მომზადების გარეშე, რუსეთის წინააღმდეგ ომი წამოიწყეს. ამ ომმა მთელ მსოფლიოს აჩვენა, რომ ოსმალეთის იმპერია აღარ იყო ისეთი ძლიერი და რუსეთი - პირიქით დიდი სახელმწიფო იყო. მოკლე ხანში რუსები შეიჭრნენ ყირიმში, დაიპყრეს ვლახეთი და მოლდოვა და გადაკვეთეს დუნაის მდინარე. გარდა ამისა, რუსული საზღვაო ძალები, რომლებიც ბალტიის ზღვიდან მოძრაობდნენ, ინგლისელების დახმარებით შევიდნენ ხმელთაშუა ზღვაში და გაანადგურეს ოსმალეთის საზღვაო ძალები ჩეშმეში **(Beydilli, 2002:524; Kurat, 1987:289-290)**. 1768-1774 წლებში ოსმალეთ-რუსეთის ომის მიზეზი, კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად, ეკატერინე II-ის (1762-1796) დროს კავკასიაში რუსების გავლენის გაზრდა იყო. ოსმალებმა კი პოლონეთის საკითხზე უფრო რუსეთთან ომი, ამ უკანასკნელის ყაბარდოს რეგიონში განხორციელებული ლაშქრობებისა და ქართველი მეფეების წაქეზების გამო დაიწყეს **(Budak, 1999:597-598)**. ამ შეხედულების თანახმად, საქართველო და განსაკუთრებით იმერეთის სამეფო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო ოსმალეთის იმპერიისთვის.

1769 წლის იანვარში იმერეთის საელჩოს დელეგაცია პეტერბურგში ჩავიდა. ამის სანაცვლოდ რუსეთმა 1769 წლის 20 მარტს იმერეთში ელჩი გაგზავნა. სოლომონი რუს ელჩებს რაჭაში მიეგება. სოლომონმა მარტის ბოლოს რუსეთის ელჩობა ერეკლე II-თან თბილისში გაგზავნა. სოლომონ მეფე, 1769 წლის 21 მაისს თბილისში ჩავიდა და ოსმალთა წინააღმდეგ გადაწყვიტა გაერთიანებულიყო ერეკლე II-თან. მან ეს გადაწყვეტილება რუსეთის ელჩს შეატყობინა **(რეხვიაშვილი, 1982:101; პაიჭაძე, ჩხატარიშვილი, 1973:650-651)**.

რუსეთს, თავის მხრივ, სურდა ქართული სამეფოების გამოყენება როგორც კავკასიაში მმართველობის დამყარებისთვის, ისე ბალკანეთიდან კავკასიაზე ოსმალების ყურადღების გადასატანად. რუსეთი ასევე გეგმავდა ქართული სამეფოების გამოყენებას კავკასიის ფრონტზე (**Temizkan, 2006:449**). ამ მიზნით მოქმედებაზე გადასულმა რუსეთმა, 1769 წლის 27 მარტის დედოფალ ეკატერინეს გადაწყვეტილებით, საქართველოში გენერალი ტოტლებენის მეთაურობით, 480 კაცისგან შემდგარი სამხედრო ნაწილი გამოგზავნა. გენერალი ტოტლებენი წარმოშობით გერმანელი იყო. იგი რუსეთის ჯარის სამსახურში 7 წლიანი ომების დროს (1756-1763) შევიდა. გენერალი, რომელიც მსახურობდა საქსონიაში, ჰოლანდიასა და პრუსიაში, თავგადასავალის მოყვარული იყო და წესების გარეშე მოქმედებდა (**კუპრაშვილი, 2019:70-71**). გენერალი მედემი კი დაინიშნა ყაბარდოსა და ყუბანში (**Budak, 1999:598**).

როდესაც სოლომონ მეფემ, ერეკლემ და საქართველოში მყოფმა რუსეთის ელჩმა, ხვაბულოვმა გაიგეს, რომ რუსეთი სამხედრო ნაწილს გენერალ ტოტლებენის მეთაურობით გზავნიდა, სამზადის შეუდგენენ. მათ რუსული ჯარის საქართველოში შემოსვლისთვის დარიალის უღელტეხილი აირჩიეს. გზის გასასუფთავებლად და ხიდების გასაკეთებლად ჯარისკაცები დაინიშნა, ხოლო მეფე ერეკლეს დაევალა ამ საქმეების მოგვარება (**რეხვიაშვილი, 1982:105-106**).

1769 წლის აგვისტოს ბოლოს, გენერალი ტოტლებენს, ერეკლე II ყაზბეგში (სტეფანწმინდა) შეეგება (**კუპრაშვილი, 2019:72; გოგოლაური, 2016:17**). გაიმართა მოლაპარაკებები გენერალსა და ერეკლეს შორის. ამ მოლაპარაკებებში, ერეკლემ ტოტლებენის საშუალებით რუსეთს გარკვეული მოთხოვნები წაუყენა. ერეკლემ მათი არტილერიაში მყოფი 5.000 ჯარისკაცი მოითხოვა. უთხრეს, რომ 5.000 ჯარისკაცის დაუყოვნებლივ გაგზავნა შეუძლებელი იყო და პირველ რიგში მინიმუმ 1.500 ჯარისკაცს გაუგზავნიდნენ. ამის შემდეგ ეკატერინეს გადაწყვეტილებით, 1769 წლის 22 სექტემბერს საქართველოში 3.700 ჯარისკაცი გაიგზავნა. ერეკლესთან მოლაპარაკების დაასრულების შემდეგ, 1769 წლის 26 სექტემბერს, გენერალი იმერეთის საზღვართან ჩავიდა. 28 ოქტომბერს შეხვდა სოლომონ მეფეს და უთხრა,

რომ ოსმალეთის ხელში არსებული იმერეთის ციხეების აღება ევალებოდა **(რეხვიაშვილი, 1982:106-107; პაიჭაძე, ჩხატარიშვილი, 1973:652)**.

ერეკლესა და სოლომონის რუსეთთან ურთიერთობამ ოსმალეთი თან გააკვირვა და თან აღაშფოთა. ამის შემდეგ, ოსმალეთი მოქმედებაზე გადავიდა და ახალციხის გამგებელ ნუმან ფაშას მეშვეობით ერეკლე მეფეს სთხოვა, რომ რუსეთთან მოკავშირეობა შეეწყვიტა, მაგრამ უარყოფითი პასუხი მიიღო. მან იგივე თხოვნა სოლომონსაც გადასცა, მაგრამ მანაც უარი უთხრა. ამის შემდეგ ოსმალეთმა წერილი გაუგზავნა ირანს და სთხოვა, ხელი შეეშალა ერეკლე მეფისთვის ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედებაში, თუ არა და იგი გამოიყენებდა დაღესტანელებს ქართლ-კახეთის სამეფოების წინააღმდეგ **(რეხვიაშვილი, 1982:108)**. თუმცა, ოსმალეთის ეს გაფრთხილებები და დიპლომატიური მცდელობები ეფექტური არ აღმოჩნდა.

1769 წლის 3 ოქტომბერს რუსეთის და იმერეთის ჯარი მოქმედებაზე გადავიდა და ალყაში მოაქცია ოსმალთა ხელში არსებული შორაპნის ციხე. ტოტლებენმა მოითხოვა ციხის ბრძოლის გარეშე გადაცემა, მაგრამ ოსმალებმა უარი განაცხადეს. ახალციხის გამგებელმა, ნუმან ფაშამ, როგორც კი რუსების საქართველოში შემოსვლის ამბავი გაიგო, დაიწყო კაციასა და აფხაზეთის მთავართან, შარვაშიძესთან კავშირის დამყარება. კაციამ და შარვაშიძემ ოსმალების დასახმარებლად იმერეთში 9.000 ჯარისკაცი გაგზავნეს. როდესაც ეს სოლომონმა გაიგო, შორაპნის ციხეზე ალყის შემორტმა გენერალ ტოტლებენს დაუტოვა, თვითონ კი დაუყოვნებლივ უკან გაბრუნდა, შეებრძოლა კაციასა და შარვაშიძის ძალებს და გაიმარჯვა. ტოტლებენმა კიდევ 4 დღე გააგრძელა შორაპნის ალყა, შემდეგ კი მოხსნა ის, წავიდა ქართლში და ცხინვალში ბანაკი მოაწყო. სოლომონ მეფეს გაუკვირდა გენერალ ტოტლებენის მიერ იმერეთის დატოვება და ქართლში წასვლა. მეფის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, იმერეთის ოსმალეთის ბატონობიგან განთავისუფლება იყო. ერეკლე მეფისა და ტოტლებენის მიზანი კი, პირველ რიგში, ახალციხის ოსმალეთიგან აღება. მას შემდეგ, რაც რუსმა ჯარისკაცებმა იმერეთი დატოვეს და ქართლში წავიდნენ, ოსმალებმა მოკავშირედ გაიხადეს ლეკები და იმერეთის წინააღმდეგ გაილაშქრენ. ოსმალეთის ჯარი 4.000 კაცისგან შედგებოდა. 1770 წლის 10 იანვარს ბრძოლა სოლომონმა მოიგო და ოსმალების ჯარი იმერეთიდან გააძევა **(რეხვიაშვილი, 1982:109-110)**.

დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ამ მოვლენებს ოსმალურ საარქივო დოკუმენტებშიც ვხვდებით. ეს დოკუმენტები მოიცავს ჩილდირის გამგებელ ნუმან ფაშასა და სტამბოლს შორის ადგილობრივი საკითხების შესახებ მიმოწერას. ჩილდირის გამგებელ ნუმან ფაშასთვის დაუვალებიათ თავიდან აეცილებინა სოლომონ მეფის თავდასხმები ოსმალეთის იმპერიაზე (**BOA, C.ZB. / 40–1951**). შემდეგ ჩანს რუსეთის ჩარევა საქართველოს საქმეებში. 1769 წლის 31 დეკემბრით დათარიღებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოში არსებული არეულობის საბაბით, რუსეთმა თავის თავზე აიღო საქართველოს დაცვა (**BOA, HR.SYS. / 80-3**). სხვა დოკუმენტში, რომ საქართველოში რუსი ჯარისკაცების რაოდენობა 6.000-ზე მეტი იყო (**BOA, TS.MA.e / 497-54**). ჩილდირის გამგებელმა ნუმან ფაშამ 2.000 ქვეითი შეკრიბა სოლომონის წინააღმდეგ (**BOA, C.HR. / 45-2233-4**). სოლომონ მეფის დასასჯელად დანიშნული და ჯარის შემგროვებელი ჩილდირის გამგებლის, ნუმან ფაშას ბრძანებით, ბითლისის სარდლად დაინშნა ჰასან ხანი. ეს ვითარება ნუმან ფაშას აცნობეს ცენტრიდან მოსული წერილით (**BOA, C.HR. / 173–8645**). 1770 წლის აპრილით დათარიღებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსებსთან თანამშრომლობით, თბილისის ხანის (ერეკლე II) და აჩიქბაშის მელიქის (სოლომონ I) თავდასხმებისსგან საზღვრის დასაცავად, ბრძანება გაუგზავნა არზრუმის გამგებელ და ყარსის მცველ ვეზირ ჰაფიზ მუსტაფა ფაშას (**Kırca, 2007, MH. 168/740, s. 477-479**). ვეზირის წოდება მიენიჭა ჩილდირში მყოფ მეჰმედ ფაშას და დაევალა, რომ ჩილდირის გამგებელ ნუმან ფაშასთან ერთად გაენადგურებინათ აჩიქბაშის მელიქი და მისი მომხრეები (**BOA, C.DH. / 8–394**). ჩილდირის შემოგარენში იმერეთის მეფე სოლომონის აჯანყების თავიდან ასაცილებლად, მეჰმედ გირა ფაშას მიენიჭა ძირითადი წოდება და დაევალა 1.000 კაციანი ქვეითი ძალის მომზადება. ხარჯებს დაფარავდა ჩილდირის დავთარდარი. ჩილდირის გამგებელს და მთავარსარდალ ნუმან ფაშას დაევალა ამ საქმის მოგვარება (**BOA, C.AS. / 616–25975**). ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში ვხედავთ, ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო მოქმედებების თავიდან ასაცილებლად, სოლომონ მეფის წინააღმდეგ ინსტრუქციებსა და ზომებს.

ქართველი მეფეები, რომლებმაც რუსეთის მხარდაჭერა მიიღეს, გამოიყენეს რუსეთ-ოსმალეთის ომი და მოქმედებაზე გადავიდნენ. 1770 წლის 15 მაისს, სოლომონმა დაიბრუნა ოსმალების ხელში არსებული ცუცხვათის ციხე. მოგვიანებით მან დაიპყრო შორაპნის ციხე. 1770 წლის 2 აგვისტოს, გენერალ ტოტლებენის დახმარებით, იმერეთის ძალებმა ოსმალეთის იმპერიისგან დაიბრუნეს ბაღდადის ციხე. ბაღდადის ციხეს ოსმალეთის 30 ჯარისკაცი იცავდა **(რეხვიაშვილი, 1982:117; დიასამიძე, 2009:16)**. ამრიგად, ოსმალეთის ხელში არსებული სამი მნიშვნელოვანი ციხე იმერეთის სამეფოს ხელში გადავიდა. შემდეგ დასავლეთ საქართველოსა და იმერეთის ყველაზე მნიშვნელოვან ქუთაისის ციხეში შევიდნენ. რუსმა ჯარისკაცებმა და სოლომონის არმიამ ალყა შემოარტყა ქუთაისის ციხესიმაგრეს. ამ დროს, ციხეში 60 თურქი ჯარისკაცი და ამის გარდა 200 კაცი იმყოფებოდა. ციხის ალყისას ქვემეხები გამოიყენეს. ტოტლებენის ბრძანებით, ქვემეხებით ნიშანში მოაქციეს მწვანეყვავილას კონცხიდან ქუთაისის ციხესიმაგრემდე ტერიტორია. ბაგრატის ტაძარს რომელიც XVII ს-ში ოსმალებმა გაანადგურეს, ამ ქვემეხებით დიდი ზიანი მიადგა. 7 აგვისტოს ქუთაისის ციხე წაართვეს ოსმალეთის იმპერიას. დაიღუპა რამდენიმე თურქი ჯარისკაცი, ზოგიც ტყვედ ჩავარდა **(რეხვიაშვილი, 1982:119; კუპრაშვილი, 2019:72)**.

ტოტლებენმა, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოქმედებდა ქართველ მეფეებთან შეთანხმებით, შემდგომში საქართველოში თვითნებური მოქმედება დაიწყო. მას აღარ აინტერესებდა ქართველი მეფეების მოსაზრებები **(კუპრაშვილი, 2019:72)**. ქუთაისის ციხის აღების შემდეგ, ტოტლებენმა განაგრძო სამხედრო ოპერაცია და აიღო ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტოვებული ანაკლიისა და რუხის ციხეები **(რეხვიაშვილი, 1982:121)**. ტოტლებენი აქედან ფოთის ციხესიმაგრეზე გადავიდა. ამასთან, მეფე სოლომონმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. 1770 წლის 3 სექტემბერს მან ალყა შემოარტყა ფოთის ციხეს, რომელიც 1771 წლის 6 თებერვლამდე გაგრძელდა, მაგრამ შედეგი ვერ გამოიღო და რუსული ჯარი სამარცხვინოდ დამარცხდა. ალყის დროს ჯარში მალარია დაიწყო. გენერალ ტოტლებენსაც შეეყარა და უკან რუსეთში გაიწვიეს **(კუპრაშვილი, 2019:72; რეხვიაშვილი, 1982:122)**.

ტოტლებენის ნაცვლად საქართველოში დაინიშნა გენერალი ალექსეი სუხოტინი (1726-1805) **(სულაბერიძე, 2015:56)**. მან გენერლის წოდება მიიღო ბალკანეთის ფრონტზე მსახურობისას, 1768-1774 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომში. გენერალი ალექსეი საქართველოში ჩამოვიდა 1771 წელს. მას ერეკლე II-მ დუშეთსა და თბილისში საზეიმო შეხვედრები მოუწყო. სოლომონმა, ერეკლემ და სუხოტინმა გადაწყვიტეს ერთად ემოქმედათ ოსმალთა წინააღმდეგ. თუმცა, საქართველოში გენერალმა წარმატებას ვერ მიაღწია. 1772 წელს, რუსეთის ბრძანებით, რუსული არმია საქართველოდან გაიყვანეს **(კუპრაშვილი, 2019:73)**.

რუსი ჯარისკაცების საქართველოდან გაყვანის შემდეგ ოსმალეთი დიდი ძალით დაესხა თავს საქართველოს. ამ დროს მათ დაიპყრეს ქვედა გურია და ქობულეთი. 1773 წლის ოქტომბერში იმერეთისა და ქართლ-კახეთის ძალებმა, ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ, ჯავახეთზე ლაშქრობა მოაწყვეს **(კუპრაშვილი, 2019:73)**. ამის საპასუხოდ, ახალციხის ფაშამ, 1774 წლის იანვარში, 2.700 ლეკი და 1.000 თურქი ჯარისკაცი გაგზავნა იმერეთში სალაშქროდ **(გოგოლაური, 2016:46)**. ერეკლე მეფემ სოლომონს 2.000 ჯარისკაცი გაუგზავნა. ორი ჯარი ჩხერის მახლობლად შეხვდა ერთმანეთს. ოსმალებმა ამ ომში მძიმე მარცხი იწვნიეს. ოსმალეთის 1.000 ჯარისკაცი დაიღუპა ბრძოლის ველზე, 600 ჯარისკაცი ტყვედ აიყვანეს, ჩხერიდან ვანახის ციხეში გაქცეულ ჯარისკაცებს შორის, გზაზე დაიღუპა კიდევ 1.400 ჯარისკაცი. 700 ჯარისკაცმა ძალიან რთულ პირობების გავლის შემდეგ, შეძლო ახალციხეში ჩაღწევა. სოლომონის ჯარში დაიღუპა 50 და დაშავდა 100 ჯარისკაცი **(რეხვიაშვილი, 1982:138)**. ამ ბრძოლი შესახებ ცნობებს ოსმალურ საარქივო დოკუმენტებშიც ვხვდებით. 1771/72 წელს ჩილდირის გამგებელი გახდა სულეიმან ფაშა, რომელიც ამ თანამდებობაზე 1790 წლამდე იყო და გარდაიცვალა მოვალეობის შესრულების დროს **(Süreyya, 1996-5:1544; İnbaşı, 2010:85)**. 1773 წლის 16 ოქტომბრით დათარიღებულ დოკუმენტში გადმოცემულია თბილისის ხან ერეკლე ხანისა და აჩიქბაშის მელიქ სოლომონის მოკავშირეობისა და ახალციხის ციხეზე შეტევის შესახებ. ამ ამბის საფუძველზე, არზრუმის მოსახლეობა, ჩილდირის გამგებლის სულეიმან ფაშას ბრძანებით, ჯარს შეუერთდა. თუმცა, რადგან მტრის დასამარცხებლად მეტი ჯარი იყო საჭირო, უფრო ბევრი ჯარისკაცის გაგზავნა დაევალა არზრუმის გამგებელსა და ყარსის

მთავარსარდალს ჰუსეინ ფაშას (**BOA, C.HR. / 76–3780**). ოსმალები მათ ხელთ არსებული მიწების შესანარჩუნებლად განაგრძობდნენ ზომების მიღებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ არ დაუკარგავთ მიწები, თუმცა მტერიც ვერ დაამარცხეს.

მეფე სოლომონმა ჩხერის ბრძოლის შემდეგ, 1774 წლის ნოემბერში, დავით კვინიხიძის მეთაურობით, ელჩობა გაგზავნა რუსეთში. მან რუსეთს სთხოვა დაცვა და დახმარება ოსმალების წინააღმდეგ. თუმცა, ამ დროს დასრულდა ოსმალეთ-რუსეთის ომი და ხელი მოეწერა შეთანხმებას. ამ მიზეზით, იმერეთმა კვლავ უარყოფითი პასუხი მიიღო, რადგან რუსეთს ახლად დამთავრებული ომის შემდეგ, ოსმალეთთან ურთიერთობის გაფუჭება არ უნდოდა (**რეხვიაშვილი, 1982:139**).

ოსმალეთის იმპერიასა და რუსეთს შორის 1774 წლის 26 ივლისს ხელი მოეწერა ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულებას და ომიც დასრულდა (**Beydilli, 2002:524**). გადავხედოთ 28 პუნქტისგან შემდგარი ხსენებული ხელშეკრულების ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტებს. ხელშეკრულების თანახმად, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე მცხოვრები ყირიმისა და აზოვის ზღვის გარშემო მცხოვრები ყველა თათარი თავისუფალი იქნებოდა ოსმალეთის სულთნის ბატონობისგან. მათგან აზაკი, ქერჩი და კილბურუნის ციხეები დარჩებოდა რუსეთს. ეს უკანასკნელი იქნებოდა ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვრებში მცხოვრები მართლმადიდებელი ხალხის დამცველი. ოსმალეთის ქვეყანაში მცხოვრები რუსები და რუსი ვაჭრები პრივილეგირებულნი იქნებოდნენ. ოსმალები რუსეთს გადაუხდიდნენ ბრძოლის საფასურს 15.000 ქისას (4,5 მილიონი რუბლი) სამ ნაწილად. რუსეთმა ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულებით შავი ზღვის სანაპიროებამდე მიაღწია. რუსეთმა ყირიმის სახანოს შეერთების მიზნით პირველი ნაბიჯი გადადგა. მომდევნო პერიოდში ყირიმის სახანო, რუსეთის სამიზნე გახდა. რუსეთს შესაძლებლობა მიეცა ჩარეულიყო ოსმალეთის საშინაო საქმეებში, როგორც ოსმალეთის საზღვრებში მცხოვრები მართლმადიდებლების მფარველი (**Kurat, 1987:290-291; Beydilli, 2002:526; Hammer, 2008-16:241-242**). გარდა ამისა, რუსეთის ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულებით მართლმადიდებლებზე მფარველობის უფლების მოპოვება გახდა მიზეზი "აღმოსავლეთის საკითხის" დაწყების, რომელიც 1914 წლამდე გაგრძელდა. აღნიშნული ზავი არის ყველაზე მნიშვნელოვანი, მრავალ იმ ხელშეკრულებებს

შორის, რომლებიც ოსმალეთსა და რუსეთს შორის 200 წლის განმავლობაში ფორმდებოდა. მან საფუძველი ჩაუყარა ხელშეკრულებებს, რომლებსაც ხელი შემდეგ საუკუნეში მოეწერა **(Şahin, 2002:858)**.

ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულების 23-ე მუხლი ეხებოდა დასავლეთ საქართველოს, კერძოდ იმერეთის სამეფოს. შეთანხმების ამ მუხლით, დასავლეთ საქართველო ოსმალეთის იმპერიის ბატონობის ქვეშ რჩებოდა **(სანაძე, 2018:643; მჭედლიძე, 2013:272)**. ამასთან, აიკრძალა რუსეთის მხარეს მემბრძოლი საქართველოს სამეფოსა და მისი სამთავროს დასჯა. ოსმალეთი საქართველოში ქრისტიანობის საკითხში არანაირად არ ჩაერეოდა. იგი არანაირი ფორმით იმერეთიდან არ აიღებდა ფულისა და ტყვეების სახით გადასახადს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პუნქტით იმერეთი ოსმალეთის მმართველობაში რჩებოდა, პუნტქის სხვა პირობების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ იმერეთისთვის ეს წარმატებულიც კი იყო. ასევე ამ ხელშეკრულებით, ოსმალებმა კვლავ მოიპოვეს უფლება ქუთაისის, შორაპნისა და ბაღდადის ციხესიმაგრეების უკან დაბრუნების. თუმცა, მან ვერ გამოიყენა ეს უპირატესობა, რადგან სოლომონმა ეს ციხეები (1770 წ.) დაანგრია. ოსმალებს ამ ციხეებისთვის ბრძოლის სურვილი არ ჰქონდათ **(რეხვიაშვილი, 1982:140)**.

ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულებამდე, 1774 წლის 21 იანვარს ოსმალეთის სამეფო ტახტზე ცვლილება მოხდა. გარდაიცვალა მუსტაფა III და მის ადგილას ავიდა აბდულჰამიდ I (1774-1789) **(Aktepe, 1988:213-214)**.

შეიძლება ითქვას, რომ ოსმალეთსა და იმერეთის მეფე სოლომონს შორის დაძაბულობა გარკვეულწილად შემცირდა. უფრო მეტიც, ოსმალეთს სურდა მეგობრული ურთიერთობის დამყარება სოლომონთან, რადგან რეგიონში თანდათანობით იწყებოდა რუსეთის ბატონობის გაზრდა. ოსმალეთის იმპერიამ ბრძანებაც კი გამოსცა, სადაც ნათქვამი იყო, რომ აჩიქბაშის მელიქი სოლომონი იქნა მიტევებული და ხელახლა დაინიშნა, როგორც მეფე და, რომ არ უნდა განხორციელებულიყო რაიმე მტრული მოქმედება მის წინააღმდეგ და არ უნდა ჩარეულიყვნენ მის საქმეებში **(BOA, AE.SABH.I. / 202–13508)**. ამ დოკუმენტიდან ვხედავთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ოსმალეთისთვის სოლომონთან კარგი

ურთიერთობების დამყარება. აქვე გვხდება ის საკითხი, რომელსაც ხშირად ვიყენებთ დისერტაციის სხვა ნაწილებში. ოსმალეთის იმპერიას არ სურდა სამხრეთ კავკასიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის ადგილის, იმერეთის სამეფოს დაკარგვა.

1774 წელს ქუჩუქ-კაინარჯის ზავის შემდეგ, სოლომონი დასავლეთ საქართველოში საკითხების მოსაგვარებლად მოქმედებაზე გადავიდა. მან დაიმორჩილა გურია და სამეგრელო. სამეგრელოს ეკლესია კვლავ დაემორჩილა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს. ამასთან, იმერეთში ფეოდალების ჯგუფი კვლავ გარკვეულ საკითხებში სოლომონის წინააღმდეგი იყო, რადგან ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმატებით იბრძოდა ოსმალეთის წინააღმდეგ. ქუჩუქ-კაინარჯის ზავის შემდეგ, მან ასევე დაიმორჩილა იმერეთის ორი დიდი სამთავრო, გურია და სამეგრელო. ეს ნაბიჯები მნიშვნელოვნად აძლიერებდა სოლომონ მეფის უფლებამოსილებას. მეფის წინააღმდეგ მოქმედი ოპოზიციური ჯგუფი, ძალზე შეშფოთებული იყო მეფის ამ წარმატებებით, რადგან მათ ინტერესებს საფრთხეს ექმნებოდა. ოპოზიციური ჯგუფი მეფის წინააღმდეგ მისი შვილის ალექსანდრეს მხარდაჭერას გეგმავდა (**კუპრაშვილი, 2019:75**).

მეფის წინააღმდეგ შეთქმულების სათავეში იყვნენ სახლთუხუცესი დავით აბაშიძე და მოურავი თამაზ მესხი. გარდა ამისა იმერეთის გავლენიანი პირები. ესენი იყვნენ: მერაბ ნიჟარაძე, ევგენი აბაშიძე, სვიმონ მიქელაძე, ალექსანდრეს მამიდაშვილები: ბეჟანი, ვახუშტი, გიორგი, დოსითეოსი და ქველი წერეთლები (მაშინდელი იმერეთის სამეფოს ზეპურიერი) (**კუპრაშვილი, 2019:76-77**).

მეფე სოლომონისთვის ისტორია განმეორდა. ტახტის პირველად დაკავებისას განცდილი ღალატი, კვლავ განიცადა. ტახტზე ასვლიდან 30 წლის შემდეგ, მეფის ოჯახის წევრებმა კიდევ ერთხელ შექმნეს ალიანსი მის წინააღმდეგ. მათი მიზანი მეფის ტახტიდან ჩამოგდება და უფლისწულ ალექსანდრეს გამეფება იყო. აჯანყებულებმა პირველ რიგში მიაღწიეს სერიოზულ წარმატებებს და აიღეს ლომსიათხევის მხარე, ჩხერის ციხე და საწერეთლოს მნიშვნელოვანი ნაწილი. საბოლოო ჯამში ისინი დამარცხდნენ და უარი განაცხადეს თავიანთ მიზანზე. სოლომონმა უამრავი ჯარისკაცი შეაგროვა ხალხისგან და წულუკიძეებისა და წერეთლების დახმარებით აჯანყებულებს მძიმე მარცხი აწვნია. სოლომონ მეფის ამ

წარმატების შემდეგ, მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა. მან იმერეთიდან განდევნა აჯანყებულები, რომლებმაც თავი ახალციხის ფაშას შეაფარნენ. სოლომონმა ასევე ზოგი აჯანყებული სხვადასხვა გზით დასაჯა. მან თვალები დათხარა მერაბ ნიჯარაძე. ბეჟან წერეთელსა და მის ძმებს წაართვა მიწები. გიორგის ვაჟი, დავითი იმერეთიდან გააძევა. ამის შემდეგ, იმერეთში ძალიან გაიზარდა წერეთლებისა და წულუკიძეების გავლენა (**კუპრაშვილი, 2019:78-79; ჩხატარაიშვილი, 1973-3:664-665**). სოლომონისგან გაქცეულ და ოსმალებთან თავშეფარებული თავადების შესახებ ცნობებს ვხდებით ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში. 1780 წლის 4 იანვრით დათარიღებულ დოკუმენტში ჩანს, რომ სოლომონისგან გაქცეულ თავადებს ოსმალეთის იმპერია ხელფასს აძლევდა (**BOA, C.HR. / 77–3810**).

სოლომონ მეფემ მხოლოდ საკუთარი შვილი არ დასაჯა სასტიკად. უფლისწულ ალექსანდრეს ცოლი ევგენი აბაშიძის ქალიშვილი იყო, მაგრამ ალექსანდრეს სიმამრი მათ შორის იყო, ვინც მეფის წინააღმდეგ შეთქმულ იქნა. ამ მიზეზით მეფემ თავის ვაჟს ცოლად შერთო წულუკიძის ასული დარეჯანი. ქართლ-კახეთში თავშეფარებული ალექსანდრე ძალიან შეაწუხა მამის ამ გადაწყვეტილებამ. 1780 წელს ალექსანდრე მოულოდნელად გარდაიცვალა. ზოგიერთი მკვლევარი ამბობს, რომ ამ იდუმალი სიკვდილის უკან მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილენი დგანან, რადგან შეთქმულთა შორის მხოლოდ ალექსანდრე არ იქნა დასჯილი. ამ სიკვდილის შემდეგ სოლომონ მეფეს მემკვიდრე აღარ დარჩა, ამიტომ მან შვილიშვილი გიორგი თავის მეურვეობის ქვეშ აიყვანა (**კუპრაშვილი, 2019:80**).

ქუჩუქ-კაინარჯის ზავის შემდეგ რუსეთის მმართველობამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავი მიანება საქართველოს პრობლემებს. მათ ყურადღება ევროპაზე ჰქონდათ გადატანილი. ქართველ მეფეთა დახმარების თხოვნები უპასუხოდ რჩებოდა, ამიტომ, როდესაც ქართლ-კახეთის მეფემ რუსეთისგან მხარდაჭერა ვერ მიიღო, ოსმალეთისკენ შებრუნდა და 1777-1778 წლებში სტამბოლში დესპანი გაგზავნა (**კუპრაშვილი, 2019:81**).

სოლომონ მეფემ, ერეკლე მეფის ოსმალებთან დაახლოება, მის წინააღმდეგ მტრობად მიიჩნია. ის აპირებდა ერეკლეს წინააღმდეგ პოლიტიკური მტრის გამოყენებას. ეს პიროვნება იყო ბესარიონ გაბაშვილი, პოეტ ზაქარიას შვილი,

რომელიც იმერეთის სამეფოში იყო გადასახლებული. სოლომონმა 1778 წლის 10 აგვისტოს, რუსეთის გავლით ბესარიონი ირანში გაგზავნა. მის ამოცანას წარმოადგენდა უფლისწულ ალექსანდრეს ქართლის ტახტზე ასაყვანად პროპაგანდის გაწევა. ამ პერიოდში ირანის შაჰი იყო ქერიმ ხან ზენდი. თუმცა იმერეთის ელჩმა ვერ მოახერხა შაჰის ნახვა, რადგან იგი გარდაიცვალა სანამ ელჩი ირანში ჩავიდოდა. დესპანი საქართველოში 1779 წელს დაბრუნდა (**კუპრაშვილი, 2019:82**). ალექსანდრე, რომელმაც მხარდაჭერა ვერ იპოვა, 1782 წლის დასაწყისში იძულებული გახდა იმერეთი დაეტოვებინა. ერეკლესა და სოლომონის მტრობა ასახულია ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში. არზრუმის გამგებლის, ვეზირ მუსტაფა ფაშას წერილში ნათქვამია, რომ სოლომონისა და ერეკლეს ერთმანეთი სძულდათ (**BOA, HAT. / 17–733**). ოსმალეთი ყურადღებით აკვირდებოდა საქართველოში განხორციელებულ მოვლენებს. დოკუმენტიდან ჩანს, რომ საქართველოს ორ, ყველაზე მნიშვნელოვან მეფეს შორის ურთიერთობას დაუყოვნებლივ ატყობინებდნენ სტამბოლს.

ამ დროს, ოსმალეთის იმპერიამ დაიწყო იმერეთის შიდა საქმეებში ჩარევა. სამეგრელოს სამთავრო ცდილობდა იმერეთიდან შორს დგომას (**ჩხატარაიშვილი, 1973-3:665**). 1779 წელს ოსმალეთმა გარიგება დადო აფხაზეთთან და დიდი ლაშქრით მოულოდნელად შევიდა სამეგრელოში. ჯარში იყვნენ ცხენოსნები, არტილერია, ქვეითი (**რეხვიაშვილი, 1982:153**). როგორც კი სოლომონ მეფემ ეს ამბავი გაიგო მაშინვე დაიწყო ჯარის შეკრება. ამ ბრძოლას, რომელიც 1779 წელს ოსმალეთსა და იმერეთს შორის განხორციელდა, ეწოდა რუხის ბრძოლა, რადგან ბრძოლა დაიწყო რუხის ციხესა და ზუგდიდს შორის. მეფე სოლომონი ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა (**კუპრაშვილი, 2019:84; ჩხატარაიშვილი, 1973-3:665**). რეხვიაშვილის თქმით, ბრძოლა 1780 წლის მარტში მოხდა და მტრის დიდი ნაწილი დაიღუპა და ტყვედ ჩავარდა, ხოლო დანარჩენებმა გაქცევით უშველა თავს (**რეხვიაშვილი, 1982:154**). 1780 წლის 5 მაისს სტამბოლში გაგზავნილ ერთ შეტყობინებაში ნათქვამია, რომ თბილისის ხანი ერეკლე და აჩიქბაშის მელიქი სოლომონი რუსებთან კავშირს შეკრავდნენ და ახალციხეს თავს დაესხმებოდნენ (**BOA, TS.MA.e / 500–19**). ეს ცნობა შეიძლება უკავშირდებოდეს რუხის ბრძოლას.

ამის შემდეგ, გურიასა და იმერეთს შორის ქორწინებით ნათესაური კავშირები დამყარდა, ასე რომ, ურთიერთობა გარკვეული პერიოდი მშვიდობით მიმდინარეობდა. ამასთან, დამყარდა მეგობრული ურთიერთობები სხვა სამთავროებთან (**რეხვიაშვილი, 1982:154**).

ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულების შემდეგ ოსმალებმა დაკარგეს ბატონობა ყირიმზე, შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროებზე, ყუბანის ველსა და ჩერქეზეთზე (**კუპრაშვილი, 2019:85-86**). ოსმალები შავი ზღვის სანაპიროზე კონტროლის დასაცავად მოქმედებაზე გადავიდნენ და ფოთში დანიშნეს სასახლის მთავარი მცველი. ამრიგად, ის აიღებდა საზღვრებთან მდებარე ციხესიმაგრეებს, რომელთა საშუალებითაც გაზრდიდა თავის ბატონობას შავი ზღვის სანაპიროზე და კვლავ დაიპყრობდა იმერეთს (**რეხვიაშვილი, 1982:157**). ამ მიზნით, ოსმალეთის იმპერიამ დაიწყო თავისი ციხეების გამაგრება შავი ზღვის სანაპიროზე. მან ასევე დაასახლა ქურთები ბათუმ-ქობულეთის დაბლობებზე (**ჩხატარაიშვილი, 1973-3:666**). მეფე სოლომონმა ამის საპასუხოდ 1781 წლის ივლისში აჭარას შეუტია, მაგრამ სრული გამარჯვება ვერ მოიპოვა და უკან დაბრუნდა (**კუპრაშვილი, 2019:86-87**), რადგან იმერეთიდან აჭარის კონტროლი რთული იყო ბუნებრივი საზღვრების გამო (**რეხვიაშვილი, 1982:157**).

1783 წლის 24 ივნისს ჩრდილო კავკასიის ციხე გეორგიევსკში, რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-სა და ქართლ-კახეთის მეფე ირაკლის შორის ხელი მოეწერა 13 პუნქტიან გეორგიევსკის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულებით ქართლ-კახეთის სამეფო დაქვემდებარებულ იქნა რუსეთზე (**Türker, Soofizahed, 2015:154-155; Temizkan, 2006:450; Berkok, 1958: 373-374**).

მას შემდეგ, რაც გეორგიევსკის ხელშეკრულება რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის გაფორმდა, სოლომონმაც დაიწყო რუსეთთან მსგავსი შეთანხმების შესახებ ინიციატივები. მას სურდა რუსეთის მმართველობის ქვეშ მოქცევა, მაგრამ რუს სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ. ის ფაქტი, რომ იმერეთმა რუსეთთან დაახლოება დაიწყო, ოსმალეთი გააკვირვა, რადგან ოსმალეთს არ სურდა რუსეთი სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასია) გაბატონებულიყო. ამის გამო, მან

დაუყოვნებლივ გაგზავნა დესპანი იმერეთში. ოსმალეთის ელჩები იმერეთში 1783 წლის 1 ნოემბერს ჩავიდნენ და შეხვდნენ მეფეს. ოსმალეთის სოლომონს თხოვდა რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტას. თუმცა, მეფემ აღნიშნული უარყო. მეფეს კატეგორიულად ჰქონდა გადაწყვეტილი რუსეთის ქვეშევდომობის ქვეშ შესვლა (ჩხატარაიშვილი, 1973-3:667).

ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში ასევე ვხვდებით ცნობებს გეორგიევსკის შეთანხმების შემდეგ რეგიონში მიმდინარე მოვლენბისა და რუსეთისა და საქართველოს სამეფოების ურთიერთობების შესახებ. ჩილდირის გამგებლის, სულეიმან ფაშას მიერ დიდვეზირისთვის 1783 წლის აგვისტოში გაგზავნილ წერილში გადმოცემულია, რომ რუსეთი ვერ შეძლებდა ვიწრო გზების გამო იმერეთისა და თბილისის მხარეებს თავს დასხმოდა, ამიტომ ისინი ცდილობდნენ გზების გაფართოებას. გარდა ამისა, ის იტყობინებოდა, რომ განაგრძობდა კარგი ურთიერთობების დამყარებას ერეკლესა და სოლომონთან (BOA, HAT. / 12-445). სულეიმან ფაშას მიერ დიდვეზირისთვის გაგზავნილ სხვა დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსები თბილისში არ ჩამოვიდნენ და იმყოფებოდნენ ჩერქეზების მხარეში. გარდა ამისა, ნათქვამია, რომ მეფე ერეკლესა და სოლომონს შორის მეგობრული ურთიერთობა იყო და ამ ორი მეფის მოქმედებები სტამბოლს ეცნობებოდა (BOA, HAT. / 12–445–A-1). სულეიმან ფაშამ შეატყობინა, რომ თბილისი და აჩიქბაშის ხანები რუსეთს უახლოვდებოდნენ (BOA, HAT. / 10-333A-1; HAT. / 10-333B-1). ერთ-ერთ დოკუმენტში, ნათქვამია, რომ რუსებმა შეაკეთეს ჩერქეზების კუთვნილი გზა და რომ მეფეები ერეკლე და სოლომონი უახლოვდებოდა რუსეთს (BOA, HAT. / 10-333H). ამჯერად, სტამბოლიდან ჩილდირისა და არზრუმის გამგებლებისთვის გაგზავნილი ბრძანების შესაბამისად; მათ მოთხოვეს მიეწოდებინათ ცნობები, თბილისის ხანი ერეკლეს, აჩიქბაშის ხან სოლომონის, რუსების და ირანელების მდგომარეობის შესახებ. სტამბოლიდან გაგზავნილ ამ ბრძანებაში ასევე არის შენიშვნა, რომ სულთან აბდულჰამიდ I თავად სთხოვდა არზრუმისა და ჩილდირის გამგებლებს, ეზრუნათ ამ საკითხზე, არ დაეტოვებინათ უყურადღებოდ, მიენიჭებინათ მნიშვნელობა და საქმე წარმატებით დაესრულებინათ (BOA, HAT. / 18-820). სხვა დოკუმენტში არის ბრძანება, რუსეთის მიერ თბილისზე ჯარის გაგზავნის, ერეკლესა და სოლომონის

მდგომარეობის და სულთან აბდულჰამიდ I-ის მისაღები ზომების შესახებ (**BOA, HAT. / 19-908**). საქართველოსთან დაკავშირებულ ამ დავალებებში პირადად ფადიშაჰის შენიშნვის არსებობა გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ოსმალეთის იმპერიისთვის ეს საკითხი. ჩილდირის გამგებლის, სულეიმან ფაშას მიერ ფოთის, სოხუმის, სოღუჯაქის, ახალციხისა და მიმდებარე ციხეების მეთაურებისთვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ რუსეთმა ჯარი გაგზავნა თბილისსა და აჩიქბაშში და, რომ აზერბაიჯანელი ხანების მეგობრობას არ ენდობოდა (**BOA, HAT. / 25-1251-J-1**).

დაიწყო მჭიდრო ურთიერთობის დამყარება იმერეთის სამეფოსა და გურიის სამთავროს შორის. ოსმალეთს არ მოსწონდა ეს ახლო ურთიერთობები, რადგან არასდროს ჰქონია სურვილი საქართველოს მეფის და მთავრების ერთმანეთთან დაახლოების. იგი წინააღმდეგი იყო მის წინააღმდეგ კავშირის დამყარების. ამ მიზეზით ოსმალეთის მმართველობამ ახალციხის ფაშას დაავალა გურიაზე თავდასხმა და სთხოვა გურიის დარბევა. აჭარის მთავარმა აბდულ ხიმშიაშვილმა, რომელიც გამუსლიმანებული ქართველი იყო, 1784 წელს ოსმალთა ბრძანებით შეუტია გურიას. თუმცა, მისი არმია მძიმედ დამარცხდა და თავად კი ბრძოლაში დაიღუპა. სოლომონმა, აჭარის ბატონის ამ თავდასხმის გამო ახალციხის ფაშას შესჩივლა. ფაშამ კი პასუხად შეუთვალა, რომ ის აჭარლებთან ვერაფერს აწყობდა და ვერაფერს გააკეთებდა (**რეხვიაშვილი, 1982:167-168; ჩხატარაიშვილი, 1973-3:667-668**). ამ თავდასხმაზე საპასუხოდ, 1784 წლის გაზაფხულზე ქვედა გურიის ოსმალეთისგან დახსნის მიზნით, სოლომონი მოქმედებაზე გადავიდა. მის ჯარში 6.000 კაცი იყო. ამ ჯარში შედიოდნენ როგორც იმერლები, ასევე გურულები. 1784 წლის 4 მარტს, სოლომონ მეფის მეთაურობით ჯარი ქვემო გურიაში შევიდა. აიღო ქობულეთის მხარე და ქობულეთის ციხე დაანგრიეს. ციხესთან მცხოვრები თურქები, მეფის ბრძანებით დახოცეს. სოლომონის ლაშქარმა მთელი ტერიტორია დაწვა და გაანადგურა ყველა ოსმალური ნაგებობა ისე, რომ ოსმალთა გავლენა აღარ აღმდგარიყო. შემდეგ ჩაქვში ჩავიდა, გააძევა აქედან თურქები და დაიკავა ბათუმი. უკან დაბრუნებისას, 9 მარტს, ჯარი ციხისძირთან ნაჭიშკრევის ვიწრო გადასასვლელში მოექცა. ეს გადასასვლელი ტყის მხარე იყო. ოსმალები სოლომონის

ჯარს ორივე მხრიდან ცეცხლით უტევდნენ. იმერეთის ჯარში დიდი დანაკლისი განიცადა და მეფე და მისი გარემოცვა ტყვედ ჩავარდნას გადაურჩა და მამია გურიელის დახმარებით გაიქცნენ. ამ ბრძოლის შემდეგ, ახალციხის ფაშამ ოსმალეთის ჯარი გურიაში გაგზავნა. ჯარმა ყველაფერი გაანადგურა და ბევრი ტყვე ჩაიგდო ხელში. ქობულეთი ოსმალეთის მმართველობის ქვეშ მოექცა და ასე გაგრძელდა 1878 წლამდე (**რეხვიაშვილი, 1982:168-169; კუპრაშვილი, 2019:88-89; ჩხატარაიშვილი, 1973-3:668-669**).

ამ ბრძოლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, 1784 წლის 23 აპრილს, სოლომონი გიორგობის დღესასწაულის გამო ქუთაისიდან ხონში მიემგზავრებოდა. ცხენზე ყოფნისას მან დაკარგა წონასწორობა, ცხენიდან გადმოვარდა და იმერეთის მეორე დამაარსებელი, მეფე სოლომონ I 49 წლის ასაკში, ტრაგიკულად გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს გელათის მონასტერში. მისი გარდაცვალების ამბავი ოსმალებისთვის ძალიან სასიხარულო იყო. ოსმალეთის ვეზირმა ძვირფასი ხალათი და საჩუქრებიც გაუგზავნა სტამბოლისთვის ამ ამბის მაცნე ახალციხის ფაშას (**რეხვიაშვილი, 1982:170; ჩხატარაიშვილი, 1973-3:670**).

ამგვარად დასრულდა ერთი ეპოქა იმერეთის ისტორიაში. მეფე, რომელიც 1752 წელს ტახტზე ასვლის შემდეგ იმერეთისა და დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, გარდაიცვალა. მის დროს, იმერეთის სამეფოს ურთიერთობები ოსმალეთთან, ძირითადად, მტრული იყო. ჩვენ შევეცადეთ, ხსენებული პერიოდი გადმოგვეცა ქართულ და თურქულ წყაროებზე. აღსანიშნავია, რომ სოლომონამდე იმერეთის მეფეები, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მმართველობის შესანარჩუნებლად ოსმალეთს მიმართავდნენ, სოლომონ მეფემ სხვა გზას მიმართა. ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის დასაბუთებული მიზეზების ახსნით, მან ოსმალეთი აიძულა ის ეცნო იმერეთის კანონიერი მეფედ. ამასთან, იმერეთი ამ პერიოდში არაერთხელ ეცადა რუსეთთან დაახლოებას, მაგრამ ამის მიღწევა მუდმივად ვერ შეძლო. რუსეთის ინტერესები მოგვიანებით გაირკვა, 1783 წლის გეორგიევსკის ხელშეკრულებით, რომლის შემდეგაც რუსეთი შეუდგა საქართველოს ოკუპაციის გეგმის მზადებას. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ XVIII

ს-ის მეორე ნახევარი არის პერიოდი, როდესაც იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობებში ყველაზე მეტ ბრძოლას ჰქონდა ადგილი.

1784 წელს, სოლომონ I-ის დაღუპვასთან ერთად, სამეფო განსხვავებულ ეპოქაში შევიდა. ამ დროს, სოლომონ I-ის დროს არსებული ტახტისთვის ბრძოლა კვლავ განმეორდა. 1783 წელს გაფორმებული გეორგიევსკის შეთანხმების შემდეგ, ქართლ-კახეთის რუსეთის მმართველობაში შესვლისთანავე, რუსეთი ოფიციალურად გამოჩნდა ქართულ ტერიტორიებზე. ამ ვითარებამ ოსმალები უკიდურესად შეაწუხა. სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ რუსეთმა, რომელიც რეგიონში გავლენით სარგებლობდა, დროდადრო იმერეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში დაიწყო გამოჩენა.

იმერეთში ტახტისთვის ბრძოლა და ამ ბრძოლაში ფეოდალებისა ჩარევა საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. ამჯერად, ამ ბრძოლის მიზეზი სოლომონი I-ს გარდაცვალება იყო, რადგან მემკვიდრე არ ჰყავდა. მის წინააღმდეგ აჯანყებული ვაჟი ალექსანდრე 1780 წელს გარდაიცვალა. ალექსანდრეს ჰყავდა უკანონო შვილი, სახელად გიორგი, მაგრამ ტახტზე ასვლის უფლება არ ჰქონდა. სოლომონ მეფემ, ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, მისი ძმის არჩილის შვილი, დავითი მემკვიდრედ გამოაცხადა. 1784 წელს სოლომონის გარდაცვალებისას, მისი ძმისშვილი დავითი 12 წლის იყო, რომელიც ქართლ-კახეთის მეფესთან, ერეკლე II-სთან იზრდებოდა **(კუპრაშვილი, 2019:90)**. ამასთან, დიდბატონებს არ სურდათ სოლომონის მიერ მემკვიდრედ გამოცხადებული 12 წლის დავითის გამეფება. ამ თავადების წყალობით, 1784 წლის 30 აპრილს ტახტზე ავიდა სოლომონ მეფის ბიძის, გიორგის ძე დავითი **(სამსონაძე, 2020-3:431)**. იგი ამ დროს 29 წლის იყო **(რეხვიაშვილი, 1982:172)**.

დავითმა, იმერეთის ახალმა მეფემ, პირობა დადო, რომ განახორციელებდა სოლომონ მეფის პოლიტიკას. ის აძლიერებდა თავის უფლებამოსილებას, რათა დამოუკიდებლად ემოქმედა ქვეყნის შიგნით. ერთის მხრივ, ოსმალეთის გავლენისგან თავის დაღწევის მიზნით, იმერეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობების გაგრძელება სურდა, რაც ოსმალეთის ინტერესს ეწინააღმდეგებოდა. საქართველოში

ფეხმოკიდებულ რუსეთს გავლენა ჰქონდა იმერეთზე, რომელიც მას საუკუნეების განმავლობაში ეჭირა (**კუპრაშვილი, 2019:91**).

ოსმალთა აზრით, საჭირო იყო დავით მეფის ტახტიდან ჩამოგდება, რომელსაც კატეორიულად სურდა რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება. ის, ვინც ტახტზე ავიდოდა, უნდა მიეღო ოსმალეთის ბატონობა და განეხორციელებინა ოსმალეთის სასურველი პოლიტიკა. იმერეთის ტახტისთვის ოსმალეთმა ორი კანდიდატი შეარჩია. ესენი იყვნენ: ლევან აბაშიძის ვაჟი, ქაიხოსრო და რაჭის ერისთავის ვაჟი გიორგი. ამ კანდიდატებს შორის, ოსმალებმა ქაიხოსროზე შეაჩერა არჩევანი და 1784 წლის შემოდგომაზე 12.000 ჯარისკაცით, გამეფების მიზნით, იმერეთში გაგზავნა. ოსმალეთის მიერ იმერეთში ჯარების გაგზავნამ, გამოიწვია საქმეში რუსეთის ჩარევა. დედოფალი ეკატერინე, 1784 წლის ოქტომბერში სტამბოლში მყოფი თავის ელჩისადმი გაგზავნილ წერილში ატყობინებდა, რომ გადაეფიქრებინა ოსმალეთისთვის ეს სამხედრო ოპერაცია და თუ ისინი ქაიხოსრო აბაშიძეს იმერეთის მეფედ გამოაცხადებდნენ, მათ შორის ხელშეკრულება დაირღვევოდა. თუმცა, ამ გაფრთხილებამდე, ოსმალებმა გურიასა და ოზურგეთში მრავალი ადგილი დაარბიეს (**რეხვიაშვილი, 1982:184-187**). 1785 წელს რუსეთის ჩარევის შედეგად ოსმალებმა უკან დაიხიეს და ქაიხოსროს მეფედ დანიშვნა გადაიფიქრეს. ოსმალთა თავდასხმის პირისპირ იმერეთის მეფე დავითის გვერდით მთელი იმერეთის თავადები იდგნენ (**კუპრაშვილი, 2019:91**).

ქაიხოსროს საკითხი ასევე შედის იმ პერიოდის ოსმალურ წყაროებში. აჰმედ ვასიფის გადმოცემის თანახმად, იმერეთის მეფის სოლომონის გარდაცვალების შემდეგ გადაწყდა, რომ ლევანის ვაჟი ქაიხოსრო, რომელიც ოსმალეთში სტუმრად იმყოფებოდა, იმერეთის მეფე გახდებოდა. ამ მიზეზით, ქაიხოსრო გაგზავნეს არზრუმის გამგებელ ჯანიქლი ალი ფაშასთან. მან ქაიხოსროს გადასცა 7-8 ათასი ჯარისკაცი, ამ მეთაურად დანიშნა მისი დამხმარე და გაგზავნა იმერეთში (**Vasıf, 1994:189**). იმ პერიოდის ოსმალური წყაროს თანახმად, ქაიხოსროს დაქვემდებარებაში მყოფი ჯარისკაცების რაოდენობა 7.000-დან 8.000-მდეა. ქართულ წყაროებში ეს რიცხვი მოცემულია, როგორც 12.000.

1784 წლის შემოდგომაზე ოსმალეთის მიერ ჯარის იმერეთში განლაგებამ, იმერეთის რუსეთთან უფრო მეტი დაახლოება გამოიწვია. მეფე დავითმა 1784 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში რუსეთში ელჩები გაგზავნა, რომლებიც სანკტ-პეტერბურგში დეკემბრის შუა რიცხვებში ჩავიდნენ და 29 დეკემბერს შეხვდნენ ფალ ეკატერინე II-ს. იმერეთის რუსეთისგან დავითის მეფედ აღიარებას, იმერეთის რუსეთის მმართველობის ქვეშ შეყვანას და ოსმალების წინააღმდეგ დახმარებას ითხოვდა **(ჩხატარაიშვილი, 1973-4:744)**. თუმცა, 1774 წელს გაფორმებული ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულების 23-ე მუხლით, ოსმალეთის იმპერიამ რუსეთს აღიარებინა, რომ იმერეთი მისი გავლენის ქვეშ ყოფილიყო. ამ მიზეზის გამო, რუსეთს არაფერი შეეძლო მის დაცვასთან დაკავშირებით. 1785 წლის ოქტომბერში ელჩები, რომლებმაც ეკატერინე II-სგან პასუხი ვერ მიიღეს, 1786 წელს უკან დაბრუნდნენ **(რეხვიაშვილი, 1982:188-191)**. იმერეთის სამეფო, როგორც ყოველთვის ცდილობდა თავი რუსეთისთვის შეეფარებინა. თუმცა, როგორც ვხედავთ, ისტორია განმეორდა და რუსეთისგან ვერ მიიღო მოსალოდნელი დახმარება.

1784 წელს, სოლომონ I-ის სიკვდილის შემდეგ, იმერეთში განვითარებული მოვლენები, ასევე ასახულია ოსმალურ საარქივო დოკუმენტებშიც. 1785 წლის აპრილით დათარიღებულ დოკუმენტში გადმოცემულია, რომ იმერეთის მეფე სოლომონის გარდაცვალების შემდეგ, ხალხი სამ ნაწილად გაიყო. სოლომონის მომხრეები არ ემორჩილებოდნენ მომდევნო მეფეს დავითს. მათ კავშირი შეკრეს თბილისის ხან ერეკლესთან. დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ დავით მეფე იყო რუსეთის მომხრე. გადაწყდა ქაიხოსროს დანიშვნა საქართველოს სახანოში. აჩიქბაშის ხელმძღვანელობაში განაცხადეს, რომ დადიანი ერთგული იყო სახელმწიფოს მიმართ. ეს საკითხები სტამბოლს აცნობეს არზრუმის გგამგებლის, ჰაჯი ალი ფაშას მიერ გაგზავნილი ოფიციალური წერილით. დოკუმენტში ასევე შედის სულთან აბდულჰამიდ I-ის მოსაზრება მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით. მან ბრძანა, რომ თუ დავითი იმერეთის მეფედ დარჩებოდა და იმერეთი დაექვემდებარებოდა რუსეთს, უნდა გატარებულიყო ზომები ამის თავიდან ასაცილებლად **(BOA, HAT. / 25-1228)**. როგორც საარქივო დოკუმენტიდან ჩანს, ოსმალეთი თვალყურს ადევნებდა იმერეთში განვითარებულ მოვლენებს. უფრო მეტიც, ეს საკითხი ოსმალეთის

იმპერიისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ სულთან აბდულჰამიდმა პირადად იზრუნა ამ საკითხზე და ბრძანებები გასცა. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ოსმალეთი ყურადღებით აკვირდებოდა იმერეთის ურთიერთობებს რუსეთთან და ქართლ-კახეთთან. მას არ სურდა იმერეთი დაახლოებოდა რუსეთსა და ქართლ-კახეთს. ამ მიზეზის გამო, იმერეთის ტახტზე ისეთი მეფე სურდა, ვინც იმოქმედებდა მისი პოლიტის შესაბამისად და დაექვემდებარებოდა ოსმალეთის მფარველობას. როგორც სხვა წყაროებში ვხედავთ, ამ საქმისთვის არჩეული პირი იყო ლევან აბაშიძის ძე, ქაიხოსრო. თუმცა ოსმალეთის ეს მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა.

იმ დროს, როდესაც ოსმალეთი იმერეთს ემუქრებოდა, მეფის გვერდით მდგომმა თავადებმა, საშიშროების ჩავლის შემდეგ, კვლავ გაწყვიტეს მეფესთან კარგი ურთიერთობა და ინდივიდუალური ინტერესების შესაბამისად მოქმედება დაიწყეს. გაფუჭდა მცირეხნიანი სამშვიდობო გარემო იმერეთში. ეს, კლასიკური მოვლენა გახდა იმერეთის სამეფოსთვის. სამწუხაროდ, ეს შიდა კონფლიქტები იმერეთის სამეფოს ყველაზე დიდ უბედურებად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს სიტუაცია, ერთი მხარისთვის უიღბლობა, მეორე მხარისთვის კი შესაძლებლობა იყო. ეჭვგარეშეა, რომ ამ შიდა კონფლიქტების დროს ყველაზე დიდი მოთამაშე საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის იმპერია იყო, რომელიც შიდა არეულობებს სათავისოდ იყენებდა. ამგვარი არეულობა ყოველთვის უადვილებდა მას ჩარეულიყო იმერეთის საშინაო საქმეებში და ემართა ის, ისე როგორც სურდა.

რაც გადახდა ყველა იმერეთის მეფეს, თითქმის იგივე გადახდა დავით მეფესაც. ქვეყნის დიდთავადები და ფეოდალები, რომელთაც მეფე არ მოსწონდათ, მეფის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. ამჯერად გაერთიანების თავში იყვნენ წულუკიძეები და წერეთლები. 1785 წლის იანვარში ისინი შეუთანხმდენენ ახალციხის ფაშას და დასავლეთ საქართველოში 500 ლეკი და 1.000 თურქი ჯარისკაცი შეიყვანეს. მათ შეუერთდა არჩილის ვაჟი დავითი. 1786 წლის 26 იანვარს მეფე დავითსა და მოკავშირე ძალებს შორის გამართულ ბრძოლაში, მეფემ გაიმარჯვა **(რეხვიაშვილი, 1982:196; კუპრაშვილი, 2019:92; ჩხატარაიშვილი, 1973-4:747)**.

1787 წლის ივნისში, დავით მეფემ, ბესარიონ გაბაშვილი რუსეთში ელჩად გაგზავნა. თუმცა, ელჩების რუსეთში ჩასვლისა და მოლაპარაკებები დაემთხვა დავით მეფის სამეფო ტახტზე ყოფნის ბოლო პერიოდს და იმერეთში მეფის შეცვლის **(კუპრაშვილი, 2019:92)**. ამავე დროს, ომი დაიწყო ოსმალეთსა და რუსეთს შორის, რომელიც 1787-1792 წლებში მიმდინარეობდა. ოსმალეთმა ომი გამოაცხადა 1787 წლის 13 აგვისტოს **(Danişmend, 1972-2:64)**. მისი მიზანი იყო 1774 ქუჩუქ-კაინარჯის ზავით დაკარგული ტერიტორიების, განსაკუთრებით კი 1783 წელს დაკარგული ყირიმის დაბრუნება. 1787 წელს დაწყებულ ოსმალეთ-რუსეთის ბრძოლას, 1788 წელს, რუსეთის მოკავშირის სახით შეუერთდა ავსტრალია **(Koçak, 2017:463-464)**. ამ ომში, რომელიც 5 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, ოსმალეთმა, რუსეთის წინააღმდეგ სასურველ წარმატებას ვერ მიაღწია **(Koçak, 2017:484)**. ომის დასასრულს, 1792 წლის 10 იანვარს ხელი მოეწერა 13 პუნქტიან იასის ზავს **(Beydilli, 2013:347)**, სადაც ოსმალეთმა დაადასტურა, რომ ყირიმი რუსებს ეკუთვნოდა. ოზის ციხე დარჩა რუსებს. მდინარე დნესტრი მიღებულ იქნა, როგორც ოსმალეთსა და რუსეთს შორის საზღვარი ევროპაში და მდინარე ყუბანი კავკასიაში **(Koçak, 2017:483)**. იასის მოლაპარაკებებისას რუსეთმა უგულებელყო ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების სურვილები. შედეგად, ამ ხელშეკრულებით დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის მმართველობა დამტკიცდა **(რეხვიაშვილი, 1982:208)**.

1789 წელს ოსმალეთის ტახტზე ცვლილება მოხდა. როდესაც სულთან აბდულჰამიდ I-მა ოზის ციხის რუსების მიერ დაპყრობის ამბავი გაიგო, მწუხარებისგან დამბლა მოუვიდა და 1789 წლის 7 აპრილს გარდაიცვალა **(Aktepe, 1988:216)**. ბიძის გარდაცვალებისთანავე, იმავე დღეს ოსმალეთის ტახტზე ავიდა სულთან სელიმ III (1789-1807). ახალი სულთანი ტახტზე ასვლისას 28 წლის იყო **(Beydilli, 2009:421)**.

იმავე წელს იმერეთის ტახტზეც ცვლილება მოხდა. ვინც 1786 წელს მეფე დავითის მოწინააღმდეგე იყო, 1789 წელს კვლავ შეიკრიბნენ და მეფის ტახტიდან ჩამოგდება სცადეს. 1789 წლის 11 ივნისს სოფელ მათხოჯში ორ მხარეს შორის გამართულ ბრძოლაში, იმერეთის მეფე დავით II დამარცხდა. იმერეთის ტახტზე ავიდა არჩილის ვაჟი, დავითი. დამარცხებული დავით მეფე ახალციხეში გაიქცა

(ჩხატარაიშვილი, 1973-4:750). 1790 წლის 11 ივნისს, იმერეთის ყოფილმა მეფემ, დავითმა, ახალციხის ფაშას დახმარებით, ლაკებისა და ოსმალეთის ჯარით იმერეთზე გაილაშქრა და დაამარცხა არჩილის ძე, დავითი. თუმცა ამ უკანასკნელმა იმერეთის ტახტი უკან მალევე დაიბრუნა და დამარცხებული მეფე კვლავ ახალციხეში გაიქცა. იმავე წელს, ყოფილი მეფე დავითი ტახტის დაბრუნების მიზნით კვლავ თავს დაესხა იმერეთს, თუმცა ის დაამარცხა არჩილის ძე, მეფე დავითმა და კვლავ ახალციხეში გაიქცა **(რეხვიაშვილი, 1982:209-210)**. ამ ბრძოლების შედეგად, ცხადი გახდა, რომ იმერეთის მეფე არჩილის ძე, დავითი იყო. მას ბიძის პატივსაცემად ეწოდა სოლომონ II. ყოფილმა მეფემ დავითმა, რომელმაც 1792 და 1794 წლებში ორჯერ სცადა იმერეთის ტახტის დაპყრობა, მიზანს ვერ მიაღწია. მოხუცი მეფე, რომელიც თავის წარუმატებლობის გამო ახალციხეს თავი შეაფარა, 1795 წელს ახალციხეში ყოფნის პერიოდში ყვავილით გარდაიცვალა **(კუპრაშვილი, 2019:93)**. როგორც ვხედავთ, ოსმალები აქტიურად მონაწილეობდნენ იმერეთში ტახტისთვის ბრძოლაში. დავით II-მ, რომელიც მანამდე მის წინააღმდეგ პოლიტიკას ატარებდა, რთულ ვითარებაში ჩავარდნისას ახალციხეს თავი შეაფარა და მიიღო მისი მფარველობა. ოსმალმა, რომელიც მხარს უჭერდა დავით II-ს, ამ უკანასკნელის კვლავ გასამეფებლად სამხედრო დახმარებაც კი გაუწია, მაგრამ იგი წარუმატებელი აღმოჩნდა. წარმატების შემთხვევაში, დავითი II მოვალე იქნებოდა ოსმალების წინაშე და ოსმალეთის იმპერიის წყალობით ტახტის დაბრუნების შემდეგ, მიიღებდა ოსმალეთის მმართველობას.

1795 წელს გიორგის ძის, დავითის გარდაცვალების შემდეგ, იმერეთის სამეფოში მშვიდობა აღარ სუფევდა. გამოჩნდა კიდევ ერთი პიროვნება, რომელიც სოლომონ II-ის მეტოქე იყო. ეს ადამიანი, რომელსაც იმერეთის ტახტზე პრეტენზია ჰქონდა, იყო 1780 წელს გარდაცვლილ უფლისწულ ალექსანდრეს არაკანონიერი შვილი, გიორგი. გიორგის მომხრეებს შორის იყო ეპისკოპოსი გენათელი და იმერეთის ზოგიერთი თავადი. მეფის მოწინააღმდეგეები კი დაუკავშირდნენ ახალციხეში მყოფ გიორგი დადიანს და გვერდით დაიყენეს ოსმალეთის ჯარი, მაგრამ სოლომონ II-მ შეამჩნია მის წინააღმდეგ არსებული ეს ალიანსი, სწრაფად მოქმედებაზე გადავიდა და დააპატიმრა მის წინააღმდეგ მყოფები. მან გიორგი

ბატონიშვილი მუხურის ციხეში დაამწყვდია, რომელიც 9 წლიანი ტყვეობის შემდეგ, 1806 წელს ციხიდან გაიქცა და თავი რუსეთს შეაფარა. გარდაიცვალა პეტერბურგში 1807 წელს (**რეხვიაშვილი, 1982:223-224**).

რუკა IV. : საქართველო (1750 – 1800 წლებში)

ამ პერიოდში, ჩვეულებისამებრ, იმერეთის სამეფოში თავადებსა და მეფეს შორის უთანხმოება იყო ჩამოვარდნილი. ამავე დროს, რუსეთის გავლენა დასავლეთ საქართველოზე თანდათან იზრდებოდა. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში იმყოფებოდა. რუსეთის მიზანი იყო მთელი საქართველოს თავის მფარველობის ქვეშ მოქცევა, გაერთიანება და მართვა. 1803 წლის 4 დეკემბერს, ოდიში რუსეთის მფარველობაში მოექცა. ამან შეარყია იმერეთის სამეფოს ავტორიტეტი დასავლეთ საქართველოში (**რეხვიაშვილი, 1982:229-230**). იმერეთი, ფაქტობრივად, გარშემორტყმული აღმოჩნდა რუსთა ძალებით (**მჭედლიძე, 2013: 276**). იმერეთისთვის, წრე ვიწროვდებოდა.

საქართველოს სამეფოებსა და სამთავროებს სურდათ რუსეთის ქვეშევდომობაში შესვლა საკუთარი ნებით, თუმცა არ იცოდნენ რუსეთის ფარული

ამბიციების შესახებ. იმერეთის სამეფომ 1804 წლის დასაწყისში ელჩები გაგზავნა რუსეთში და ითხოვა მფარველობა, რასაც რუსეთი ამჯერად დათანხმდა და 1804 წლის 25 აპრილს ხელმოწერილი 174 მუხლიანი ელაზნაურის ხელშეკრულებით, იმერეთი ოფიციალურად რუსეთის ქვეშევდომობაში მოექცა **(კუპრაშვილი, 2019:133-134; რეხვიაშვილი, 1982:261; სილაგაძე, გურული, 2001:130; დუმბაძე, 1973:855; მჭედლიძე, 2013:277)**. ეს ხელშეკრულება რუსეთისთვის დიდი წარმატება იყო, რადგან მის ქვეშევდომობაში მოექცა დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს სამეფო. გარდა ამისა, სამეფო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო ოსმალეთის ქვეშდევდომობის ქვეშ. ეს კი რუსეთისთვის უდიდესი სტრატეგიული უპირატესობა იყო.

იმერეთის და სამეგრელოს რუსეთის მმართველობის ქვეშ მოქცევა, ოსმალებისთვის ძალიან წამგებიანი იყო. ამიტომ, რეგიონში რუსეთის ბატონობის მოსპობის მიზნით, მან 1806 წელს რუსეთს ომი გამოუცხადა. მისი მიზანი დასავლეთ საქართველოს და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე რუსეთის ბატონობის დასრულება იყო. 1807 წლის თებერვალში ოსმალეთის საზღვაო ძალებმა შეუტიეს 1803 წელს რუსების მიერ აგებულ რედუტ-კალეს, თუმცა, წარმატებას ვერ მიაღწიეს. რუსეთმა, ოსმალეთის თავდასხმის საპასუხოდ გადაწყვიტა მნიშვნელოვან ციხეზე, ფოთზე შეტევა. რუსეთის ძალებმა 1807 წლის მაისში ალყა შემოარტყეს ფოთს, მაგრამ უშედეგოდ. ამ ბრძოლების შედეგად, ოსმალეთის იმპერიასა და რუსეთს შორის გარკვეული ხნით გაფორმდა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება. მეფე სოლომონს არავითარი როლი არ შეუტანია ამ ბრძოლებში **(რეხვიაშვილი, 1982:272)**. ახალციხესა და ყარსზე გადასულმა რუსებმა, აქაც წარმატებას ვერ მიაღწიეს **(Gümüş, 2006:107)**.

1807 წლის მაისში ოსმალეთის ტახტზე ცვლილება მოხდა. სულთან სელიმ III ტახტიდან ჩამოაგდეს ქაბაქჩი მუსტაფას მეთაურობით აჯანყების შედეგად და შეცვალეს მუსტაფა IV-ით (1807-1808) **(Beydilli, 2006-1:283)**, თუმცა 1808 წლის 17 ნოემბერს ისიც ტახტიდან ჩამოაგდეს **(Beydilli, 2006-2:284)** და მისი ადგილი 1808 წლის 28 ივლისს დაიკავა მისმა უმცროსმა ძმამ, მაჰმუდ II-მ (1808-1839) **(Beydilli, 2003:352)**.

რუსებმა, რომლებმაც ფოთს 1809 წლის 24 ნოემბერს ალყა შემოარტყეს, ციხე გარკვეული დროის შემდეგ აიღეს. ნები გუმუშის გადმოცემით, ფოთი პირველად იყო ალყაში მოქცეული. 1809 წელს რუსეთის ბატონობა დაწესდა აგრეთვე სოხუმსა და აფხაზეთში **(Gümüş, 2006:107)**. რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლებში მომხდარი ომის შესახებ მანანა სანაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: ,,*რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოს შემოერთების პარალელურად 1806 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი. ამ ომის დროს რუსეთის ჯარებმა საქართველოს ზღვისპირეთში ოსმალური გარნიზონების მიერ დაკავებული ფოთის და სოხუმის ციხეები აიღო, ხოლო ახალციხის საფაშოში ახალქალაქის ციხე-სიმაგრე დაიკავა*„ (**სანაძე, 2018:644**)

ფოთის აღების შემდეგ, რუსები, საქართველოში სრული კონტროლის მოსაპოვებლად, მოქმედებაზე გადავიდნენ. დარჩენილი ჰქონდათ მხოლოდ ერთი მიზანი: იმერეთის დაპყრობაა და იმერეთის მეფის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის ტახტიდან ჩამოგდება.

1810 წლის 20 თებერვალს, რუსეთის მიერ ქუთაისის ეკლესიებში წაკითხულ იქნა ბრძანება, რომ გაუქმდა იმერეთის მეფე სოლომონ II-ის სამეფო უფლებამოსილება **(კუპრაშვილი, 2019:156; სილაგაძე, გურული, 2001:130; Baddeley, 1908:78; მჭედლიძე, 2013:282)**. იმავე დღეს რუსი ჯარისკაცები თავს დაესხნენ იმერეთის სამეფოს ყველა მხრიდან. ამ დროს, სოლომონ მეფე 4.000 კაცით ვარციხეში იმყოფებოდა. ვარციხეში მყოფი მეფის დასაჭერად, რუსის ჯარი ერთდროულად მოქმედებაზე გადავიდა ქართლიდან, ქუთაისიდან, სამეგრელოდან, გურიიდან და ლეჩხუმიდან. მეფე სოლომონსა და რუს ჯარისკაცებს შორის 1 თვიანი ბრძოლის შემდეგ, სოლომონი იძულებული გახდა დაეტოვებინა ვარციხე. ის ცდილობდა ახალციხისკენ გაქცევას, მაგრამ გზა დაკეტილი იყო. ახალციხის გამგებელს, შერიფ ფაშას ამბავი გაუგზავნა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ დახმარებას დააგვიანდებოდა. 1810 წლის მარტში რუსების მიერ დატყვევებული მეფე გადაიყვანეს თბილისში და იქ დააპატიმრეს. სოლომონ II-ის დაპატიმრების შემდეგ, იმერეთის ყველა ციხე რუსებმა დაიკავეს **(რეხვიაშვილი, 1982:288-290)**.

ქაიხოსრო წერეთლის მიერ მომზადებული გეგმის თანახმად, თბილისში დატყვევებულმა სოლომონმა, 1810 წლის 10-11 მაისის ღამით გაქცევა მოახერხა.

რუსეთის იმპერატორმა დასაჯა ყველა, ვინც პასუხისმგებელი იყო მეფის გაქცევაში. პოვნის ბრძანებები გასცა, მაგრამ უშედეგოდ. თბილისიდან გაქცეული მეფე ახალციხეში ჩავიდა და თავი ოსმალეთის იმპერიას შეაფარა. ახალციხეში მას კარგად შეხვდნენ (**კუპრაშვილი, 2019:161; დუმბაძე, 1973:863; მჭედლიძე, 2013:283-284**). აქედან სტამბოლში წერილი გაგზავნა, სადაც წერდა, რომ იმერეთი საუკუნეების განმავლობაში იყო დაკავშირებული ოსმალეთთან, მისი მიწები ეკუთვნოდა ოსმალებს, რომ ისინი ოსმალეთის მმართველობის ქვეშ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მშვიდად ცხოვრობდნენ, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელი, რუსებმა მოტყუებით გააბრიყვეს და მის ქვეყანაში შეიჭრნენ. სულთან მაჰმუდ II-მ დადებითად უპასუხა მეფე სოლომონ II-ის ამ წერილს და შეუთვალა, რომ დაეხმარებოდა (**Gümüş, 2006:108**).

გარკვეული პერიოდის შემდეგ, სოლომონ II ახალციხიდან ტრაპიზონში გადავიდა და ბრძოლა აქედან დაიწყო. იგი ცდილობდა თავის ქვეყნის გადარჩენას რუსული ოკუპაციისგან, საქართველოში მის ერთგულ პირებთან კონტაქტების გზით. რუსებმა მოსთხოვეს ოსმალეთს სოლომონ II-ს გადაცემა, მაგრამ ოსმალეთმა ეს უარყო. სოლომონმა დახმარება სთხოვა ოსმალებს, მაგრამ მოსალოდნელი დახმარება ვერ მიიღო. იმავდროულად, რუსებს სურდათ დაკავშირებოდნენ და შეთანხმებოდნენ სოლომონ II-ს, მაგრამ ტრაპიზონის გამგებელი, სულეიმან ფაშა უარს ამბობდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, სოლომონი დაუკავშირდა ფრანგებს და დახმარება ითხოვა, თუმცა სასურველი მხარდაჭერა ვერ მიიღო (**Gümüş, 2006:109-112**). მეფე სოლომონ II, რომელმაც სიცოცხლის ბოლო პერიოდი ტრაპიზონში გაატარა, გარდაიცვალა 1815 წლის 7 თებერვალს და დაკრძალეს იქვე, წმინდა გიორგის ეკლესიაში. მეფის ცხედარი 1990 წელს საქართველოში გადმოასვენეს და დაკრძალეს გელათის მონასტერში (**მეტრეველი, 2010:149; კეზევაძე, მჭედლიძე, 2013:289**).

შეიძლება ითქვას, რომ ოსმალეთსა და იმერეთის სამეფოს შორის ურთიერთობები, რომელიც დაიწყო 1508 წელს და გაგრძელდა სამ საუკუნეზე მეტ ხანს, იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ II-ის გარდაცვალებით დასრულდა. მომდევნო პერიოდში, რუსეთის ბატონობა დასავლეთ საქართველოში ძალზე

გაძლიერდა და ქვეყნის კონტროლი მთლიანად მათ ხელში გადავიდა. მის წინააღმდეგ აჯანყებები სასტიკად ჩახშობილ იქნა. ოსმალეთი, ეკონომიკური და სამხედრო პრობლემების გამო, ვეღარ ახერხებდა საქართველოს საჭირო დახმარებას რუსეთის წინააღმდეგ.

დასკვნები

წარმოდგენილ ნაშრომში, შევეცადეთ შეგვესწავლა და შეგვეფასებინა იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები XVI ს-ის დასაწყისიდან XVIII ს-ის ჩათვლით. კვლევა ეყრდნობა ქართულ და თურქულ (ოსმალურ) წყაროებს. აგრეთვე გამეყენებულია ინგლისურ და სხვა უცხოენოვან ავტორთა ნაშრომები. თავიდან, ლიტერატურისა და წყაროების შეფასების ნაწილში, გადმოცემულია ინფორმაცია ნაშრომში გამოყენებული წყაროების შინაარსისა და მათი მნიშვნელობის შესახებ, რაც მიზნად ისახავს გააცნოს ისინი, როგორც თურქ, ისე ქართველ მკვლევრებს და ზოგადად, დაინტერესებულ პირებს. ამრიგად, ქართველ მკვლევრებისთვის ხელმისაწვდომი გახდება თურქულ წყაროებში დაცული გარკვეული ინფორმაცია, ხოლო თურქები კი შეძლებენ გაეცნონ ქართულ საისტორიო მასალას.

დისერტაციის პირველ თავში განხილულია ქართული და ოსმალური ურთიერთობების საწყისი ეტაპი. XIV ს-ში თემურ-ლენგის თავდასხმების შედეგად რთულ მდგომარეობაში ჩავრდნილმა საქართველომ, თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო ძალების მოკრება. განსაკუთრებით, 1412 წელს ტახტზე ასული ალექსანდრე I, სხვადასხვა გზით ცდილობდა ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებას.

კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ, თავის მხრივ, ოსმალეთის იმპერიამ დაიწყო მოქმედებები შავ ზღვაზე დომინირების დასამყარებლად. ამ მიზნით განხორციელებული ლაშქობიდან ერთ-ერთი იყო 1454 წელს თავდასხმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე, სოხუმის მიდამოებში. აღნიშნული თარიღი, ქართულ-ოსმალურ ურთიერთობებში, პირველ კონტაქტად არის მიჩნეული. ეს ფაქტი საგანგებოდ არის გადმოცემული წარმოდგენილ კვლევაში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ნაშრომის ამ ნაწილში არის განხილული, ოსმალთა მიერ 1453 წელს ოსმალეთის მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ, საქართველოზე გავლენის მოპოვების მცდელობაა. კონსტანტინოპოლის აღების ფაქტმა დიდი გავლენა იქონია საქართველოზე როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და კულტურული კავშირების თვალსაზრისით ევროპასთან.

საქართველო რამდენჯერმე მიიწვიეს ანტიოსმალურ კოალიციებში, რომელთა ჩამოყალიბების ინიციატორიც რომის პაპი იყო. მისი რწმუნებულები საქართველოში ჩამოვიდნენ და შეხვდნენ ადგილობრივ მეფე-მთავრებს. ქართველებმა, რომლებმაც ამ ალიანსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს, შიდა ბრძოლები და წყენა დროებით გვერდზე გადადეს და გაერთიანების პირობაც კი დადეს. მათ ელჩებიც გააგზავნეს რომის პაპთან და ევროპელ მმართველებთან, მაგრამ ევროპული სახელმწიფოების უნოქმედობის გამო, საბოლოოდ კოალიციის შექმნა არ მოხერხდა. ოსმალეთის სულთანი, მეჰმედ II პაპის ანტიოსმალურმა ქმედებებმა უფრო გააქტიურა. იგი მოქმედებაზე გადავიდა და 1460 წელს დაიპყრო ამასრა, 1461 წელს კი ტრაპიზონის იმპერია. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაართულა საქართველოს მდგომარეობა. კოალიციის შექმნის წარუმატებელმა მცდელობამ და მეჰმედ II-ის შავი ზღვის სანაპიროებზე განხორციელებულმა ლაშქრობებმა ქართველთა შორის დროებით ჩამოვარდნილი მშვიდობა კვლავ დაარღვია. ქვეყანაში დაიწყო შიდა არეულობა, რის შედეგადაც, XV ს-ის ბოლოს, ერთიანი საქართველო, იმერეთის, ქართლის, კახეთის სამეფოებად და სამცხე საათაბაგოს სამთავროდ დაიშალა. აქედან მოყოლებული XIX ს-ის დასაწყისამდე ეს სამეფოები ცალცალკე აგრძელებდნენ არსებობას, სანამ არ მოხდა მათი იძულებითი გაერთიანება რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

დისერტაციის მეორე თავი ეხება იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის შორის ურთიერთობას XVI ს-ში. პირველ ქვეთავში გადმოცემულია უკვე დამოუკიდებელი იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობების დასაწყისი. ეს გახლავთ ოსმალეთის უფლისწულ სელიმის, ჯერ კიდევ ტრაპიზონის გამგებლობის დროს იმერეთში ლაშქრობის ფაქტი. საკითხი განხილულია, როგორც ქართულ, ისე თურქულ წყაროებზე და საისტორიო ლიტერატურაზე დაყრდნობით. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სხვადასხვა წყარო განსხვავებულ თარიღს გვაწვდის: 1508, 1509, 1510 და 1512 წლებს. სამწუხაროდ, ზუსტი თარიღის დადგენა რთულია. სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით ჩვენ ვთვლით, რომ მოცემულ თარიღებს შორის ყველაზე მისაღებია 1508 წელი. მაის-ივნისი კი ის თვეებია, როდესაც ტრადიციულად ოსმალები მიდიოდნენ სალაშქროდ. იმერეთში ლაშქრობის

დროს სელიმს გზამკვლევობა გაუწია სამცხის ათაბაგმა მზეწაბუკმა. ოსმალთა ლაშქარმა დაარბია ქუთაისი, გადაწვა გელათი და ტყვეებითა და ალაფით გაბრუნდა ტრაპიზონში. ამ ლაშქრობით დაწყებული ურთიერთობები იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის სამ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა.

მეორე ქვეთავში შეფასებულია იმერეთ-ოსმალეთის ურთიერთობები 1520 წლიდან 1555 წელს გაფორმებული ამასიის ხელშეკრულებამდე. გადმოცემულია ამ პერიოდში ოსმალეთსა და ირანს შორის ბრძოლები და მათი გავლენა საქართველოზე. ასევე, კვლავ ამ პერიოდში, იმერეთის სამეფო დაუპირისპირდა ოსმალეთის იმპერიას, როდესაც ეს უკანასკნელი ცდილობდა გაბატონებულიყო დასავლეთ საქართველოში. იმერეთმა იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ 1535 წელს მურჯახეთის ბრძოლაში დაამარცხა ათაბაგი ყვარყვარე III და სამცხე-საათაბაგო დაიმორჩილა. მალე ათაბაგის მხარდასაჭერად საქართველოში ოსმალთა ჯარი შემოვიდა. აღნიშნული დახმარება ოსმალეთის ინტერესებში უფრო შედიოდა, რადგან იგი გაზრდიდა მის გავლენას ქართულ ტერიტორიებზე. ათაბაგის ტახტისთვის ბრძოლა უფრო გამძაფრდა XVI ს-ის 40-იან წლებში, ყვარყვარეს გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მისმა ვაჟმა ქაიხოსრომ მოინდომ საათაბაგოს ბაგრატისგან გამოხსნა. 1543 წელს ოლთისში, სოფელ ქარაღაქთან ბაგრატმა მოახერხა ოსმალთა დამარცხება, მაგრამ 1545 წელს, ოსმალებმა, მორიგი შემოსევის დროს, სოხოისტას ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს იგი. ამგვარად, კიდევ უფრო გაიზარდა ოსმალეთის იმპერიის გავლენა ქართულ მიწებზე.

მესამე ქვეთავში განიხილულია ამასიის ზავი, რომელსაც ხელი მოეწერა 1555 წელს და შემდგომ განვითარებული მოვლენები. 1553 წელს, ოსმალეთი ირანის წინააღმდეგ, ეგრეთწოდებულ ,,ნახიჭევნის ომში“ ჩაება. ამ ომის დასასრული იყო 1555 წლის ამასიის ზავი. იგი პირველი სამშვიდობო ხელშეკრულება იყო ირანსა და ოსმალეთს შორის, რომლითაც დროებით შეჩერდა მათ შორის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა. საქართველოს ტერიტორიები ოსმალეთმა და ირანმა ორად გაიყვეს. დასავლეთ საქართველო - იმერეთის სამეფო, სამეგრელოსა და გურიის სამთავროებით და სამცხის დასავლეთი ნაწილი ოსმალეთის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო - ქართლის და კახეთის სამეფოები და აღმოსავლეთ მესხეთი ირანის

გავლენის სფეროებად გამოცხადდა. ამასიის ზავით, ოსმალეთმა და ირანმა ოფიციალურად დაადასტურეს საქართველოს ტერიტორიაზე თავიანთი ბატონობა. ამიერიდან, ისედაც დაშლილი საქართველო, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში დაცულია ცნობები ოსმალეთის ქართულ სამეფო-სამთავროებთან ურთიერთობის შესახებ. აღნიშნული ცნობებით ირკვევა, რომ ოსმალეთი ყურადღებით აკვირდებოდა იმერეთის სამეფოში განვითარებულ მოვლენებს. ისევ ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ირანი ხელშეკრულების შესაბამისად, ოსმალეთის იმპერიასთან მოლაპარაკებით ცდილობდა იმერეთთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. შეიძლება ითქვას, რომ ამასიის ხელშეკრულება გარდამტეხი იყო ოსმალეთისა და იმერეთის ურთიერთობებში. ამ პერიოდში გაიზარდა ოსმალეთის გავლენა იმერეთზე, დასავლეთ საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან სამეფოზე.

მეორე თავის მეოთხე და ბოლო ქვეთავი, 1578-1590 წლებში ოსმალეთ-ირანის ომის დროს, ოსმალეთისა და იმერეთის ურთიერთობებს შეეხეაა. ამ თავში, პირველ რიგში, შეფასებულია იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიაში არსებული მდგომარეობა, ამასიის ხელშეკრულებიდან 1578 წლამდე. 1565 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ბაგრატი და მისი ადგილი დაიკავა მისმა ვაჟმა გიორგი II-მ. 1566 წელს, სულეიმან I-ის გარდაცვალების შემდეგ ოსმალეთის ტახტზე ავიდა მისი ვაჟი სელიმ II. ერთი წლის ინტერვალით მოხდა სატახტო ცვლილება ორ სახელმწიფოში. აღნიშნულ პერიოდში ოსმალეთს იმერეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა. ოსმალეთის ტახტზე განხორციელებული ცვლილების შემდეგ, იმერეთის მეფე გიორგი II-მ ელჩი გაგზავნა სტამბოლში და სულთანს აუწყა, რომ მისი ერთგული იყო. ამის საპასუხოდ, 1568 წელს სელიმ II-მ წერილი გაუგზავნა იმერეთის მეფეს, სადაც აღნიშნავდა, რომ ეჭვი არ ეპარებობა ოსმალეთის იმპერიისადმი იმერეთის ერთგულებასა და მორჩილებაში.

ამ დროს იმერეთის სამეფოში შიდა არეულობა სუფევდა. გიორგი II-ს პრობლემები ჰქონდა გურიელთან, დადიანსა და აფხაზეთთან. იმერეთში არსებული აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში თანდათანობით დაიწყო ჩართვა ოსმალეთის იმპერიამაც. შიდა საქმეებში ჩარევა ხელს აძლევდა ოსმალეთს გაეზარდა მისი

გავლენა რეგიონში. აღნიშნული საკითხი, საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ნაშრომში ვრცლად გვაქვს გადმოცემული.

1578-1590 წლებში ოსმალეთსა და ირანს შორის მორიგი ომი მიმდინარეობდა, რომელშიც კვლავ ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა. ნაშრომში შეფასებული გვაქვს ომამდელი ვითარება ზოგადად, რის შემდეგაც გადმოვცემთ ოსმალეთის იმპერიის მიერ ირანის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო მოქმედებების მიზეზებს. აღნიშნული ომის დასაწყისში ოსმალები იმერეთის სამეფოს სთხოვდნენ დახმარებას მათი მოწინააღმდეგე ქართველი თავადების დამორჩილებაში. იმერეთის მეფე, გიორგი II ამ დახმარებას დათანხმდა, ეს კი ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობაზე მიუთითებს. ომის დასრულების შემდეგ, 1590 წლით დათარიღებული ფერჰად ფაშას ხელშეკრულებით, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიებიც ოსმალეთის მმართველობაში გადავიდა. ამრიგად, ოსმალეთის ბატონობა მთელ საქართველოში გავრცელდა. ამის გარდა, ოსმალთა გავლენის ქვეშ მოექცა აღმოსავლეთ კავკასია და დაღესტანიც.

მესამე თავში შეფასებულია იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის XVII ს-ში არსებული ურთიერთობები. 1578-1590 წლებში ოსმალეთსა და ირანს შორის მორიგი ომი მიმდინარეობდა, რომელშიც კვლავ ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა. ნაშრომში შეფასებული გვაქვს ომამდელი ვითარება ზოგადად, რის შემდეგაც გადმოვცემთ ოსმალეთის იმპერიის მიერ ირანის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო მოქმედებების მიზეზებს. აღნიშნული ომის დასაწყისში ოსმალები იმერეთის სამეფოს სთხოვდნენ დახმარებას მათი მოწინააღმდეგე ქართველი თავადების დამორჩილებაში. იმერეთის მეფე, გიორგი II ამ დახმარებას დათანხმდა, ეს კი ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობაზე მიუთითებს. ომის დასრულების შემდეგ, 1590 წლით დათარიღებული ფერჰად ფაშას ხელშეკრულებით, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიებიც ოსმალეთის მმართველობაში გადავიდა. ამრიგად, ოსმალეთის ბატონობა მთელ საქართველოში გავრცელდა. ამის გარდა, ოსმალთა გავლენის ქვეშ მოექცა აღმოსავლეთ კავკასია და დაღესტანიც.

ნაშრომის მესამე თავის მეორე ქვეთავში განიხილულია XVII ს-ის მეორე ნახევარში იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის ურთიერთობები. ამ დროს დასავლეთ საქართველოში ადგილი ჰქონდა დიდ ფეოდალურ ანარქიას. დასავლეთ საქართველოში ეს ფეოდალთა ანარქია და ტახტისთვის ბრძოლა დიდ სოციალურ და ეკონომიკურ ზიანს აყენებდა იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, გურიასა და აფხაზეთის სამთავროებს. ამ დაუსრულებელმა სამოქალაქო ომებმა და სატახტო ბრძოლამ ნეგატიურად იმოქმედა მოსახლეობაზე, თითქმის განადგურდა სოფლის მეურნეობა, რის გამოც დაიწყო შიმშილობა, დაზიანდა საქალაქო ცხოვრება, შეჩერდა ვაჭრობა და ხელოსნობა, გაიზარდა ტყვეთა სყიდვა. XVII ს-ის მეორე ნახევრამდე იმერეთის მეფეებს უპირატესობა და გავლენა ჰქონდათ დასავლეთ საქართველოში, XVII ს-ის მეორე ნახევარში მთავრები და ფეოდალები უფრო ძლიერნი გახდნენ, ვიდრე მეფე. შედეგად, დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური გამიჯვნა გაღრმავდა. ამ პერიოდში, 40 წლის განმავლობაში, იმერეთის სამეფოს ტახტი ოცჯერ შეიცვალა. ამ მეფეთაგან მხოლოდ ერთი გარდაიცვალა საკუთარი სიკვდილით. ამ ოციდან ცხრა შეცვლილია ოსმალეთის ჩარევის შედეგად. მეფეთა და ფეოდალების ინტერესების მიხედვით, ოსმალეთის იმპერიისადმი მიმართვა ქვეყანაში პრობლემების გადასაჭრელად, ამ უკანასკნელის ინტერესების სფეროსაც წარმოადგენდა. ოსმალეთს არ სურდა თავისი ბატონობის დაკარგვა საქართველოს ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ადგილის მქონე იმერეთის სამეფოში და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ჩაერია ტახტისთვის გამართულ ბრძოლაში. ამგვარად, გაძლიერდა იმერეთის სამეფოში ოსმალეთის ბატონობა. ამასთან, გაძლიერდა ოსმალეთის მმართველობა გურიაში, ოდიშასა და აფხაზეთში.

ნაშრომის მეოთხე და ბოლო თავის ორ ქვესათაურში გადმოცემულია XVIII ს-ის იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის ურთიერთობები. ამ ქვეთავებიდან პირველი ეხება XVIII ს-ის პირველ ნახევარში ორი სახელმწიფოს ურთიერთობებს. პირველ რიგში, შეფასდა ორი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ორ სახელმწიფოში სოფლის მოსახლეობა ქვეყანაში არსებული უნდობლობისა და არეულობის გამო, გადასახლდნენ დიდ ქალაქებში. ამრიგად, ორივე სახელმწიფოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება შემცირდა. როგორც

ჩანს, XVIII ს-ის დასაწყისში როგორც იმერეთის სამეფოს, ასევე ოსმალეთის იმპერიას თითქმის ერთნაირი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები შეექმნა. ასევე, XVII ს-ის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში დაწყებული ფეოდალური ანარქია, XVIII ს-ის პირველ ნახევარშიც გაგრძელდა. ამ ანარქიულმა გარემომ ასევე იმოქმედა ორი სახელმწიფოს ურთიერთობებზე. XVIII ს-ისდასაწყისში იმერეთისა და ოსმალეთის შორის ურთიერთობა, იმერეთის ანტი-ოსმალური პოლიტიკის გამო, მტრულად დაიწყო და შემდეგ დასრულდა ორი მხარის შეთანხმებებით. ამის შემდეგ, ოსმალეთის ზეგავლენით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები, გიორგი VI-ის დროს უფრო პოზიტიური იყო. ეს დადებითი ურთიერთობები გაგრძელდა გიორგი მეფის შემდგომი მეფის, ალექსანდრეს მეფობის დროს. დასავლეთ საქართველოში არსებულმა ფეოდალურმა ანარქიამ ყველაზე მეტად იმოქმედა იმერეთის სამეფოზე. ამ ანარქიული გარემოდან გამომდინარე, ოსმალებს საშუალება ჰქონდათ უფრო ადვილად ჩარეულიყვნენ იმერეთის საშინაო საქმეებში. ამასთან, ირანში მომხდარი მოვლენების შედეგად, რუსეთის რეგიონში შემოსვლამ გამოიწვია ოსმალეთისა და რუსეთის დაპირისპირება. ოსმალებს სურდათ თავიანთი ბატონობის შენარჩუნება საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით იმერეთზე, ამიტომ რუსეთთან ომის ზღვარზე აღმოჩნდნენ. თუმცა, საფრანგეთის ჩარევით, 1724 წელს ოსმალეთსა და რუსეთს შორის გაფორმდა სტამბოლის ხელშეკრულება, რომელმაც ხელი შეუშალა ომის დაწყებას ორ ქვეყანას შორის. ამ ხელშეკრულებით, რუსეთმა აღიარა ოსმალეთის იმპერიის ბატონობა დასავლეთ საქართველოზე. გარდა ამისა, ოსმალეთმა, ირანისთვის აღმოსავლეთ საქართველოს წართმევით, კვლავ დაიბრუნა თავისი ბატონობა მთელ საქართველოში. ამასთან, იმერეთის სამეფო ამ პერიოდში ოსმალეთის იმპერიის ვასალი იყო. იმერეთის მეფეები თავისუფლად მოქმედებდნენ თავიანთ შიდა საქმეებში და თავიანთი წესით მართავდნენ ქვეყანას. ამ პერიოდში ოსმალეთის იმპერიამ, იმერეთში დაპყრობილი ციხეების წყალობით, დაბლობებში უფრო მეტი კონტროლი მოიპოვა. გარდა ამისა, ტყვეებმა დიდი ადგილი დაიკავეს იმ გადასახადებს შორის. სწორედ ამიტომ ტყვეებით ვაჭრობა უზომოდ გაიზარდა XVIII ს-ის პირველ ნახევარში.

ნაშრომის ბოლო ნაწილის მეორე ქვეთავში აღწერილია იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის, XVIII ს-ის მეორე ნახევარში არსებული ურთიერთობები. 1752 წელს ადგილი ჰქონდა იმერეთის სამეფოს ტახტზე ცვლილებას. გარდაიცვალა ალექსანდრე V, რომელიც შეცვალა მისმა ვაჟმა სოლომონ I-მა. სოლომონ I-ის გამეფებით, იმერეთის სამეფოში ახალი ერა დაიწყო. ახალ სტადიაში შევიდა აგრეთვე ოსმალეთის იმპერიასა და იმერეთს შორის ურთიერთობებიც. სოლომონის მთავარი მიზანი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და იმერეთის სამეფოს გაძლიერება იყო. 1757 წლის დეკემბერში ხრესილში გამართულ ბრძოლაში მან დაამარცხა ოსმალები. ეს იყო პირველი ბრძოლა ოსმალებსა და იმერლებს შორის XVIII ს-ის მეორე ნახევარში. ამ გამარჯვების შემდეგ, 1759 წელს ქუთაისში გაიმართა საეკლესიო კრება, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება მთელს დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვის აკრძალვის შესახებ. აღნიშნული საკითხი იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის დაპირისპირების უმთავრესი საბაბი გახდა. ამ ყველაფერმა დასავლეთ საქართველოში მეფე სოლომონის ავტორიტეტი გაზარდა. დასავლეთ საქართველოში, ოსმალეთის იმპერიას პირველად გამოუჩნდა ასეთი ძლიერი მოწინააღმდეგე.

ამ პერიოდის ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შეფასებისას, შედარებულია ქართულ და თურქულ წყაროებში მოწოდებული ინფორმაცია. ზოგიერთი ცნობა, რაც ქართულ წყაროებში არ არის, შეტანილია თურქულ წყაროებში და ეს მნიშვნელოვანია ქართული საისტორიო ლიტერატურისთვის. ეს ცნობები მოტანილია ჩვენს ნაშრომში. 1758-1761 წლებში, ოსმალეთის იმპერიასა და იმერეთს შორის მიმდინარეობდა ბრძოლები. ამ ბრძოლებში ჩანს იმერეთის უპირატესობა. გარდა ამისა, ამ პერიოდში არსებული ურთიერთობები ასახულია ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, საიდანაც ჩანს, რომ ოსმალებს სურდათ იმერეთთან კარგი ურთიერთობა. 1763 წელს ოსმალეთის კიდევ ერთი ლაშქრობა განხორციელდა იმერეთში, რომელიც კვლავ ოსმალთა დამარცხებით დასრულდა. ამ ლაშქრობის შესახებ გადმოცემულია ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში. მისი ფორმირების პროცესი და ლაშქრობა სხვაგვარად არის განმარტებული ამ ჩანაწერებში. ეს განსხვავებები დეტალურად არის განმარტებული ჩვენი დისერტაციის შესაბამის

თავში. ამრიგად, ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა განგვეხილა ეს ლაშქრობა, როგორც ქართული, ისე ოსმალური წყაროების მიხედვით. 1766 წელს იმერეთის ლაშქრობის დროს ოსმალეთმა დაიპყრო ქუთაისი და იმერეთის მეფედ გამოაცხადა სოლომონის ბიძაშვილი, თეიმურაზი. ოსმალეთის ეს ლაშქრობა დეტალურად შეფასდა ქართული და ოსმალური წყაროების მიხედვით. კერძოდ, ოსმალური საარქივო დოკუმენტებში მოწოდებულია ინფორმაცია ჯარის რაოდენობის, დახარჯული თანხების, გამოყენებული იარაღის და საბრძოლო მასალის შესახებ. სოლომონმა ოსმალეთთან დამარცხების შემდეგ დახმარება სთხოვა რუსეთს, მაგრამ ვერ შეძლო იმ დახმარების მიღება, რომელსაც ელოდა. ჩვენი დისერტაციის წინა თავებშიც ვნახეთ, რომ იმერეთი მიმართავდა რუსეთს, ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ დასახმარებლად. თუმცა, მაშინაც იმერეთმა ვერ შეძლო იმ დახმარების მიღება, რომელსაც რუსეთისგან მოელოდა. 1768 წელს მეფე სოლომონი დაუბრუნდა იმერეთის ტახტს და დაამარცხა იმერეთის ტახტზე მყოფი თეიმურაზი. ამ ვითარებამ ოსმალეთის იმპერიაზე უარყოფითად იმოქმედა, რადგან იმერეთის ტახტზე აღარ იყო პრო-ოსმალური პირი. სოლომონის 1768 წელს იმერეთის ტახტზე ასვლის შემდეგი პერიოდი განსხვავებულად არის აღწერილი ქართულ და ოსმალურ წყაროებში. ეს განსხვავებები დეტალურად არის განხილული ჩვენს ნაშრომში. ამასთან, აქ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია სოლომონსა და ოსმალეთის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა, რაც ასახულია ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში. შეხვედრის დასასრულს, იმერეთი და ოსმალეთი შეთანხმდნენ და ოსმალეთის იმპერიის მიერ დადგენილი გარკვეული პირობების შედეგად, ამ უკანასკნელმა აღიარა სოლომონის მეფობა. ოსმალეთის იმპერიის ამგვარი დამოკიდებულების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ითქვას იყო, პოლონეთიის საკითხის გამო რუსეთთან ომში ჩაბმა. ასევე ოსმალეთის იმპერიას არ სურდა იმერეთის სამეფოსთან ცუდი დამოკიდებულება, რადგან ბრძოლამდე რუსეთს შეეძლო აქტიური ყოფილიყო კავკასიაში.

1768 წელს ოსმალეთმა რუსეთს გამოუცხადა ომი, რომელიც გაგრძელდა 1774 წლამდე. ამ პერიოდში ოსმალეთისა და იმერეთის სამეფოს შორის მიმდინარეობდა სამხედრო დაპირისპირება და ბრძოლა. იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა 1768 წელს ელჩები გაგზავნა რუსეთში, რათა ოსმალთა წინააღმდეგ მფარველობა ეთხოვა.

რუსეთს, ოსმალეთის ყურადღების გაფანტვის მიზნით სურდა კავკასიაში ქართული სამეფოების გამოყენება, ამიტომ დათანხმდა იმერეთის ამ შეთავაზებას. 1769 წელს რუსეთის ჯარი იმერეთში ჩავიდა გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. რუსეთისგან მხარდაჭერილმა იმერეთმა, დაიბრუნა ოსმალეთის მიერ კონტროლირებადი ცუცხვათის, შორაპნის, ბაღდადის და ქუთაისის ციხეები. ამის შემდეგ ტოტლებენმა აიღო ოსმალეთის კონტროლირებადი ანაკლია და რუხის ციხე, ალყა შემოარტყა ფოთის ციხეს, მაგრამ უშედეგოდ. 1772 წელს საქართველოდან გაიყვანეს რუსი ჯარისკაცები. რუსი ჯარისკაცების უკან დახევისთანავე, 1774 წელს როგორც იმერეთში დაკარგული ციხესიმაგრეების დასაბრუნებლად, ასევე იმერეთზე კონტროლის აღდგენის მიზნით, ოსმალები მოქმედებაზე გადავიდნენ. ორ ძალას შორის განხორციელდა ჩხერის ბრძოლა, სადაც ოსმალეთის არმიამ უმძიმესი მარცხი განიცადა. იმავე წელს იმერეთმა კვლავ გაგზავნა ელჩი რუსეთში, მაგრამ ვერ მიიღო სასურველი მხარდაჭერა, რადგან ამ დროს დასრულდა ოსმალეთ-რუსეთის ომი და ხელი მოეწერა ხელშეკრულებას. 1774 წელს ოსმალეთსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულებას, რომლის 23-ე მუხლი დასავლეთ საქართველოს ეხებოდა. ამ მუხლის თანახმად, იმერეთი ჯერ კიდევ რჩებოდა ოსმალეთის მმართველობაში, მაგრამ მათ ეკრძალებოდათ იმერეთის დასჯა რუსეთთან თანამშრომლობისთვის. გარდა ამისა, ოსმალეთის იმპერია ვერანაირად ვერ შეუშლიდა ხელს ქრისტიანობას საქართველოში და არ აიღებდა გადასახადს იმერეთიდან. როგორც ვხედავთ, 1768-1774 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის შემდეგ, იმერეთზე ოსმალთა ბატონობა მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა.

ქუჩუქ-კაინარჯის ზავის შემდეგ პერიოდში, ოსმალეთის იმპერია ცდილობდა უფრო ზომიერი ყოფილიყო იმერეთთან ურთიერთობაში. ეს ჩვენ ასევე დავინახეთ ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში და დისერტაციაშიცაა შეტანილი. რადგან რეგიონში რუსეთის ბატონობამ თანდათანობით დაიწყო ზრდა. ოსმალეთის იმპერიას არ სურს იმერეთის სამეფოს დაკარგვა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი დომინირების არე იყო სამხრეთ კავკასიაში. 1774 წელს ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულების შემდეგ, სოლომონმა მიიღო ზომები დასავლეთ საქართველოში საკითხების მოსაგვარებლად. საკუთარი ძალაუფლებისა და ავტორიტეტის

გაძლიერების მიუხედავად, იგი კლავ მოწინააღმდეგების პირისპირ აღმოჩნდა. თუმცა, მეფის წინააღმდეგ მათ წარმატებას ვერ მიაღწიეს, ქვეყნიდან გაიქცნენ და ოსმალეთის იმპერიას შეაფარეს თავი. 1779 წლისთვის კვლავ დაუპირისპირდნენ ოსმალეთი და იმერეთი. ოსმალეთის იმპერიამ წააგო რუხის ბრძოლა. როგორც ხედავთ, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ოსმალეთსა და იმერეთს შორის ბრძოლას. 1783 წელს გაფორმებული გეორგიევსკის ხელშეკრულებით, ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად დაექვემდებარა რუსეთის მმართველობას. ამან ოსმალები ძალიან შეაწუხა, რადგან რუსეთი ახლა ოფიციალურად და რეალურად იყო საქართველოში. ოსმალეთმა იცოდა, რომ იმერეთი დიდი ხნის განმავლობაში რუსული მხარისკენაც იყო მიმართული, ამიტომ მაშინვე გაგზავნა იმერეთში ელჩები და სთხოვა მათ რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტა, მაგრამ იმერეთმა უარი განაცხადა. ოსმალეთის იმპერია ჩვეულებისამებრ დაინტერესებული იყო იმერეთის სამეფოთი და არ სურდა თავისი ბატონობის დაკარგვა. ჩვენ ამას ვხედავთ ოსმალური საარქივო დოკუმენტებიდან, რომლებიც დისერტაციაშიც შევიტანეთ. 1784 წელს ოსმალეთი და იმერეთი კვლავ პირისპირ აღმოჩნდნენ. ამჯერად იმერეთის არმიას ჩაუსაფრდნენ და დიდი მსხვერპლი ანახეს. იმავე წელს სოლომონ I გარდაიცვალა. ამრიგად დასრულდა 1752 წლიდან 1784 წლამდე პერიოდი, რომელშიც ოსმალეთისა და იმერეთის ურთიერთობები ყველაზე ეფექტური და აქტიური იყო. ამ პერიოდში ოსმალეთისა და იმერეთის ურთიერთობებში ჩაერთო მესამე მნიშვნელოვანი ქვეყანა რუსეთი. საქართველოსთან დაკავშირებული რუსეთის გეგმები კი დაიწყო გეორგიევსკის 1783 წლის ხელშეკრულებით.

1784 წელს, მეფე სოლომონის გარდაცვალების შემდეგ, იმერეთის ტახტზე ავიდა სოლომონის ბიძის, გიორგის ძე დავითი, რომელიც პრორუსული იყო. ამან საშინლად შეაწუხა ოსმალეთი. იგი გადავიდა მოქმედებაზე, რათა იმერეთის ტახტზე დაესვა ისეთი ვინც ოსმალეთის მხარდამჭერი იქნებოდა, თუმცა რუსეთის ჩარევით უარი თქვა ამ ქმედებაზე. ის მოხდა, რისიც ოსმალეთს ეშინოდა და რუსეთმა დაიწყო საქართველოს საქმეებში უფრო მეტად ჩარევა. რუსეთის ამ ჩარევამ იმერეთი დაუახლოვა რუსეთს. იმერეთმა გაგზავნა ელჩი რუსეთში, მაგრამ კვლავ ვერ მიიღო დადებითი პასუხი. ამ დროს ოსმალეთი ყურადღებით აკვირდებოდა იმერეთის

რუსეთთან ურთიერთობას. ოსმალეთის ეს ახლო დაკვირვება აღნიშნულია საარქივო დოკუმენტებშიც, სადაც ასევე შესულია ამ საკითხის შესახებ ოსმალეთის სულთნის აბდულჰამიდ I-ის შეხედულებებიც. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო იმერეთი ოსმალებისთვის სტრატეგიულად. 1789 წელს იმერეთის ტახტზე ცვლილებები განხორციელდა და გამეფდა სოლომონის ძმისშვილი დავითი. ახალ მეფეს ეწოდა ბიძის სახელი და იგი ტახტზე ავიდა, როგორც სოლომონ II. ამრიგად, დაიწყო ოსმალეთისა და იმერეთის ურთიერთობის ბოლო პერიოდი. ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც მოხდა სოლომონ II-ის პერიოდში, იყო 1804 წელს გაფორმებული ელაზნაურის ხელშეკრულებით იმერეთის სამეფოს, რუსეთის მმართველობაზე ოფიციალურად დაქვემდებარება. უდავოდ, ამ მოვლენამ დიდად იმოქმედა ოსმალეთისა და იმერეთის ურთიერთობებზე. ოსმალებისთვის ძალიან ცუდი ვითარება იყო იმერეთის რუსეთის მმართველობის ქვეშ მოქცევა. ამ მიზეზის გამო, 1806 წელს, მან ომი გამოუცხადა რუსეთს, რეგიონში რუსეთის ბატონობის აღმოსაფხვრელად. მისი მიზანი იყო რუსეთის ბატონობის დასრულება დასავლეთ საქართველოს და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე. ამასთან, საქმეები ისე არ წარიმართა, როგორც ოსმალეთს სურდა. თავიდან რუსეთი წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ 1810 წელს დასრულდა სოლომონ II-ის უფლებამოსილება და რუსებმა დაიპყრეს იმერეთის ყველა ციხე. ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი სამეფო ფაქტობრივად რუსეთმა აიღო. სოლომონ II დააპატიმრეს და თბილისში წაიყვანეს. მეფე, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაპატიმრებული იყო, გაიქცა, ახალციხეში ჩავიდა და ოსმალეთის იმპერიას შეეხიზნა. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ტრაპიზონში გადავიდა და იქედან გააგრძელა ბრძოლა. სოლომონმა ოსმალეთს სთხოვა დახმარებოდა მას. თუმცა, ოსმალეთის იმპერიაში შექმნილი ვითარების გამო, იმერეთმა ვერ მიიღო საჭირო მხარდაჭერა. ოსმალეთიც უკვე აღარ იყო ის ძალა, რომელიც წინ აღუდგებოდა რუსეთის იმპერიას. სოლომონ II-მ დახმარება ასევე საფრანგეთსაც სთხოვა, თუმცა მისგანაც ვერ მიიღო. 1815 წლისთვის, იმერეთის სამეფოს ბოლო მეფე, სოლომონ II ტრაპიზონში გარდაიცვალა.

ნაშრომში, შევეცადეთ შეგვეფასებინა ორ სახელმწიფოს, იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიას შორის ურთიერთობები, რომელიც ჩვენი აზრით დაიწყო 1508 წელს და ფაქტობრივად დასრულდა 1815 წელს სოლომონ II-ის ტრაპიზონში გარდაცვალების შემდეგ. სამ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელებული ურთიერთობა ხან მშვიდობიანად მიმდინარეობდა, ხან კიდევ ადგილი ჰქონდა დაპირისპირებასა და ბრძოლებს. იმერეთის სამეფო, პერიოდულად ირანთან და რუსეთთან ურთიერთობით ცდილობდა ოსმალეთთან ურთიერთობის დაბალანსებას. ამასთან, მაინც შეიძლება ითქვას, რომ სამასი წლის განმავლობაში, იმერეთის სამეფო, სამხრეთ კავკასიაში სულ იყო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სახელმწიფო ოსმალეთის იმპერიისათვის. სულთანს არცერთ შემთხვევაში არ სურდა იმერეთზე კონტროლის დაკარგვა. იმერეთის მეფეები ხშირად მიმართავდნენ ოსმალებს ტახტის შენარჩუნების მიზნით. ოსმალეთი კი ყოველთვის სარგებლობდა ამ არეულობით იმერეთის მეფეების მიერ დახმარების თხოვნისას და მხარს უჭერდა მისთვის ხელსაყრელ პირებს. ოსმალები გადასახადებს იღებდნენ იმერეთის სამეფოსგან, მაგრამ გარკვეულწილად არ ერეოდნენ მის შიდა საქმეებში. საგარეო პოლიტიკაში კი იმერეთის სამეფო იძულებული იყო ოსმალეთის იმპერიის ინტერესები გაეთვალისწინებინა.

წყაროები და ლიტერატურა:

წყაროები:

1. **ბატონიშვილი, 1973** - ბატონიშვილი, ვ., *ქართლის ცხოვრება ტომი IV,* თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".
2. **ევლია ჩელები, 1971** - ევლია ჩელები, *ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი",* თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიზემ, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".
3. **რუმლუ, 1979** - *აჰსან ათ-თავარიხის ცნობები საქართველოს შესახებ,* მოამზადა კ.კუციამ. საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, ტ II, თბ.
4. **ფეჩევი, 1964** - *ინრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.* თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბილისი.
5. **ქ.ც., 1959** - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი.
6. **ჟორდანია, 1897** - *ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა,* შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ (1213-1700), ტ. II, თბილისი.
7. **ჭიჭინაძე, 1903** - ჭიჭინაძე, ზ., *პარიჟის ქრონიკა ანუ ცხოვრება საქართველოსა და დიდი მოურავის ამბები,* მეორე გამოცემა, თბილისი.
8. **Aşık Paşazade, 2003** - ÂŞIK PAŞAZADE, Haz. Kemal Yavuz – M. A. Yekta Saraç, *Osmanoğulları'nın Tarihi*, İstanbul: K Kitaplığı.
9. **Fındıklılı Süleyman, 1976** - AKTEPE, M. M., *Şem'dânî-zâde Fındıklılı Süleyman Efendi Târihi Mür'i't-Tevârih I. cilt,* İstanbul: İstanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi Yayınları.
10. **Fındıklılı Süleyman, 1978-2A** - AKTEPE, M. M., *Şem'dânî-zâde Fındıklılı Süleyman Efendi Târihi Mür'i't-Tevârih II A. cilt,* İstanbul: İstanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi Yayınları.
11. **Gelibolulu Mustafa, 2014** - GELİBOLULU MUSTAFA ÂLÎ, Haz. H. Mustafa ERAVCI (2014), *Nusret-Nâme,* Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.

12. **Bey-zâde, 2004** - HASAN BEY-ZÂDE AHMED PAŞA, Haz. Şevki Nezihi Aykut, *Hasan Bey-Zâde Târîhi (926-1003 / 1520-1595) Cilt II,* Ankara: Türk Tarih Kurumu Basımevi.
13. **Hoca Saadettin, 1999** - HOCA SAADETTİN EFENDİ, Haz. İsmet Parmaksızoğlu, *Tacü't-Tevarih IV. cilt,* Ankara: T. C. Kültür Bakanlığı Yayınları.
14. **İbn Kemal, 1991** – İBN KEMAL, Haz. Şerafettin Turan, *Tevârih-i Âl-i Osmân VII. Defter,* Ankara: Türk Tarih Kurumu Basımevi.
15. **İbn Kemal, 1997** – İBN KEMAL, Haz. Ahmet Uğur, *Tevârîh-i Âl-i Osmân VII. Defter,* Ankara: Türk Tarih Kurumu Basımevi.
16. **Nişancı, 1924** - KARAMANLI NIŞANCI MEHMED PAŞA, Çev. İbrahim Hakkı Konyalı, *Osmanlı Sultanları Tarihi*, İstanbul.
17. **Peçevi, 1981** - PEÇEVİ İBRAHİM EFENDİ, Haz. Bekir Sıtkı Baykal, *Peçevi Tarihi I. cilt,* Ankara: Kültür ve Turizm Bakanlığı Yayınları.
18. **Peçevi, 1982** - PEÇEVİ İBRAHİM EFENDİ, Haz. Bekir Sıtkı Baykal, *Peçevi Tarihi II. cilt,* Ankara: Kültür ve Turizm Bakanlığı Yayınları.
19. **Rumlu, 2017** - HƏSƏN BƏY RUMLU., Əhsənüt-Təvarix (Tarixlərin ən yaxşısı) Hicri 807-985 / Miladi 1404-1578-ci illərin hadisələri haqqında tarixi salnamə, Fars dilindən tərcümə və şərhlər: Oqtay Əfəndiyev & Namiq Musalı, Kastamonu: Uzanlar.
20. **Selânikî, 1999-1 –** SELANİKİ MUSTAFA EFENDİ, Haz. Mehmet İPŞİRLİ (1999), *Tarih-i Selânikî (971-1003/1563-1595) I,* Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.
21. **Selânikî, 1999-2** - SELANİKİ MUSTAFA EFENDİ, Haz. Mehmet İPŞİRLİ (1999), *Tarih-i Selânikî (1003-1008/1595-1600) II,* Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.
22. **Solakzâde, 2016** - ÇABUK, V. (2016), *Solakzâde Tarihi,* İstanbul: İstanbul Büyükşehir Belediyesi Kültür A.Ş. Yayınları.
23. **Süreyya, 1996-1** - MEHMED SÜREYYA, Haz. Nuri Akbayar, *Sicill-i Osmanî Cilt 1,* İstanbul: Tarih Vakfı Yurt Yayınları.
24. **Süreyya, 1996-2** - MEHMED SÜREYYA, Haz. Nuri Akbayar, *Sicill-i Osmanî Cilt 2,* İstanbul: Tarih Vakfı Yurt Yayınları.
25. **Süreyya, 1996-3** - MEHMED SÜREYYA, Haz. Nuri Akbayar, *Sicill-i Osmanî Cilt 3,* İstanbul: Tarih Vakfı Yurt Yayınları.

26. **Süreyya, 1996-4** - MEHMED SÜREYYA, Haz. Nuri Akbayar, *Sicill-i Osmanî Cilt 4,* İstanbul: Tarih Vakfı Yurt Yayınları.
27. **Süreyya, 1996-5** - MEHMED SÜREYYA, Haz. Nuri Akbayar, *Sicill-i Osmanî Cilt 5,* İstanbul: Tarih Vakfı Yurt Yayınları.
28. **Vasıf, 1994** – AHMED VASIF EFENDİ, Haz. Mücteba İlgürel, *Mehâsinü'l-Âsâr ve Hakaikü'l-Ahbar,* Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.
29. **Zeyrek, 2001** - ZEYREK, Y., *Târîh-i Osman Paşa Özdemiroğlu Osman Paşanın Kafkasya Fetihleri (H. 986-988 / M. 1578-1590) ve Tebriz'in Fethi (H. 993 / M. 1585),* Ankara: Kültür Bakanlığı Yayınları.

საარქივო მასალები:

1. Cumhurbaşkanlığı Arşivler Genel Müdürlüğü Osmanlı Arşivi (BOA), Mühimme Defteri (MH). **BOA, MH.** 3, 5, 6, 7, 104, 106, 110, 111, 112, 114, 115, 116, 126, 127, 129, 130, 135.
2. BOA, AE. SAMD. III / 47–4650 (15.07.1706)
3. BOA, AE. SAMD. III / 58–5802 (04.03.1707)
4. BOA, AE. SAMD. III / 148-14467 (18.11.1705)
5. BOA, AE. SAMD. III / 141–13665 (22.03.1712)
6. BOA, AE. SMST. III / 300 - 23974 (25.01.1762)
7. BOA, AE. SMST. III / 210 – 16561 (11.08.1763)
8. BOA, AE. SMST. III / 175 – 13756 (19.06.1765)
9. BOA, AE. SMST. III / 171 – 13442 (19.06.1765)
10. BOA, AE. SMST. III / 356 - 28528 (10.04.1766)
11. BOA, AE. SABH. I. - 202 – 13508 (05.08.1776)
12. BOA, C. AS. / 1051 - 46192 (08.06.1766)
13. BOA, C. AS. / 306 - 12647 (02.02.1765)
14. BOA, C. AS. / 668 - 28068 (09.04.1765)
15. BOA, C. AS. / 47 – 2175 (07.02.1766)
16. BOA, C. AS. / 278 - 11567 (04.06.1766)

17. BOA, C. AS. / 54 - 2535 (15.10.1765)
18. BOA, C. AS. / 895 - 38539 (10.02.1766)
19. BOA, C. AS. / 326 - 13517 (28.05.1767)
20. BOA, C. AS. / 616 – 25975 (23.09.1770)
21. BOA, C. DH. /312 – 15551 (29.08.1761)
22. BOA, C. DH. / 290 - 14451 (31.12.1766)
23. BOA, C. DH. / 299 – 14904 (11.10.1768)
24. BOA, C. DH. / 8 – 394 (25.04.1770)
25. BOA, C. HR. / 16 – 769 (04.02.1762)
26. BOA, C. HR. / 88 – 4391 (01.09.1762)
27. BOA, C. HR. / 152 – 7583 (21.12.1767)
28. BOA, C. HR. / 45 - 2233 - 4 (12.03.1770)
29. BOA, C. HR. / 173 – 8645 (25.04.1770)
30. BOA, C. HR. / 76 – 3780 (16.10.1773)
31. BOA, C. HR. / 77 – 3810 (04.01.1780)
32. BOA, C. MTZ. / 15 – 730 (29.08.1762)
33. BOA, C. ZB. / 40 – 1951 (15.11.1769)
34. BOA, HAT. / 1654-67 (11.05.1704)
35. BOA, HAT. / 175-7587 1 (23.12.1765)
36. BOA, HAT. / 8-278-1 (22.04.1766)
37. BOA, HAT / 17–733 (19.12.1781)
38. BOA, HAT. / 12 - 445 (18.08.1783)
39. BOA, HAT. / 12 – 445 – A - 1 (18.08.1783)
40. BOA, HAT. / 10 - 333A - 1 (17.09.1783)
41. BOA, HAT. / 10 - 333B - 1 (17.09.1783)
42. BOA, HAT. / 10 - 333H - (04.10.1783)
43. BOA, HAT. / 18 - 820 (25.11.1783)
44. BOA, HAT. / 19 - 908 (13.01.1784)
45. BOA, HAT. / 25 - 1251 - J - 1 (24.01.1784)

46. BOA, HAT. / 25 - 1228 (09.04.1785)
47. BOA, HR. SYS. / 80 - 3 (31.12.1769)
48. BOA, İE. AS. / 48 – 4378 (19.06.1703)
49. BOA, İE. TCT. / 12–1414 (13.10.1708)
50. BOA, TS. MA.e / 497 - 54 (09.03.1770)
51. BOA, TS. MA.e / 500 – 19 (15.05.1780)

ლიტერატურა

1. **აბულაძე, 1989** - აბულაძე, ც., სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან (XVI. ს. 80-იანი წლები), *მრავალთავი*, XV, გვ. 197-203.
2. **ასათიანი, 2003** - ასათიანი, ნ., *საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე*, თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე".
3. **ასათაინი, 2008** - ასათაინი, ნ., დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, *საქართველოს ისტორია II (XII-XVIII საუკუნეები),* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. **ბერძენიშვილი, 1965** - ბერძენიშვილი, ნ., *საქართველოს ისტორიის საკითხები წიგნი II*, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".
5. **ბლიაძე, 2013** - ბლიაძე, ე., ქუთაისი XVII-XVIII საუკუნეებში (საშინაო-პოლიტიკური ვითარება და სოციალურ-ყოფითი ცხოვრების ეპიზოდები), *ქუთაისი XIII საუკუნეის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე*, ქუთაისი: „ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო ცენტრი".
6. **ბოშიშვილი, სამუშია, 2016** - ბოშიშვილი, ა., სამუშია, ჯ., *სამეფოებად და სამთავროებად დაშლილი საქართველო*, თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.
7. **გოგოლაური, 2016** - გოგოლაური, რ., *რუსეთ-თურქეთის ომები და სამხრეთ საქართველოს საკითხი*, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი".
8. **გურული, 2010** - გურული, ვ., *საქართველო და გარესამყარო, საქართველოს ტერიტორიის განაწილება რუსეთ-ირან-ოსმალეთს შორის 1700-1921,* თბილისი:

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გამომცემლობა.

9. **გუჩუა, 1973-1** - გუჩუა, ვ., საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI სს. მიჯნაზე ,*საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე,* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", გვ. 85-94.

10. **გუჩუა, 1973-2** - გუჩუა, ვ., ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე,* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", გვ. 94-113.

11. **გუჩუა, 1973-3** - გუჩუა, ვ., საქართველო XVI ს. 50-70-იან წლებში, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე,* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", გვ. 114-126.

12. **გუჩუა, სვანიძე, 1973** -გუჩუა, ვ., სვანიძე, მ., ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყება ქართლის ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ სიმონ I-ის მეთაურობით სამცე საათაბაგოს დაპყრობა, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე,* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", გვ. 126-140.

13. **გუჩუა, 1973-4** - გუჩუა, ვ., სიმონ I-ის ბრძოლა იმერეთის შემოერთებისათვის კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან სიმონ პირველის მეფობის უკანასკნელი წლები, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე,* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", გვ. 140-150.

14. **გუჩუა, 1973-4** - გუჩუა, ვ., საქართველოს პოლიტიკური რუკა XVI-XVII სს., *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე,* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", გვ. 225-230.

15. **დუმბაძე, 1973** - დუმბაძე, მ., იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება და ცარიზმის ბატონობის გაფართოება საქართველოში, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე,* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", გვ. 844-889.
16. **დიასამიძე, 2009** - დიასამიძე, ბ., ბათუმის საკითხი XVIII-XIX საუკუნეების რუსეთ-თურქეთის ომებში, *სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექტში აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფრენციის მასალები,* ბათუმი: გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", გვ. 16-24. ^
17. **თაბუაშვილი, 2018** - თაბუაშვილი, ა., XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხები (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები და მისი გავლენა ყოფით ცხოვრებაზე), *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები,* XIV, თბილისი, გვ. 245-278.
18. **ისაკაძე, 2006** - ისაკაძე, რ., *ქუთაისი XV-XVIII საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით),* ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტი.
19. **კაკაბაძე, 1928** - კაკაბაძე, ს., ქუთაისის ციხის ოსმალების მეთაურთა ვინაობის საკითხისთვის XVIII საუკუნეში, *საისტორიო კრებული, ტ. III,* თბილისი, გვ. 121-124.
20. **კაპანაძე, 2005** - კაპანაძე, მ., გაერთიანების ტენდენციები XVI-XVII სს. საქართველოში, *აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,* ქუთაისი.
21. **კაციტაძე, 1998** - კაციტაძე, დ., ირან-ოსმალეთის ომები და საქართველო XVI ს-ის II ნახევარში, *ქართული დიპლომატიის ისტრორიის ნარკვებები II ნაწილი,* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 115-126.
22. **კაჭარავა, 1998-1** - კაჭარავა, დ., ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში და მისი პოლიტიკური შედეგები, *ქართული დიპლომატიის ისტრორიის*

ნარკვებები II ნაწილი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 208-224.

23. **კაჭარავა, 1998-2** - კაჭარავა, დ., ვახტანგ VI-ის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან, *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვებები II ნაწილი*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 237-247.

24. **კეზევაძე, მჭედლიძე, 2013** - კეზევაძე, მ. & მჭედლიძე, გ. (2013), ქუთაისი XIX საუკუნის დასაწყისიდან ბოლო მეოთხედამდე (იმერეთის სამეფოს აღდგენის ცდა და რუსული მმართველობის შემოღება), *ქუთაისი XIII საუკუნეის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე*, ქუთაისი: „ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო ცენტრი“, გვ. 285-293.

25. **კუპრაშვილი, სამუშია, 2016** - კუპრაშვილი, ს., სამუშია, ჯ., *დასავლეთი საქართველო XV-XIX საუკუნეები*, თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.

26. **კუპრაშვილი, 2019** - კუპრაშვილი, ს., *სოლომონ I და სოლომონ II*, თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.

27. **ლამბერტი, 1938** - ლამბერტი, ა., *სამეგრელოს აღწერა*, იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭყონიამ, თბილისი.

28. **ლომინაძე, 1979-1** - ლომინაძე, ბ., საქართველო XV საუკუნის პირველ ნახევარში. ღონისძიებები ქვეყნის აღდგენისათვის ალექსანდრე I დიდი, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი III, საქართველო XI-XV საუკუნეებში,* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, გვ. 720-732.

29. **ლომინაძე, 1979-2** - ლომინაძე, ბ., საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი III, საქართველო XI-XV საუკუნეებში,* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, გვ. 733-752.

30. **ლორთქიფანიძე, მეტრეველი, 2007** - ლორთქიფანიძე, მ., მეტრეველი, რ., *საქართველოს მეფეები,* თბილისი: გამომცემლობა „ნაკერი“.

31. **მაკალათია, 1941** - მაკალათია, ს., *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია,* თბილისი: საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება.

32. **მამისთვალაშვილი, 2019** - მამისთვალაშვილი, ე., *თეიმურაზ I*, თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.

33. **მახარაძე, 2005** - მახარაძე, მ., 1461 წლის საქართველოზე ოსმალთა თავდასხმის და ტარხიგორისტანის საკითხის შესახებ, *თსუ შრომები*, ტ. 361 თბ.

34. **მახარაძე, 2009** - მახარაძე, მ., ქუთაი უსთუნი, სოლომონ II-ს რამოდენიმე უცნობი წერილი ოსმალთა სულთნისადმი, *პერსპექტივა XI*, თბილისი.

35. **მეგრელაძე, 1973** - მეგრელაძე, დ., ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე*, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", გვ. 433-444.

36. **მეტრეველი, 2010** - მეტრეველი, რ., *საქართველოს მეფეები და პატრიარქები,* თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი".

37. **მურუსიძე, 2017** - მურუსიძე, შ., *საქართველო და რუსეთის იმპერია,* თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.

38. **მჭედლიძე, 2013** - მჭედლიძე, გ., ქუთაისი XIX საუკუნის დასაწყისიდან ბოლო მეოთხედამდე (რუსეთის მიერ ანაქსიის მომზადება და იმერეთის სამეფოს გაუქმება), *ქუთაისი XIII საუკუნეის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე,* ქუთაისი: „ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო ცენტრი", გვ. 269-285.

39. **ნასყიდაშვილი, 2019** - ნასყიდაშვილი, დ., ახალი მასალები ფოთის/ფასისის კოშკიდან, *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები.* XV, გვ. 272-281.

40. **ნინიძე, 1998-1** - ნინიძე, დ., ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ცდები და საქართველო, *ქართული დიპლომატიის ისტრორიის ნარკვებები II ნაწილი*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 46-58.

41. **ნინიძე, 1998-2** - ნინიძე, დ., XV საუკუნის II ნახევრის ქართული დიპლომატია, *ქართული დიპლომატიის ისტრორიის ნარკვებები II ნაწილი*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 58-81.

42. **პაიჭაძე, 1973** - პაიჭაძე, გ., ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან XVIII ს. 20-იან წლებში, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე,* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", გვ. 413-421.

43. **პაიჭაძე, ჩხატარაიშვილი, 1973** - პაიჭაძე, გ. & ჩხატარაიშვილი, ქ., 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე,* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", გვ. 648-663.

44. **რეხვიაშვილი, 1982** - რეხვიაშვილი, მ., *იმერეთი XVIII საუკუნეში (ნარკვევები),* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

45. **რეხვიაშვილი, 1989** - რეხვიაშვილი, მ., *იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.),* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

46. **რობაქიძე, 2012** - რობაქიძე, მ., 1757 წლის ხრესილის ბრძოლა, *ქართველური მემკიდრეობა, XVI,* ქუთაისი: აქაქი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

47. **საითიძე, 1998** - საითიძე, გ., ქართველი ხალხის ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის XVI ს-ის I ნახევარში და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა, *ქართული დიპლომატიის ისტრორიის ნარკვებები II ნაწილი,* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 94-114.

48. **სამსონაძე, 2020-1** - სამსონაძე, მ., დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, *საქართველოს ისტორია საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე ტომი III,* თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L, გვ. 303-310.

49. **სამსონაძე, 2020-2** - სამსონაძე, მ., რუსეთ-თურქეთის 1769-1774 წლების ომი და საქართველო, *საქართველოს ისტორია საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე ტომი III,* თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L, გვ. 384-401.

50. **სამსონაძე, 2020-3** - სამსონაძე, მ., დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო 80-90-იან წლებში. ქვეყნის გაერთიანების საკითხის დაყენების არსი, *საქართველოს ისტორია საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე ტომი III,* თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L, გვ. 430-440.

51. **სამუშია, 2014** - სამუშია, ჯ., *თბილისის ისტორია*, თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.

52. **სანაძე, 2018** - სანაძე, მ., საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ურთიერთობების 550 წლიანი ისტორია, *Uluslararası Şota Rustaveli 850. Yılı Sempozyumu,* Düzce Üniversitesi Yayınları, XVIII, 637-668.

53. **სვანიძე, 1965** - სვანიძე, მ., ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,* ტ.116, გვ. 383-400.

54. **სვანიძე, 1971** - სვანიძე, მ., *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII* სს., თბილისი: „მეცნიერება".

55. **სვანიძე, 1990** - სვანიძე, მ., *საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.)*, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

56. **სვანიძე, 1999** - სვანიძე, მ., *ოსმალეთის ისტორია (XIV-XVI სს.)*, თბილისი: გამომცემლობა „ქრონოგრაფი".

57. **სვანიძე, 2001** - სვანიძე, მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში, *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, თბ., 8.

58. **სვანიძე, 2009** - სვანიძე, მ., 1555 წლის 1 ივნისის ამასიის ოსმალეთ-ირანის საზავო ხელშეკრულება და საქართველო, *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე*, ტ. 3, No. 1, გვ. 191-197.

59. **სილაგაძე, გურული, 2001** - სილაგაძე, ა., გურული, ვ., *ისტორიულ - პოლიტიკური ნარკვევები*, თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი".

60. **სულაბერიძე, 2015** - სულაბერიძე, ზ., ფოთის ციხის პრობლემა 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, *ქართულ-თურქული სამეცნიერო კონფერენცია,* თბილისი: „ჯეოპრინტი", გვ. 56-59.

61. **ტყეშელაშვილი, 2016** - ტყეშელაშვილი, ლ., *იმერეთის მეფე სოლომონ I - დიდი*, ქუთაისი: გელათის სასულიერო აკადამია და სემინარია.

62. **შარდენი, 2018** - შარდენი, ჟ., *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

63. **შენგელია, 1960** - შენგელია, ნ., თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაციმას ცნობები გიორგი საკაძის შესახებ, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,* ნაკვ. 33, გვ. 253-264.

64. **შენგელია, 1982** - შენგელია, ნ., *ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIII ს.),* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

65. **შველიძე, 2011** - შველიძე, დ., თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკა და მისი შედეგები, *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები,* IV, თბილისი, გვ. 231-245.

66. **ჩოჩიევი, 1976** - ჩოჩიევი, ვ., ოსმალეთის 1548-1549 წლების ლაშქრობა სამცხე-საათაბაგოსა და ირანის წინააღმდეგ საერთაშორისო ურთიერთობათა შუქზე, *თსუ შრომები, 180, აღმოსავლეთმცოდნეობა*, გვ. 145-155.

67. **ჩხატარაიშვილი, 1973-1** - ჩხატარაიშვილი, ქ., დასავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე,* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, გვ. 455-485.

68. **ჩხატარაიშვილი, 1973-2** - ჩხატარაიშვილი, ქ., დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალეთის ბატონობისაგან, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე,* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, გვ. 636-648.

69. **ჩხატარაიშვილი, 1973-3** - ჩხატარაიშვილი, ქ., დასავლეთ საქართველო XVIII ს. 70-80-იან წლებში, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე,* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, გვ. 664-676.

70. **ჩხატარაიშვილი, 1973-4** - ჩხატარაიშვილი, ქ., დასავლეთ საქართველო XVIII ს. 80-90-იან წლებში, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო*

XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", გვ. 740-754.

71. **წვერავა, 2013** - წვერავა, ვ., ქუთაისი XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნეში, *ქუთაისი XIII საუკუნეის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე*, ქუთაისი: „ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო ცენტრი", გვ. 123-162.

72. **ჭაავა, 2018-1** - ჭაავა, ი., დასავლეთ საქართველო დაცემის ქრონიკები XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მიმოხილვა, *ისტორიანი*, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი, No: 4 (88), აპრილი, თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L, გვ. 19-22.

73. **ჭაავა, 2018-2** - ჭაავა, ი., დასავლეთ საქართველო დაცემის ქრონიკები XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მიმოხილვა, *ისტორიანი*, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი, No: 6 (90), ივნისი, თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L, გვ. 28-32.

74. **ხოროვა, ვაჭრიძე, 2019** - ხოროვა, ბ., ვაჭრიძე, გ., *ბაგრატ III იმერეთის მეფე*, თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.

75. **ჯავახიშვილი, 1967** - ჯავახიშვილი, ი., *ქართველი ერის ისტორია წიგნი მეოთხე XV-XVIII საუკუნეები*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

76. **ჯაველიძე, 1990** - ჯაველიძე, ნ., იბნ-ქემალის ერთი ცნობა XV საუკუნის საქართველოს შესახებ, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია, თბ., 2.

77. **ჯამბურია, 1973** - ჯამბურია, გ., საქართველოს გაერთიანების ცდები ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში (60-90 იანი წლები), *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე*, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", გვ. 342-356.

78. **ჯამბურია, 2020** - ჯამბურია, გ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XVII საუკუნის პირველ მესამედში, *საქართველოს*

ისტორია საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე ტომი III, თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L, გვ. 189-220.

79. **ჯანაშია, ბერძენიშვილი, 1990** - ჯანაშია, ს., ბერძენიშვილი, ნ., *საქართველოს ისტორია საკითხავი წიგნი*, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

80. **Aktepe, 1958** - AKTEPE, M. M., *Patrona İsyanı (1730)*, İstanbul: İstanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi Yayınları.

81. **Aktepe, 1988** - AKTEPE, M. M., Abdülhamid I, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 1, 213-216.

82. **Aktepe, 1989** - AKTEPE, M. M., Ahmed III, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 2, 34-38.

83. **Aktepe, 1992** - AKTEPE, M. M., Baltacı Mehmet Paşa, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 5, 35-36.

84. **Allen, 1970** - ALLEN, W. E. D., *Russian Embassies to The Georgian Kings, 1586-1605, Volume I,* Cambridge Published for the Hakluyt Society At The Universty Press.

85. **Allen, 1971** - ALLEN, W. E. D., *A History of The Georgian People From The Beginning Down To The Russian Conquest İn The Nineteenth Century*, London: Routledge & Kegan Paul.

86. **Altı, 2013** - ALTI, A., *22 Numaralı Mühimme Defteri'nin (H. 981/M. 1573) Transkripsiyon ve Değerlendirilmesi (s.215-351)*, Erciyes Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Tarih Anabilim Dalı Yeniçağ Bilim Dalı, Kayseri.

87. **Altundağ, 1948** - ALTUNDAĞ, Ş., Osmanlı İdaresi ve Gürcüler, *IV. Türk Tarih Kongresi Ankara 10-14 Kasım 1948,* 317-325.

88. **Ateş, 2015** - ATEŞ, A., Şehzade Selim ve Şah II. İsmail'in Gürcistan Seferleri (XVI. Yüzyılın İlk Çeyreği), *Necmettin Erbakan Üniversitesi Sosyal Bilimler Dergisi,* Cilt 1, Sayı 2, Konya, 97-110.

89. **Aydın, 1986** - AYDIN, M., Faş Kalesi, *Osmanlı Araştırmaları*, VI, 67-138.

90. **Baddeley, 1908** - BADDELEY, J. F., *The Russian Conquest of the Caucasus,* London: Longmans, Green and Co.

91. **Bala, 1964** - BALA, M., Gürcistan, *MEB İslam Ansiklopedisi,* 4, 837-845.

92. **Beradze, Kutsia, 2002** - BERADZE, G., KUTSIA, K., Towards the Interrelations of Iran and Georgia in the 16th -18th Centuries, *The Near East and Georgia III,* Tbilisi, 160-176.

93. **Berdzenişvili, Canaşia, 2000** - BERDZENİŞVİLİ, N., CANAŞİA, S., *Gürcüstan Tarihi,* İstanbul: Sorun Yayınları.

94. **Berkok, 1958** - BERKOK, İ., *Tarihte Kafkasya*, İstanbul: İstanbul Matbaası.

95. **Beydilli, 2002** - BEYDİLLİ, K., Küçük Kaynarca Antlaşması, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 26, 524-527.

96. **Beydilli, 2003** - BEYDİLLİ, K., Mahmud II, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 27, 352-357.

97. **Beydilli, 2006-1** - BEYDİLLİ, K., Mustafa III, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 31, 280-283.

98. **Beydilli, 2006-2** - BEYDİLLİ, K., Mustafa IV, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 31, 283-285.

99. **Beydilli, 2007** - BEYDİLLİ, K., Prut Antlaşması, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 34, 359-362.

100. **Beydilli, 2008** - BEYDİLLİ, K., Rusya, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 35, 266-270.

101. **Beydilli, 2009** - BEYDİLLİ, K., Selim III, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 36, 420-425.

102. **Beydilli, 2013** - BEYDİLLİ, K., Yaş Antlaşması, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 43, 343-347.

103. **Bilge, 2015** - BİLGE, S. M., *Osmanlı Çağı'nda Kafkasya 1454-1829 (Tarih – Toplum - Ekonomi),* İstanbul: Kitabevi.

104. **Budak, 1999** - BUDAK, M., Kafkasya Ve Osmanlı Devleti (XVI - XX. Yüzyıllar), *Osmanlı Ansiklopedisi,* 1, 594-612.

105. **Chardin, 2014** - CHARDİN, J., *Chardin Seyahatnamesi İstanbul, Osmanlı Toprakları, Gürcistan, Ermenistan, İran 1671-1673,* editör. Stefanos Yerasimos, çeviren. Ayşe Meral, İstanbul: Kitap Yayınevi.

106. **Çakmak, 1999** - ÇAKMAK, M. A., XVIII. Yüzyılda Kafkasya, *Osmanlı Ansiklopedisi,* 1, 613-621.

107. **Çaycıoğlu, 2017** - ÇAYCIOĞLU, S. O., 18. Yüzyıl Başlarında Rusya'nın Kafkasya Siyaseti: I. Petro'nun İran Seferi, *Vakanüvis – Uluslararası Tarih Araştırmaları Dergisi*, 2, 115-132.

108. **Çobanoğlu, 2003** - ÇOBANOĞLU, A. V., Lala Mustafa Paşa Külliyesi, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 27, 74-77.

109. **Çolak, 2002** - ÇOLAK, S., Patrona Halil Ayaklanması'nı Hazırlayan Şartlar ve İsyanın Pây-ı Tahttaki Etkileri, *Türkler Ansiklopedisi,* 12, 847-856.

110. **Ekinci, 2002** - EKİNCİ, M., Yavuz Sultan Selim Dönemi'nde Osmanlı - Safevi İlişkileri, *Türkler Ansiklopedisi,* 9, 446-458.

111. **Emecen, 2003-1** - EMECEN, F., Osmanlı Devleti'nin "Şark Meselesi" nin Ortaya Çıkışı İlk Münasebetler ve İç Yansımaları, *Tarihten Günümüze Türk-İran İlişkileri Sempozyumu 16-17 Aralık 2002 Konya*, Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları, 33-48.

112. **Emecen, 2003-2** - EMECEN, F., Mehmed III, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 28, 407-413.

113. **Emecen, 2006** - EMECEN, F., Mustafa I, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 31, 272-275.

114. **Emecen, 2007** - EMECEN, F., Osman II, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 33, 453-456.

115. **Emecen, 2009-1** - EMECEN, F., Selim I, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 36, 407-414.

116. **Emecen, 2009-2** - EMECEN, F., Selim II, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 36, 414-418.

117. **Emecen, 2010** - EMECEN, F., Süleyman I, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 38, 62-74.

118. **Ercan, 2002** - ERCAN, Y., Yavuz Sultan Selim Dönemi, *Türkler Ansiklopedisi,* 9, 421-445.

119. **Danişmend, 1971** - DANİŞMEND, İ. H., *İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi II. cilt M. 1513-1573 / H. 919-981,* İstanbul: Türkiye Yayınevi.

120. **Danişmend, 1972-1** - DANİŞMEND, İ. H., *İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi III. cilt M. 1574-1703 / H. 987-1115,* İstanbul: Türkiye Yayınevi.

121. **Danişmend, 1972-2** - DANİŞMEND, İ. H., *İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi IV. cilt M. 1703-1924 / H. 1115-1342,* İstanbul: Türkiye Yayınevi.

122. **Dedeyev, 2009** - DEDEYEV, B., Çaldıran Savaşı'na Kadar Osmanlı – Safevi İlişkilerine Kısa Bir Bakış, *Uluslararası Sosyal Araştırmalar Dergisi,* 2(6), 126-135.

123. **Demir, 2017** - DEMİR, E., *Azerbaycan, Gürcistan ve Kıbrıs Fatihi Lala Mustafa Paşa,* İstanbul: İdeal Kültür & Yayıncılık.

124. **Dursun, 1996** - DURSUN, D., Gürcistan (Fiziki ve Beşeri Coğrafya), *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 14, 310-311.

125. **Dursun, 2001** - DURSUN, D., Kafkasya (Fiziki ve Beşeri Coğrafya), *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 24, 157-158.

126. **Genç, 2012 –** GENÇ, S., *Osmanlı-Safevi Savaşlarında Sefer Organizasyonu ve Lojistik 1722-1725,* Marmara Üniversitesi Türkiyat Araştırmaları Enstitüsü Türk Tarihi Anabilim Dalı, Yeniçağ Tarihi Bilim Dalı, İstanbul.

127. **Göğebakan, 2002** - GÖĞEBAKAN, G., Doğu Anadolu'nun Osmanlı Hâkimiyetine Girişi, *Türkler Ansiklopedisi,* 9, 459-469.

128. **Gökçe, 1979** - GÖKÇE, C., *Kafkasya ve Osmanlı İmparatorluğu'nun Kafkasya Siyaseti,* İstanbul: Şamil Eğitim ve Kültür Vakfı Yayınları.

129. **Gül, 2009** - GÜL, M., Türk-Gürcü İlişkileri ve Türkiye Gürcüleri, *Sakarya Üniversitesi Fen Edebiyat Dergisi,* 1, 75-108.

130. **Gümüş, 1999** - GÜMÜŞ, N., Osmanlıların Gürcistan'ı Fethi ve İslamlaşma Hareketleri, *Osmanlı Ansiklopedisi,* 1, 326-340.

131. **Gümüş, 2000** - GÜMÜŞ, N., *XVI. Asırda Osmanlı-Gürcistan İlişkileri*, Marmara Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü İslam Tarihi ve Sanatları Anabilim Dalı, İstanbul.

132. **Gümüş, 2006** - GÜMÜŞ, N., Son Gürcü Kralı II. Solomon'un Ruslara Karşı Mücadelesi ve Osmanlı Devleti İle İlişkileri, *Necmettin Erbakan Üniversitesi İlahiyat Fakültesi Dergisi,* 22, 105-118.

133. **Gündüz, 2008** - GÜNDÜZ, T., Safeviler (I. Siyasi Tarih), *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 35, 451-455.

134. **Gvosdev, 2000** - GVOSDEV, N. K., *İmperial Policies and Perspectives towards Georgia, 1760-1819,* London: Macmillan Press.

135. **Hammer, 2008** - HAMMER, J. Von., *Büyük Osmanlı Tarihi Cilt 16,* İstanbul: Üçdal Neşriyat.

136. **Hasani, 2003** - HASANİ, A., İranlı Tarihçilere Göre Osmanlı İran İlişkilerindeki Krizin Nedenleri (985-1049/1577-1639), *Tarihten Günümüze Türk-İran İlişkileri Sempozyumu 16-17 Aralık 2002 Konya*, Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları, 15-31.

137. **İlgürel, 1989-1** - İLGÜREL, M., Ahmed I, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 2, 30-33.

138. **İlgürel, 1989-2** - İLGÜREL, M., Ahmed II, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 2, 33-34.

139. **İnalcık, 1999** - İNALCIK, H., Osmanlı-Rus İlişkileri (1492-1700), *Türk-Rus İlişkilerinde 500 Yıl,* 25-35.

140. **İnalcık, 2000 –** İNALCIK, H., *The Ottoman Empire The Classical Age 1300-1600,* London: Phoenix Press.

141. **İnbaşı, 2010** - İNBAŞI, M., XVIII. Yüzyilin İkinci Yarisinda Çildir Eyâleti Ve İdarecileri, *Atatürk Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi*, 7 (1), 77-94.

142. **Jorga, 2009-2** - JORGA, N., *Osmanlı İmparatorluğu Tarihi – 2 (1451-1538)*, yayına hazırlayan. Erhan Afyoncu, çeviren. Nilüfer Epçeli, İstanbul: Yeditepe Yayınevi.

143. **Jorga, 2009-3** - JORGA, N., *Osmanlı İmparatorluğu Tarihi – 3 (1538-1640)*, yayına hazırlayan. Erhan Afyoncu, çeviren. Nilüfer Epçeli, İstanbul: Yeditepe Yayınevi.

144. **Karadeniz, 2012** - KARADENİZ, Y., *İran Tarihi (1700-1925)*, İstanbul: Selenge Yayınları.

145. **Karal, 2000** - KARAL, E. Z., *Osmanlı Tarihi I. cilt Nizam-ı Cedid ve Tanzimat Devirleri (1789-1856),* Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.

146. **Karamanlı, 1996-1** - KARAMANLI, H. M., Gürcistan (Tarih-İslami Dönem), *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 14, 311-313.

147. **Karamanlı, 1996-2** - KARAMANLI, H. M., Gürcistan (Tarih-Osmanlı Hâkimiyeti Dönemi), *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 14, 314-316.

148. **Kazıyev, 1999** - KAZIYEV, S., Ekonomik Çekişmenin Neticesi Olarak Türk Rus Savaşları, *Osmanlı Ansiklopedisi,* 1, 550-555.

149. **Kirzioğlu, 1998** - KİRZİOĞLU, M. F., *Osmanlılar'ın Kafkas-Ellerini Fethi (1451-1590),* Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.

150. **Kılıç, 2000** - KILIÇ, R., Osmanlı-İran Arasında Kasr-ı Şirin Barış Antlaşması (1639), *Fırat Üniversitesi İlahiyat Fakültesi Dergisi, Elazığ,* 265-283.

151. **Kılıç, 2001** - KILIÇ, R., Trabzon Valisi Şehzade Selim ve Faaliyetleri, *II. Trabzon ve Çevresi Uluslararası Tarih -Dil- Edebiyat Sempozyumu, (3-5 Mayıs 2001),* 1, 99-115.

152. **Kılıç, 2003** - KILIÇ, R., Osmanlılar ile Safeviler Arasında Nasuh Paşa (1612) ve Serav (1618) Atlaşmaları, *Niğde Üniversitesi Eğitim Fakültesi Eğitim ve Bilim Dergisi, S. 2, Niğde,* 124-134

153. **Kılıç, 2006** - KILIÇ, R., *Kanuni Devri Osmanlı – İran Münasebetleri (1520-1566),* İstanbul: IQ Kültür Sanat Yayıncılık.

154. **Kılıç, 2008** - KILIÇ, R., Osmanlı Devleti'nin İran politikası (16. ve 17. Yüzyıllar), *Türk Dış Politikası Osmanlı Dönemi, C. I-II, Editör: Mustafa BIYIKLI, Gökkubbe Yayınları, İstanbul, C. I*, 75-116.

155. **Kırca, 2007** - KIRCA, E. (2007), *Başbakanlık Osmanlı Arşivi 168 Numaralı Mühimme Defteri (S. 1-200) (1183-1185/1769-1771) Transkripsiyon, Değerlendirme,* Marmara Üniversitesi Türkiyat Araştırmaları Enstitüsü Türk Tarihi Anabilim Dalı Yeniçağ Tarihi Bilim Dalı, İstanbul.

156. **Köse, 2014** - KÖSE, E., Osmanlı Devleti ve Solomon I: İmeret'te Hâkimiyet Mücadelesi (1752-1768), *Tarih Dergisi, Sayı 60 (2014/2), İstanbul, s. 43-96.*

157. **Koçak, 2017** - KOÇAK, Z., 1787-1792 Osmanlı Rus Savaşında Değişen Dengeler ve Yaş Antlaşması, *Tarih İncelemeleri Dergisi, XXXII / 2, İzmir, s. 459-490.*

158. **Kolçak, 2012** - KOLÇAK, Ö., Vasvar Antlaşması, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 42, 560-562.

159. **Kolçak, 2016** - KOLÇAK, Ö., Saint Gotthard Muharebesi, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* Ek-2, 453-455.

160. **Kurat, 1987** - KURAT, A. N., *Rusya Tarihi Başlangıçtan 1917'ye Kadar,* Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.

161. **Külbilge, 2010** - KÜLBİLGE, İ., *18. Yüzyılın İkinci Yarısında Osmanlı-İran Siyasi İlişkileri (1703-1747),* Ege Üniverstesi Sosyal Bilimler Enstitüsü Tarih Anabilim Dalı Yeniçağ Tarihi Anabilim Dalı, İzmir.

162. **Küpeli, 2009** - KÜPELİ, Ö., *Osmanlı – Safevi Münasebetleri (1612-1639)*, Ege Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Yeniçağ Tarihi Anabilim Dalı, İzmir.

163. **Küpeli, 2014** - KÜPELİ, Ö., Kırım Tatarları ve Osmanlıların İran Seferleri, *Crimean Historical Review,* 1, 161-178.

164. **Küpeli, 2015** - KÜPELİ, Ö., Transkafkasya'da Güç ve Rekabet: XVII. Yüzyılın İlk Yarısında Güney Kafkasya'da Osmanlı-Safevi Mücadelesi, *Cihannüma Tarih ve Coğrafya Araştırmaları Dergisi*, 1(1), 95-113.

165. **Küpeli, Külbilge, 2018** - KÜPELİ, Ö. & KÜLBİLGE, İ., III. Ahmed Devri'nde Osmanlı-İran İlişkileri, *Lale Devri'nde Osmanlı Devleti ve Nevşehir,* Konya: Kömen Yayınları.

166. **Kütükoğlu, 1993** - KÜTÜKOĞLU, B., *Osmanlı – İran Siyâsî Münâsebetleri (1578-1612),* İstanbul: İstanbul Fetih Cemiyeti.

167. **Kütükoğlu, 1997** - KÜTÜKOĞLU, M. S., Hatt-ı Hümâyun, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 16, 485-488.

168. **Kütükoğlu, 2003** - KÜTÜKOĞLU, B., Lala Mustafa Paşa, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 27, 73-74.

169. **Kütükoğlu, 2006-1** - KÜTÜKOĞLU, B., Murad III, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 31, 172-176.

170. **Kütükoğlu, 2006-2** - KÜTÜKOĞLU, M. S., Mühimme Defteri, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 31, 520-523.

171. **Lang, 1952** - LANG, D. M., Georgia and the Fall of the Safavi Dynasty, *in BSOAS 14,* s. 523-539.

172. **Lockhart, 2016** - LOCKHART, L., Safevi Döneminde İran Ordusu, *Cihannüma Tarih ve Coğrafya Araştırmaları Dergisi*, Çev. İlker Külbilge, II/2, 177-188.

173. **Matthee, 2001** - MATTHEE, R., Georgians in the Safavid Administration, *Encyclopedia Iranica,* Volume X, Bibliotheca Persica Press, New York, 493-496.

174. **Matthee, 2014** - MATTHEE, R., The Ottoman-Safavid War of 986-998/1578-1590: Motives and Causes, *International Journal of Turkish Studies*, Vol. 20, Nos. 1&2, 1-20.

175. **Matthee, 2017-1** - MATTHEE, R., Abbas I, Shah of Persia, *Christian-Muslim Relations A Bibliographical History, Vol. 10. Ottoman and Safavid Empires (1600-1700),* Brıll, Leiden-Boston, 549-561.

176. **Matthee, 2017-2** - MATTHEE, R., Şafi, Shah of Persia, *Christian-Muslim Relations A Bibliographical History, Vol. 10. Ottoman and Safavid Empires (1600-1700),* Brıll, Leiden-Boston, 573-581.

177. **Muhammedoğlu, 2000** - MUHAMMEDOĞLU, A. S., İran (Osmanlı İran Münasebetleri), *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 22, 405-409.

178. **Nəcəfli, 2011** - NƏCƏFLİ, T., XVI. Əsrin II Rübündə Səfəvi-Osmanlı Münasibətlərinin Türkiyə Tarixşünaslığında Tədqiqine Dair, *AMEA, Tarix İnstitutu, 38/2011,* 41-52.

179. **Nəcəfli, 2016** - NƏCƏFLİ, T., Azərbaycan Səfəvi Dövlətinin Gürcüstanla Münasibətləri (XVI-XVII Əsrlər) Türkiyə Tarixşünaslığında, *Journal of Qafqaz Unıversıty – Hıstory, Law and Polıtıcal Scıences*, Volume 4, Number 1, Pages 3-19.

180. **Oreshkova, 1999** - ORESHKOVA, S., Rus-Osmanlı Savaşları: Sebepler Ve Bazı Tarihi Sonuçlar, *Osmanlı Ansiklopedisi,* 1, 556-560.

181. **Özcan, 1994** - ÖZCAN, A., Edirne Vakası, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 10, 445-446.

182. **Özcan, 1999** - ÖZCAN, A., Hüsrev Paşa Deli, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 19, 40-41.

183. **Özcan, 2001** - ÖZCAN, A., Karlofça, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 24, 504-507.

184. **Özcan, 2003-1** - ÖZCAN, A., Lale Devri, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 27, 81-84.

185. **Özcan, 2003-2**- ÖZCAN, A., Mahmud I, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 27, 348-352.

186. **Özcan, 2003-3** - ÖZCAN, A., Mehmed IV, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 28, 414-418.

187. **Özcan, 2006** - ÖZCAN, A., Mustafa II, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 31, 275-280.

188. **Özcan, 2007** - ÖZCAN, A., Pasarofça Antlaşması, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 34, 177-181.

189. **Özcan, 2010** - ÖZCAN, A., Süleyman II, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 38, 75-80.

190. **Özcan, 2006** - ÖZCAN, Azmi, Nadir Şah, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 32, 276-277.

191. **Papp, 2013** - PAPP, S., Zitavatorok Antlaşması, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 44, 472-474.

192. **Paydaş, 2006** - PAYDAŞ, K., Timur'un Gürcistan Seferleri, *Fırat Üniversitesi Sosyal Bilimler Dergisi,* 16(1), *419*-437.

193. **Rota, 2000** - ROTA, G., Caucasians in Safavid Service in the 17th Century, *Caucasia Between The Ottoman Empire and Iran, 1555-1914*, Reichert Verlag Wiesbaden.

194. **Sarıcaoğlu, 2007** - SARICAOĞLU, F., Osman III, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 33, 456-459.

195. **Sertoğlu, 1987** - SERTOĞLU, M., *IV. MURAD,* Ankara: Kültür ve Turizm Bakanlığı Yayınları.

196. **Sümer, 1988** - SÜMER, F., Abbas I, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 1, 17-19.

197. **Sungur, 2012** - SUNGUR, Ç., *Habeşistan'dan Kafkasya'ya Bir Osmanlı Paşası: Özdemiroğlu Osman Paşa,* Hacettepe Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Tarih Anabilim Dalı, Ankara.

198. **Svanidze, 2006** – SVANİDZE, M., 1612 Osmanlı-İran Sulhu ve Gürcistan, *XV. Türk Tarih Kongresi,* C. II, Ankara.

199. **Şahin, Emecen, 1991** - ŞAHİN, İ., EMECEN, F., Amasya Antlaşması, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 3, 4-5.

200. **Şahin, 2002** - ŞAHİN, H., Kaynarca'dan (1774) Paris Barışı'na (1856) Kadar Şark Meselesi Perspektifinde Osmanlı-Rus Münasebetlerine Genel Bir Bakış, *Türkler Ansiklopedisi,* 12, 531-544.

201. **Şahin, 2014** - ŞAHİN, R., *22 Numaralı Mühimme Defteri'nin (H. 981/M. 1573) Transkripsiyon ve Değerlendirilmesi (s. 1-107)*, Erciyes Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Tarih Anabilim Dalı Yeniçağ Bilim Dalı, Kayseri.

202. **Temizkan, 2006** - TEMİZKAN, A., Rusya ve Osmanlı Devleti'nin Kafkas-Ötesinde Nüfuz Mücadelesi, *Türk Dünyası İncelemeleri Dergisi*, Cilt: VI, Sayı 2, 447-462, İzmir.

203. **Tan, 2015** - TAN, M. A. (2015), *99 Numaralı Mühimme Defteri Transkripsiyonu ve Değerlendirmesi (91-180)*, Bitlis Eren Üniversitesi / Mardin Artuklu Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Yeniçağ Anabilim Dalı Tarih Bilim Dalı, Bitlis.

204. **Teyyuboğlu, 1999** - TEYYUBOĞLU, M. T. T., XVIII. Yüzyılın İlk Yarısında Kafkaslarda Osmanlı-Rus İlişkileri, *Osmanlı Ansiklopedisi,* 1, 561-572.

205. **Tunay, 1998** - TUNAY, M., *Naima Tarihine Göre (1592-1659) Osmanlı Uluslararası İlişkileri,* Uludağ Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Tarih Ana Bilim Dalı Yeni Çağ Tarihi Bilim Dalı, Bursa.

206. **Turan, 1958** - TURAN, Ş., Lala Mustafa Paşa Hakkında Notlar ve Vesikalar, *Belleten, Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.* Cilt 22, Sayı 88, 551-593.

207. **Turan, 1992** - TURAN, Ş., Bayezid II, *Diyanet İslam Ansiklopedisi*, 5, 234-238.

208. **Türker, Soofizahed, 2015** - TÜRKER, Ö. & SOOFİZAHED, A., Gürcistan'ın Rus Himayesine Girmesi ve Sonuçları: Georgiyevsk Antlaşması'ndan Ağa Muhammed Han'ın Tiflis Seferi'ne, *History Studies İnternational Journal of History,* 7(3), 149-165.

209. **Uzunçarşılı, 1975** - UZUNÇARŞILI, İ. H., *Osmanlı Tarihi II. cilt İstanbul'un Fethinden Kanuni Sultan Süleyman'ın Ölümüne Kadar,* Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.

210. **Uzunçarşılı, 1978** - UZUNÇARŞILI, İ. H., *Osmanlı Tarihi IV. cilt, 1.Bölüm, Karlofça Anlaşmasından XVIII. Yüzyılın Sonuna Kadar,* Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.

211. **Uzunçarşılı, 1988** - UZUNÇARŞILI, İ. H., *Osmanlı Tarihi III. cilt II. Selim'in Tahta Çıkışından 1699 Karlofça Andlaşmasına Kadar,* Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.

212. **Uzunçarşılı, 1998** - UZUNÇARŞILI, İ. H., *Osmanlı Tarihi II. cilt İstanbul'un Fethinden Kanuni Sultan Süleyman'ın Ölümüne Kadar,* Ankara: Türk Tarih Kurumu Yayınları.

213. **Uzunçarşılı, 2002** -UZUNÇARŞILI, İ. H., XVIII. Asırda Osmanlı-İran Münasebetleri, *Türkler Ansiklopedisi,* 12, 512-524.

214. **Üstün, 2000** - ÜSTÜN, İ. S., İran Tarihi, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 22, 400-404.

215. **Valiyev, Yörük, 2016** - VALİYEV, E. & YÖRÜK, D., Güney Kafkasya'da Osmanlı Hâkimiyeti (1723-1735), *SUTAD,* Güz 2016, (40), 15-28.

216. **Varlık, 1993** - VARLIK, M. Ç., Çaldıran Savaşı, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 8, 193-195.

217. **Vatin, 1989** - Vatin, N., *L'ascention des ottomans (1451-1512), Histore de l'Empire Ottoman*, Paris.

218. **Yağcı, 2002** - YAĞCI, Z. G., XVIII. Yüzyılda Osmanlı Devleti'nin Doğu Karadeniz Politikası, *Türkler Ansiklopedisi,* 12, 554-563.

219. **Yağcı, 2007** - YAĞCI, Z. G., Çorum'dan Bir Vezir-i Âzam: Baltacı Mehmet Paşa, *Baltacı Mehmet Paşa –Sempozyum Bildirileri-,* Karam, 19-51.

220. **Yağcı, 2015** - YAĞCI, Z. G., Köle Kaynağı Bakımından Kafkasya'nın Önemi, *Yeni Türkiye,* 71, 429-444.

221. **Yans, 1977** - YANS. K., *IV. Murad Devrinde OSMANLI – SAFEVİ MÜNÂSEBETLERİ*, İstanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi Osmanlı Müesseseleri ve Medeniyeti Tarihi Kürsüsü, İstanbul.

222. **Yılmazer, 2006** - YILMAZER, Z., Murad IV, *Diyanet İslam Ansiklopedisi,* 31, 177-183.

223. **Zinkeisen, 2011-2** - ZİNKEİSEN, J. W., *Osmanlı İmparatorluğu Tarihi – 2 (1453-1574)*, editör. Erhan Afyoncu, çeviren. Nilüfer Epçeli, İstanbul: Yeditepe Yayınevi.

224. **Zinkeisen, 2011-3** - ZİNKEİSEN, J. W., *Osmanlı İmparatorluğu Tarihi - 3 Lehistan Barışı'na ve Sultan I. Mustafa'nın 1623'te Tahttan İndirilmesine Kadar*, editör. Erhan Afyoncu, çeviren. Nilüfer Epçeli, İstanbul: Yeditepe Yayınevi.

225. **Zinkeisen, 2011-4** - ZİNKEİSEN, J. W., *Osmanlı İmparatorluğu Tarihi – 4 Osmanlı İmparatorluğu'nun Vasvar Barışı'na (1664) ve Girit'in Fethine (1669) Kadar Çökmeye Devam Etmesi ve Yeniden Canlanması*, editör. Erhan Afyoncu, çeviren. Nilüfer Epçeli, İstanbul: Yeditepe Yayınevi.

226. **Zinkeisen, 2011-5** - ZİNKEİSEN, J. W., *Osmanlı İmparatorluğu Tarihi - 5 Osmanlı İmparatorluğu'nun Venedik savaşının bittiği 1669'dan 1774 Küçük Kaynarca Antlaşması'na kadar bilhassa Rusya'nın gittikçe artan nüfuzu karşısında çökmeye devam etmesi*, editör. Erhan Afyoncu, çeviren. Nilüfer Epçeli, İstanbul: Yeditepe Yayınevi.

227. **Zinkeisen, 2011-6** - ZİNKEİSEN, J. W., *Osmanlı İmparatorluğu Tarihi – 6 1774 Küçük Kaynarca Antlaşması'na ve 1802'de Fransa ile Yapılan Barışa Kadar Fransız İhtilali Sırasında Osmanlı İmparatorluğu'nun İç Siyasetinde ve Şark Siyasetindeki Değişiklikler*, editör. Erhan Afyoncu, çeviren. Nilüfer Epçeli, İstanbul: Yeditepe Yayınevi.

228. **Watson, 1988** - WATSON, S. H., *The Russian Empire 1801-1917*, New York*:* Oxford University Press.

229. **Берадзе, 1989** - Т. Н. Берадзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб.

230. **Дука, 1953** - Дука, Византийская История, Византийские Историки Дука и Франдзи о падении Константинополя, Перевод и предисловие А.С.Степанова, Византийский временник, М., Т. VII.

231. **Рансимен, 1983** - С. Рансимен, Падение Константинополя в 1453 г. М.

დანართები

იმერეთის მეფეთა სია:

(XVI ს-ის დასაწყისიდან XVIII ს-ის ბოლომდე) *

1. ალექსანდრე II (1487 – 1510 წ. წ.)
2. ბაგრატ III (1510 – 1565 წ. წ.)
3. გიორგი II (1565 – 1586 წ. წ.)
4. ლევან I (1586 – 1590 წ. წ.)
5. როსტომ I (1590 – 1605 წ. წ.)
6. გიორგი III (1605 – 1639 წ. წ.)
7. ალექსანდრე III (1639 – 1660 წ. წ.)
8. ბაგრატ IV (1660 წ.) (პირველად)
9. არჩილ I (1661- 1663 წ. წ.) (პირველად)
10. დემეტრე გურიელი (1663 წ.) (პირველად)
11. ბაგრატ IV (1663 – 1668 წ. წ.) (მეორედ)
12. დარეჯან დედოფალი და ვახტანგ ბაგრატიონი (1668 წ.) (პირველად)
13. დემეტრე გურიელი (1668 – 1669 წ. წ.) (მეორედ)
14. ბაგრატ IV (1669 – 1678 წ. წ.) (მესამედ)
15. არჩილ I (1678 წ.) (მეორედ)
16. ბაგრატ IV (1679 – 1681 წ. წ.) (მეოთხედ)
17. გიორგი გურიელი (1681 – 1683 წ. წ.)
18. ალექსანდრე IV (1683 – 1690 წ. წ.) (პირველად)
19. არჩილ I (1690 – 1691 წ. წ.) (მესამედ)
20. ალექსანდრე IV (1691 – 1695 წ. წ.) (მეორედ)
21. არჩილ I (1695 – 1696 წ. წ.) (მეოთხედ)
22. გიროგი IV (გოჩიად წოდებული) (1696 – 1698 წ. წ.)
23. არჩილ I (1698 წ.) (მეხუთედ)
24. სვიმონ I (1698 – 1701 წ. წ.)
25. მამია III გურიელი (1701 – 1702 წ. წ.) (პირველად)
26. გიორგი ıაბაშიძე (1702 – 1707 წ. წ.)

27. გიორგი VI. (1707 – 1711 წ. წ.) (პირველად)

28. მამია III გურიელი (1711 – 1712 წ. წ.) (მეორედ)

29. გიორგი VI. (1712 – 1713 წ. წ.) (მეორედ)

30. მამია III გურიელი (1713 – 1714 წ. წ.) (მესამედ)

31. გიორგი VI (1714 – 1716 წ. წ.) (მესამედ)

32. გიორგი გურიელი (1716 წ.)

33. გიორგი VI (1719 – 1720 წ. წ.) (მეოთხედ)

34. ალექსანდრე V (1720 – 1741 წ. წ.) (პირველად)

35. გიორგი ბატონიშვილი (1741 წ.)

36. ალექსანდრე V (1741 – 1746 წ. წ.) (მეორედ)

37. მამუკა ბატონიშვილი (1746 – 1749 წ. წ.)

38. ალექსანდრე V (1749 – 1752 წ. წ.) (მესამედ)

39. სოლომონ I (1752 წ.) (პირველად)

40. სოლომონ I (1753 – 1766 წ. წ.) (მეორედ)

41. თეიმურაზ მამუკას ძე ბატონიშვილი (1766 – 1768 წ. წ.)

42. სოლომონ I (1768 – 1784 წ. წ.) (მესამედ)

43. დავით გიორგის ძე (1784 – 1789 წ. წ.) (პირველად)

44. დავით არჩილის ძე (სოლომონ II) (1789 – 1790 წ. წ.) (პირველად)

45. დავით გიორგის ძე (1790 წ.) (მეორედ)

46. სოლომონ II (1790 – 1810 წ. წ.) (მეორედ)

*მიხეილ რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო (1462 – 1810 წწ.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1989, გვ. 498-499.

ოსმალეთის სულთანთა სია:

(XVI ს-ის დასაწყისიდან XVIII ს-ის ბოლომდე)*

1. ბაიეზიდ II (1481 – 1512 წ. წ.)
2. სელიმ I (1512 – 1520 წ. წ.)
3. სულეიმან II (1520 – 1566 წ. წ.)
4. სელიმ II (1566 – 1574 წ. წ.)
5. მურად III (1574 – 1595 წ. წ.)
6. მეჰმედ III (1595 – 1603 წ. წ.)
7. აჰმედ I (1603 – 1617 წ. წ.)
8. მუსტაფა I (1617 – 1618 წ. წ.) (პირველად)
9. ოსმან II (1618 – 1622 წ. წ.)
10. მუსტაფა I (1622 – 1623 წ. წ.) (მეორედ)
11. მურად IV (1623 – 1640 წ. წ.)
12. იბრაჰიმ (1640 – 1648 წ. წ.)
13. მეჰმედ IV (1648 – 1687 წ. წ.)
14. სულეიმან II (1687 – 1691 წ. წ.)
15. აჰმედ II (1691 – 1695 წ. წ.)
16. მუსტაფა II (1695 – 1703 წ. წ.)
17. აჰმედ III (1703 – 1730 წ. წ.)
18. მაჰმუდ I (1730 – 1754 წ. წ.)
19. ოსმან III (1754 – 1757 წ. წ.)
20. მუსტაფა III (1757 – 1774 წ. წ.)
21. აბდულჰამიდ I (1774 – 1789 წ. წ.)
22. სალიმ III (1789 – 1807 წ. წ.)
23. მუსტაფა IV (1807 – 1808 წ. წ.)

*სია მომზადდა ჩვენს მიერ.